კვირის პალიტრა

შეხვედრა

N25(158) 19/VI.-25/VI.2003. ფასი 60 თ.

63

88

1168
2003

საბედისწერო სიყვარული

ქაცი, რომელიც 49 წელია ბარათაშვილის ხიდიდან ვარდებს წყალში ყრის

დენის გათიშვის გამო ჩაღენილი სასტიკი მკვლელობა

ალბანელი სიძის მომღერალი სიდედრის დიადი მიზნები

ზურა ხაჩიძე სასოლეს პატიოსანი გოგონებიდან აირჩევს

«რეიტინგ ჯგუფი»
38-68-77
877 46-58-49
თქვენი კარიერის პარმონია

კვირის პალიტრა
ეპოქა
№25 (158)
19 – 25 ივნისი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ტურისტული სააგენტო „პანკისი-კოდორი-ტური“ ანუ ვიტაცებთ უცხოელ ექსპერტებს დაბრუნების გარანტიით... 3
ერთი კითხვა 4
საზოგადოება
მომხიბვლელი ტყუილის ხელოვნება – „აგერ ვარ მე და აგერაა გერმანია!“ 6
პრობლემა
საქართველოში „სინჯარის ბავშვები“ მრავლდებიან 8
პროდიუსერი
ალა პუგაჩოვათი აღფრთოვანებულ ნატო დუმბაძეს ყველაფრის გაკონტროლება უყვარს 10
კრიმინალი
● „დანით არავინ დამიჭრია, მე მხოლოდ ხელებს ვიქნევდი“ 12
● ქობულეთში მკვლელობა დენის გამორთვის გამო მოხდა 13
სპორტარეკლო-სასიძო
● „ირინას ჩუმად ვუღებ ფოტოებს...“ 16
● „ზოგი მწერს – შენ რომ ცოლი მოიყვანო, თავს მოვიკლავო...“ 17
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 18
თემა
საბედისწერო სიყვარული 20
ლეგიონერი
აგროვნებით გამორჩეული, ძალისმიერი ფეხბურთელი მალე ზოთა არველაძის თანაგუნდელი გახდება? 24
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 26
ნამდვილი ამბავი
არამკითხე მოამბე და „პატიოსანი ქურდი“ 26
კოლეგა
ალბანელი სიძის მომღერალი სიდედრი პარლამენტარობას უმიზნებს 28
ცხოველთა სამყარო 31
საოჯახო ფსიქოლოგია
რა აღგილი აქვს მეგობრობას ცოლქმრულ ურთიერთობაში 32
დიასახლისის დღიური
სიმყუდროვე სახლში... იატაკით იწყება 33

საქართველოში „სინჯარის ბავშვები“ მრავლდებიან

ორ კვირაში, ჩვენი ბათუმელი პაციენტი მეშვიდე თვეს ჩაამთავრებს. ისიც ოთხ ტყუპს ელოდება. ქუთაისშიც გვყავს ორსული, რომელიც ოთხ ბავშვს ელოდება. გვყავს ერთი სამნაყოფიანი და ორი ორნაყოფიანი ორსული; დანარჩენი თორმეტი ორსული თითო ბავშვს ელოდება.

8

„ზოგი მწერს – შენ რომ ცოლი მოიყვანო, თავს მოვიკლავო...“

ზოგი მწერს – გისურვებ ბედნიერი ოჯახის შექმნასო, – ზოგი კიდევ – შენ რომ ცოლი მოიყვანო, თავს მოვიკლავო... მაშ, როგორ მოვიქცე? უცოლოდ ხომ ვერ დავრჩები?! ამიტომ ვფიქრობ, უნდა შეეძლოთ სიყვარული რაღაც ზღვრამდე...

17

ქობულეთში მკვლელობა დენის გამორთვის გამო მოხდა

როგორც გაირკვა, მეზობლებს შორის ჩხუბი რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ცხრასართულიანი სახლის სადარბაზოში, საღამოს 10-ის ნახევრისთვის მოხდა. საცხოვრებელ კორპუსში უთანხმოება დენის გამორთვამ გამოიწვია. კამათი მალე ჩხუბში გადაიზარდა.

13

საბედისწერო სიყვარული



მარცხენა ხელით უამრავი ვარდი ჰქონდა გულზე მიკრული, მარჯვენათი კი დროგამოშვებით, თითო ყვავილს მტკვარში ყრიდა... იდუმალი რიტუალი კარგა ხნის დამთავრებული ჰქონდა, დალაპარაკება რომ შევბედე. როგორც ველოდი, საოცარი ამბავი მოვისმინე.

20

ტაძარი

რატომ ვცემთ თაყვანს წმინდა ხატებს? 34

სასარგებლო აზრები

აფორიზმების ენციკლოპედია 35

საკლუბო ფეხბურთის გრანდები

დიდი ფეხბურთის „ბებერი ქალბატონი“ 36

სპორტული მოზაიკა 39

შეუცნობელი

როდის დაგვანებებს სატანა თავს?.. 40

ტესტი

ერთგული მკითხველი 41

რომანი

რუსულან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

ეკრანს მიღმა 46

ავტო 48

პროფესიონალი

თარჯიმნის თანამდევი სტრესები, აღფოთებული აგერბაიჯანელები და გზა გინესისკენ ანუ ინგლისური 3-4 თვეში 50

დაუვიწყარი სახეები

ქორა შავგულიძის ავი წინათგრძნობა, სანდრო ქორქოლიანის პაექრობა ლენინთან და „გაიძვერა“ შაქრო გომელაურის „გაცურება“ 52

სალონი

ხომ არ გიმტყუნათ გომიერების გრძნობამ? – რას ნიშნავს სწორად შერჩეული მაკიაჟი 54

ჯანმრთელობა

- ვიმოგზაუროთ გონივრულად 56
- მეტეორიზმის შვიდი მიზეზი 57
- რა ვიცით თმის შესახებ 58
- ხერხემალი დაიღალა 59

იუმორი 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (23-29 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

როგორი დამოკიდებულება გაქვთ მამაკაცებთან? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ქორქოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ალბანელი სიძის მომღერალი სიდედრი პარლამენტარობას შეიზნებს

ჭორები შემდეგაც ვრცელდებოდა, მე და რეზოს წელიწადში თხუთმეტჯერ გვაშორებდნენ. ნახევარი თბილისი ძალიან მოწადინებული იყო, რომ ჩვენ ერთად არ ვყოფილიყავით. ამ ბოლო დროს, საბედნიეროდ, თავი დაგვანებეს.

28

თარჯიმნის თანამდევი სტრესები და გზა გინესისკენ ანუ ინგლისური 3-4 თვეში

თავს მიზნად დავუსახე, 3-4 თვეში ჩემი მოსწავლეებისთვის მიმეცა ინგლისური ენის საფუძვლიანი ცოდნა და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ მივაღწიე კიდეც ამას. ფაქტობრივად, არ არსებობს რაიმე გართულება ამ მეთოდის დაძლევისას...

50

ელიზაბეტ ჰერლი არასექსუალური გახდა

„ბავშვის დაბადებიდან 3 თვის შემდეგ, დიეტის წყალობით, პრაქტიკულად მოვიშორე ჭარბი წონა, მაგრამ მაინც მოდუნებულად და არასექსუალურად ვგრძნობდი თავს...“ ახლა ჰერლიმ უკვე დაიბრუნა სექსუალურობა.

47

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

დაბნეულმა დეამ გიგოლას ცოტა ხანს, სევდიანად უცქირა და შემდეგ თვალები ისევ მორჩილად დახარა. გიგოლაც, თითქოს ამასღა ელოდაო, დამშეულივით დააცხრა ტუჩებზე...

42

ტურისტული სააგენტო „პანკისი-კოდორი-ტური"



ანუ ვიტაცებთ უცხოელ ექსპერტებს დაბრუნების გარანტიით...

დღითი დღე მაღლდება საქართველოს იმიჯი მსოფლიოს თვალში და ამ დემოკრატიულობის იმიჯმეიკერთა სიას კიდევ ერთი აქტიური ორგანიზაცია — ტურისტული სააგენტო „პანკისი-კოდორი-ტური" შეემატა, რომელიც მეტისმეტად საინტერესო ტურებს უწყობს საქართველოში მყოფ უცხოელ ექსპერტებს, დამკვირვებლებსა და მისიის წევრებს და ვითომდა გატაცების მოტივით, ეგზოტიკურ ექსკურსიებზე დაატარებს პანკისისა და კოდორის ხეობებში.

ატყდება განგაში, თმას იგლეჯს გაერო და ვალიდოლს ყლაპავს ევროსაბჭო, რომ გატაცებულების სიცოცხლე საფრთხეში არ ჩავარდეს, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების გონიერების წყალობით, გატაცებულთა გათავისუფლება ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშეც კი ხორციელდება, მაგრამ ვინაა მადლიერი?!



ამას წინათაც, გავათავისუფლეთ მათი დამკვირვებლები, მაგრამ რა მერე? მადლობა შეავსებს ჩვენს ბიუჯეტს და დაგვიპურებს ხალხს?! ამ ჩვენს ხელისუფლებასაც ვერა და ვერ ვასწავლე ეშმაკობა! არადა, ამ საქმით ხომ დიდი ბიზნესის „გაქაჩვა" შეიძლება: რომ მოიტაცებენ დამკვირვებლებს, ავტეხოთ ერთი ამბავი, დავძაბოთ სიტუაცია, მერე, როგორც გვჩვევია, პოლიციის გარეშე, ავტორიტეტებისა და კაი ბიჭების დახმარებით ვიჩალიჩოთ „ვაზვრატზე" და გაეროს ვუთხრათ:

— ა, ძმაო, ამდენი მილიონი დაჯდა ეს საქმე და მე სად მაქვს ფული?! მართალია, მძევლებში ფულს პრინციპულად არ იხდი, მაგრამ ამ ვარიანტში მე უკვე დავხარჯე და ახლა გრანტის სახით შენ უნდა გადამიხადო-თქო, — და გადაიხდის კიდეც.

მერე აიღე ფული და გინდა, ბიუჯეტს მოახმარე, გინდა, საარჩევნო კამპანიას — შენი არაა ის ბიუჯეტიც?! ამასობაში კიდევ გაიტაცებენ ვინმეს და...

მაგრამ მე ის მაშინებს — რომ აღარ გაიტაცონ, მერე რა გვეშველება?..

რა გვეშველება და ჩვენ თვითონ გავიტაცებთ! ხან პანკისში „მოვახევინოთ" ექსკურსიაზე, ხანაც კოდორში პიკნიკზე, 2-3 კილო კაი სამწვადე, კიტრი, პომიდორი, ყველი და „მშობლიური რვა ნომერი"... მერე და რა ადგილები ვიცი!.. რამდენიმე დღეში „გამოვიხსნით" იმ მძევლებს და მორიგი მილიონებიც შემოვა... მეტსაც გეტყვით: ჩვენ ხომ შეგვიძლია, თვეში სამჯერ გავიტაცოთ და ოთხჯერ ან ხუთჯერ დავაბრუნოთ, ან „ვაბშე" არ გავიტაცოთ და ისე „დავაბრუნოთ". პრემიასაც მოვითხოვთ და მივიღებთ კიდეც...

ეჰ, რამდენი სიკეთე მოუცია ჩვენთვის ბუნებას პანკისისა და კოდორის ხეობებისა და ჭიუხების სახით, სადაც ათასობით გატაცებული დაეტევა ერთად! ადგილი ყველას ეყოფა: გაეროსაც და ევროსაბჭოსაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდსაც და „პარიზის კლუბსაც". „ეი-ი-ეს"-საც და „იტერასაც" ელჩებიც ხომ შეგვიძლია მოვიტაცოთ?! მაგალითად, ვლადიმირ ჩხიკვიშვილი. მაგრამ რუსეთი წუწურაქია, კაპიკსაც არ გადაიხდის, მით უმეტეს — ქართული გვარის მქონე ელჩში... რიჩარდ მაილსი კი, გადასარევი ვარიანტია, ან დებრა ჯონსი — ვინ იცის, რამდენ მილიონს შევმატებთ ჩვენს ხაზინას!..

კი ვიცი, რომ ეს მუდმივი ბიზნესი არაა და 3-4 წელიწადში, არც ერთი უცხოელი აღარ ისურვებს ჩვენთან მუშაობას. თუმცა, არც ახლა გვიტალახებენ სახლს... 3-4 წელიწადში კი, იმდენ ფულს დავაგროვებთ, რომ აღარც მსოფლიო ბანკი დაგვჭირდება და აღარც „პარიზის კლუბი". თანაც, უცხოელები თუ შემოგველევა, შინაურებს დავერევით. რა, ცუდი აზრია? ხომ შეიძლება, რომელიმე ჩვენი ოლიგარქი გავიტაცოთ და საძმაკაცოს დავადებინოთ მაყუთი ან პარლამენტარი, ან კიდევ მინისტრი... ამ „დოვლათზე" მეტი რა გვაქვს?! მე შენ გეტყვი, ვერ გადაიხდიან თუ რა?!

„სტავკებიც" შეგვიძლია წინასწარ დავაწესოთ — სავარძლისა და ჯიბის მიხედვით.

ერთი უბრალო დეპუტატის გამოსასყიდი თანხა — 4-5 მილიონი (ლარი თუ დოლარი, ამაზე „სხადნიაკზე" ვიბაზროთ);

თითო კომიტეტის თავმჯდომარე ან ვიცე-სპიკერი — 10-12 მლნ (რა თქმა უნდა, დოლარებში);

ეკონომიკური ბლოკის ან ძალოვანი უწყების მინისტრი — 30-35 მლნ (რა თქმა უნდა, ევროში);

სახელმწიფო მინისტრი — 40-45 მლნ (რა თქმა უნდა, ოქროში);

პრე... ო-ო-ო! აქ კი დაფიქრებაა საჭირო, რადგან შეიძლება, კუპონებშიც არაფერი გადაგვიხადონ. მაგრამ არსებობს მეორე ვარიანტიც: მილიარდი გადაგვიხადოს ზოგიერთმა (!) ოპოზიციონერმა, ოღონდაც არ დავაბრუნოთ გატაცებული...

P.S. სარეკლამო განცხადება:

თუ თქვენ მძევლად გყავთ აყვანილი უცხოელი მოქალაქე(ები) და გეშინიათ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის, მოგვმართეთ ჩვენ

„სავაზვრატო" კომპანია — „კანცელარია"...

პროვოკატორი

„საპრეზიდენტო ამბიციები არ მაწუხებს...“

— ამერიკაში ყოფნის შემდეგ, კვლავ ალაპარაკდნენ თქვენზე, როგორც 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე, გამარჯვების რეალური შანსის მქონე ერთ-ერთ შესაძლო კანდიდატზე. რას იტყვით ამის შესახებ?

ნინო ბურჯანაძე, *პარლამენტის თავმჯდომარე:*

— ვფიქრობ, პრეზიდენტობის კანდიდატობასა და არჩევნებში გამარჯვებაზე საუბარი ჯერჯერობით ძალზე ნაადრევია. საპრეზიდენტო არჩევნებამდე დარჩენილ დროში თითოეულმა პოლიტიკოსმა ბევრი რამ უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ამ არჩევნებამდე ქვეყანა ნორმალურად მივიდეს. სწორედ მაშინ გამოჩნდება, თუ ვინ არის მზად თავისი კანდიდატურის დასაყენებლად და ვინ — არა, ვის როგორი რეიტინგი და მხარდაჭერა ექნება. დღეს მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და არა მგონია, საქართველოს მსგავსი ქვეყნის პრეზიდენტობა სახარბიელო იყოს! მაშინ როდესაც გადასაწყვეტია აფხაზეთის, სამაჩაბლოს და კიდევ სხვა არაერთი პრობლემა, ძალიან დიდი გამბედაობაა საჭირო ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად. არ უარვყოფ, რომ ამერიკის პოლიტიკურ წრეებში ჩემი პერსონის მიმართ ინტერესი ნამდვილად იყო, მაგრამ საპრეზიდენტო ამბიციები არ მაწუხებს! მოკლედ, ამ ეტაპზე, პრეზიდენტობისთვის ბრძოლას არ ვაპირებ. დღესდღეობით ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილება ღირსეულად ჩავამთავრო... ■

„რელიგიური თემის პოლიტიზება ხდება...“

— დიდი მითქმა-მოთქმა და ვნებათაღელვა გამოიწვია კანონპროექტმა მცხეთის წმინდა ქალაქად გამოცხადების შესახებ. არსებითად, რა არის ეკლესიასა და მცხეთელებს შორის დაპირისპირების მიზეზი?

ზაქარია ქუცნაშვილი, *იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე:*

— სამწუხაროდ, რელიგიური თემის პოლიტიზება ხდება. გამართლებულად არ მიმაჩნია, რომ ამით საერო ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ, წინასაარჩევნოდ ქულები ჩაიწერონ და ხალხის მხარდაჭერა მოიპოვონ. რაც შეეხება კანონპროექტს, ყველანი — მოწინააღმდეგეებიც და მხარდამჭერებიც იზიარებენ იმ აზრს, რომ მცხეთა წმინდა ქალაქია. ეს ცარიელ სიტყვებად არ უნდა დარჩეს, უნდა არსებობდეს რაღაც ბერკეტები, რომლის მეშვეობითაც მცხეთას მართლაც, წმინდა ქალაქად ვაქცევთ. ამ კანონპროექტით ეკლესიას, ორი უფლების მინიჭებას ვთავაზობთ: ერთი ის არის, რომ ეკლესიას შეუთანხმონ, თუ რომელი სახლი ან რა დანიშნულების ობიექტი აშენდება. მეორე — თუ სახლის, მიწის ნაკვეთის მეპატრონე გადაწყვეტს მის გაყიდვას, ეკლესიას ამის შესახებ წინასწარ მიაწვდის ინფორმაციას, რომ თუ საჭიროდ მიიჩნევს, თვითონ შეიძინოს, რადგან წმინდა მიწა ეკლესიის მართვა-გამგეობის ქვეშ მოექცეს. ეკლესია საკუთარი ფინანსებით სხვათა ბიზნესინტერესების შეზღუდვას ვერ შეძლებს, თუ ამაში ხელი არ შევუწყვეთ და რაღაც მექანიზმებით არ შევზღუდეთ ეს ბიზნესინტერესები კანონის ფარგლებში. კერძო მესაკუთრეებს, ვინც მცხეთაში ცხოვრობენ, რა თქმა უნდა, არ აეკრძალებათ არც სახლების გაყიდვა, არც ჩუქება ნათესავებისთვის თუ მეგობრებისთვის, უბრალოდ, ეკლესიას უნდა ჰქონდეს მცხეთაში უძრავი ქონების შეძენის პრიორიტეტული უფლება. სწორედ ამას ითვალისწინებდა კანონპროექტი, სხვას არაფერს. მისი მოწინააღმდეგენი კი მოითხოვენ, რომ მოიხსნას უპირატესი შესყიდვის უფლება და ეკლესიას დავუტოვოთ ერთი უფლება: აკრძალოს სვეტიცხოვლის გარშემო 10 მეტრის რადიუსში დისკოთეკებისა და კაზინოების გახსნა და მიწის ეს ტერიტორია თვითონ ეკლესიამ შეისყიდოს! ■

„ოპოზიციას ლიდერთა თანავარსკვლავედი ეყოლება...“

— თქვენი განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერობაზე უარს ამბობს. მაინც რატომ მიდიან ასეთ დათმობაზე „ნაციონალები“?

კოტე კემულარია, *პარლამენტარი:*

— ამ ნაბიჯზე იმისთვის მივდივართ, რომ ოპოზიციის ერთიანობა შევინარჩუნოთ. „ნაციონალური მოძრაობა“ დღესდღეობით ყველაზე რეიტინგული პარტიაა, სააკაშვილს კი, როგორც ლიდერს, ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს. ჩვენ არ გვაქვს იმის პრეტენზია, რომ გაერთიანებულ ოპოზიციას ერთი ლიდერი ჰყავდეს, მთავარია, გავერთიანდეთ! ოპოზიციის ყველა ლიდერს აქვს იმის შანსი, რომ მაჟორიტარული არჩევნები მოიგოს, ამიტომ მათ შეუძლიათ, სიის შუაში ჩაეწერონ. ვფიქრობ, ლიდერები, რომლებსაც მაღალი რეიტინგი აქვთ, ამ საკითხს გაგებით მოეკიდებიან. იმედი მაქვს, ჩვენი განცხადების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, შეწყდება საუბარი იმაზე, რომ ოპოზიციაში მთავარი პრობლემა პირველობაა. ოპოზიციას ლიდერთა თანავარსკვლავედი ეყოლება. ეს იქნება იმის გარანტია, რომ ხელისუფლებას დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ვაიძულებთ! ■

დაბინძურებულია თუ არა მტირალა მთის წყალი?

— გავრცელებული ინფორმაციით, ავლაბრისა და ბარათაშვილის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო კოლექტორი გასკდა, რის შემდეგაც ეწ. მტირალა კლდიდან ჩამონადენ გრუნტის წყლებს ფეკალური მასა შეერია. ამბობენ, რომ ეს ძალზე საშიშია და შეიძლება, განკურნების ნაცვლად, ხალხის დაბრმავების მიზეზიც კი გახდეს. შეეფერება თუ არა ეს სიმართლეს?

კარლო ჩოთირიძე, *ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილე:*

— ამ რამდენიმე ხნის წინ, კანალიზაციის კოლექტორი მართლაც დაზიანდა, მაგრამ აღადგინეს და ახლა არანაირი საშიშროება აღარ არსებობს. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ წყლის დაბინძურება არც ადრე მომხდარა და არც მომავალში მოხდება!

ჯულული ახვლედიანი, *სანიტარული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:*

— მტირალა მთიდან ჩამონადენი წყალი დაბინძურებულია. ფეკალური მასები, როგორც ვიცი, სისტემატურად იყონება მარტო ერთი ადგილიდან კი არა — რამდენიმე ადგილიდან, მთელ პერიმეტრზე...

■

„ეს აქცია კიდევ ერთი საარჩევნო ხრიკი იყო...“

— ერთი წლის წინ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თქვენ და ლევან მამალაძე შეგარიგათ. რატომ დაარღვიეთ ეს შეთანხმება და ამჯერად რატომ დაუპირისპირდით მამალაძეს?

მერაბ ტყეშელაშვილი, *რუსთავის მერი:*

— მამალაძეს, მუსიკალურ ფესტივალზე — „ოვაცია 2003“ მოწყობილ საპროტესტო აქციაში ვადანაშაულებ. როგორც იცით, მაშინ ქალაქის ცენტრალური მაგისტრალი ელექტროენერგიისა და სოციალური პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით გადაიკეტა. ეს აქცია კიდევ ერთი საარჩევნო ხრიკი იყო, რათა ქალაქში გარკვეული ფონი შეექმნათ და ყურადღება სხვა პრობლემებზე გაემახვილებინათ. გზის გადაკეტვა დაგეგმილი აქცია იყო. მრავალშვილიან დედას 70 ლარი გადაუხადეს, მან თავის ეზოში მყოფი სხვა ბავშვებიც წამოიყვანა და ასე, სულ დაახლოებით 20 კაცის მოწყობილი იყო მთელი ის ამბავი. ნუ ჰგონიათ, რომ არ ვიცი, რამდენი იყო ამისთვის გადახდილი! უნდა იცოდნენ, რომ მოსახლეობის მოსყიდვა მათი თანაშემწეების დონეზე არ ხდება. მათ ჰქონდათ დაუზუსტებელი ინფორმაცია, თითქოს ფესტივალზე ზურაბ ჟვანია და გიგი წერეთელი უნდა ჩამოსულიყვნენ და ვფიქრობ, ამის გამო მოაწყვეს ეს ყველაფერი. მე ბრძოლა არ დამიწყია და რაკი თვითონ დაიწყეს, ბოლომდე მივიყვან ყველაფერს! ამას არ ჩავყლაპავ! ვისაც ამ ქალაქში ცხოვრება არ მოსწონს, კეთილი ინებონ და სხვაგან გადაბრძანდნენ...

■

„იმედი მაქვს, ასეთი ბომბი საქართველოში არ მზადდება...“

— საიდან ხვდება თბილისში ისეთი რადიოაქტიური ნივთიერებები, როგორიცაა სტრონციუმ-90 და ცეზიუმ-137 და რა დაადგინა ექსპერტიზამ?

ნინო ჩხოტუა, *გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი:*

— საქართველოში ამგვარი ნივთიერებების წარმოება არ ხდება. ის შემოტანილია და არ არის გამორიცხული, რომ ე.წ. „ბინძური ბომბის“ დასამზადებლად გამოიყენებოდეს. საქართველოში არსებული ყველა რადიოაქტიური ნივთიერება აღირიცხება და აქედან გამომდინარე, აღმოჩენილი წყაროები იმპორტირებულია, ჩვენი ქვეყანა კი ტრანზიტად არის გამოყენებული, საიდან ან როგორ შემოიტანეს ეს ნივთიერებები, შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა გაარკვიონ... იმედი მაქვს, ასეთი ბომბი საქართველოში არ მზადდება!

ლერი მესხი, *ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის განსაკუთრებული სიტუაციების შეფასებისა და ლიკვიდაციის სამმართველოს უფროსი:*

— ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ცეზიუმ-137, 5 კიურის, ხოლო სტრონციუმი — 12 კიურის აქტივობის იყო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი გავრცელების და გაჟონვის შემთხვევაში, 500 მეტრის რადიუსში ყველა ცოცხალი ორგანიზმი მოისპობოდა. რაც შეეხება, მინის ჭურჭელში მოთავსებულ ნივთიერებას, დადგინდა, რომ სითხე დამბლის გამომწვევი ნივთიერებაა და იპრიტის სახელით არის ცნობილი. სავარაუდოა, რომ საქართველოში ამგვარი კონტეინერები კიდევ არსებობს. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე, სამხედრო ნაწილების ტერიტორიიდან ამოღებულია 80-90 კომპლექტი მოწყობილობა, გაუვნებლებულია 250 კონტეინერი. ამჟამად აღმოჩენილი რადიოაქტიური ნივთიერებები დროებით მცხეთაში, ყოფილი ატომური რეაქტორის ტერიტორიაზეა მოთავსებული.

■

ეარაჭე

გენიალური

ერს, რომელსაც არ სურს საკუთარი ჯარის გამოკვება, მალე სხვისი არმიის რჩენა მოუწევს.

ნაპოლეონ ბონაპარტე



მომხიბვლელი ტყუილის ხელოვნება

„ყველა ვაკრ მე და ყველაა ვერმაენია!“

ამბობენ, ყველაზე მწარე — სიმართლეა, ყველაზე ტკბილი — ტყუილიო და ალბათ, მართალიცაა: ადამიანი ხომ ხშირად, საკუთარი ფეხით მიტოპავს ტყუილების მორევში, სჯერა ლამაზად შეთხზული, არარსებული გეგმების, ხარბად ყლაპავს ტკბილ დაპირებებს და მერე, ძალიან გვიან ხვდება ან საერთოდ ვერ ხვდება, რომ კიდევ ერთხელ მოატყუეს.

ამჯერად, სწორედ კარგად გააზრებული და მომხიბვლელად შენიღბული ტყუილის ხელოვნებაზე ანუ აფერაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. რა არის აფერა და ვინ არიან აფერისტები? რას ფიქრობენ მათზე და მიუღიათ თუ არა „ტკბილი გაკვეთილი“ თქვენთვის კარგად ცნობილ ადამიანებს? ამ კითხვებზე პასუხების მისაღებად „გზა“ რამდენიმე მათგანს დაუკავშირდა.

ავთო მარგველაშვილი

ხათუნა ხოფერია, *პარლამენტის წევრი:*

– აფერისტები ერთგვარი სახის დამნაშავეები არიან, რომლებსაც საკუთარი სარგებელისთვის შეცდომაში შეჰყავთ ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი ან თუნდაც, მთელი ერი. ამისდა მიხედვით, არსებობენ ე.წ. мелкий და დიდი გაქანების აფერისტები.

— **Мелкий-ს კატეგორიას ვინ განეკუთვნება?**

– თუნდაც ის, ქუჩაში რომ დგას და ღიად გეუბნება: მოდი, უნდა მოგატყუოო...

ნუ მიხვალ და ვერ მოგატყუებს. გნებავთ, „მკითხავი“ ბოშა ქალები ავიღოთ: მათ დამუშავებული აქვთ გამოლაპარაკებისა და კლიენტის დაინტერესების მეთოდები, არც არჩევაში ცდებიან...

— **დიდი გაქანების აფერისტები ვინღა არიან?**

– ო, ეს არცთუ ისე ხელწამოსაკრავი ხალხია: ადამიანები, რომლებმაც თავის დროზე, აფერით იშოვეს დიდი ფული, მერე ეს თანხა ბიზნესში დააბანდეს და დღეს, ცნობილი ბიზნესმენები არიან. ასეთი მაგალითიც ბევრია.

— **თქვენ თუ გამხდარხართ ოდესმე, აფერის მსხვერპლი?**

– იცით, არასოდეს... როგორც ჩანს, არც ისე ადვილად მოსატყუებელი ვარ ან – იმდენად იოლად, რომ მოვტყუებულვარ და ვერ მივმხვდარვარ *(იცინის)*...

— **ქალბატონო ხათუნა, ამბობენ, პოლიტიკაც გარკვეულწილად, აფერაზე დამყარებული მეცნიერებაა. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

– უხეში მაგალითი რომ მოგიყვანოთ, დიპლომატიურ ურთიერთობაში არსებობს ვაჭრობის მსგავსი წესი: როცა რაღაცას გიფასებენ 100 დოლარს, არ შესთავაზო 50, დაიწყე 10 დოლარიდან, რამეთუ არ არსებობს პრაქტიკაში ორი ხაზი, რომელიც სადღაც მაინც არ გადაკვეთს ერთმანეთს. რაც უფრო ახლოა შენთან ეს წერტილი, მით უფრო კარგია...

— **ჩვენი წერტილი სადაა?**

– *(იცინის)* როგორც ჩანს, ჩვენ არ ვიცით ამ წერტილის მდებარეობა და ცოტა არ იყოს, დაბნეულები ვართ ანუ ვგავართ იმ ადამიანს, რომელიც მიდის სავაჭროდ და არ იცის, რა უნდა...

ბაადურ წულაძე, *მსახიობი:*

– აფერა გულუბრყვილო ხალხის ხარჯზე გამდიდრების ხელოვნებაა. თუ უნიჭოდაა გათვლილი, არ გამოდის და იმ წუთშივე ხვდებიან, ხოლო თუ ჭკვიანი კაცის მიერაა მოფიქრებული, მსხვერპლი ისე „იფცქვნება“, რომ კმაყოფილიც კია.

აფერისტი კარგი ფსიქოლოგია და იცის, ვინ გამოიჭიროს. ბევრი ებმება კიდეც მახეში, რადგან უნდა, რომ მოხდეს ზღაპრული საოცრება და მუქთად მოიგოს ფული ერთ წამში, მერე კი ყვირის – გამატყავესო!.. ხომ უნდა მიხვდე, რომ ის ვიღაცა შენ რომ მოგეგო, იმისთვის არ გამოსულა ქუჩაში და არც წუხანდელი ღამე გაუტარებია შენი გამდიდრების ფიქრში.

— **საკუთარ თავზე თუ გამოგიცდიათ მსგავსი რამ, ბატონო ბაადურ?**

– რაღა დაგიმალოთ და – კი *(იცინის)*... ქუჩის აფერისტებთან არასოდეს მივსულვარ, მაგრამ უფრო დიდი აფერებიც იყო ადრე – „პირამიდები“. არ მჯეროდა ამ გზით ფულის მოგებისა, მაგრამ შემიჩნდნენ ოჯახში და გამაბრიყვეს. ეს იყო 1990-91 წლები...

— **მერე რა თანხა „დააბანდეთ“?**

– 1.500 დოლარი შევიტანე და ახლაც ველი *(იცინის)*...

— **პოლიტიკაში თუ ამჩნევთ აფერის ელემენტებს, ბატონო ბაადურ?**

– არ ვტრაბახობ, მაგრამ ბევრი, ვინც პოლიტიკოსობას იბრალებს, დამიჯდეს და მეკამათოს. ვნახავთ, ვინ უფრო მაგარია...

— **რას ბრძანებთ?!**

— აგერა ვარ მე და აგერაა გერმანია *(იცინის)*!.. ჩვენში ყველა მოდელი ტოპ-მოდელია, ყველა კარიერისტი — პოლიტიკოსი. აფერაა, აბა რა არის?! ხალხი და პოლიტიკა ორ პარალელურ სამყაროში ცხოვრობს. პარალელურს იმიტომ ვუწოდებ, რომ საერთოდ არ ეხებიან ერთმანეთს. თუ გახსოვთ, „კრუშკებში" რომ ბურთულას მალავდნენ და ხალხი ცდილობდა, გამოეცნო, რომელ მათგანში იყო ეს ბურთულა.

— სინამდვილეში არც ერთში არ იდო.

— აგაშენა ღმერთმა!.. ასეა დღევანდელი პოლიტიკაც: ხალხი ცდილობს, ამოიცნოს „მომგებიანი" პარტია და იმას მისცეს ხმა არჩევნებში. რეალურად კი, ყველა წამგებიანია...

თეიდო პაატაშვილი, *პარლამენტის წევრი:*

— ორი სიტყვით რომ გითხრათ, აფერა არის ერთი ადამიანის ან ჯგუფის მიერ სხვების მოსატყუებლად დადგმული მოქმედება. ზოგს ეს გამოსდის, ზოგს — არა. მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და ადრე თუ გვიან, მაინც მჟღავნდება ყველაფერი.

— თქვენ თუ გქონიათ შეხება აფერისტებთან?

— წვრილმანი აფერისტები მინახავს, დიდებთან კი, შეხება არასოდეს მქონია, თუ არ ჩავთვლით საარჩევნო აფერებს.

— მერე რამდენად „მოკლე ფეხები აქვს" ამ საარჩევნო აფერებს?

— გააჩნია დროს: შეიძლება, წლები და ათწლეულები გავიდეს, მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით, ამას არა აქვს მნიშვნელობა, რადგან საბოლოოდ, მაინც გაირკვევა ყველაფერი.

— წვრილმანი აფერისტები ახსენეთ, ბატონო თედო...

— სტუდენტობისას კიევში ვაკეთებდი სადიპლომო ნაშრომს და ფულს რომ ვახურდავებდი, მაშინ მოინდომეს ჩემი და ჩემი მეგობრების გაცურება ე.წ. „ჩეკების" მაღაზიაში, მაგრამ საკმაოდ გათვითცნობიერებულები ვიყავით თბილისელი ბიჭები და თავი არ მოვატყუებინეთ.

— რაც შეეხება აფერას პოლიტიკაში...

— პოლიტიკაც მოიცავს, რა თქმა უნდა, აფერის ელემენტებს, რაც დასაშვებია, თუ მას საფუძვლად შენი ქვეყნის ინტერესი უდევს. თუმცა, ვერ გავიზიარებ მაკიაველის აზრს, რომ ყველა საშუალება მისაღებია მიზნის მისაღწევად...

ნუგზარ ჯუღელი, *სპორტული მიმომხილველი:*

— აფერისტი შეიძლება იყოს მსახიობი, ინჟინერი, მუშა, ექიმი და ა.შ.... პოლიტიკოსიც(!) კი *(იცინის)*... არსებობს ასეთი გამოთქმა: „ადამიანებს სულელებად ნუ ჩათვლი. ყოველთვის გახსოვდეს, რომ ადამიანები სულელები არიან"... ამით სარგებლობენ აფერისტები. ამაზე აგებენ თავიანთ წარმატებას.

— მაგალითად?

— ამ ბოლო დროს აღარ მსმენია, მაგრამ საბჭოთა კავშირის დროს იყო „პირამიდა": მიიღებდი წერილს და მის გამომგზავნს უგზავნიდი ერთ მანეთს. მერე ამ წერილს გადაწერდი ათჯერ და აგზავნიდი სხვებთან და ა.შ. ეს იყო გეომეტრიულ პროგრესიაზე აგებული სისტემა და მოგებული, პირველი — ჭკვიანი აფერისტი რჩებოდა.

— ყველაზე მსხვილ აფერაზე რას იტყვით, ბატონო ნუგზარ?

— ყველაზე დახვეწილი და „რაფინირებული", პოლიტიკური აფერაა, მგონი. ახლა არ მინდა, ის პარტია და იმ პოლიტიკოსის ვინაობა დავასახელო, ხალხს რომ ჰპირდება: თქვენ არ გადაიხდით წყლის, დენის, განათლების, „სასწრაფო დახმარების" და ა.შ. თანხებსო... აფერაა, აბა, რა არის?! ასეთი მომსახურება უფასოდ, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს. ეს არის საზოგადოებისათვის მავნე აფერა...

ზურაბ ვადაჭკორია, *ილუზიონისტი:*

— მიმაჩნია, რომ აფერისტები არ უნდა იყვნენ ყაჩაღები. ვინც აფერაში გაეხვევა, იმაზე ამბობენ — „ლოხი დავიჭირეთო"... აფერისტი არავის აძალებს „თამაშში" ჩაბმას. მაგრამ ადამიანი ხარბია და სწორედ სიხარბე უბიძგებს იმისკენ, რომ ფულის მოგება სცადოს. ამას ემყარება ყველანაირი აფერა და ამიტომაც ამართლებს ასე ხშირად.

— ბატონო ზურაბ, თქვენ ილუზიონისტი ბრძანდებით, ცხადია, რომ ყველა ფოკუსი მხიარული ტყუილის ხელოვნებაა...

— საქმეც მაგაშია: ილუზიონისტი აკეთებს ფოკუსს, რომელიც ადამიანს აოცებს, ახალისებს, მაგრამ ამით არავინ ზარალდება. ე.ი. ეს ხელოვნებაა და არა მავნებლობა. ჭიქებითა და ბურთულით თამაში ავიღოთ: ეს უბრალო აფერაა და გამორიცხულია, რომ ილუზიონისტმა არ ამოიცნოს, მაგრამ მე პირადად, არასოდეს გავკარებივარ. მიმაჩნია, რომ ეს ჩემი საქმე არაა. მე ხალხი მიცნობს, როგორც ილუზიონისტს, მიყვარს ჩემი საქმე, ჩემი მაყურებელი და ამით ვარ ბედნიერი.

რაც შეეხება აფერების „მსხვერპლს" — კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ყველას საკუთარი სიხარბე ღუპავს. ხომ მივიდა ფულის მოსაგებად? ჰოდა, წაგებისთვისაც მზად უნდა იყოს... ■





...ისიც ოთხ ტყუპს ელოდება. ქუთაისშიც გვყავს ორსული, რომელიც ოთხ ბავშვს ელოდება

საქართველოში «სინჯარის ბავშვები» მრავლდებიან

სამშობიარო „ორიონში“ (ხელმძღვანელი დავით გაგუა) ოთხი ტყუპი ვაჟი დაიბადა. დედა — ვერიკო კუპრაშვილი 29 წლისაა. ის შვიდი წლის მანძილზე ამაოდ ელოდა შვილს. სინჯარის ტყუპი ოთხეული თავს შესანიშნავად გრძნობდა, მაგრამ დაბადებიდან ორი დღის შემდეგ, ერთ-ერთი მათგანის ჯანმრთელობა გაუარესდა. მიზეზი წამლის არქონა გახდა. სამწუხაროდ, მთელ რესპუბლიკაში არ აღმოჩნდა პრეპარატი სურფაქტანტი...

„ინ-ვიტრო“ განაყოფიერების მეთოდი, რომლის წყალობითაც ბევრი უშვილო ოჯახი გაბედნიერდა, ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში რამდენიმე წლის წინ დაინერგა. გვესაუბრება მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ექიმი ნატო ხონელიძე.

ლელა ჭანკოტაძე

— რას გულისხმობს „ინ-ვიტრო“ განაყოფიერების მეთოდი?

— „ინ-ვიტრო“ განაყოფიერების მეთოდი ნიშნავს განაყოფიერებას შუშაში, სინჯარაში. აქ არაბუნებრივი არაფერია. აბსოლუტურად ბუნებრივი პროცესი მიმდინარეობს. ხდება კვერცხუჯრედის განაყოფიერება სპერმატოზოიდით (მეუღლის სპერმით) ორგანიზმის გარეთ. რამდენიმე წლის წინ, მეცნიერებს გაუჩნდათ იდეა, რომ შვილები გაეჩინათ იმ ქალებს, რომლებსაც ჰქონდათ მილების პრობლემა: როგორც წესი, უწინ, ის ქალები, რომლებსაც აღენიშნებოდათ საშვილოსნოს მილების დახურვა სხვადასხვა პათოლოგიის გამო, ბავშვს ვერ აჩენდნენ. ახლა ეს პრობლემა დაძლეულია. ნებისმიერ ქალბატონს შეუძლია მოგვმართოს თხოვნით, რომ გავუკეთოთ „ინ-ვიტრო“ განაყოფიერება.

— როდის დაიბადა პირველი „სინჯარის ბავშვი“?

— პირველად ასეთი ბავშვი ინგლისში გაჩნდა 1978 წელს. რაც შეეხება საქართველოს — ჩვენი ინსტიტუტი გახლავთ კავკასიაში პირველი ცენტრი, სადაც დაიწყო ამ მეთოდით მუშაობა. სამ წელზე ცოტა მეტია, რაც მივიღეთ შედეგები. უკვე გვყავს „ინ-ვიტრო“ განაყოფიერების გზით დაბადებული სამოცდაექვსი ბავშვი. სულ კი, ჩვენთან 200-დან 230-მდე პაციენტმა იმკურნალა.

— დაახლოებით როგორ მიმდინარეობს ხელოვნური განაყოფიერების პროცესი?

— ხდება საკვერცხეში ფოლიკულების მომწიფება. ქალის ფიზიოლოგიურ ციკლზე მწიფდება ერთი ფოლიკული. შეგვიძლია ამ ერთ ფოლიკულზე გავაკეთოთ აქცენტი (ყოველგვარი მედიკამენტის გარეშე ამ ერთ კვერცხუჯრედზე ჩავატაროთ „ინ-ვიტრო“ განაყოფიერება), მაგრამ თუ ქალი ასაკოვანია, ამის გაკეთებას აზრი არა აქვს — უმჯობესია, მივმართოთ სტიმულაციას, მივიღოთ რამდენიმე კვერცხუჯრედი და თითოეული მათგანი გავანაყოფიეროთ. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, დაორსულების შანსი იზრდება, რადგან ემბრიონიდან ე.ი. განაყოფიერებული კვერცხუჯრედიდან ამოირჩევა საუკეთესო და მას გადავიტანთ საშვილოსნოში; ჩვეულებრივ, სამ ემბრიონზე მეტი არ გადაგვაქვს.

— ფაქტია, რომ გაჩნდა ოთხი ბავშვი. რატომ გადაწყვიტეთ გაგერისკათ და ოთხი ემბრიონი გადაგეტანათ საშვილოსნოში?

— პაციენტი ახალგაზრდა ქალია, თან ყველა ემბრიონი იმდენად კარგი იყო, რომ გადავწყვიტეთ, ოთხივე გადაგვეტანა. ამასთანავე, ჩვენ არ გვაქვს იმის საშუალება, რომ ემბრიონები გავყინოთ და შევინახოთ, ემბრიონის გადაყრა ძალიან გვიჭირს. ალბათ, დადგება დრო, როცა გვექნება ემბრიონების გასაყინი აპარატი... ერთი სიტყვით, ვერიკო კუპრაშვილის საშვილოსნოში ოთხი ემბრიონი გადავიტანეთ და ოთხივე მიემაგრა. 26 ოქტომბერს მოხდა გადატანა. სამ კვირაში, სპეციალური ტესტით დადგინდა რომ პაციენტი ორსულად იყო, ოთხ კვირაში კი გავარკვიეთ, რომ ოთხივე ემბრიონი შენარჩუნდა — ე.ი. ოთხნაყოფიან ორსულობასთან გვქონდა საქმე.

— არ გიფიქრიათ იმაზე, რომ ზოგიერთი ნაყოფი მოგეცილებინათ?

— საერთოდ, მრავალნაყოფიანი ორსულობა საკმაოდ სარისკოა. მაგრამ პაციენტს პრეტენზია არ გამოუთქვამს, პირიქით — უნდოდა, ოთხივე ნაყოფი შეენარჩუნებინა. თუმცა, ჩვენ მაინც ვცადეთ, მოგვეცილებინა ორი ნაყოფი. მაგრამ ვერ შევძელით. ღმერთმა ინება და საბოლოოდ, ოთხივე ნაყოფი დარჩა. ეს ორსულობა წარმატებით

ფრაზა

ალბერტ აინშტაინი

ძალიან რომ მოინდომო, აუცილებლად ისწავლი ყველა გასაჭირის გადატანას; რასაკვირველია, სხვის გასაჭირს ვგულისხმობ...

მარკ ტვენი

დაგვირგვინდა. მოგეხსენებათ, ყველაფერს დიდი მნიშვნელობა აქვს. ბავშვები დღენაკლულები (7-თვიანები) დაიბადნენ, მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო მეორე დღემდე. მაგრამ როცა ბავშვები პედიატრებს გადაეცათ, მათი მდგომარეობა გაუარესდა. ეს მთლიანად პედიატრების ბრალია. უნდა ჰქონოდათ ყველა საშუალება, რაც კი დღენაკლულ ახალშობილებს შეიძლება დასჭირდეთ. უცხოეთში როცა ქალი „ინ-ვიტრო" განაყოფიერებას მიმართავს, მასზე ზრუნვას კონსულტაციის ექიმი კისრულობს – ქალი ბავშვის გაჩენამდე აღარც ხვდება იმ ექიმს, რომელთანაც „ინ-ვიტრო" განაყოფიერება განახორციელა. ჩვენში გაბატონებული სოციალური პირობების გამო დღესდღეობით ბევრი პაციენტი არ გვყავს, ამიტომ ვცდილობთ, სამშობიარომდე მივყვეთ ჩვენს პაციენტს; სიამაყით უნდა გითხრათ, რომ თუ უცხოეთში ორსულობის დარღვევის შემთხვევები 25%-ს აღწევს, საქართველოში ის არ აღემატება 3-5%-ს.

— ტყუპის სიცოცხლე საფრთხეშია?

– თუ აქ ცუდი რამ მოხდა, ეს ჩვენი სახელმწიფოსთვის კიდევ ერთი სამარცხვინო ამბავი იქნება, რადგან პრეპარატით, რომელიც ამ ბავშვებისთვის იყო საჭირო, ახალშობილები სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. სურფაქტანტი საკმაოდ ძვირი ღირს *(500 დოლარი. – ავტ.)* ახლა ცუდად არის ბავშვი, რომელიც ოთხი ტყუპიდან ყველაზე მეტს – 1500 გ-ს იწონის. საზღვარგარეთ კრიმინალად ითვლება, როცა 500 გ-იანი ახალშობილი იღუპება. დროა საქართველოშიც უმაღლეს დონეზე დადგეს ბავშვთა რეანიმაცია.

— ახლო მომავალში, კიდევ თუა მოსალოდნელი „სინჯარის ტყუპის" დაბადება?

– ორ კვირაში, ჩვენი ბათუმელი პაციენტი მეშვიდე თვეს ჩაამთავრებს. ისიც ოთხ ტყუპს ელოდება. ქუთაისშიც გვყავს ორსული, რომელიც ოთხ ბავშვს ელოდება. გვყავს ერთი სამნაყოფიანი და ორი ორნაყოფიანი ორსული; დანარჩენი თორმეტი ორსული თითო ბავშვს ელოდება.

— აქამდე თუ ყოფილა შემთხვევა, როცა ოთხი ტყუპი დაბადებულა?

– არა, ასეთი შემთხვევა ჯერ არ ყოფილა. ჩაჩავას სახელობის კლინიკაში გაჩნდა სამი ტყუპი ბიჭი. ახლა ისინი წლინახევრისები არიან. სამი ტყუპის (ორი გოგო და ერთი ბიჭი) გაჩენის მეორე შემთხვევაც გვქონდა. ეს ბავშვები გორში ცხოვრობენ.

— მამაკაცები როგორ ეგუებიან ხელოვნურ განაყოფიერებას?

– შესაგუებელი აქ არაფერია. ეს გახლავთ ცოლ-ქმრის გენეტიკური შვილი. თუ მამა უშვილოა, მხოლოდ ამ შემთხვევაში ვიყენებთ დონორს. ვინაიდან არ გვაქვს სპერმის ბანკი, ცოცხალი დონორები გვყავს. შესაბამისი ხელშეკრულება ჩვენსა და წყვილს შორის ფორმდება. შემიძლია ვთქვა, რომ ის პრობლემა, რომ დონორი იქნას გამოყენებული, ქართველ მამაკაცებს აღარ აწუხებთ. თუმცა, ცხადია, მათ არ სურთ გამოვაცხადოთ, რომ მათი შვილი დონორის საშუალებით გაჩნდა...

— რა ჯდება „ინ-ვიტრო" განაყოფიერება?

– 500-დან 1.500 დოლარამდე. არის შემთხვევა, როცა პირველი განაყოფიერება უშედეგო აღმოჩნდება. თუ პაციენტი ახალგაზრდაა და მას მხოლოდ მილების პრობლემა აქვს, პირველივე ცდა უმეტესად, გამართლებულია. ახლა გვყავს 45 წლის პაციენტი. მას შეიძლება, პირველ ცდაზე არ გაუმართლოს. გვქონდა შემთხვევა, როცა შედეგი მეხუთე ცდაზე მივიღეთ.

■

„მწვანე ჩაის დიეტა": მართეთ თქვენი წონა

ამერიკული კომპანია „**შიფ**"-ი და ვიტამინ-ცენტრი „**ჯეოვიტი**" წარმოგიდგენთ პრეპარატ „**მწვანე ჩაის დიეტას**", რომელიც საშუალებას მოგცემთ, უარი აღარ თქვათ საყვარელ კერძზე და თქვენი წონა მართოთ. იგი **არ შეიცავს ეფედრინს** (რაც ნიშნავს, რომ პრეპარატს რაიმე გვერდითი მოვლენა არ გააჩნია)!

„**მწვანე ჩაის დიეტა**" - მწვანე ჩაის ექსტრაქტს წარმოადგენს და მასში თავმოყრილია აქტიური ინგრედიენტების იდეალური კომბინაცია – ეპიგალოკატეხინის გალატი (EGCG) და კოფეინი, რომელიც ამერიკის ფარმაკოპეას სტანდარტებს შეესაბამება და ორგანიზმში უზრუნველყოფენ:

- მეტაბოლიზმის (ნივთიერებათა ცვლის) ინტენსივობის მომატებას, რაც ხელს უწყობს ენერგიის ხარჯვის ზრდას და შესაბამისად, კალორიების დიდ დანახარჯს განაპირობებს;
- ცხიმოვანი ცვლის გაძლიერებას ცხიმების წვის ხარჯზე;
- ორგანიზმის გამძლეობის მნიშვნელოვან ზრდას დაღლილობის შეგრძნების სრული მოხსნით.

„**მწვანე ჩაის დიეტა**" - დახვეწს თქვენს გარეგნობას, გაზრდის ენერგიას და მიგიყვანთ ორგანიზმის სრულ გაჯანსაღებამდე, რადგან მწვანე ჩაი, ჯერ კიდევ იბნ სინას დროიდან ცნობილია თავისი სამკურნალო თვისებებით: ანტიკანცეროგენური მოქმედებით (ეფექტურია ქალებში სარძევე ჯირკვლის კიბოსა და მამაკაცებში პროსტატის კიბოს პროფილაქტიკისთვის), მნიშვნელოვნად ამცირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში და თრომბების ჩამოყალიბების რისკს. მწვანე ჩაი, როგორც ძლიერი ანტიოქსიდანტი იცავს კანს მზის მავნე ზემოქმედებისგან.

„**მწვანე ჩაის დიეტა**" თქვენს ორგანიზმს კალორიების სწორ წვას ასწავლის, რითაც საკუთარ თავს იდეალური წონით უზრუნველყოფთ და მას ხანგრძლივი დროის მანძილზე შეინარჩუნებთ.

ვიტამინ-ცენტრ „**ჯეოვიტ**"-ში ექიმისა და დიეტოლოგის რჩევებს მიიღებთ.

ჩვენ მზად ვართ თქვენი ცხოვრების ხარისხი გავაუმჯობესოთ!

ჯეოვიტი GEOVIT

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ვიტამინ-ცენტრი, კომპანია „ჯეოვიტი", ტელ/ფაქსი: 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

ეკა ქუკაჩოვი

ეროვნებით ნატო დუმბაძეს ყველაფრის გაკონტროლება უყვარს

ნათია თენიეშვილი

პროდიუსერი ნატო დუმბაძე დღევანდელ შოუბიზნესში საკმაოდ ცნობილი ფიგურაა. მას შეტანილი აქვს საკუთარი წვლილი თიკა ჯამბურიას, „ქუჩის ბიჭების“, დათო ხუჯაძისა და სხვა მომღერლების პოპულარობაში. ამჟამად ნატო თიკა ჯამბურიასთან, ბუკა მანაგაძესთან, ჯაბა ქარსელაძესთან და ჯგუფ „სეიშენთან“ მუშაობს. შოუბიზნესში საქმიანობა მან 6 წლის წინ, დათო ოქტაშვილთან ერთად, რუსი ვარსკვლავების კონცერტების ორგანიზებით დაიწყო. ნატოს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი — 11 წლის სოფო და 7 წლის ლიზი ქარცივაძეები. საქმეში მისთვის მთავარი ხარისხია და, როგორც თვითონ ამბობს, უყვარს, როცა თავად აკონტროლებს ყველაფერს — ინტერვიუდან დაწყებული, კონცერტით დამთავრებული. ნატო მშვიდი ადამიანია და მიაჩნია, რომ „ომით“ და შურით მილწეული პოპულარობა სულაც არ არის სასიამოვნო. „რა თქმა უნდა, ამ ბიზნესში უნდა იყო მგელი, მაგრამ ეს მგლობა მხოლოდ იმისთვის გჭირდება, რომ ვილაცამ არ შეგჭამოს“, — ამბობს ის. მომღერლების უმრავლესობა მისი მეგობარია, მაგრამ ყველაზე მეტად სიამოვნებას სტეფანესა და კახუჩელას მოსმენა ჰგვრის.

ნატოს პირველი წარმატებული პროექტი, როგორც თვითონ ამბობს, საკუთარი ბინაა. სახლში შესულს გაშლილი სივრცე, სიმსუბუქე და ბუხარი გხვდება თვალში.

— პირველი ორი წელი, ბუხრის დანთება არ ვიცოდი. მერე ნელ-ნელა ვისწავლე და გამოვიწრთე ამ საქმეში. ზამთარში, საღამოობით, მეგობრები მივუსხდებით ხოლმე და უამრავ რამეზე ვსაუბრობთ. რაღაცნაირი, სალონური საღამოები გვაქვს ამ ბუხრის წყალობით.

შვიდი წლის წინ, სრულიად მოულოდნელად, არავინ იცოდა — ისე მოვიყვანე მუშები და ბინა დავანგრევინე. სულ მინდოდა, დიდი სივრცე მქონოდა, ამიტომ ბევრი რამის გადაკეთება მომიწია. ვისგანაც ვიყიდეთ, იმ ოჯახის წევრი რომ მოვიდა, საკუთარი სახლი ვეღარ იცნო. თუმცა, ახლა უკვე ისევ მინდა რემონტის გაკეთება. ბევრ რამეს გავაახლებდი. კედლები ფორთოხლისფერი იყო — გეგონებოდა, მთელ სახლში მზის სხივებია... მიყვარს ასეთი ფერები, ვმშვიდდები და კარგ აურას მიქმნის. არ მიყვარს ძველებური ავეჯი და გადატვირთული ოთახები, მამძიმებს. ამიტომ მაქსიმალურად ცოტა ავეჯი და ნივთი მაქვს სახლში.

— მას შემდეგ, რაც ბუკამ თქვენთან დაიწყო თანამშრომლობა, მისი იმიჯი მკვეთრად შეიცვალა, თმაც ქერად შეიღება — ეს თქვენი იდეა იყო?

— ეს ჩემი იდეა იყო. მე ასე ვხედავდი ბუკას. როცა პირველად მისი კლიპი — „ყვავილები თოვდა“ გამოვიდა, მაშინვე აღვნიშნე: ამ გოგოსგან მე ცოტა სხვა სახეს შევქმნიდი-მეთქი. ჩვენი თანამშრომლობის მეორე დღესვე წავიყვანე სალონში და რასაც მე ვხედავდი, თავიდან ბოლომდე ის გავაკეთებინე. იმ დღიდან, ტანსაცმელსაც ერთად ვარჩევთ. ისიც წინააღმდეგობას არ მიწევს და მე ეს იმის საშუალებას მაძლევს, რომ უფრო ბევრი კარგი იდეა მომივიდეს.

— ბიჭებიც ასე გემორჩილებიან და არ გიწევენ წინააღმდეგობას თუ მათ ჩაცმულობაში არ ერევით?

— ჩვენი თანამშრომლობის დღიდან, ჯაბას გარდერობიც მთლიანად შეიცვალა. ის სპორტული სტილის ტანსაცმელს იცვამდა, მაგრამ სცენაზე აბსოლუტურად განსხვავებული სჭირდება. აქედან გამომდინარე, მე და ჯაბამ მოვიარეთ, რაც კი კარგი მაღაზიებია თბილისში და მთლიანად შევცვალეთ მისი გარდერობი. მერე მეკითხებოდა: ძველ ტანსაცმელს რა ვუყოო? — სახლში ან აუზზე წასვლისას ჩაიცვი, არ შეიძლება, სცენაზეც ისეთი ჩაცმული იდგე, როგორიც ქუჩაში დადიხარ, ეს საკუთარი თავის უპატივცემულობაც არის და მსმენელისაც-მეთქი. რაც თანამშრომლობა დავიწყეთ, მას შემდეგ ჯაბამ 12 კილო დაიკლო. ესეც ჩემი მოთხოვნა იყო.

— თქვენ თვითონ ყოველთვის უფრო თავისუფალი და სპორტული სტილის ტანსაცმელი გაცვიათ. ეს თქვენი დღის რეჟიმიდან გამომდინარეობს თუ ხასიათიდან?

— ხასიათიდან. გარდერობში მაქვს ერთადერთი კაბა და ერთიც — ქვედაბოლო. ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი მოძღვარი კრძალავს ტაძარში შარვლით შესვლას და მაშინ ვიცვამ, როცა ეკლესიაში მივდივარ.

— როგორ დაიწყო ბუკას, ჯაბას, „სეიშენის“ და თქვენი თანამშრომლობა? ეს მათი სურვილით მოხდა თუ თქვენ გამოიჩინეთ ინიციატივა?

— მე და სტუდია „მაესტრო“ ვაკეთებდით პროექტს — „ახალი სახეები“. მე უნდა მეპოვა დამწყები მომღერლები და მეზრუნა მათ პოპულარობაზე. მთელი ეს პერიოდი, გამჭვირვალე უნდა ყოფილიყო — ტელეეთერის მეშვეობით ყველა ნახავდა, თუ რა შრომა დევს ყველაფერ ამაში. მოსამზადებელმა პერიოდმა და დაფინანსებამ დიდი დრო წაიღო და მე ამ მომღერლებს ამდენი ხანი უქმად ვერ გავაჩერებდი. ეს პროექტი ალბათ შემოდგომაზე განხორციელდება. 17-დან 22 წლამდე ასაკის ყველა მსურველს შეეძლება მასში მონაწილეობა. ისინი გა-

არ მინდა, ჩემი შვილები ამ საშინელ ქაოსში გაერიონ, ვიღაცას შეეჯიბრონ და მტრები გაიჩინონ

მოგზავნიან ფოტოსურათს, შეავსებენ ანკეტას, მოგვაწვდიან ვიდეო და აუდიომასალას და დახურული ჟიური შეარჩევს მათ შორის ხუთს. მათთან იმუშავებს პროფესიონალთა ჯგუფი და ა.შ.

— რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ მომღერალი პოპულარული გახდეს?

— მონდომება, შრომა და კიდევ — სულ რიტმში ცხოვრება. ორი სიმღერით მოპოვებული პოპულარობა წარმავალია. მოდუნების უფლება არა აქვს მომღერალს. რაღაც სიახლეებს სულ უნდა სთავაზობდეს მსმენელს და მაყურებელს.

— საკმაოდ დატვირთული დღის რეჟიმი გაქვთ. შვილებისთვის გცალიათ ხოლმე?

— შოუბიზნესი ის სფეროა, რომელიც მომღერლისთვის იწყება დილით და შეიძლება დამთავრდეს ღამის კლუბში გამოსვლით, სადაც მე აუცილებლად უნდა ვიყო. ღამით როცა ვბრუნდები შინ, უკვე მეორე დღეზე ვიწყებ მუშაობას და ფიქრს. მიუხედავად ამისა, ყველაფერს ვასწრებ. მყავს არაჩვეულებრივი დამხმარე ქალბატონი, რომელიც ბავშვების მოვლაში მეხმარება. 9 სთ-ზე ისინი სკოლაში მიმყავს, მერე, ორ საათამდე, თავისუფალი ვარ და საშინაო საქმეებს ვაგვარებ, სამზარეულოშიც მიწევს ტრიალი. ჩემი მეუღლე მხოლოდ ჩემს გაკეთებულ საჭმელს მირთმევს. რასაც ვაკეთებ, ყველაფერი გემრიელი გამომდის; ერთადერთი, რაც არ მიყვარს, ეს ცომეულია.

— თქვენი ყველაზე საყვარელი ნივთი რომელია?

— სათვალე მიყვარს ძალიან. სათვალის მაღაზიაში მიყვარს მისვლა. ორ სათვალეს მაინც ვყიდულობ ხოლმე. ფეხსაცმლის ყიდვაც მიყვარს და კიდევ — არ შემიძლია უტელეფონოდ. ბევრი საქმის მოგვარება შეიძლება მისი მეშვეობით. საერთოდ, თუ რაიმე ნივთი გამომადგა — ის მიყვარდება და მხოლოდ იმის გამო, რომ გაუმჯობესებული მოდელი გამოვიდა, არ ვცვლი ხოლმე. ერთხელ, ჩემმა ახლობელმა მითხრა: ეტყობა, ერთგული ადამიანი ხარ — ოთხი წელია გიყურებ და სულ „პარლამენტს“ ეწევი, სხვა სიგარეტი შენს ხელში არ დამინახავსო...

— საჩუქრების მირთმევა თუ გიყვართ?

— ძალიან მიყვარს, ოღონდ, ვუძღვნი იმას, რაც ვიცი, რომ ადამიანს სჭირდება და უნდა. სიურპრიზები და საჩუქრად იმის მიტანა, რაც მე მომწონს, არ მჩვევია. იყო დრო, როცა ასე ვიქცეოდი, მაგრამ დღეს ისეთი ცხოვრება მოვიდა, რომ მირჩევნია, ადამიანს ის ვაჩუქო, რაც ვიცი, რომ მართლა სჭირდება.

— თქვენი შვილები არ მღერიან? ამისი სურვილი თუ მონაცემები ჯერ არ აღმოაჩნდათ?

— ლიზის აბსოლუტური სმენა აქვს, მაგრამ მე მინდა, რომ მათთვისაც ისეთივე ლამაზი იყოს ეს სამყარო, როგორიც ჩემთვის იყო: ბავშვობაში, როცა ტელევიზორს ვუყურებდი, მომღერალი და სცენა ჩემთვის ამოუცნობი და მიუწვდომელი რამ იყო. სინამდვილეში კი, დღევანდელი შოუბიზნესი სულ სხვანაირია. ნამდვილად არ მინდა, ჩემი შვილები ამ საშინელ ქაოსში გაერიონ, ვიღაცას შეეჯიბრონ და მტრები გაიჩინონ. მირჩევნია, ეს მათთვის ბავშვურ ოცნებად დარჩეს და ეგონოთ, რომ ეს ყველაფერი ძალიან კარგი და ლამაზია...

— ეი. სინამდვილეში ეს სამყარო კარგი და ლამაზი არ არის?

— არა. ძალიან ძნელია ყველაფერ ამის ატანა. ეს უნდა აიტანო. ყველაში კონკურენტს ხედავენ და უნდათ, რომ მხოლოდ თვითონ, მარტო იდგნენ სცენაზე...

— თქვენ თვითონ არ გიცდიათ სიმღერა?

— არა. ჩემთვის კი ვმღერი ხოლმე, მაგრამ სერიოზულად არ მიცდია, არც სურვილი მაქვს. ისე, როცა სტუდიაში ვზივარ და სიმღერის ჩაწერის პროცესს ვუყურებ, მგონია ხოლმე, რომ შევალ და ერთი ამოსუნთქვით ჩავწერ სიმღერას *(იცინის)*...

— ალა პუგაჩოვასთან ერთად როდის გადაიღეთ სურათი?

— 1999 წელს გვყავდა ჩამოყვანილი თბილისში ჩემთვის ის ლეგენდა იყო — მის მუსიკაზე ვარ გაზრდილი... გვაფრთხილებდნენ: ძალიან უხეშია, იგინება და ახლოს არ უნდა მიეკარო, თორემ ღიზიანდებაო. რადიკალურად განსხვავებული ადამიანი აღმოჩნდა. ძალიან თბილი და უამბიციო. ძალიან უყვარს საქართველო და თბილისი. „ქართული ხმების“ სიმღერას რომ უსმენდა, ტიროდა. ორი დღე და ღამე ერთად ვიყავით, არაჩვეულებრივი ადამიანია.

— რა არის თქვენთვის შოუბიზნესში ყველაზე მიმზიდველი?

— როცა რაღაც გამომდის და კარგად გვირგვინდება, როცა ხედავ შენი შრომის ნაყოფს — ეს იმდენად კარგ ენერგიას მაძლევს, რომ ყველა ცუდი მხარე ბათილდება.

— რამდენად ხშირად უნდა შეიცვალოს მომღერალმა იმიჯი?

— ქალს ხშირად სჭირდება იმიჯის შეცვლა და ეს დასაშვებია, მაგრამ მამაკაცს ჩვენში ბევრს ვერაფერს გაუკეთებ. საქართველოში სხვა ტენდენციაა და მეც ვიზიარებ მას. მაგალითად, რუსეთში, მომღერალ შურას კბილები არ ჰქონდა და ეს მისი იმიჯი იყო. ჩვენთან მსგავსი რამ წარმოუდგენელია.

პირველი ორი წელი, ბუხრის დანთება არ ვიცოდი. მერე ნელ-ნელა ვისწავლე და გამოვიწრთე

„დანით არავინ დამიჭრია, მე მხოლოდ ხელებს ვიქნევდი“

ასე იმართლებს თავს ყოფილი პოლიციელი, რომელიც განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულეს

ყოფილ პოლიციელს, ფოთელ ბესიკ ბასილაიას სასამართლომ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამის მიზეზი, სამი წლის წინ მომხდარი მკვლელობა გახდა. საქმის მასალების თანახმად, ბასილაიამ ჩხუბისას, დანით საკუთარ მეზობელს — ბადრი სულუხიას სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა.

მსჯავრდებული დანაშაულს დღესაც უარყოფს, თუმცა მის ჩვენებას სამართალდამცავებმა აბსურდი უწოდეს.

2000 წლის 20 მაისს, ფოთში, წმ. ნინოს ქუჩის №3-ში, თავისი სახლის ეზოში, ბესიკ ბასილაია მასთან სტუმრად მყოფ ნათესავს – ლაშა ლიფარეიშვილს შეხვდა. ლიფარეიშვილი იმ დროს, ვინმე რუსლან ტერკაზაროვსა და იმავე სახლში მცხოვრებ, კონსტანტინე ლორიას ესაუბრებოდა. ცოტა ხანში, ყველანი ერთად, იქვე მდებარე, ლორიას კუთვნილ ბოსტანში შევიდნენ, მოკალათდნენ და ღვინის სმა დაიწყეს. მოქეიფეები დაახლოებით საღამოს 5 საათისთვის დაშალნენ.

იმავე დღეს, საღამოს 9 საათისთვის, ლიფარეიშვილმა, ტერკაზაროვმა და ბესიკ ბასილაიამ დროს ტარება სხვაგან განაგრძეს. რამდენიმე ხანში, ტერკაზაროვი სიგარეტის საყიდლად წავიდა. წმ. ნინოს ქუჩაზე მან ბადრი სულუხია შენიშნა. ისიც მიიწვია სუფრასთან, დაახლოებით 12 საათისთვის კი, მოქეიფეები ქუჩაში გავიდნენ. სწორედ იქ, ბასილაიასა და სულუხიას შორის შელაპარაკება მოხდა. როგორც საქმის მასალებშია დაფიქსირებული, ბასილაიამ მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. სულუხიამ შენიშვნა მისცა: ასე ნუ იქცევიო. – ბასილაიამ ეს იუკადრისა და მისი მოკვლა განიზრახა.

ბრალდების თანახმად, ბესიკ ბასილაიამ ჯიბიდან დანა ამოიღო და სულუხიას გულმკერდის არეში ჩაარტყა. იქვე მყოფი ტერკაზაროვი შეეცადა ბასილაიასთვის დანის წართმევას, მაგრამ ვერ მოახერხა. ბასილაია წყლის საწრეტ არხთან ჩამუხლულ სულუხიას კვლავ მიუახლოვდა და ამჯერად დანა მას რამდენჯერმე ჩასცხო სხეულის სხვადასხვა ადგილას. სულუხიამ ოთხი დაზიანება მიიღო, თუმცა, სასიკვდილო სწორედ პირველი – გულმკერდში მოხვედრილი დარტყმით მიყენებული ჭრილობა აღმოჩნდა. დაჭრილი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

პროკურატურის ინფორმაციით, ბესიკ ბასილაიამ იქაურობა მაშინვე მიატოვა და გაიქცა. როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, იგი მთელი წლის განმავლობაში იმალებოდა, თუმცა ბოლოს, პოლიციაში თავისი ფეხით მივიდა. პროკურატურამ იგი 108-ე მუხლით, განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულა. სასამართლოს წინაშე, განსასჯელმა თავი დამნაშავედ არ ცნო. მისი თქმით, 20 მაისს დილიდანვე იყო გაღიზიანებული, მეგობრები კი დანაშაულის ჩადენისკენ მთელი დღის მანძილზე უბიძგებდნენ.

ბესიკ ბასილაია:

„სწორედ იმ დილით, დაახლოებით 8 საათი იქნებოდა, როცა ჩემს მეუღლესთან უთანხმოება მომიხდა. გაბრაზებულმა მას სახეში ხელი გავარტყი. ამ ფაქტს ჩემი ნათესავი – ლაშა ლიფარეიშვილი შეესწრო. იგი დროებით ჩვენთან ცხოვრობდა. ცოლთან ჩხუბის მიზეზი ის გახლდათ, რომ მან საკუთარი დედ-მამის სახლიდან ჩვენი ბავშვი გაასხვისა. იმედა – ჩემი მეუღლე ამას უარყოფდა, თუმცა მე მომხდარში დარწმუნებული ვიყავი და კატეგორიულად მოვითხოვდი მისგან, ბავშვი მოეძებნა და დაებრუნებინა. ბოლოს, იმედაც დამთანხმდა. მოვილაპარაკეთ, რომ ერთ კვირაში ყველაფერს მოაგვარებდა.

ლაშა გარეთ გავიდა, იქ კი ლორიასა და ტერკაზაროვს შეხვედრია. გადაუწყვეტიათ, რომ ლორიას ბოსტანში ღვინო დაელიათ. რამდენიმე წუთში, ლორია ჩემთან მოვიდა და სუფრასთან მეც მიმიპატიჟა. როცა მაგიდას მივუჯექი, ტერკაზაროვსა და ლიფარეიშვილს უკვე სამი ლიტრი ღვინო ჰქონდათ დალეული. ლიფარეიშვილმა გვერდზე გამიხმო და მითხრა: ლორიამ მთხოვა – ერთ გოგოსთან მივდივარ შეხვედრაზე, ნორმალური „სარეჩკა“ კი არ მაქვს და იქნებ, ბესიკმა მათხოვოსო. ამაზე უარი ვთქვი, მაშინ მან თავისი ოთახიდან შარვალი გამოიტანა, ჩემს სახლში დააუთოვა, პერანგი ჩემმა მეუღლემ გამოიღო კარადიდან და ის ლორიას ათხოვა.

ამის შემდეგ, ყველანი ავტომანქანაში ჩავსხედით და კუნძულის უბნისკენ წავედით. მე ზუსტად არ ვიცოდი, სად ან რისთვის მივდიოდით. მანქანა ე.წ. „მაიაკის“ სასაფლაოსთან გააჩერეს. ლორიამ კი, გადასვლისას, პოლიციის საბუთი მთხოვა. შემდეგ წავიდა და დაახლოებით 20 წუთში, ისევ დაბრუნდა. შევეკითხე: რა მოხდა-მეთქი? – ვისაც უნდა შევხვედროდი, არ დამხვდაო, – მიპასუხა და ისევ უკან წამოვედით. გადავწყვიტე, რაღაც მანძილი ფეხით გამევლო, ამიტომ მანქანიდან გადავედი. კინოთეატრ „რუსთაველთან“ ლორია დამეწია და მითხრა: თუ შეგიძლია, ნავსადგურში გამომყევიო... გზაში ლორია ვიღაც ნაცნობს გაესაუბრა. ლაპარაკი რომ დიდხანს გაუგრძელდათ, წასვლა გადავწყვიტე. უკვე ბნელდებოდა. შინ შესვლა დავაპირე და სწორედ მაშინ, ბოსტნის მხრიდან ნაცნობი ხმები მომესმა. ლიფარეიშვილი, ტერკაზაროვი და სულუხია დავინახე, ჩემზე საუბრობდნენ. სულუხიას შევეკითხე: რას ეუბნები ბავშვებს-მეთქი? მან კი მიპასუხა: მოდი ჩვენთან, დაგვეწვიე ქურდულ სუფრაზეო. დაღლილი ვიყავი, დალევა არ შემეძლო და უარი ვთქვი. ამაზე სულუხიამ მითხრა: ჩვენთან რატომ არ სვამ? ძაღლებთან ხომ სვამო?! სამივემ რატომღაც ცინიკური ლაპარაკი დამიწყო, დამცინოდნენ, სულუხიამ კი, შემაგინა კიდეც. მეც გინებით

ვუპასუხე, ხოლო ლიფარეიშვილს ვუთხარი: ახლა დაიძინე, ნასვამი ხარ, დანარჩენზე ხვალ დაგელაპარაკები-მეთქი.

გარკვეული დროის შემდეგ, როცა უკვე მეც და ლიფარეიშვილიც შინ ვიყავით, გარეთ კვლავ გამიხმეს. თავად ლაშამ მითხრა: რაღაც ცუდად ვარ, ჰაერი არ მყოფნის და გარეთ გამყევიო. ასეც მოვიქეცი. ბინის წინ სულუხია და ტერკაზაროვი დავინახე. ჩვენკენ წამოვიდნენ. ეჭვი შეეპარა და ლიფარეიშვილს ვკითხე: „ეს არის, ჰაერი არ მყოფნისო?“ ამის კითხვა ცოტა ხმამაღლა მომივიდა, რაზეც სულუხიამ მითხრა: წყნარად იყავი, თორემ კედელზე გარტყმევინებ თავსო. მივხვდი, რომ ბოსტანში შელაპარაკების გამო აპირებდნენ საქმის გარჩევას. ყველას ვურჩიე: ნასვამები ვართ, გამოვფხიზლდებით და მაშინ ვილაპარაკოთ-მეთქი. მიუხედავად ამისა, სულუხიამ შემაგინა, ხელში დანას ათამაშებდა და თან მოკვლით მემუქრებოდა. მივუახლოვდი და დანა წავართვი. მაშინ ტერკაზაროვი და ლიფარეიშვილი ზურგზე შემომახტნენ, სულუხია კი, მუცელში წიხლებს მირტყამდა. ვცდილობდი, მათგან თავის დაღწევას, მაგრამ ვერ ვახერხებდი. უცებ სულუხიას ფეხი დაუსხლტა და იქვე მდებარე არხში ჩავარდა. ამოვიდა, მაგრამ ისევ წაბარბაცდა და მეორედ ჩავარდა. მე ამით ვისარგებლე და გავიქეცი. თუმცა, ტერკაზაროვი და ლიფარეიშვილი დამედევნენ, ხელში რაღაც რკინის მილი ეჭირათ და ისე მორბოდნენ. 8 მარტის ხიდით ლარნაკის ქუჩაზე გადავედი. მე-7 კილომეტრის საგუშაგოც გავიარე და ფოთიდან გავედი. მათ ჩემი დაჭერა ვერ შეძლეს...“

ბესიკ ბასილაია ირწმუნება, რომ მართალია, სულუხიას დანა წაართვა, მაგრამ ის თავდაცვის მომენტშიაც კი არ გამოუყენებია. „*დანით არავინ დამიჭრია, მე მხოლოდ ხელებს ვიქნევდი*“, — განაცხადა მან პროცესზე.

არც ფოთის საქალაქო სასამართლომ, არც ქუთაისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ, ბასილაიას ჩვენება არ გაიზიარეს. მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ ბასილაია პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ცდილობს და ამ მიზნით, რეალურ ფაქტებს არ გადმოგვცემს.

რუსლან ტერკაზაროვი:

„...წმ. ნინოს ქუჩაზე რომ გავედით, ბადრი სულუხია ისევ სიგარეტს ეძებდა. ბასილაიამ კი მას უხეშად მიმართა: შენ სიგარეტს ვინ მოგცემსო?! ბადრიმ უპასუხა: რასაც შენ მე არ გაკადრებ, ის მე არ მაკადრო, თორემ არ გაპატიებო. ბესოს მისთვის არაფერი უთქვამს, ისე მოუქნია დანიანი ხელი. ბადრიმ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და იქვე, წყლის არხთან ჩაიკეცა.

ამის დანახვაზე, ბესოს მივვარდი, მინდოდა, მისთვის დანა წამერთმია, მაგრამ ვერ შევძელი, რადგან, ჭიდაობისას დანა ლოყასა და კისერში მეც მომხვდა. ლიფარეიშვილი სულუხიასთან იყო, მის წამოყენებას ცდილობდა. სწორედ ამ მომენტში, ბესო კვლავ მივარდა ბადრის და დანა რამდენჯერმე ჩაარტყა სხეულში. მე და ლიფარეიშვილი იქიდან გავიქეცით, რადგან ბასილაისი ჩვენც შეგვეშინდა“, — ასე ამხილა დანაშაულში ტერკაზაროვმა ბასილაია. განსასჯელის ნათესავმა, ლიფარეიშვილმაც იგივე ჩვენება მისცა სასამართლოს; დანამომარჯვებული ბასილაიას ანაბარა სასიკვდილოდ დაჭრილი ბადრი სულუხიას, შემთხვევის ადგილზე მიტოვება და გაქცევაც მან ისევე ახსნა, როგორც ტერკაზაროვმა.

ბესო ბასილაიას დედა დანაშაულის ჩადენაში სწორედ ტერკაზაროვსა და ლიფარეიშვილს სდებს ბრალს.

ლამარა კაპანაძე, მსჯავრდებულის დედა:

„მათ დანაშაულზე სწორედ ის მეტყველებს, რომ დაჭრილი იქ მიატოვეს და გაიქცნენ. სამ ადამიანს ერთი — ბესო როგორ მოერეოდა?! თუნდაც დანა ჰქონოდა, მის მოგერიებას ვერ შეძლებდნენ? მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ჩემს შვილს არც დანა ჰქონია და არც მკვლელობა ჩაუდენია. თავიანთი დანაშაული მას გადააბრალეს, სასამართლოში კი ჭეშმარიტება ვერ დადგინდა“.

ლამარა კაპანაძეს ორი ვაჟი ჰყავდა. უფროსი, 23 წლის ასაკში, ჯარში სამსახურის დროს დაელუპა; უმცროსი — ბესიკი ზემოთ აღნიშნული მკვლელობისთვის ციხეში იხდის სასჯელს. სწორედ ასეთი მძიმე მდგომარეობით ახსნა სასამართლომ გამწარებული დედის ეჭვები. მოსამართლეებმა დანაშაულის მთავარ მტკიცებულებად, ლიფარეიშვილისა და ტერკაზაროვის ჩვენებებთან ერთად, მკვლელობის იარაღი — დანა მიიჩნიეს. განაჩენის მიხედვით, დადგინდა, რომ დანა ბასილაიას ეკუთვნოდა. სასჯელის განსაზღვრისას, შემამსუბუქებელი გარემოებებიც მიიღეს მხედველობაში. ბესიკ ბასილაია ორი მცირეწლოვანი შვილის მამა გახლავთ, აღნიშნულ შემთხვევამდე კი, სამართალში მიცემული არ ყოფილა. მისჯილი 10 წლიდან, ყოფილ პოლიციელს კიდევ 8 წელი დარჩა ციხეში მოსახდელი.

■

ქობულეთში მკვლელობა დენის გამორთვის გამო მოხდა

მეზობელმა მეზობელი დანით გამოასალმა სიცოცხლეს

შარშან ზაფხულში, ქალაქ ქობულეთში არაერთი მძიმე დანაშაულის ფაქტი დაფიქსირდა, მათ შორის — მკვლელობისაც. როგორც ამბობენ, განსაკუთრებით ხშირი, დამსვენებელთა ძარცვა-დაყაჩაღება გახლდათ, ასევე ურთიერთშელაპარაკებაც, რომელიც რამდენჯერმე, ახალგაზრდების დაჭრით დასრულდა. თუმცა, დანაშაულები ადგილობრივ მცხოვრებთა შორისაც ხდებოდა. ერთი ასეთი ფაქტი, რომელსაც სავალალო შედეგი — ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, — მეზობლებში ყოფითი პრობლემების გამო წარმოქმნილმა უთანხმოებამ გამოიწვია.

დანაშაული 2002 წლის 1 სექტემბერს მოხდა. იმ დღეს, ქობულეთელი მერაბ კიპაროიძე საკუთარი შვილის — რეზოს თვალწინ დანით მოკლეს.

მომხდარის გამო, გარდაცვლილის მეზობელი — 29 წლის მირიან ალიშანიძე გაასამართლეს. აჭარის უმაღლესმა სასამართლომ ალიშანიძე მკვლელობაში დამნაშავედ ცნო და მას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენით უკმაყოფილო მსჯავრდებულმა საჩივრით საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა და გამართლება მოითხოვა. საკასაციო პალატის მოსამართლეები გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებენ. პროკურატურა კი, სავარაუდოდ, პოზიციას არ შეიცვლის და აჭარის სასამართლოს განაჩენს დაუჭერს მხარს.

სწორედ ამ განაჩენის მიხედვით, მირიან ალიშანიძემ დანაშაული განზრახ და თანაც, განსაკუთრებული სისასტიკით

ჩაიდინა. სასამართლომ იგი მერაბ კიპაროიძის გარდა, კიდევ ერთი ადამიანის მკვლელობის მცდელობაში დაადანაშაულა. როგორც გაირკვა, მეზობლებს შორის ჩხუბი რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ცხრასართულიანი სახლის სადარბაზოში, საღამოს 10-ის ნახევრისთვის მოხდა. საცხოვრებელ კორპუსში უთანხმოება დენის გამორთვამ გამოიწვია. ერთი მხრივ, მერაბ კიპაროიძე და მიხეილ ართილაყვა, ხოლო მეორე მხრივ, მირიან ალიშანიძე და ნოდარ ათაბაძე წაკამათდნენ. კამათი მალე ჩხუბში გადაიზარდა.

მოჩხუბრებმა ურთიერთობის გასარკვევად, სადარბაზოდან ალიშანიძის ბინაში გადაინაცვლეს. მისაღებ ოთახში იმყოფებოდნენ, როცა სიტყვიერთან ერთად, ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენეს ერთმანეთს. სწორედ მაშინ, ალიშანიძემ კარადის თაროდან დანა აიღო და ართილაყვასა და კიპაროიძეს სხეულში ჩაარტყა. ორივემ მუცელში მიიღო დაზიანება. კიპაროიძე ადგილზევე გარდაიცვალა, ართილაყვა კი, იქ თავმოყრილმა მეზობლებმა საავადმყოფოში წაიყვანეს. სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენამ იგი სიკვდილს გადაარჩინა.

ალიშანიძის ბინაში ჩხუბის დროს, მერაბ კიპაროიძის 12 წლის შვილი – რეზოც იმყოფებოდა. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მამისა და ალიშანიძის ურთიერთშელაპარაკებას ისიც შეესწრო. თუმცა, სასამართლოზე რეზომ ისიც აღნიშნა, რომ მამა მის თვალწინ გარდაიცვალა, მაგრამ დანის დარტყმის მომენტი მას არ დაუნახავს.

რაც შეეხება მირიან ალიშანიძეს – მან მკვლელობისთანავე დატოვა შემთხვევის ადგილი და მიიმალა. ბინიდან გაიქცა ნოდარ ათაბაძეც, რომელიც მეზობლებთან ჩხუბის დროს, ალიშანიძეს ემხრობოდა. სამართალდამცავთა ცნობით, იგი დღემდე ძებნაშია, სისხლის სამართლის საქმე კი, ათაბაძის მიმართ ცალკე წარმოებადაა გამოყოფილი.

მოგვიანებით, პოლიციამ **მირიან ალიშანიძე** დააკავა. მან თავი დამნაშავედ არ ცნო და სამართალდამცავებს ასეთი ჩვენება მისცა:

„მერაბ კიპაროიძესთან, ისევე, როგორც მიხეილ ართილაყვასთან ადრე, ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა. მომხდარ ფაქტამდე, ნორმალურად ვმეზობლობდით ერთმანეთთან და არც რაიმე კონფლიქტი მოგვსვლია.

2002 წლის 1 სექტემბერს, ბაზრიდან სახლში ვბრუნდებოდი. მე და ნოდარ ათაბაძეს სავაჭრო ჯიხური ერთად გვქონდა გახსნილი. იმ დღეს, იქ დავლიეთ, სამოთხი ჭიქა ღვინო მქონდა დალეული. შინ ნოდართან ერთად წავედი. სადარბაზოშიც ერთად შევედით, მაგრამ კიბეზე ნოდარი ჩამომრჩა, მე კი მეშვიდე სართულზე, ომარ შაინიძის ბინასთან გავჩერდი. გადავწყვიტე, ცოტა ხნით შაინიძესთან შევსულიყავი. რამდენიმე წუთში, იქ ართილაყვა და კიპაროიძეც შემოვიდნენ. მათთან ერთად მოვიდა ნოდარიც. მაშინვე მივხვდი, რომ მათ შორის რაღაც უსიამოვნება იყო მომხდარი. აღგზნებულები იყვნენ. კიპაროიძემ მითხრა: სინათლე ჩამირთეთო. იმავეს მოითხოვდა ართილაყვაც: შუქი იყო გათიშული და მე მადანაშაულებდნენ – შენ გამორთეო.

სხვის ბინაში რომ რამე უსიამოვნება არ მომხდარიყო, სადარბაზოში გავედით, იქიდან კი, ცოტა ხანში, ჩემს ბინაში გადავინაცვლეთ. იქ მერაბ კიპაროიძის ვაჟი – რეზოც შემოვიდა. ართილაყვამ და ათაბაძემ ჩხუბი დაიწყეს, ხელიხელ წავიდნენ ერთმანეთზე. მინდოდა გამეშველებინა და მათთან მივედი, მაგრამ სწორედ ამ დროს, უკნიდან კიპაროიძემ დამიწყო ცემა. ათაბაძე რატომღაც არ დამეხმარა, არ ეცადა ჩვენს გაშველებას და ეს ძალიან გამიკვირდა. როცა მივიხედ-მოვიხედე, იქ აღარ იყო. ვიფიქრე: ალბათ, რაიმე დაემართა ან გაიქცა-მეთქი. წაქცეული ვიყავი. მიუხედავად ამისა, ართილაყვა და კიპაროიძე ჩემს ცემას მაინც განაგრძობდნენ. კიპაროიძის შვილი – რეზოც მირტყამდა. თავზე რაღაც გადამამსხვრიეს და სისხლი წამომივიდა. „სერვანდთან“ ვიყავი წაქცეული. გამახსენდა, რომ იქ დანა მქონდა შენახული და ვინაიდან მოჩხუბრები ვერ მოვიცილე, დანის გამოყენება გადავწყვიტე. იგი თაროდან ავიღე და მოვიქნიე. პირველად ვის მოხვდა, სიბნელის გამო ვერ გავარჩიე. დანა მეორედ და მესამედაც მოვიქნიე. კიპაროიძემ ჩემი ცემა შეწყვიტა, ართილაყვამ კი – არა. მე წამოდგომა შევძელი და მაშინვე, სადარბაზოში გავედი. დანა კვლავ ხელში მეჭირა და ისე ჩავედი ეზოში. ნაცნობ – ზია ბაუჟაძესთან მივედი, მან კი მანქანით ჩემს ბიძაშვილთან წამიყვანა. ბიძაშვილი შინ არ დამხვდა. იქიდან ფეხით სადგურში გადავედი და სოფელ დაგვაში – დედაჩემთან წავედი“.

მირიან ალიშანიძის თქმით, მან დანაშაული განზრახ კი არა, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩაიდინა. ალიშანიძემ არ უარყო, რომ ჩხუბისას დანა გამოიყენა და იმით ორ ადამიანს სხეულის მძიმე დაზიანებები მიაყენა. თუმცა, სულ სხვა ვერსია აქვს თავად დაზარალებულს – მოკლულის მეუღლეს, **ნანა იმნაძეს**.

დაზარალებულმა სასამართლოში განაცხადა, რომ მისი მეუღლე – მერაბ კიპაროიძე ალიშანიძეს არ მოუკლავს. „ამ დანაშაულს განსასჯელი ვიღაცის ზემოქმედების გამო აღიარებს“, – დასძინა მან სხდომაზე და დამატებითი ძიების ჩასატარებლად, საქმის პროკურატურისთვის დაბრუნება მოითხოვა. სასამართლოში ალიშანიძეს არც მოკლულის შვილმა დაადო ხელი. „კორპუსში უცებ შუქი შეწყდა. მამაჩემი მაშინვე გარეთ გავიდა, სადაც ათაბაძეს შეხვდა. მამა შეეკითხა მას: შუქი რატომ გამორთეო? ათაბაძემ კი მას გინებით უპასუხა... ჩხუბი დაიწყეს და რამდენიმე წამში დავინახე, რომ ათაბაძე მირბოდა. როცა მივიხედე, მამაჩემი უკვე წაქცეული იყო“, – ასეთი ჩვენება მისცა მოსამართლეს მეშვიდეკლასელმა რეზო კიპაროიძემ. სხვათა შორის, სხდომის ოქმებში რამდენჯერმეა აღნიშნული, რომ დაზარალებულ ნანა იმნაძეს სასამართლომ შვილისთვის კარნახის გამო შენიშვნა მისცა. როგორც გაირკვა, მოკლულის მეუღლის ეჭვით, ნამდვილი დამნაშავე ნოდარ ათაბაძეა. თუმცა, სამართალდამცავებმა ეს ვარაუდი არ გაიზიარეს. „ათაბაძე რომ მიმალვაშია, იმას არ ნიშნავს, რომ დანაშაული ალიშანიძემ კი არა, მან ჩაიდინა. არსებობს სხვა, ძირითად მოწმეთა ჩვენებებიც, რომლებიც მკვლელობაში ალიშანიძეს ამხელენ“, – ასეთია პროკურატურის პოზიცია.

მსჯავრდებულისა და დაზარალებულის მხარეებს რამდენიმე დღეში უზენაესი სასამართლო მოუსმენს. პალატის გადაწყვეტილება ამჯერად საბოლოო იქნება.

■

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

ვანო ჩხარტიშვილი – წლის საუკეთესო ბიზნესმენი, გაერთიანებული ქართული ბანკი – წლის საუკეთესო კომპანია

მედია-ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსისა“ და საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების კომპანია „გორბის“ მიერ ტრადიციადქცეულ, რიგით მეშვიდე კონკურსზე - „საუკეთესო კომპანია/ბიზნესმენი“, რომლის დასკნითი ეტაპი - დაჯილდოების ცერემონია სულ ახლახან შედგა, ექსპერტებმა, ანალიტიკოსებმა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებმა კერძო კომპანიებს შორის საუკეთესოდ „გაერთიანებული ქართული ბანკი“, ხოლო ბიზნესმენთა შორის რჩეულად „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვანო ჩხარტიშვილი დაასახელეს.

ეს აღიარება „გაერთიანებული ქართული ბანკისათვის“ სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა, რადგან კონკურსის მონაწილე უკლებლივ ყველა ნომინანტი-კომპანია სწორედ ის ბიზნესსუბიექტია, რომლებიც ქმნიან დოვლათს, ასაქმებენ ადამიანებს, იხდიან გადასახადებს, წარმატებებს აღწევენ საერთაშორისო ბაზრებზე, მუშაობენ ექსპორტზე, დღითი დღე აფართოებენ ქართული ბიზნესის არეალს, ნერგავენ უახლოეს ტექნოლოგიებს და ქმნიან ამინდს ქართულ ეკონომიკაში. მათ შორის გამორჩევით აღნიშვნა „გაერთიანებული ქართული ბანკისთვის“ განსაკუთრებული პატივია და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასაც აკისრებს მას.

საბანკო სექტორი დღეს ობიექტურად აღიქმება ეროვნული ეკონომიკის იმ ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისად, რომელიც გონივრულად და თანმიმდევრულად გადადგმული კონკრეტული ნაბიჯების წყალობით ინარჩუნებს განვითარებაზე ორიენტირებული სექტორის პოზიციას. ცხადია, აქ უდავოა ეროვნული ბანკის, როგორც სფეროს მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს როლი და დამსახურება.

სადღეისოდ „გაერთიანებულ ქართულ ბანკს“ ქართული საფინანსო ბაზრის 12-13% უჭირავს და ქვეყნის მასშტაბით თავისი საბანკო ფილიალების ფართო ქსელის მეშვეობით (40-მდე ფილიალი და სერვისცენტრი) სრულ საბანკო მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს.

ეროვნული ბანკის 2002 წლის მონიტორინგის შედეგად „გაერთიანებულ ქართულ ბანკს“ „ქემელის“ რეიტინგული სისტემის მიხედვით მეორე კატეგორია მიენიჭა, რაც ბაზარზე ბანკის პოზიციონირების ადეკვატურობის დადასტურებაა. 2002 წელს „გქბ“-ს მთლიანი წმინდა აქტივების მოცულობა 23 მლნ ლარით, ანუ 21%-ით გაიზარდა; 44%-იანი ზრდა დაფიქსირდა ნაღდი ფულისა და მისი ეკვივალენტის მოცულობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია შიდა ბაზრის დეპოზიტების ზრდა - 2002 წელს „გქბ“-ში შიდა დეპოზიტები 21 მლნ ლარით, ანუ 42%-ითაა გაზრდილი. დეპოზიტების ასეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებლით მატება ქართულ საფინანსო ბაზარზე მომუშავე კომპანიებს შორის ერთგვარ რეკორდულ მაჩვენებელსაც კი წარმოადგენს. „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ვანო ჩხარტიშვილის განცხადებით, — დეპოზიტების ზრდის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი „გაერთიანებული ქართული ბანკისადმი“ კლიენტურის და მოსახლეობის ნდობის მაღალ დონეზე მეტყველებს. ეს ჩვენთვის ყველაზე დიდი მიღწევაა.

ვანო ჩხარტიშვილი: „დეპოზიტების ზრდის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი „გაერთიანებული ქართული ბანკისადმი“ კლიენტურის და მოსახლეობის ნდობის მაღალ დონეზე მეტყველებს“

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკია“. სწორედ მისი საკრედიტო რესურსის მეშვეობით ხორციელდება თბილისსა და გორში მიკროკრედიტების პროგრამა. ეს მეტად პოპულარული პროგრამა ორიენტირებულია მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად და ამგვარი ტიპის საწარმო თუ სამომსახურებო ობიექტების 1000-დან 15.000 აშშ დოლარამდე მოცულობის სესხებით დაკრედიტებას ითვალისწინებს.

“გაერთიანებული ქართული ბანკი“ VISA-სა და „MASTER CARD“-ის საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების წევრია. საქართველოში მხოლოდ „გაერთიანებული ქართული ბანკი“ აწარმოებს VISA -ს ისეთი ტიპის პლასტიკური ბარათების ემისიას, სადაც ბარათის მფლობელის ფოტოსურათია ბარათზევე დატანილი. ასეთი პლასტიკური ბარათები ფართოდაა აპრობირებული მსოფლიოში და საგრძნობლად ზრდის მისი გამოყენების უსაფრთხოების ხარისხს.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სწრაფად ათვისება ფინანსური გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. ამ თვალსაზრისით „გაერთიანებული ქართული ბანკი“ ერთგვარ პიონერადაც შეიძლება ჩაითვალოს. საქართველოში პირველად „გქბ“-მ დანერგა და მომხმარებელს შესთავაზა დასტანციური საბანკო მომსახურების სრული პაკეტი. ეს სერვისი კლიენტურისათვის უფასოა და მთლიანად ავტომატიზებულად ხორციელდება როგორც სატელეფონო კავშირის, ასევე ბანკი-კლიენტის პროგრამის, ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტისა და მობილური ინტერნეტის (WAP ტექნოლოგიის) საშუალებით.

უახლოეს მომავალში „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ქსელს შეემატება ორი ახალი ობიექტი - სერვისცენტრები ქუთაისსა და რუსთავში. ასევე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მიკროკრედიტების პროგრამის ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დამკვიდრებას, უფრო მოქნილი და დახვეწილი სამომხმარებლო დაკრედიტების სისტემის განვითარებას. ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მრავალფეროვანი დეპოზიტებისა და კლიენტებისათვის სხვა საბანკო პროდუქტების შეთავაზებას.

„გაერთიანებული ქართული ბანკი“ პოპულარული კონკურსის „ევრომარკეტის“ რამდენიმეგზის ლაურეატია. მიღებული აქვს „ევრომარკეტის“ სტატუსი რეგიონში სტაბილურად განვითარებადი ბიზნესსტრუქტურისათვის. 2001 წელს საერთაშორისო საგადამხდელო სისტემა „Western Union“-მა „გქბ“ აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო აგენტ-ბანკად დაასახელა. რა თქმა უნდა, ეს აღიარებები ძალზე მნიშვნელოვანია. თუმცა განსაკუთრებით საპატიო ქართველი ექსპერტ-ანალიტიკოსებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლების მხრიდან აღიარებაა. ის, რომ „გაერთიანებული ქართული ბანკი“ საუკეთესო ბიზნესსტრუქტურად, ხოლო მისი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვანო ჩხარტიშვილი საუკეთესო ბიზნესმენად აღიარეს. „გაერთიანებულ ქართულ ბანკს“ სამომავლო საქმიანობაში განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს, როგორც ქართული ბიზნეს-სექტორის, ისე მთელი საზოგადოების წინაშე.

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი



„ირინას ჩვენად ვლევს ფოტოვს...“

„ხოვი მწყრა – შენ რომ ქალი მოიყვანო, ალვა მოვიკლავ...“

ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც რუბრიკაში „სასიძო“ დათო ხუჯაძე წარმოგიდგინეთ, მაგრამ მისი თაყვანისმცემლების სატელეფონო ზარები და წერილების ნაკადი დღემდე არ წყდება. ამიტომაც გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ დავბრუნებოდით მათ გამოხმაურებებს და რამდენიმე ამონარიდით დაგვეწყო რუბრიკის მორიგი გამოშვება.

მარი ჯაფარიძე

ნინო, 17 წლის:

— მთელმა სენაკმა იცის, რომ ვარ დათოზე უზომოდ შეყვარებული. მასზე ცუდს არავის ვათქმევინებ. დათო ჩემი იდეალი და ჩემი პირველი სიყვარულია. მის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. ეკლესიაში დათოზე ვლოცულობ. ერთმანეთს ძალიან ვგავართ ხასიათით და გემოვნებით. გავუძლებ დათოს მკაცრ მოთხოვნებს. ყველაფერს შევუსრულებ. ასე რომ მიყვარს, ეს ღმერთის ნებაა. არ გეგონოთ, ასაკის ბრალი იყოს და გადამიაროს. დათო მთელი ცხოვრება მეყვარება. მის პლაკატებთან ვდგავარ და ჩემი სიყვარულის შესახებ ვესაუბრები. ასე მგონია, ჩემი ესმის. წინასწარ ვულოცავ დაბადების დღეს დათოს და ვკოცნი ძალიან ბევრს.

ფიქრია, 18 წლის:

— ვარ დათოს ფანი. შარშან წავიკითხე მისი ინტერვიუ იმის შესახებ, როგორ აწვალებდა ბებიას, ბავშვებს რომ ამწყვდევდა და კატებივით აკნავლებდა. ისიც ვიცი, ბავშვობაში ხაჭაპური რომ არ უყვარდა, ყველს ამოყრიდა და მარტო ცომს მიირთმევდა. ახლა გავიგე, რომ რაც ბავშვობაში არ უყვარდა, ახლა შეჰყვარებია — ხაჭაპურიც კი. მე კი ძალიან მიყვარს სიცილი, ძმისშვილი, დათო ხუჯაძე და ნაყინი.

თამუნა, 18 წლის:

— ვარ ჟურნალ „გზის“ ერთგული მკითხველი. როდესაც ვნახე რუბრიკა „სასიძო“, ძალიან დიდი სურვილი გამიჩნდა, იქ დათო ხუჯაძე მენახა. შემდეგ ნომერში, ჩემდა სასიხარულოდ, ასეც მოხდა. მინდა, უბრალოდ ჩემი სიყვარული გამოვხატო მის მიმართ. ვუსურვო ბედნიერი ოჯახის შექმნა და ვუთხრა, რომ ძალიან ბევრი კეთილისმსურველი ჰყავს, რომელიც მას არასოდეს უღალატებს. თავად, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგად მოეხსენება, მაგრამ თუ თქვენი საშუალებით კიდევ ერთხელ, ჩემგან გაიგებს, მადლობელი ვიქნები.

ახლა კი, რამდენიმე საინტერესო ამბავი, რომელსაც დათოს ერთ-ერთი თაყვანისმცემელი მოგვითხრობს (სამწუხაროდ, ვინაობას არ გვიმხელს):

— ქალი თავისი ბუნებით მეოცნებეა. გოგონები პრინცსა და რაინდებზე ხშირად ვოცნებობთ. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, აღმოვაჩინე, რომ შეყვარებული ვარ... დათო ხუჯაძეზე. აი, რამდენიმე ამბავი ამასთან დაკავშირებით: **ამბავი პირველი.** მეგობარმა დათოს პლაკატები მაჩუქა. ერთხელ, ჩემს ძმას ვაწყენინე და ჩემი შინ არყოფნის დროს, ყველა პლაკატზე რაღაც დამიჯღაბნა: ზოგზე ულვაში მიახატა, ზოგზე — სათვალე. იმ საღამოს გლოვა მქონდა გამოცხადებული. ზოგი ჟელეთი გავწმინდე, ზოგი სარეცხის ფხვნილით. რასაც ეშველა, ეშველა, რასაც არა — სათუთად დავკეცე და შევინახე.

ირინა კახნიაშვილი

ამბავი მეორე. მე და ჩემს მეგობარ გოგონას ჩხუბი მოგვივიდა. მედავებოდა: ჩემი შეყვარებული რატომ გიყვარსო?! საკლასო ოთახში ჩამკეტა და გამომიცხადა: სანამ არ გადაიყვარებ, არ გამოგიშვებო. ბევრი ტირილისა და ხვეწნა-მუდარის შემდეგ დამაფიცა, რომ დათოზე აღარ ვიფიქრებდი და კარი გამიღო... **ამბავი მესამე.** ის გორის რაიონში მოხდა: პატარძალი, სიძის სახლში მიუყვანიათ. სტუმრებით გარშემორტყმული პატარძალი ოთახში იჯდა, სადაც ტელევიზორი იყო ჩართული და დათოს რომელიღაცა კლიპი გადიოდა. დედოფალმა არც აცია, არც აცხელა და გამოაცხადა: აი, ასეთ კაცს ნამდვილად არ დავიწუნებდიო. ჰოდა... გამწარებული სიძე სწვდა თმაში გამოპრანჭულ პატარძალს და გარეთ გამოაგდო...

ამით უნდა დავასრულოთ დათო ხუჯაძესთან დაკავშირებით შემოსული ფოსტის მიმოხილვა, თორემ ჩვენი მშვენიერი საპატარძლო ***ირინა კახნიაშვილი*** *გაგვინაწყენდება, მით უმეტეს, რომ მის ინტერვიუსაც უამრავი გამოხმაურება მოჰყვა და მომღერლის თაყვანისმცემელი მამაკაცები მოსვენებას არ მაძლევენ.*

ალეკო, 22 წლის:

— მართალია, ასაკით ირინაზე უმცროსი ვარ, მაგრამ მაგრად მევასება. ეგ რომ მევასება, მთელი „ფორტე“ მევასება. განსაკუთრებით ქალაქური სიმღერის კლიპში მომწონს. ამ კლიპს რომ ვუყურებ, ტანში ჟრუანტელი მივლის... ჩემი ნომერი ხომ დაფიქსირდა თქვენს ტელეფონზე? ჰოდა, ძალიან გთხოვთ, ირინას გადაეცით და აუცილებლად დამირეკოს. და კიდევ, ჩემგან უამრავი ამბორი გადაეცით...

დათო, 27 წლის:

— ჩემს სურათს ვერ გამოგიგზავნით, მაგრამ გარანტიას გაძლევთ, კაი ტიპი ვარ. ირინა მართლა ძალიან მომწონს. მივესალმები თქვენს ახალ რუბრიკას.

შეუძლებელია, არ გესიამოვნოს, როცა ამას ხედავ

— **არა, არასდროს არ ვწუხდები მათი ზარებით. ისინი ძალიან თბილი, ალერსიანი სიტყვებით მესაუბრებიან. უნდათ, რომ დამელაპარაკონ, სითბო გამიზიარონ. ამაში ცუდი რა არის?! პირიქით — ძალიან სასიამოვნოა.**

— **ახლო მომავალში, პირად ცხოვრებაში ცვლილებებს ხომ არ გეგმავ?**

— ჯერჯერობით, დაგეგმილი არ მაქვს, დავოჯახდები თუ არა ან რაიმეს შევცვლი თუ არა ჩემს ცხოვრებაში. სიმართლე რომ გითხრათ, პირადი ცხოვრებისთვის თითქმის ვერც ვიცლი. როდესაც მეტ-ნაკლებად ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი დალაგდება, ალბათ დროც მექნება ამისთვის. ვფიქრობ, რომ ოჯახის შექმნა მეტისმეტად საპასუხისმგებლო ნაბიჯია. არ მინდა ისე მოხდეს, რომ ცოლი ნაჩქარევად მოვიყვანო, მერე კი ოჯახი დამენგრეს, მერე სხვა ოჯახი შევქმნა, ისიც დავანგრიო და ა.შ. მინდა, მყარი ოჯახი მქონდეს, რომლისთვისაც ბოლომდე დავიხარჯები. სწორედ ამიტომ, ამ საკითხს ძალზედ სერიოზულად ვუდგები.

— **როგორ ფიქრობ — რომ დაოჯახდე, შენი თაყვანისმცემელი გოგონების რიცხვი შემცირდება?**

— არ ვიცი. შესაძლოა, გამოაკლდნენ ის ადამიანები, ვინც მე მომღერლად კი არა, მამაკაცად უფრო აღმიქვამს... ისე, როდესაც ფანების წერილებს ვკითხულობ, სრულიად სხვადასხვაგვარ მიდგომას ვხედავ მათი მხრიდან: ზოგი მწერს — გისურვებ ბედნიერი ოჯახის შექმნასო, — ზოგი კიდევ — შენ რომ ცოლი მოიყვანო, თავს მოვიკლავო... მაშ, როგორ მოვიქცე? უცოლოდ ხომ ვერ დავრჩები?! ამიტომ ვფიქრობ, უნდა შეეძლოთ სიყვარული რაღაც ზღვრამდე...

— **როგორმა გოგონამ შეიძლება მიიქციოს შენი ყურადღება?**

— კონკრეტულად არასოდეს მქონია ჩამოყალიბებული იმის კრიტერიუმები, თუ როგორი გოგონა შეიძლება მომეწონოს. მომწონს ძალიან ლამაზები, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც ფიზიკურ სილამაზესთან ერთად, სულიერი სილამაზითაც გამოირჩევიან.

— **როგორ უნდა იქცეოდეს გოგონა, შენ რომ მოგეწონოს?**

— უნდა იცხოვროს ისე, როგორც ცხოვრობს, წრფელად და პატიოსნად. არ უნდა ცდილობდეს, მომაჩვენოს თავი

თუ ამჯერად არაფერი გამომივა, მომდევნო საპატარძლოს დაველოდები და ბედს იქაც ვცდი...

დათო, 25 წლის:

— მე ეს გოგონა სერიოზულად მიყვარს. მისი გადიდებული სურათები კედელზე მაქვს გაკრული. ხანდახან „ვუსადკავებ“ სახლთან და ჩუმად ვუღებ ფოტოებს. ასე რომ, საკმაოდ დიდი კოლექცია მაქვს და თუ სურვილი ექნება, დავათვალიერებინებ კიდეც. თქვენ კი, დიდ მადლობას მოგახსენებთ! ამდენი თაყვანისმცემლის ზარს პასუხობთ და თუ ყველას ასეთი ყურადღებით უსმენთ და მოთმინებით პასუხობთ — ყოჩაღ!..

დარწმუნებული ვარ, რუბრიკის მორიგი სტუმარიც ბევრ მკითხველს გაახარებს, ზოგს კი აღტაცების შეძახილიც აღმოხდება. „სასიძოს“ ამჯერად, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მომღერალი — ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ წევრი ***ზურა ხაჩიძე*** *გახლავთ.*

— **ზურა, რა სიახლეებია თქვენს შემოქმედებით საქმიანობაში?**

— ჩვეულებრივად, როგორც ყოველთვის, ვმუშაობთ ახალ სიმღერებზე, ვემზადებით ახალი კლიპის გადასაღებად...

— **როგორ ფიქრობ — პოპულარობა უფრო მეტად, ნიჭმა მოგიტანა თუ გარეგნობამ?**

— მე ვფიქრობ, ჩემი პოპულარობა ღვთის ნებაა. იმ დიდ შრომასთან ერთად, რომელიც ჩვენ გავწიეთ, უფლის მადლიც დაგვეხმარა და მივაღწიეთ იმას, რაც გვსურდა. რაც შეეხება გარეგნობას, მიმაჩნია, რომ საშუალო გარეგნობის მამაკაცი ვარ და ამას ალბათ ნაკლები წილი მიუძღვის ჩემს პოპულარობაში. ჩვენ არ ვართ არც პრეზიდენტები, არც პარლამენტარები, არც მინისტრები, მაგრამ ხალხს ვუყვარვართ. მთავარი ეს არის. ყველაფერი დანარჩენი მეტად უმნიშვნელოა.

— **ამ პასუხიდან ჩანს, რომ მორწმუნე და თავმდაბალი ადამიანი ხარ. მაინტერესებს, რამდენად ხარ ტრადიციების მიმდევარი?**

— ყველაფერში ზომიერება მიყვარს. მათ შორის, ამ თვალსაზრისითაც. ზომიერად ვიცავ ყველა ქართულ წეს-ჩვეულებას. მაქვს ჩემი კრიტერიუმები და ფარგლები, რომლის ზღვარსაც არასოდეს გადავალ.

— **ზოდიაქოთი ვინ ხარ?**

— თხის რქა. წლის ზოდიაქო — ცხენი.

— **მერე ემთხვევა შენს თვისებებს?**

— მე ასეთი რაღაცების არ მწამს, არსოდეს ვაქცევ ყურადღებას ასტროლოგიურ პროგნოზებს.

— **ხშირად შემინიშნავს ქალაქში კედელზე ან ბოძზე გაკეთებული წარწერა: „ზურა ხაჩიძე, ძალიან მიყვარხარ!“ ან რაიმე მსგავსი. შენ რა გრძნობა გეუფლება, როცა ასეთ წარწერას ხვდები?**

— ეს არის ჩემი თაყვანისმცემლების მიერ გამოხატული სითბო და სიყვარული. შეუძლებელია, არ გესიამოვნოს, როცა ამას ხედავ. ვერანაირი მატერიალური ანაზღაურება ვერ შეედრება იმ განცდას, რომელიც გეუფლება, როცა ხედავ, თუ როგორ უყვარხარ ამდენ ადამიანს. ყოველთვის ვცდილობ, ადამიანებს დადებითი მუხტი გადავცე. როგორც ჩანს, კარგად გამომდის...

— **ფანები გაწუხებენ?**



ზურა ხაჩიძე

ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ

ᲢᲔᲡᲢᲘ ᲔᲠᲣᲓᲘᲪᲘᲐᲖᲔ

1. ᲠᲐ ᲰᲥᲕᲘᲐ ᲛᲔᲓᲠᲝᲨᲔᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲜᲐᲘᲠᲐᲓ?

ა) ფლაგმანი;
ბ) მებაირახტრე;
გ) ლაიცმენი.

2. ᲠᲐᲡ ᲔᲫᲐᲮᲘᲐᲜ ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲡ?

ა) თავისუფლების მონებს;
ბ) დემოკრატიის დიდოსტატებს;
გ) დიდ ცხვრებს.

3. ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲨᲝᲙᲝᲚᲐᲓᲘ?

ა) სასმლის;
ბ) ფხვნილის;
გ) ხილის.

4. „ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲣᲡᲕᲔᲜᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲚᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲣᲪᲮᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐᲐ, ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲕᲘᲤᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲔᲑᲔᲚᲘ“ — ᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔᲛ ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ?

ა) გიორგი სააკაძის;
ბ) თამარ მეფის;
გ) დავით აღმაშენებლის.

�პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ 61-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

არაჩვეულებრივ გოგოდ. არაბუნებრივობა ყოველთვის თვალში საცემია, ეს კი ძალიან მაღიზიანებს...

— მომთხოვნი ხარ?

— კი, ძალიან მომთხოვნი ვარ, რადგან ჩემს თავზე ყოველთვის დიდ პასუხისმგებლობას ვიღებ ხოლმე გარკვეულ საკითხებში. ამიტომ სხვებისგანაც იმავეს მოვითხოვ...

— გაბრაზებას როგორ გამოხატავ? გინება თუ გჩვევია?

— გააჩნია, რა შემთხვევაში. თუ კაცურად უნდა გავცე პასუხი, დავარტყამ კიდეც, თუ მოსათმენია, მოვითმენ, თუ შესაგინებელია, შევაგინებ, ოღონდ ასე იშვიათად ხდება, რადგან გინება არ მიყვარს.

— ძილისგუდა თუ ხარ?

— საერთოდ არა, მაგრამ მაქვს პერიოდები, როდესაც შუადღემდე მძინავს ხოლმე. მაგალითად, ზამთარში, დათვივით, სულ მძინავს, ზაფხულში — ნაკლებად. ახლა კი, საქმეც არ მაძლევს იმის საშუალებას, რომ ბევრი ვიძინო.

— ეჭვიანი ხარ?

— არა, ეჭვიანი არ ვარ, რადგან თუ ვინმე ჩემს ცხოვრებაში რაიმე ფორმით შემოვა — მეგობარი იქნება ეს, ცოლი თუ სხვა — ის ჩემს იქით არსად არ წავა...

— გოგონამ რომ შემოგთავაზოს სიყვარული, ამაზე როგორი რეაქცია გექნება?

— ასეთი საქციელი არასოდეს მაღიზიანებს, რადგან ადამიანებმა ყოველთვის უნდა ვუთხრათ ერთმანეთს, გავუმხილოთ ის, რასაც ერთმანეთის მიმართ ვგრძნობთ. ამიტომ ყოველთვის მივესალმები იმ გაბედულ გოგონებს, რომლებიც თავიანთი გრძნობების შესახებ დაუფარავად მესაუბრებიან. მეც დაუფარავად ვუზიარებ აზრს ჩემს თაყვანისმცემლებს.

— ოჯახის მუჭუჭი თუ ხარ?

— კი, ვარ. ძალიან მიყვარს რაღაცრაღაცების ყიდვა. ვნანობ, რომ დრო არ მაქვს, თორემ ბაზარშიც დიდი სიამოვნებით ვივლიდი პროდუქტის შესაძენად. ვგიჟდები ამ პროცესზე. შვილსაც, რომ მეყოლება, აუცილებლად მე თვითონ წავიყვან ხოლმე საყიდლებზე და საჭირო ნივთებს შევუძენ.

— ნაყიდი პროდუქტების მომზადების ხელოვნებასაც ხომ არ ფლობ?

— კი. უკვე ხუთი წელია, დამოუკიდებლად ვცხოვრობ და არასოდეს მიცხოვრია განებივრებული ბავშვივით.

— წესრიგი თუ გიყვარს?

— ძალიან. თუ შინიდან ისე გამოვედი, რომ რაიმე უწესრიგოდ დავტოვე, მთელი დღე აფორიაქებული ვარ. აუცილებლად ყველა ნივთს უნდა ჰქონდეს მიჩენილი თავისი ადგილი, რადგან უკან რომ დავბრუნდები, თუ ვინმე მახლავს, მეგობარი მამაკაცი იქნება ეს თუ გოგონა, უნდა იგრძნოს, რომ ჩემს ბინაში მოვიდა და არა ბოსელში. იმისათვის, რომ შინ წესრიგი მქონდეს, ადრე ვდგები, რომ ყველანაირი საქმე მოვასწრო.

— აუცილებელია თუ არა, რომ შენი მომავალი მეუღლე პოპულარული და ცნობილი გოგონა იყოს?

— არ არის აუცილებელი და უკეთესიც იქნება, თუ ის ჩვეულებრივი გოგონა იქნება, კარგი დიასახლისი, ფუსფუსა, კარგი მზარეული, კარგი მოსაუბრე, განათლებული, ბოლოს და ბოლოს —კარგი ცოლი და დედა. რად მინდა მე ცნობილი და პოპულარული მეუღლე?! ცოლი იმისთვის მომყავს, რომ ჩემი შვილები ადამიანებად ჩამოვაყალიბო. თუ დედას ყოველდღე გადაღებები და კონცერტები ექნება და შვილებისთვის ვერ მოიცლის, ჩემს საქმეს ეს არ არგებს. კი, ბატონო, არც ძიძის აყვანაა პრობლემა, მაგრამ ვთვლი, რომ შვილი დედამ და მამამ უნდა გაზარდონ.

— „ტუსოვკებზე“ თუ წაიყვან ხოლმე შენთან ერთად?

— სადაც საჭირო იქნება, აუცილებლად ყველგან ჩემ გვერდით იქნება. მაგრამ ხანდახან არის მომენტი, როცა მარტო უნდა წავიდე. მაშინ ის შინ დარჩება.

— ხომ არ ფიქრობ, რომ შენი მეუღლე მუდამ იეჭვიანებს შენზე, თაყვანისმცემლების გამო?

— როდესაც ადამიანები ერთმანეთს ეტყვიან სიტყვას — „მიყვარხარ“, — ამ შემთხვევაში იქ ღალატზე ლაპარაკი ზედმეტი უნდა იყოს. მე ჩემს მეუღლეს ყოველთვის იმდენ მუხტს და სითბოს მივცემ, რომ ის ერთი წამითაც არ იფიქრებს, რომ მე შესაძლოა, მას ვუღალატო. მართლაც, ასე იქნება.

მაშ ასე — მორიგი „სასიძო“ თქვენ წინაშეა. დამიკავშირდით ტელეფონით 8 (77) 45.68.61 ან გამოგვიგზავნეთ თქვენი ბარათი და, სურვილის შემთხვევაში — სურათი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთის საშუალებით. თქვენს გზავნილს ზურა ხაჩიძეს გადავცემთ, შემდეგ კი... ვინ იცის — იქნებ, სწორედ თქვენ მოექცეთ თქვენი კერპის ყურადღების ცენტრში!.. ■

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

გაწუხებთ სახსრები? – მიიღეთ
გლუკოზამინი

ნატურალური ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება

- საგრძნობლად ამცირებს ტკივილებს დაავადებულ სახსრებში და აუმჯობესებს მათ მოძრაობას.
- ამცირებს სახსრების ანთებას და მის თანმხლებ პროცესუალურ სიმპტომებს.
- ხელს უწყობს სახსრების ხრტილოვანი ნაწილის აღდგენას.

„ნუტრიმენტ ჰაუსი“, მის: დავით აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები: ყოველდღე კვირის გარდა 10.00 – 18.00
www.shopge.com

®

ბარათაშვილის ხიდზე ფეხით მიმავალმა, შორიდანვე შევნიშნე ხანში შესული მამაკაცი, რომელსაც მარცხენა ხელით უამრავი ვარდი ჰქონდა გულზე მიკრული, მარჯვენათი კი დროგამოშვებით, თითო ყვავილს მტკვარში ყრიდა... იდუმალი რიტუალი კარგად ხნის დამთავრებული ჰქონდა, დალაპარაკება რომ შევბედე. როგორც ველოდი, საოცარი ამბავი მოვისმინე, თუმცა, მას ცოტა მოგვიანებით შემოგთავაზებთ, მანამდე კი გადმოგცემთ ორ მონათხრობს მოცემულ თემაზე, რომელიც ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი სიფრთხილე გვმართებს სათუთ გრძნობასთან შეხებისას; განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე უახლოესი ადამიანების ბედს ეხება.

მარი ჯაფარიძე

საბედისწერო სიყვარული

ამბავი პირველი

ქალბატონი ლალი 45 წლისაა. სახეზე რამდენიმე ნაიარევი აქვს. დანარჩენს თავად მოგვითხრობს:

– სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მე-5 კურსზე ვსწავლობდი, როდესაც ჩემმა ჯგუფელმა ბიჭმა მოულოდნელად, სიყვარული ამიხსნა. საუკეთესო სტუდენტი გახლდათ, მაღალი, წარმოსადეგი; საკმაოდ შეძლებული ოჯახის შვილი იყო – მოკლედ, ყოველმხრივ საუკეთესო ახალგაზრდა, რომელსაც სასურველი საქმრო ეთქმის. სანდრო ძალიან ბევრ გოგონას უყვარდა. არ დავიმალავთ, რომ პირველივე კურსიდან მეც ვიყავი მასზე შეყვარებული. მის ცოლობაზე ვოცნებობდი, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვიყავი, ეს ოცნება არასოდეს ამიხდებოდა.

— რატომ? რატომ ფიქრობდით ასე?

– მე რაიონიდან ჩამოსული ერთი უბრალო გოგო ვიყავი. ნუცუბიძის პლატოზე, ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი. ოჯახს ჩემი რჩენა უჭირდა. ყოველთვის სხვებზე ნაკლებად მეცვა. მას კი ისეთი გოგონები ეპრანჭებოდნენ, რომელთა გვერდით მე ნულის ტოლი ვიყავი. მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩემი ოცნების მამაკაცმა სიყვარული შემომთავაზა. იმ დღეს, სახლამდე ფრენა-ფრენით მივედი, გული საგულეს აღარ მეტეოდა და გარეთ გამოხტომას ლამობდა. ჩემს მეგობარ გოგონას დავურეკე და ყველაფერი ვუამბე (შემდეგ გავიგე, რომ მასაც ჩემსავით ჩუმ-ჩუმად ჰყვარებია სანდრო). მან, რომ იტყვიან, ცივი წყალი გადამასხა – ჭკუა დამარიგა: უცებ ნუ აჰყვები მის ნათქვამს, ცივად დაელაპარაკე, შეხვედრაზე არ დათანხმდე, ეცადე, თავი ისე მოაჩვენო, თითქოს არც გაინტერესებს – ამით უფრო შეუყვარდები და მასში მეტ ინტერესს გამოიწვევო. რამდენიმე დღის შემდეგ დაქალი, უკვე თავის ძმას მირიგებდა: რძლად მინდიხარ, სანდროს თავი დაანებე; არა მგონია, მას სერიოზულად უყვარდე, მხოლოდ გასართობად უნდიხარო...

— დაუჯერეთ მეგობარს?

– სამწუხაროდ, კი. მის ძმაზე არც მიფიქრია, მაგრამ სანდროს სწორედ ისე ვექცეოდი, როგორც მეგობარმა დამარიგა. ამან სულ გააგიჟა ბიჭი. ვერ გაეგო, ხელს რატომ ვკრავდი. ყოველ დილით ჩემს კართან დაწყობილი, ულამაზესი ვარდების თაიგული მხვდებოდა, რომელსაც თურმე საკუთარი ხელით კრეფდა; ხელები სულ დაკაწრული ჰქონდა ეკლებით... აჩრდილივით თან დამდევდა, მე კი ამაყად თავაწეული დავაბიჯებდი. მთელმა უნივერსიტეტმა შეიტყო ჩვენი ამბავი. მეგობრები ეუბნებოდნენ: რა დაგემართა? რა ნახე ამ გოგოში ისეთი, თავგზა რომ აგებნა? გაიხედგამოიხედე, ნახე, რამდენ კარგ გოგოს უყვარხარო. ის კი შეუპოვრად ცდილობდა ჩემი გულის მოგებას. ეს ყველაფერი ძალზედ მომწონდა, თითქოს აზარტშიც კი შევედი. ვხედავდი, დანარჩენი გოგონები როგორი შურიანი თვალებით შემომყურებდნენ... იმდენად გავთავხედდი, რომ ჩემს მეგობრებს მისი დაცინვის უფლებასაც კი ვაძლევდი. ერთ დღეს კი, კინოში დამპატიჟა. მე ვუთხარი: დღეს სხვასთან ერთად მივდივარ, დაგაგვიანდა-მეთქი. ისიც ვუთხარი, თუ რომელ კინოთეატრში ვაპირებდი წასვლას. მივხვდი, აუცილებლად მოვიდოდა ჩემს სანახავად. ეჭვიანობით რომ გადამერია, ჩემს მეგობარს დავურეკე და ვუთხარი: თუ გინდა, დღეს საღამოს, კინოში დამპატიჟოს შენმა ძმამ და გავყვები-მეთქი. შევთანხმდით. ადგილზე მისულმა, სანდრო დავინახე. რა თქმა უნდა, იმანაც შემნიშნა, ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად ხელკავით რომ მივედი... შინ საკმაოდ გვიან დავბრუნდი. დასაძინებლად დავწექი და კმაყოფილს, იმაზე ფიქრში ჩამეძინა, თუ როგორ ეჭვიანობდა სანდრო; შუაღამისას საშინელმა ხმაურმა გამაღვიძა – ჩემი ოთახის ფანჯარა ჩამსხვრეულიყო. პირველ სართულზე ვცხოვრობდი. ავდექი და ფანჯარაში გავიხედე. სწორედ ამ დროს, სახეში რაღაც მაგარი მომხვდა და გონი დავკარგე. გონს საავადმყოფოში მოვედი. სახე მთლიანად დაბინტული მქონდა... საავადმყოფოში ორი თვე დავყავი. იქიდან კი, ასეთი ნაიარევი სახით გამოვედი. ცხვირი გატეხილი მქონდა და არასწორად შეეხორცდა. თუმცა ორი პლასტიკური ოპერაცია გავიკეთე, წინანდელი ფორმა მაინც ვერ დავიბრუნე.

— რა მოხდა იმ ღამეს?

– რა მოხდა და სანდრომ შური იძია ჩემზე იმ სიმწარისათვის, რომელიც მივაყენე. ქვით მინა ჩაუტეხავს – სწორედ იმ იმედით, რომ ფანჯარაში გავიხედავდი, – და შემდეგ, ბეტონის ნატეხი მესროლა სახეში... იმ დღის შემდეგ, ერთმანეთს აღარ



დავლაპარაკებივართ. ერთი რამ ცხადი იყო, რომ დასანახავად ვეღარ მიტანდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი, თვალიც აღარ მომიკრავს მისთვის. მერე გავიგე, რომ დაოჯახებულა, ოთხი შვილიც ჰყოლია და ბედნიერად ცხოვრობს. მე კი დღემდე გაუთხოვარი ვარ და ასეთი დამახინჯებული სახით, ალბათ ვეღარც ვეღირსები ბედნიერებას.

ამბავი მეორე

მამუკა, 40 წლის:

— ოცდაორი წლის ვიყავი, როდესაც ერთი, საოცრად ნაზი და ლამაზი გოგონა შემიყვარდა. რუსუდანი ერქვა. ის მაშინ 19 წლის გახლდათ და სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა. დიდი დრო არ დამჭირვებია იმისთვის, რომ მისი გული მომეგო. ჩუმი, გულჩათხრობილი გოგონა იყო. სულ იმას ვეხვეწებოდი — ხმა ამოიღე, რამე მითხარი-მეთქი. ათასგვარ სისულელეს ვაკეთებდი, რომ მის სახეზე ღიმილი დამენახა. ვგრძნობდი, რომ ძალიან ვუყვარდი. ერთ დღესაც, მთელი სერიოზულობით ვუთხარი — ცოლად უნდა შეგირთო-მეთქი. — მოვიცადოთო, — მიპასუხა. მიზეზი რომ ვკითხე, ამიხსნა, რომ მისი და ახალი გათხოვილი იყო და ოჯახს გაუჭირდებოდა ერთდროულად ორი ქალიშვილის გათხოვებასთან შეგუება... არ მესიამოვნა, მაგრამ რას ვიზამდი?! რუსუდანი რაიონიდან გახლდათ ჩამოსული, თბილისში ოთახი ჰქონდა ნაქირავები... მისი მშობლები მის სახლში, რაიონში გავიცანი, როდესაც რუსუდანს 20 წელი შეუსრულდა. ვიგრძენი, რომ მაინცდამაინც დიდი სიმპათიით არ განეწყვნენ ჩემ მიმართ, ამიტომ იმ საღამოსვე თბილისში წამოვედი. რუსოსთან პირველივე პაემანზე, ჩემი ვარაუდი გადავამოწმე. მან დამიდასტურა: მართალი ხარ, ჩემს მშობლებს არ მოეწონე და შენთან ურთიერთობაც სასტიკად ამიკრძალეს. ისიც დაამატა, რომ მიუხედავად ამისა, ჩვენს ურთიერთობას საფრთხე არ დაემუქრებოდა. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, რუსუდანთან მის ნაქირავებ ბინაში ვიყავი მისული სტუმრად. თან მისი ორი მეგობარი გოგონა მახლდა. მოულოდნელად, დედამისი ჩამოვიდა სოფლიდან და რომ მნახა, ისეთი ამბავი ამიტეხა, ისეთი წივილ-კივილი მორთო, რომ გაოცებისგან პირდაღებული ვიჯექი. ხმა არ გამიცია მისთვის — უსიტყვოდ ავდექი და წამოვედი... რუსუდანს ერთი საოცრად ლამაზი მეგობარი გოგონა ჰყავდა. შინ მისულმა, მას დავურეკე და ყველაფერი ვუამბე. ისეთი გაცეცხლებული ვიყავი, გადავწყვიტე, რუსუდანთან ურთიერთობა გამეწყვიტა. ნინოს (რუსუდანის მეგობარს) ამის შესახებ დაუფარავად ვუთხარი. შემომთავაზა: თუ გინდა, ჩემთან გამოდი, ვილაპარაკოთ და იქნებ, ცოტა მაინც მოგეშვას გულზე, დამშვიდდე და გადაწყვეტილებაც ისე მიიღოო. მივედი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმ დღესვე ნინო შინ წამოვიყვანე და ცოლად წარვუდგინე ჩემს ოჯახს. დღემდე ერთად ვცხოვრობთ, მაგრამ იმ უძლიერეს გრძნობას ვერ დავაღწიე თავი... ვიცი, რომ ჩემი ყოფილი შეყვარებული ძალიან განიცდიდა ამ ამბავს და დღემდე ალბათ, მწყევლის, მაგრამ ცხელ გულზე მიღებულ გადაწყვეტილებას ვეღარაფერს ვუშველიდი...

— **მაინც, რატომ მოიქეცით ასე?**

— თითქოს მინდოდა, დამემტკიცებინა, რომ მასზე უკეთესი გოგონას შერთვა შემეძლო. ეს კი დავამტკიცე, მაგრამ დღეს, უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახის უფროსი ვარ, სადაც ცოლიც და ქმარიც თითქოს სახლობანას ვთამაშობთ.

— **რუსუდანს რა ბედი ეწია?**

— დღემდე გაუთხოვარია და ბედს ელის...

ამბავი მესამე, რომელმაც წინამდებარე წერილის თემა გვიკარნახა

ბატონი სანდრო, 72 წლის:

— უკვე 49 წელია, ყოველ 9 ივნისს მოვდივარ ბარათაშვილის ხიდზე, ამ ადგილზე და ვარდებს მტკვრის დინებას ვატან. ხიდზე უამრავი ადამიანი მიდი-მოდის ხოლმე, მაგრამ ჯერ არავინ გამომლაპარაკებია. ასე, შენსავით კი შეჩერებულან და უცქერიათ ხოლმე ჩემთვის... ეს ამბავი 52 წლის წინ დაიწყო. მაშინ ოცი წლის ვიყავი, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. მეორე კურსი რომ დავხურეთ, ზაფხულის არდადეგებზე საავადმყოფოში გამგზავნეს პრაქტიკაზე. ხელმძღვანელად ერთი ფაშფაშა და ამპარტავანი ექიმი მომიჩინეს. ძალზედ ამაყი და ამბიციური იყო. მისი მეუღლე მაღალ პარტიულ თანამდებობაზე მუშაობდა და ამის გამო გაფხორილი დადიოდა. წესიერად სალამსაც არავის აძლევდა. ექთანებთან და დაბალი რანგის სამედიცინო პერსონალთან ხომ დალაპარაკებასაც არ კადრულობდა. როდესაც შეიტყო, რომ მასთან უნდა მემუშავა, პირველი, რაც მკითხა, ეს იყო: შენი მშობლები სად მუშაობენო? — მამა ომში დამეღუპა, დედა კი მკერავია-მეთქი, — ვუპასუხე. ცხვირი აიბზუა. — სად ცხოვრობო? — ვუთხარი. — ეს რა, „კომუნალკაა“? — ამრეზით მკითხა. — არა, საერთო საცხოვრებელია-მეთქი... ვატყობდი, სახე ნელა-ნელა ზიზღით როგორ ემანჭებოდა. სურვილი მქონდა, თავზე დადებული ყვითელი პარიკი მომეძრო და პირში ჩამეტენა მისთვის, მაგრამ აბა, ასე ხომ ვერ მოვიქცეოდი?!. ერთი სიტყვით, ამითვალწუნა და ავადმყოფთან ფუსფუსის დროს, მხრითაც რომ შევხებოდი, აუცილებლად ხელს გადაისვამდა — იმ ადგილს გაიფერთხავდა ხოლმე... ერთ დღეს, მასთან ახალგაზრდა გოგონა მოვიდა. ისეთი ჰაეროვანი, ნაზი და სათნო არსება გახლდათ, ვერაფრით ვიჯერებდი, რომ ამ ქალის შვილი იყო. გოგონას ოლიკო ერქვა. ჰოდა, ეს ოლიკო ისე შემიყვარდა, ქვეყნად ყველაფერი დამავიწყა. ის ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, 16 წლისა იყო. მალე მისი თანაგრძნობაც დავიმსახურე. ერთმანეთი უზომოდ გვიყვარდა. მისი ერთი შემოხედვა ათი წლის სიცოცხლედ მიღირდა. დედამისს, რა თქმა უნდა, საგულდაგულოდ ვუმალავდით ჩვენს ურთიერთობას... ასე გაიარა ერთმა წელმა. ოლიკომ სკოლა დაამთავრა და ისიც სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. მე მთელი წლის განმავლობაში განვაგრძობდი იმ საავადმყოფოში მუშაობას. ასე რომ, ქალბატონ ვერასთანაც (ასე ერქვა ოლიკოს დედას) კონტაქტი კვლავ მქონდა... მე და ჩემი შეყვარებული ოჯახის შექმნაზე ვჩურჩულებდით, მომავალს ვგეგმავდით, ვბჭობდით, ამ დროს კი... გადავწყვიტეთ, ერთი წელი კიდევ მოგვეცადა და ოლიკოს ხელის სათხოვნელად მაშინ ვწვეოდი მის მშობლებს.

— **რატომ გადაწყვიტეთ ასე?**

— არანაირი პირობა არ მქონდა საიმისოდ, რომ ცოლი მომეყვანა: დედაჩემი ფაბრიკაში მუშაობდა. იქ ბინას ჰპირდებოდნენ. გავფართოვდებოდით, მოვეწყობოდით და შემდეგ დავქორწინდებოდი კიდეც.

— და იმედი გქონდათ, რომ ვერა თავის შვილს გამოგატანდათ?

— არა, ამის იმედი არც ერთს არ გვქონდა, მაგრამ არ გვინდოდა, შემდეგ ესაყვედურათ: გეკითხათ ჩვენთვის — იქნებ, თანახმა ვიყავითო?! ცოტა მამამისის იმედიც მქონდა, ვფიქრობდი: კაცურად დაველაპარაკები, იქნებ, გამიგოს-მეთქი... თუ უარით გამომისტუმრებდნენ, მაშინ გავიპარებოდით, მაგრამ ვიდრე საქმე აქამდე მივიდოდა, ყველაფერი აირ-დაირია და თავდაყირა დადგა... საახალწლოდ ინსტიტუტში კარნავალი მოვაწყვეთ. რა თქმა უნდა, ოლიკოც იქ იყო. დედამისი კი, საპატიო სტუმრებს შორის გახლდათ. ზეიმის დროს, მე და ჩემი შეყვარებული ცოტა ხნით განვმარტოვდით და ხელიხელგადახვეულები, ყინვიან ღამეში, ერთმანეთს სიყვარულს ვეფიცებოდით. სწორედ ამ დროს, თავს ვერა წამოგვადგა. ისეთი წივილ-კივილი ატეხა, გეგონებოდათ, ახლობლის სიკვდილის ამბავი შეატყობინესო. იმ დღიდან აირია ყველაფერი. მეორე სემესტრიდან ოლიკო მოსკოვში გადაიყვანეს სასწავლებლად. წასვლის წინ შეხვედრა მოვახერხეთ. თვალცრემლიანი მემშვიდობებოდა, ყოველდღე მოგწერო, — მპირდებოდა. ის დამჯერი შვილი იყო და მშობლების წინააღმდეგ ვერ წავიდოდა. ოლიკო მოსკოვში გაემგზავრა, მე კი პრობლემები დამეწყო: ინსტიტუტში გასაქანს არ მაძლევდნენ. მე მამამისის იმედი მქონდა — გამიგებს, როგორც მამაკაცი მხარში ამოგვიგდებს-მეთქი, — მან კი იმდენი ქნა, რომ ბოლოს, ინსტიტუტიდან გამრიცხეს კიდეც. საავადმყოფოში ვინღა მიმიშვებდა?! როდესაც ჩემი ნივთების წამოსაღებად მივედი, ვერა პირდაპირ ქოჩორში მწვდა, სულ მათხოვარი მეძახა, ისეთი შეურაცხყოფა მომაყენა, მიწა რომ გამსკდომოდა, ის მერჩივნა... გადავწყვიტე, მოსკოვში წავსულიყავი და ოლიკო მომეძებნა. ხშირად მწერდა წერილებს, მეც ვპასუხობდი, ხანდახან ვურეკავდი კიდეც. მაგრამ ერთხელ, რომ დავრეკე, ვიღაც მამაკაცმა აიღო ყურმილი. — ვინ ბრძანდებით-მეთქი? — ვკითხე. — ოლიკოს მეუღლე ვარო, — მიპასუხა... დავიწყე სმა. ყოველდღე მთვრალი მივდიოდი შინ, ვჩხუბობდი. მერე დავჯდებოდი, დავიდებდი ოლიკოს სურათს წინ და ვტიროდი. დედაჩემი ძალიან განიცდიდა ჩემს ასეთ მდგომარეობას. იმდენი მიჩიჩინა, რომ ორ თვეში, მეზობლის გოგო, ნინო მოვიყვანე ცოლად.

— ოლიკოსგან წერილებს აღარ ღებულობდით?

— არა. არც ერთი წერილი აღარ მიმიღია. არც მე მიცდია მასთან დაკონტაქტება.

— მეუღლეს კარგად შეეწყვეთ?

— ძალიან გამიჭირდა. სულ მოღუშული დავდიოდი, ხშირად შემინიშნავს, რომ შინ მიბრუნებულს, მეუღლე ნამტირალევი, თვალებდაწითლებული მხვდებოდა. არასოდეს მიკითხავს მიზეზი — ისედაც მშვენივრად ვხვდებოდი ყველაფერს. მეცოდებოდა, მაგრამ თავს ვერ ვერეოდი.

— ფიქრობთ თუ არა, რომ შეცდომა დაუშვით, როცა სხვა ქალი მოიყვანეთ ცოლად?

— დიახ, მით უმეტეს, რომ ამას სავალალო შედეგებიც მოჰყვა... ზაფხულში ოლიკო დაბრუნდა მოსკოვიდან. მე ის არ მინახავს. ჩემთან შინ მისულა, დედაჩემი და ნინო დახვედრიან. შემდეგ მიამბეს, რომ ოლიკოს მაშინ გაუგია ჩემი დაქორწინების შესახებ. ნინოს ის უცებ უცნია, რადგან მისი სურათი ჰქონდა ნანახი. ცოტა ხანს უსაუბრიათ. როგორც მითხრეს, ოლიკოს არ გამოუხატავს არც შეშფოთება, არც წუხილი — მშვიდად გამოიყურებოდა და მალე წასულა. საღამოს, დედამ მიამბო ამის შესახებ... იმ ღამით, ოლიკო სიზმარში ვნახე. გრძელი ნაწნავები გაშლილი ჰქონდა. რაღაცნაირად, თითქოს ცურვით მოვიდა ჩემთან და მითხრა: მიყვარხარ, მაგრამ გწყევლიო. შეშინებულს გამომეღვიძა და ყველაფერი იმ ფორიაქს დავაბრალე, რაც ჩემს ოჯახში მისმა გამოჩენამ გამოიწვია. თურმე ვცდებოდი... რამდენიმე დღის შემდეგ გავიგე, რომ სწორედ ამ ადგილიდან წყალში გადამხტარა და თავი დაუხრჩვია... მხოლოდ სამი დღის შემდეგ იპოვეს მისი ნეშტი. მიზეზი ალბათ ბევრისთვის საიდუმლოდ დარჩა, მაგრამ მე ხომ ვიცი, სინამდვილეში რატომ გაწირა თავი.

— დაკრძალვაზე თუ იყავით?

— არა, აბა, მე იქ ვინ მიმიშვებდა?! მხოლოდ შორიდან ვუყურებდი პროცესიას. რატომღაც ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ოლიკო ჩემს შორიახლოს მოაბიჯებდა და თვალს არ მაშორებდა...

— ტელეფონით მართლა მისი მეუღლე გესაუბრათ?

— არა. როგორც შევიტყვე, არ გათხოვილა. როგორც ჩანს, ნათესავმა ან სულაც, მამამისმა მიპასუხა.

— თქვენი ცხოვრება როგორ წარიმართა?

— ამის შემდგომ, ჩემმა მეუღლემ ზედიზედ 7 მკვდარი ბავშვი დაბადა... დაზაფრული ვიყავი. ყველა ფეხმძიმობა ნორმალურად ვითარდებოდა, მშობიარობის დროს კი, ბავშვი მკვდარი იბადებოდა... მიზეზსაც ვერ ადგენდნენ. დედაჩემმა ვიღაც მკითხავთან მიმიყვანა. ყველაფერი ვუამბე. მირჩია: მიცვალებულის საფლავზე უნდა მიხვიდე და ხელუკუღმა ნიორი გადაყარო, რომ თავი დაგანებოსო... ასეც მოვიქეცი. იმ ღამეს, ოლიკო ისევ დამესიზმრა. მინდორში იჯდა. წინ ნივრით სავსე კალათა ედგა და არჩევდა. გული მომიკვდა... ამის შემდეგ, ორი შვილი შეგვეძინა. მეორე ბავშვის დაბადების შემდეგ, მეუღლე დამიავადდა — რაღაც შიშები დასჩემდა. უკვე 35 წელია, სახლიდან გარეთ საერთოდ არ გასულა... შინ მშვენივრად გრძნობს თავს, ზღურბლს გადააბიჯებს თუ არა, გული მისდის. ასევე ემართება ნივრის სუნზე. ჩვენს ოჯახში ნიორს აღარ ვხმარობთ...

— გამოდის, მიცვალებულის წყევლამ გიწიათ? ძნელი დასაჯერებელია, რასაც თქვენ ჰყვებით...

— ეჰ, ნეტავ, მართლა სიზმარი იყოს ეს ყველაფერი!.. მისმა წყევლამ შვილებიც აღარ შემარჩინა. უფროსი გოგონა გათხოვდა. ერთი შვილი შეეძინა, 3 წლის შვილი ჰყავდა, როდესაც დაიღუპა. დაიძინა და დილით მკვდარი იპოვეს. რატომ? არავინ არაფერი იცის. პოლიცია იძიებდა ამ საქმეს. ფიქრობდნენ, რომ ქმარს მიუძღოდა ბრალი, რადგან ლოთი და არაფრის მაქნისი სიძე მყავდა, მაგრამ ექსპერტიზამ თრომბოემბოლია ივარაუდა (სისხლის კოლტის გაჭედვა რომელიმე სისხლძარღვში) — თუმცა, ესეც მხოლოდ ვარაუდის დონეზე... მეორე, ვაჟი მყავდა და ვიღაც გარეწარმა, 21 წლის ასაკში მომიკლა. დამნაშავე დღემდე არ არის ცნობილი. აი, ასეთი უმძიმესი და ტრაგიკული ცხოვრება გამოვიარე...

— და მაინც, ყოველ წელს მოდიხართ და ყვავილების თაიგულით მის ხსოვნას მიაგებთ პატივს...

— დიახ. ოლიკოს წლისთავის წინა დღეს, 8 ივნისს კვლავ სიზმარი ვნახე. ჩემთან მოვიდა, ხელი ჩამჭიდა და იმ ადგილზე მიმიყვანა, საიდანაც წყალს მისცა თავი. ერთი ვარდი მომაწოდა და მაიძულა, წყალში გადამეგდო... მეორე დღეს, ასეც მოვიქეცი. ორი წლის თავზე, ისიც 8 ივნისს, ზუსტად იგივე დამესიზმრა, ოღონდ — ორი ვარდი გადამაგდებინა წყალში. ასე გრძელდება დღემდე. ყოველ 8 ივნისს, თითქოს პაემანი მაქვს დანიშნული ოლიკოსთან და წლიდან წლამდე, ვარდების რაოდენობა ერთით იზრდება. წელს 49 ვარდი გავატანე მდინარეს...

■

ვარეგულიროთ ალერგიის მომაბეზრებელი სიმპტომები

„სეზონური ალერგიის ფორმულა" და „ელერჯი ფაითერზ" დაგეხმარებათ ორგანიზმის ბუნებრივი ბალანსის აღდგენაში;





- ხსნის სეზონურად გამოწვეულ ალერგიულ სიმპტომებს;
- აჩერებს ცრემლდენას, რინიტს, ცემინებას, ქავილს;
- არ შეიცავს ეფედრინს, არ იწვევს მოთენთილობას.

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

„ნუტრიმენტ ჰაუსი", მის: დ. ალმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები: ყოველდღე კვირის გარდა 10.00 - 18.00
www.shopge.com

®



აზროვნებით გამორჩეული, ძალისმიერი ფეხბურთელი

მალე შოთა არველაძის თანაგუნდელი გახდება?

***ზურაბ ხიზანიშვილი** ერთ-ერთი წამყვანი ქართველი ფეხბურთელია. იმედია, მისი ოსტატობა მალე, ევროპაშიც ფართოდ ცნობილი გახდება. შოტლანდიის საფეხბურთო კლუბი „დანდი“ ნიჭიერი ქართველი სპორტსმენისთვის, ლამის პროვინციულ გუნდად იქცა, სადაც მისი ფართო შესაძლებლობებისა და ნიჭის გამოვლენა შეუძლებელი აღმოჩნდა და ცოტა ხანში, ზურა ახალ, უფრო ძლიერ კლუბში გადავა. ეს საკითხი საბოლოოდ, ალბათ ერთ თვეში გადაწყდება, მანამდე კი, მომქანცველი საფეხბურთო სეზონით დაღლილი ფეხბურთელი სამშობლოში იმყოფება და ახლობელი ადამიანების წრეში ისვენებს.*

ჯაბა ლეონიძე

— ზურა, თქვენ ფეხბურთში, ასე ვთქვათ, ქუჩიდან არ მოსულხართ, როგორც საერთოდ, ფეხბურთელთა უმრავლესობა: მამათქვენი — ნოდარ ხიზანიშვილი წლების მანძილზე, თბილისის „დინამოს“ წევრი იყო. იმ გუნდშიც თამაშობდა, 1981 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასი რომ მოიგო. მაშ, ზურა ხიზანიშვილი ფეხბურთში ოჯახიდან მოვიდა?

— ნაწილობრივ, ალბათ, ეგრეც არის. მამა, ჩემი აზრით, დიდი ფეხბურთელი იყო და ძალიან უნდოდა, მეც და ჩემი ძმაც, მის კვალს გავყოლოდით. ფეხბურთზეც მან მიგვიყვანა... ჩემი პირველი მწვრთნელი, გოჩა მგელაძე იყო „ნორჩ დინამოელში“, მერე „შევარდენში“ ზაზა დიდებაშვილი მწვრთნიდა, აქედან „ავაზაში“ ნუგზარ ჩიტაურთან მოვხვდი და ბოლოს, ისევ „დინამოში“, ვახტანგ კოპალეიშვილთან დავასრულე საფეხბურთო სიმაწვილე. არ შემეძლო, ეს ხალხი არ მეხსენებინა, მათ დიდი წვლილი შეიტანეს ფეხბურთელად ჩემს ჩამოყალიბებაში. მართალია, საფეხბურთო სკოლაში ვვარჯიშობდი მუდამ, მაგრამ ქუჩის ფეხბურთიც ჩვეულებრივი ამბავი იყო ჩემთვის. ვარჯიშს რომ დავასრულებდი, მივიდოდი შინ, ვისადილებდი და მერე, ეზოში ვაგრძელებდი ბურთაობას. ქუჩის ფეხბურთს თავისი ხიბლი და მნიშვნელობა მუდამ შერჩება.

— ალბათ, როგორ ამაყად დააბიჯებდით თანატოლებში, როგორც ნოდარ ხიზანიშვილის ვაჟი, თანაც მამის ნაქონი, ნამდვილი თბილისის „დინამოს“ 2-ნომრიანი მაისურით დამშვენებული...

— ბედის ნებიერი არასდროს ვყოფილვარ, არც მამაჩემის სახელითა და ავტორიტეტით მისარგებლია ოდესმე. კი, ბავშვობაში, შესაძლოა, გარკვეული შეღავათებით ვსარგებლობდით მე და ჩემი ძმა, როგორც ნოდარ ხიზანიშვილის ვაჟები; შესაძლოა, მცირე რამ დაუმსახურებლადაც მიგვიღია, მაგრამ ეს ყველაფერი ბავშვობასთან ერთად დასრულდა. მერე, რასაც მივაღწიეთ მე და გიამ, მხოლოდ საკუთარი შრომითა და ნიჭით, ცხადია, მამის მუდმივი რჩევებითა და თანადგომით.

— მამისგან რა ისწავლეთ, როგორც ფეხბურთელმა?

— მამა, უპირველესად, კაცობას, ადამიანობას, ხალხთან ურთიერთობას მასწავლიდა. ის ჩემს საფეხბურთო საქმეებში ნაკლებად ერეოდა, სავსებით ენდობოდა იმ მწვრთნელებს, რომელთაც მიბარებული ვყავდი. ერთხელ, მახსოვს, „ნორჩ დინამოელში“ მამა ჩემი თანატოლების ჯგუფს ავარჯიშებდა, მეც მასთან მოვხვდი. ისე ქნა, სხვა ჯგუფში გადამიყვანა: ზურა ჩემთან რომ იქნება, სხვების მიმართ ობიექტურობამ რომ მიღალატოს, ბავშვებს როგორღა შევხედო თვალებშიო?! — უთქვამს. სხვათა შორის, მამას არ დაუძალებია, გინდა თუ არა, ფეხბურთელი გამოდიო. მეტყოდა ხოლმე: გინდა ფეხბურთი ითამაშე და გინდა — ჭადრაკი, ოღონდ იცოდე, რა საქმესაც ხელს მოჰკიდებ, ბოლომდე უნდა უერთგულო და ამ საქმეში პირველი უნდა იყოო; მთავარია, ხალხს უყვარდე, ხალხისთვის გაისარჯო და დანარჩენი მეორე ხარისხოვანიაო.

— გიამ ახლახან დაანება ფეხბურთს თავი, ბოლოს თბილისის „მერანის“ ღირსებას იცავდა. რატომ ვერ ითამაშა მან დიდი ფეხბურთი?

— ბავშვობაში გია ჩემზე უკეთ თამაშობდა, ამას მამაჩემის მეგობრებიც აღიარებდნენ, მაგრამ ბოლოს ისე მოხდა, რომ დიდ ფეხბურთს მე შემოვრჩი. გიამ თავისი წილი ფეხბურთი მაინც ითამაშა, ახლა მწვრთნელთა სკოლა დაამთავრა. ცოდნის გაღრმავებასა და სწავლის გაგრძელებას კვლავაც აპირებს. ვფიქრობ, რიგიან საქმეს მოჰკიდა ხელი — ესმის და თანაც უყვარს.

— 1981 წლის 13 მაისი როგორ დაამახსოვრდა თქვენს ოჯახს? მართალია, მაშინ დაბადებულიც არ იყავით, მაგრამ შემდეგ, ალბათ ბევრს გიყვებოდნენ იმ დღის შესახებ...

— მაშინ დედაჩემი ფეხმძიმედ ყოფილა ჩემზე. ვიცი, რომ როცა „კარლ ცაისმა“ „დინამოს“ გოლი გაუტანა, დედას გული წასვლია, მალევე მოუსულიერებიათ... საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა

ვიტალის წარმატებები განსაკუთრებით გამახარებს, მამამისი — ვიტალი დარასელია ხომ ქართული ფეხბურთის სამყაროსთვის დიდ სიხარულსა და ტკივილს აერთიანებს...



— „დინამომ“ 2:1 მოიგო ის მატჩი და თასების თასსაც დაეუფლა. ის დღე ჩემთვისაც ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი და ლამაზი გამარჯვების დღეა. მამაჩემის თაობის „დინამო“ მართლაც დიდებული ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული და ასეთივე დიდებული მწვრთნელიც ჰყავდათ — ნოდარ ახალკაცი.

— დღევანდელ საქართველოს ნაკრებში, იმდროინდელი „დინამოს“ მოთამაშეთაგან ორის ვაჟიშვილი თამაშობს — თქვენ და ვიტალი დარასელია-უმცროსი...

— თანაც, ორივენი თბილისის „დინამოს“ გავლით მოვედით ნაკრებში, ვიტალი ხომ ახლაც „დინამოშია“. — ეს ნიშანდობლივი ფაქტია. ვისურვებ, ვიტკამ მყარად მოიკიდოს ფეხი ნაკრებში და ორივემ ჩვენს მამებზე არანაკლებ გამარჯვებას მივაღწიოთ. ვიტალის წარმატებები განსაკუთრებით გამახარებს, მამამისი — ვიტალი დარასელია ხომ ქართული ფეხბურთის სამყაროსთვის დიდ სიხარულსა და ტკივილს აერთიანებს...

— ირლანდიის ნაკრებთან წაგებულ მატჩზე რას იტყვით? ბევრი ფიქრობდა, რომ შეგეძლოთ ბრიტანელთა დამარცხება.

— ეს იმედი ხალხს რუსეთის ნაკრებთან გამარჯვებამ ჩაუსახა, არადა, მას შემდეგ ბევრი რამ ჩვენთვის უარესობისკენ შეიცვალა. რაც მთავარია, ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმირებული იყო, თანაც, ირლანდიელებს სტუმრად ვეთამაშებოდით. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსეთთან მატჩისწინა აღმფრენა აკლდა ამ მატჩს. თუმცა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ყველაფერი ძალზე პრიმიტიული ასახსნელი აღმოჩნდა — ჩვენ რამდენიმე მუტეველი შეცდომა დავუშვით, ცხადია, ეს შეცდომები არ გვაპატიეს ირლანდიელებმა და მოგვიგეს.

— ოჯახის დანარჩენ წევრებზე რას გვეტყვით?

— ჩემს ძმასა და მამაჩემზე უკვე გესაუბრეთ. დედაჩემი, ბაია, რა თქმა უნდა, ჩემი უპირველესი ქომაგია — დედის გულისა, ხომ მოგეხსენებათ... ტყუპი და მყავს — ნინო და მარი, 14 წლის. მუსიკით, ესტრადით უფრო არიან გატაცებულნი, მათაც ფეხბურთზე რომ დამიწყონ ლაპარაკი, ალბათ გადავირევი, თუმცა, ჩემი ხათრით, თავიანთ ოთახში ბექჰემის, რონალდოსა და სხვა ცნობილი ფეხბურთელების პლაკატები გამოუკრავთ მომღერლებისა და მსახიობების გვერდით. გიას პატარა გოგონა ჰყავს — ანი. ჯერჯერობით ის არის ოჯახში ჩემი ყველაზე პატარა ქომაგი.

— ქართული ფეხბურთის ვარსკვლავს, პოპულარულ ახალგაზრდას, თანაც მატერიალურად ყოველმხრივ უზრუნველყოფილს, როგორ არ გკითხოთ — ცოლის შერთვას არ აპირებთ?

— არა. ჯერ მხოლოდ 21 წლისა ვარ. რაღაც გეგმები მაქვს, მოვაგვარებ და მერე დავოჯახდები. თანაც, ამწუთას, ფეხბურთი ჩემი ყველაზე დიდი საზრუნავია.

— ზურა, რა მოგცათ ფეხბურთმა?

— ცოტ-ცოტა ყველაფერი. პოპულარობა, ჩემთვის ყველაზე ნაკლებღირებულია, რაც ფეხბურთისგან მიმიღია. არ ვთავმდაბლობ, ჩრდილში დგომა და საქმის კეთება მირჩევნია. მთავარია, მე რომ ვაფასებ, იმ რამდენიმე ადამიანმა შეაფასოს ჩემი საქმიანობა. ფეხბურთმა მომცა იმდენი შემოსავალი, ქართულ სინამდვილეში სოლიდური რომ ეთქმის. მიხარია, რომ ვახერხებ ჩემი გარშემომყოფი არაერთი შეჭირვებულისთვის ხელის გამართვას, საკუთარი თავის პატრონობასაც და ზოგიერთი სურვილის ასრულებასაც. დღევანდელ საქართველოში პურის ფული დაუყვედრებელი შრომით რომ შეგიძლია მოიპოვო, თუნდაც ამიტომ ღირს ფეხბურთელობა.

— რომელი ავტომანქანა გყავთ?

— საკუთარი მანქანა არ მყავს, შოტლანდიაში კლუბ „დანდის“ კუთვნილი „ჰონდა“ მყავდა, ცისფერი: კლუბის სპონსორი „ჰონდა“ იყო და მთელი გუნდი ამ მარკის მანქანებით დავდიოდით. ახლა, კლუბთან ჩემი კონტრაქტის ვადა რომ დასრულდა, ის „ჰონდა“, დანდიში დავტოვე. ახალ კლუბში რომ გადავალ, იქ მომცემენ მანქანას. საკუთარი მანქანა არ მჭირდება, ხომ გითხარით, წლის განმავლობაში 1 თვე მიწევს თბილისში ყოფნა და რომც ვიყიდო, სულ გარაჟში უნდა იდგეს. აქ, როცა მანქანა მჭირდება — მამაჩემისა და ჩემი ძმის, აგრეთვე, მეგობრების მანქანებით ვსარგებლობ.

— სპეციალისტები დიდ მომავალს გიწინასწარმეტყველებენ — არც მეტი, არც ნაკლები, ბევრი ამტკიცებს ჩვენშიც და უცხოეთშიც, 2-3 წელიწადში ზურაბ ხიზანიშვილი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იქნებაო. ზოგიერთები კი ერთგვარი განმარტების სახით მხოლოდ ამას ამბობენ: ხიზანა მოაზროვნე და ინტელექტუალურ მცველთა კატეგორიას ეკუთვნის და არა ისეთებს, მხოლოდ ხისტი და ძალისმიერი თამაშით რომ გამოირჩევიანო. ეთანხმებით თქვენ ქომაგებისა და კეთილის მსურველ სპეციალისტთა ამ მოსაზრებას?

— მადლობის მეტი რა მეთქმის იმ ხალხის მიმართ, ვინც მოაზროვნესა და ჭკვიანს მიწოდებს?! ვეცდები, გავამართლო მათი იმედები, თუმცა, იმდენად ხისტია თანამედროვე ფეხბურთი, ტვინიც რომ გჟონავდეს თავიდან, სრულყოფილი ფიზიკური მომზადების გარეშე შორს ვერ წახვალ.

— ზურა, რატომ გაჯანჯღლდა რომელიმე ახალ კლუბში თქვენი გადასვლა? ჯერ იყო და, თითქოს „მილანი“, „ლაციო“, „ინტერი“, „ევერტონი“, „ტოტენჰემი“ და „რეინჯერსი“ ეცილებოდნენ ერთმანეთს თქვენს თავს. მალე საზაფხულო სატრანსფერო სეზონი იწყება, „დანდი“ უკვე დატოვეთ, მაგრამ ჯერ გაურკვეველია სად ითამაშებთ. მაინც, საით უფრო გიწევთ გული?

— მე რომ გული მიწევს, იმ გუნდში ამ ეტაპზე ვერ გადავალ. უგუნდოდ კი, ნამდვილად არ დავრჩები. გლაზგოს „რეინჯერსს“ უკვე მომზადებული აქვს ჩემთვის კონტრაქტი, ჩემი ხელმოწერაღა აკლია და 3 წლით ამ კლუბის საკუთრება და შოთა არველაძის თანაგუნდელი გავხდები. თუმცა, არ ვჩქარობ კონტრაქტზე ხელის მოწერას, მე და ჩემი მენეჯერი — ათოლ სტილი ჯერ კიდევ რაღაც დეტალებზე ვაგრძელებთ მოლაპარაკებას „რეინჯერსის“ მენეჯერებთან. იმედი მაქვს, შევთანხმდებით და ყველაფერი კარგად დასრულდება. ისე, შოტლანდიურ პრესას და „რეინჯერსის“ ინტერნეტ-საიტს რომ გაეცნოთ, ისინი უკვე „რეინჯერსის“ ახალ შენაძენად მთვლიან. 25 ივნისს ბრიტანეთში სატრანსფერო სეზონი გაიხსნება და მერე ყველაფერი გაირკვევა. ისე, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „რეინჯერსში“ გადავალ. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:



1. ქრთილი შემოდგომის ქარია.
2. ტომბახი იგივეა, რაც მაღარიჩი.
3. ახალ, წენგოგაცლილ საღ კაკალს ჯრუზა ჰქვია.

[illegible] ისევე ეღიტინებათ, როგორც [illegible]

[illegible]ს ზოგიერთი ტროპიკული [illegible]ლადმშობია.

[illegible] მიკი რურკი ახალგაზრ[illegible]ად მუშაობდა პლაჟზე. [illegible]სვასტიკა“ ირანული წარ[illegible] „კეთილ საწყისს“ ნიშნავს.

[illegible] „[illegible]ერს ჯარის გაწყობა, ბევრი რამ უნდა დაიკლოს“, — ღაღადებს ადიღეური აფორიზმი.

9. სიტყვა „კომპოტი“ ლათინური „კომპოსიტასგან“ მომდინარეობს, რაც რთულს, შედგენილს ნიშნავს.

10. პირშუშხას (რუსები მას „ხრენს“ ეძახიან) სამშობლო საფრანგეთის პროვინცია — ბრეტანია. ითვლება, რომ იმ თვეებშია იგი განსაკუთრებით გემრიელი, რომლის სახელწოდებაშიც ასო „რ“ ურევია.

11. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს ჩრდილოეთამერიკელი ინდიელების საკვებს — პემიკანს, რომელიც შეიცავს გამხმარი ხორცის, ქონის და სხვადასხვა ხილის წვენისგან დამზადებულ პასტას. ეს არის მაღალკალორიული პროდუქტი, რომელშიც რაციონალურად არის შეზავებული ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები და ვიტამინები. დიეტოლოგები სწორედ ამ საკვებს უწევენ რეკომენდაციას კოსმონავტების საკვებად.

12. გინესის რეკორდების წიგნში არის სტატია „საფლავების თხრა“, სადაც მოთხრობილია, რომ ოლდენბურგელმა (გერმანია) მესაფლავემ, იოჰან ჰაინრიხ კარლ ტილიმ, 50 წლის მანძილზე, 23311 საფლავი გათხარა. 1826 წელს, მისმა მემკვიდრემ თავად მას გაუთხარა საფლავი.

13. ძველ სპარტაში არსებობდა არჩევითი თანამდებობა ჩინოვნიკისა, რომელსაც ევალებოდა, დამთვრალიყო და ასე ევლო ქალაქის ქუჩებში. ეს იყო მაგალითი ახალგაზრდებისათვის, თუ როგორი საშინელებაა ლოთობა და რა უსუსურია ლოთი ადამიანი.

14. ბერძნული ქორო (გუნდი) სიმღერის დროს ასრულებდა მოძრაობებს. ყოველ მოძრაობას სიმღერის გარკვეული მონაკვეთი შეესაბამებოდა. ამ საცეკვაო მოძრაობებს სტროფები ერქვა.

15. ალექსანდრე დიუმა-უმცროსის ლექსზე შექმნილი სიმღერისათვის — „ტყვე ჩიტუნა“, კომპოზიტორ ალფრედ დანიეს, ცხ-

არამყითხე მოამბე და „ჰაფლოსანი ქურდი“

ავთო მარგველაშვილი

გოჩას ცხოვრებაში არაფერი მოუპარავს, არც არასოდეს უფიქრია, სხვისი რამ დაუკითხავად აეღო, უკანონოდ მიეთვისებინა, მაგრამ უიღბლობის გამო არაერთხელ მოხვედრილა მილიციაში სწორედ ქურდობის ბრალდებით.

ჯერ კიდევ რიგითი ლაბორანტი იყო, როცა პირველად დაიჭირეს. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ სამსახურიდან მეტროთი მიმავალმა შეამჩნია, თუ როგორ გაუხსნა ახალგაზრდა კაცმა ვიღაც ქალბატონს ჩანთა და საფულე ამოაცალა. გოჩა იქვე იდგა, ამიტომ ჯიბგირს ხელში სწვდა, საფულე გამოსტაცა და რომ არ დაეჭირათ, თვალით ანიშნა — წადიო. ისიც უცებ გაუჩინარდა. ქალს რომ არ შეშინებოდა, გოჩამ გადაწყვიტა, შეუმჩნევლად ჩაედო საფულე მის ჩანთაში, მაგრამ ასეთი გამოცდილება საიდან ექნებოდა?! ჰოდა, ქალმაც იგრძნო სხვისი ხელი მის ჩანთაში და იყვირა: მიშველეთ, მქურდავენო!.. აღშფოთებულმა მგზავრებმაც მილიციას ჩააბარეს „საზოგადოების ხორცმეტი“.

— ყველანი ერთი და იმავე სიმღერას მღერით დაკითხვაზე: სხვა იპარავდა, მე კი დაბრუნება მინდოდაო, — ჩაიცინა გამომძიებელმა და ოქმს ხელი მოაწერა. მოწმეებმაც ჩვენება მისცეს და საქმეც აღიძრა, მაგრამ უმწიკვლო წარსულის, მნიშვნელოვან აღმოჩენაზე მუშაობისა და სამსახურის დადებითი დახასიათების წყალობით, პირობითი სასჯელი აკმარეს და გამოუშვეს.

— ახია ჩემზე! რატომ შევიცოდე ის ჯიბგირი?! უნდა მეყვირა და ყველა დაინახავდა, ვინ იყო ქურდი — ამბობდა გამწარებული, საწყალი გოჩა.

რამდენიმე წლის შემდეგ, უკვე უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი გოჩა ტროლეიბუსით მგზავრობისას ისეთივე ფაქტის თვითმხილველი გახდა: ახალგაზრდა ბიჭი დედისტოლა ქალს ღიმილით ესაუბრებოდა; არც ლაპარაკი შეუწყვეტია და არც თვალი მოუშორებია, ისე გაუხსნა მხარზე გადაკიდებული ჩანთა, იქიდან 25-მანეთიანი ამოაძვრინა და ხელი ნელა წაიღო ჯიბისკენ. გოჩამ წინა შეცდომა გაითვალისწინა და თამამად სწვდა ბიჭს ხელში.

— მომეცი, ფული, თორემ წიწილასავით დაგახრჩობ! — ყვიროდა გოჩა.

— ხელი გაუშვი ფულს, შე ახვარო! ნახეთ, რეებს ბედავ ეს გარეწარი! — პოზიციას არ თმობდა ჯიბგირი.

— მიშველეთ, მქურდავენ! — იკივლა ქალმა და რამდენიმე წუთში, გოჩა და ტკბილად მოსაუბრე წყვილი გამომძიებლის კაბინეტში განაგრძობდნენ საამო საუბარს.

— ეს ბიჭი ქალს ღიმილით ელაპარაკებოდა, თან ჩანთა გაუხსნა და ფული ამოაცალა. მე ვეცი, რომ ფული პატრონისთვის დამებრუნებინა, — თავს იმართლებდა გოჩა.

— ტყუის, ამხანაგო გამომძიებელო! — აკაკანდა ქალი. — ეს ჩემი შვილია. სამსახურში მომაკითხა, შინ ერთად წავიდეთო. ტროლეიბუსში რომ ავედით, მითხრა: თანაკურსელის დაბადების დღეზე ვარ დაპატიჟებული და ფული მჭირდებაო. მე ხელი ტროლეიბუსის სახელურზე მეჭირა. ამიტომ ვუთხარი: ჩანთაში მიდევს და ამოიღე-მეთქი... ეს უსინდისო ჯიბგირი კი, — გოჩაზე მიუთითა, — გვეცა და ფულის წართმევა მოინდომა. ვეღარ გვიცხოვრია ასეთების შიშით! — არ ცხრებო-

და ქალი.

გამოძიებამ გოჩას დოსიე ამოქექა და, რა თქმა უნდა, აღმოაჩინა, რომ იგი უკვე ნასამართლევიც კი იყო ჯიბის ქურდობისათვის. საქმე ისევ აღიძრა და საცოდავ არამკითხე „სამართალდამცავს“ მამაპაპისეული სახლის გაყიდვაც კი მოუხდა, რომ „უქრთამო ქვეყნის“ მოსამართლე მოესყიდა და ციხეს გადარჩენოდა.

იმ დღიდან, კაციც რომ მოეკლა ვინმეს მის თვალწინ, კრინტსაც არ დაძრავდა, გადაბიჯებდა და გზას გააგრძელებდა – ასე გადაწყვიტა გოჩამ და შეასრულა კიდეც. როგორც იქნა, მშვიდად ცხოვრება დაიწყო, დაოჯახდა და სხვისი ბედით აღარ ინტერესდებოდა.

გავიდა რამდენიმე წელი და ორჯერ ნასამართლევი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი სამსახურიდან შინ საკუთარი თეთრი „ვაზ-2106“-ით ბრუნდებოდა. შვილებს ცხელ შოთის პურს მივუტანო, – გაიფიქრა და მანქანა თონესთან გააჩერა. გასაღები არც გამოუძვრია, რადგან თონის სარკმელი ერთ ნაბიჯზე იყო. ურიგოდ შეძვრა, პური იყიდა, უკანვე ჩავჯდა და გეზი სახლისკენ აიღო.

– ეს ბენზინი ასე მალე რამ გამოცალა? – გაუკვირდა გოჩას, როცა წითლად მოციმციმე „დატჩიკს“ დახედა... – შენ მაინც რა მოგივიდა, რატომ არ ვარდები მეოთხეში?! – გადაცემათა კოლოფსაც გაუწყრა და როგორც იქნა, სახლამდე მიაღწია. მანქანა გარაჟში შეიყვანა, სამი ბოქლომი საგულდაგულოდ დაკეტა და ოჯახურ იდილიაში „შეცურა“...

შუაღამე იყო, როცა პატიოსანი შრომით დაღლილი და ღრმა ძილში მყოფი ოჯახის კარზე ზარის ხმა გაისმა. გოჩა კარს მიუახლოვდა და – ვინ არისო? – იკითხა.

– მოქალაქე გოჩა ... აქ ცხოვრობს? – გაისმა ვიღაცის მკაცრი ხმა.

– დიახ.

– კარი გააღეთ, პოლიციიდან ვართ!..

კარი გააღო თუ არა, ბინაში რამდენიმე პოლიციელი შევარდა, მასპინძელს ხელები გადაუგრიხა და განუცხადა, რომ ის ავტომობილის გატაცებაში იყო ეჭვმიტანილი.

– რა ავტომობილი, რის გატაცება?!. – გაეცინა გოჩას.

– სად არის თეთრი „06“, სახელმწიფო ნომრით ...? – ჩაეძია პოლიციელი.

– მე რა ვიცი, ძმაო?! მე ჩემი „06“ მყავს, რომელსაც ახლა გარაჟში „სძინავს“, – საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული კაცის ტონით უპასუხა გოჩამ. მერე პოლიციელებს გარაჟისაკენ გაუძღვა, კარი გააღო და – ჰოი, საოცრებავ!.. გარაჟში სხვისი მანქანა იდგა!..

– გეგონა, ვერ მოგაგნებდით, არა? შენი მანქანა რომ თონესთან დატოვე, რა გეგონა?! ვერ გამოგვაპარე!.. – თქვა საკუთარი კრიმინალური ალღოთი აღფრთოვანებულმა თბილისელმა „შერლოკ ჰოლმსმა“.

– კი, მაგრამ ეს მანქანა ვისია? – იკითხა გოჩამ.

– ვისია და ჩემია! – შეუღრინა და სიმწრის ოფლი მოიწმინდა პოლიციელებთან ერთად მოსულმა ოქროსკბილებიანმა კაცმა...

მიუხედავად იმისა, რომ გოჩას მიერ „გატაცებული“ მანქანა მისაზე ბევრად უფრო ძველი და „დანჯღრეული“ იყო, სისხლის სამართლის საქმე ავტომანქანის გატაცების მუხლით მაინც აღიძრა, რადგან ეჭვმიტანილი ადრე, უკვე ორჯერ იყო ნასამართლევი ქურდობისთვის...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

ოველთა დაცვის საზოგადოებამ მედალი მიანიჭა.

16. ფულის ბევრი ერთეული თავის სახელწოდებას ადამიანების ან ქვეყნების სახელწოდების მიხედვით იღებდა. მაგალითად, ოქრო, რომლისგანაც 21-შილინგიანი მონეტების მოჭრა დაიწყეს, ინგლისში გვინეიდან შეჰქონდათ. ფულსაც შესაბამისად გინეა ეწოდა.

17. „დიდი უბედურებანი დიდხანს არ გასტანს, მცირენი ხომ ყურადღების ღირსიც არ არის“, – ამბობდა ეპიკურე.

18. ღამის პეპლებს ყური წელის არეში აქვთ განთავსებული. ეს არის პატარა ჩაღრმავება, რომელიც გარედან დაფარულია თხელი აპკით, შიგნით კი, სამი მიკროსკოპიული ნერვული უჯრედია მოთავსებული.

19. თალგამს ძველი ბერძნები მხოლოდ მონებს აჭმევდნენ. იმპერატორ ტიბერიუსს კი ისე უყვარდა თალგამი, რომ რაინისპირა პროვინციებიდან ხარკს ამ მცენარის სახით იღებდა. თალგამი კარტოფილის შემოსვლამდე, ევროპის მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის ძირითადი საკვები იყო.

20. რომში, წმინდა პეტრეს ტაძარში 52 ალპინისტი მუშაობს. მათ ამ უზარმაზარი შენობის გასუფთავება ევალებათ. „ჩვენ ცხვირებს ვწმენდთ ანგელოზებს“ – ხუმრობენ ისინი.

21. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ლუი დე ფიუნესის ოჯახი ძალზედ ხელმოკლედ ცხოვრობდა. ხშირად შიმშილობდნენ. ერთხელ, მათ[illegible] ყასაბს წაექცა ველოსიპ[illegible] უზარმაზარი კალათა ჰ[illegible] კალათიდან ორი მოზრ[illegible] ცი გადმოვარდა. ყასაბ[illegible] შენიშნა, ველოსიპედი [illegible] განაგრძო. ლუი დე ფ[illegible] გადაჭრა ქუჩა და ნა[illegible] ძაღლს ცხვირწინ აა[illegible]

22. კოტე მახარაძის სპ[illegible] ნი“ სამსაათ-ნახევარი გ[illegible] ჭავჭავაძე“ – ორსაათ-.ნახევარი, „აკაკი წერეთელი“ – ორი საათი და თხუთმეტი წუთი. ამხელა ტექსტის კითხვისას, მას არც სუფლიორი ჰყავდა და არც პარტნიორი, რეპლიკა რომ მიეწოდებინა.

■

ეროვნულმა თამაშმა ქნარსაოლმა თამეშავეს ხელოვნებისა გამაჭაოთ

ერთ ინტერვიუში შეუძლებელია ირმა სოხაძის პიროვნება ამოწურო; ჯერ კიდევ სულ პატარა გოგონას სახელი საქართველოს საზღვრებს გასცდა და ირმა სოხაძე ადამიანთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. მერე, მუსიკალური ათწლედის დამთავრების შემდეგ, სწავლა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გააგრძელა, პარალელურად კვარტეტ „თბილისშიც“ მღეროდა და მოგვიანებით საქართველოს ტელევიზიაშიც დაიწყო მუშაობა. შემდეგ ირმა სოხაძე გიტარით ხელში საქართველოს სოფლებისა და ქალაქების კლუბებსა და დარბაზებში ცდილობდა საკუთარ თავში მუსიკოსის გადარჩენას, იყო მარათონები, ბრძოლა ლეიკოზითა და გულის მანკით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად... ერთი ადამიანისთვის იქნებ ბევრიცაა, თუმცა ქალბატონი ირმა მომავლით ცხოვრობს და მეტის გაკეთებას აპირებს.

ლელა ჭანკოტაძე

— ტელევიზია ჩემთვის მხოლოდ სამსახური არ არის. ის ჩემი მეორე ოჯახია. კონსერვატორია 1979 წელს დავამთავრე. რამდენიმე თვეში, 1980 წლის მარტში მოვედი ტელევიზიაში და უკვე 23 წელია აქ ვარ. ამიტომ გული ძალიან მტკივა, როცა ჩემს მშობლიურ არხზე რაღაც ისე არ არის, როგორც საჭიროა. ბევრი სატელევიზიო არხი გაიხსნა, მაგრამ არსად წასვლას არ ვაპირებ. ბოლომდე მინდა, რომ „პირველ არხზე“ დავრჩე. „ბენეფისი ოქტაგონზე“ საკმაოდ რთული გადაცემაა. გარდა სურვილისა და თანხებისა, მთავარი მაინც პროფესიონალიზმია. აუცილებელია, რომ ამ გადაცემის წამყვანი, მუსიკოსი იყოს. თანაც საკმაოდ ძვირად ღირებული პროექტია. რასაც ტელევიზია გვიხდის, იმის ნახევარი განათებასა და გახმოვანებას სჭირდება. პირდაპირ ეთერში მინი სოლო კონცერტი ტარდება. ხმაც და გამოსახულებაც თანამედროვე სტანდარტს უნდა პასუხობდეს, ჩვენს ტელევიზიას კი საკმაოდ მოძველებული განათება და გასახმოვანებელი აპარატურა აქვს.

— იმ მომღერლებიდან, ვისი ბენეფისიც მოაწყვეთ, ვინმეს ხომ არ გამოარჩევდით?

— დიდი სიამაყით გეტყვით, რომ ბევრი ნიჭიერი მომღერალი გვყავს. „ოქტაგონის“ დღევანდელ საეთერო სეზონში განსაკუთრებით გამოვარჩევდი ნინო ქათამაძეს, ძალიან ნიჭიერია. ბუნებაზე შეყვარებული და უზომოდ ხალასია. ძალიან მომწონს ნეკა სებისკვერაძე. შესანიშნავად გაართვეს თავი საქმეს თიკა ჯამბურიამ და სალომე გასვიანმა.

ნახევარი თბილისი ძალიან მოწადინებული იყო, რომ ჩვენ ერთად არ ვყოფილიყავით

— „არტ-იმედთან“ როგორი ურთიერთობა გაქვთ? თქვენს გადაცემაში „არტ-იმედის“ მომღერლები როდის მიიღებენ მონაწილეობას?

— მარტო ჩემს გადაცემაზე ნუ ვილაპარაკებთ. „პირველი არხის“ სხვა გადაცემებშიც გარკვეული პრობლემები გვქონდა, მაგრამ „არტ-იმედთან“ და არა იმ მომღერლებთან, რომლებიც იქ არიან გაერთიანებულები. თუმცა ვფიქრობ, რომ ურთიერთობები მოგვარდება.

— თქვენი ოჯახის შესახებ საუბარი იქიდან დავიწყოთ, როცა ბატონი რეზო გაიცანით და დაოჯახება გადაწყვიტეთ.

— ოცდარვა წლის წინ გავთხოვდი. პირველი კურსი რომ დავამთავრე, რეზოს გავყევი. ეს 1975 წელს მოხდა.

— ბავშვობიდან ძალიან პოპულარულმა ირმა სოხაძემ არჩევანი რატომ შეაჩერა რეზო ასათიანზე?

— რეზოც ძალიან პოპულარული იყო. ის კვარტეტ „თბილისის“ ხელმძღვანელი გახლდათ. არც რეზოს და არც მე, პოპულარობა არ გვაკლდა. პირველ რიგში, რეზო იმ ნიშნით მომეწონა, რომ მიუხედავად პოპულარობისა, ის გათამამებული არ იყო. მე გათამამებული ადამიანები არ მიყვარდა (არც ახლა მიყვარს). რეზო მართლა კარგი ადამიანია. რაც ასაკი გვემატება და დრო გადის, ვხვდები, როგორ გამიმართლა, თავის დროზე რეზოს რომ შევხვდი.

— თქვენს თაობას კარგად ახსოვს ის პერიოდი, როცა ერთად მღეროდით...

— თავიდან რეზო მეუბნებოდა: არ იმღერებო. მერე მიხვდა, რომ ძალიან ცოდო ვიქნებოდი, შინ თუ დამსვამდა და არ მამღერებდა. თავიდან ავაღორძინეთ კვარტეტი „თბილისი“ და ერთად ნახევარი მსოფ-

ლიო მოვიარეთ. არაჩვეულებრივად მახსენდება ჩვენი ერთად ყოფნის პირველი შვიდი წელი. შემდეგ რეზომ მითხრა: თავს ვანებებ ესტრადას, სიმღერა უჩემოდ გააგრძელეო. დაამთავრა ასპირანტურა, აქვს თავისი გამოგონება. ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიაც კი მიიღო. ერთი სიტყვით, სწორად მოიქცა. თუმცა მაშინ ბევრს ვჩხუბობდით იმის გამო, რომ ესტრადაზე მარტო დამტოვა. სოლო რეპერტუარი არ მქონდა. მძიმე პერიოდი დამიდგა. თუმცა, საბოლოოდ, ეს ყველაფერი ჩემს სასიკეთოდ მოხდა, თანაც მაშინ უკვე საქართველოს ტელევიზიაში ვმუშაობდი და საქმეც საკმაოდ მქონდა.

— როგორი იყო სახელმწიფო ტელევიზიაში გატარებული პირველი პერიოდი?

— თავიდან ძალიან პატარა საავტორო პროგრამა მქონდა. შემდეგ ტელევიზიასთან არსებული საბავშვო თეატრი ჩამოვაყალიბე. ეს იყო პირველი საბავშვო მუსიკალური თეატრი თბილისში, რომელმაც შემდეგ, რამდენიმე წელი არსებობა ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ გააგრძელა (როცა დავბერდები, ამ თეატრს აუცილებლად ავაღორძინებ). თეატრს ბევრი დრო და ენერგია მიჰქონდა. ფაქტობრივად, არ ვმღეროდი, ჩემს თავზე ველარ ვმუშაობდი. მეგობრებმა, ახლობლებმა, დედამ მირჩიეს: ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ იმისთვის, რომ მხოლოდ პედაგოგიური მუშაობით შემოიფარგლო. გავითვალისწინე მათი რჩევა. გიტარას ხელი მოვკიდე და დავიწყე მოგზაურობა საქართველოს მასშტაბით. ყოველ ზაფხულს 50-მდე კონცერტს ვმართავდი. ფაქტობრივად, მაშინ გავხდი პროფესიონალი მომღერალი, ჩემი სტილი ჩამომიყალიბდა. ასე გადავარჩინე არეულობისა და გაჭირვების წლებში საკუთარი თავი (გახსოვთ ალბათ, გაყინულ ფილარმონიაში მომღერლები ჩექმებსა და პალტოებში გამოწყობილნი რომ ვმღეროდით).

— თქვენ ერთ-ერთმა პირველმა შეიცვალეთ იმიჯი. ეკრანზე მოულოდნელად გამოჩნდით ლამაზი კაბით, განსხვავებული ვარცხნილობით, კარგი მაკიაჟით. რის შემდეგ და როგორ მოხდა თქვენი ასეთი გარდასახვა?

— ცხვირი არ მომიჭრია, არაფრის პლასტიკა არ გამიკეთებია და პარიკი არ დამიხურავს *(იცინის)*... უბრალოდ, იმ წლებში, როცა საქველმოქმედო ტელემარათონებს ვაკეთებდი, ქვეყანაში ისეთი გაჭირვება იყო, არ მქონდა არც სურვილი და არც მორალური უფლება, უზადო მაკიაჟითა და საღამოს კაბით გავსულიყავი მაყურებლის წინაშე. ახლაც უამრავი გაჭირვებული ადამიანია, მაგრამ ქვეყანა იმ ჯურღმულიდან ამოვიდა. ამის არდანახვა შეუძლებელია. რა თქმა უნდა, უამრავი რამ კიდევ მოსაგვარებელია, არ შეიძლება, ადამიანი ბედის ანაბარად მიაგდონ და მას 14 ლარი პენსია დაუნიშნონ. უკიდურეს სიღუხჭირეში ცხოვრობს მოსახლეობის არცთუ ისე მცირე ნაწილი, მაგრამ ზოგადად გარკვეული ძვრები

ვგრძნობდი, რომ ცხოვრების ინტერესი მეკარგებოდა. საშინლად გამოვიყურებოდი. სარკესთან მისვლა არ მინდოდა. მოხუცი, ნაოჭებიანი, საცოდავი ქალის სახე მქონდა...

რომ ხდება, ფაქტია. ამიტომ აღარ მაქვს უფლება, სცენაზე ჩემი ხელით დავარცხნილი თმით გავიდე. ისიც ფაქტია, რომ შოუბიზნესი ვითარდება. უკვე სერიოზულად ვფიქრობ ჩემს იმიჯზე. ჩემი იმიჯმეიკერი თავად ვარ და ჩემი ქალიშვილიც ძალიან მეხმარება. ყოველი გადაცემის დროს ვცდილობ იმის შესაბამისად ჩავიცვა, თუ ვინ მყავს სტუმრად მოწვეული. ჩვენ შესანიშნავი დიზაინერები გვყავს, მაგრამ ყოველ შაბათ-კვირას მათთან სიარულს, ვარჩიე ჩემს გემოვნებას დავეყრდნო.

— თქვენი ქალიშვილები რას საქმიანობენ?

— ჩემი უმცროსი გოგონა ნატა, ჯერ ჩვიდმეტი წლის არის. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია. ამავე დროს „რადიო 106“-ის დიჯეი გახლავთ. მიხარია, რომ ძალიან გონებაგახსნილი ბავშვია. უფროსმა ქალიშვილმა სალომემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინომცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა. შემდეგ ბრაიტონში (ინგლისი) დაიცვა მაგისტრის ხარისხი. შემდეგ ბუდაპეშტში გაიარა მაგისტრატურა. ახლაც ბუდაპეშტის ცენტრალურ-ევროპულ უნივერსიტეტში მუშაობს სადოქტორო დისერტაციაზე. სიძე ალბანელი მყავს. ადრიანი ჰქვია. თავიდან ცოტა ვღელავდით, მაგრამ რომ გავიცანით, დავრწმუნდით, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ეროვნებას. მთავარია, ადამიანი იყოს. ადრიანი ინტელექტუალია, არაჩვეულებრივი ბიჭია. აქ ჩამოსვლამდე ხუთი ენა იცოდა. ქართული სამ თვეში ისწავლა.

— სიმღერის ნიჭი თუ აქვთ თქვენს ქალიშვილებს?

— სახლის პირობებში ორივე სიმპათიურად მღერის. რომ მომეკლა თავი და მეწვალა, ისეთ მომღერლებს გამოვიყვანდი, რომ ჩვენს ესტრადას ნამდვილად ვერ დაამახინჯებდნენ. მაგრამ საბედნიეროდ, ამის სურვილი არც ერთს არ ჰქონდა.

— ალბათ, როგორც ყველა ოჯახში, პრობლემები თქვენს ოჯახშიცაა...

— პრობლემებს ძალიან იოლად ვძლევთ იუმორისა და კეთილი განწყობილების მეშვეობით. თორემ პრობლემების მეტი რა ყოფილა — თანაც იმ პერიოდში, როცა გიტარას ხელი მოვკიდე და რაიონებში სიარული დავიწყე. ეს იცით, როგორი დეპრესიის წლები იყო?! რეზო კურორტების მართვის სამმართველოს უფროსი იყო მშენებლობის დარგში, მაგრამ ფაქტობრივად უმუშევარი გახლდათ. მაშინ არაფერი შენდებოდა. პირიქით, ქვეყანა ინგრეოდა. მე ვგრძნობდი, რომ ცხოვრების ინტერესი მეკარგებოდა. საშინლად გამოვიყურებოდი. სარკესთან მისვლა არ მინდოდა. მოხუცი, ნაოჭებიანი, საცოდავი ქალის სახე მქონდა. მეგონა, რომ ყველაფერი წავიდა და უკეთესი აღარაფერი იქნებოდა. ოჯახი

ეგოიზმი ნიშნავს არა იმას, რომ იცხოვრო ისე, როგორც გსურს, არამედ იმას, რომ სხვებმა იცხოვრონ ისე, როგორც შენ გსურს.

ოსკარ უაილდი

ფრაზები გენიალური

სიძე ალბანელი მყავს. ადრიანი ჰქვია

ოჯახს აღარ ჰგავდა და სამსახური — სამსახურს. ბოლოს, თვითონ გამოვიყვანე ჩემი თავი ამ მდგომარეობიდან და ყოველგვარი წამლებისა და ფსიქოთერაპევტების გარეშე დავძლიე დეპრესია.

— გაიხსენეთ ყველაზე მტკივნეული ჭორი თქვენს ცხოვრებაში. როგორ ახერხებდით ჭორებთან და იმ მითქმა-მოთქმასთან გამკლავებას, რაც ცნობილი ადამიანების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია?

— იყო ერთი ჭორი, რომლის გახსენება ნამდვილად აღარ მინდა, ძალიან გულსატკენი და ძნელად მოსანელებელი ჭორი იყო. ჭორები შემდეგაც ვრცელდებოდა, მე და რეზოს წელიწადში თხუთმეტჯერ გვაშორებდნენ. ნახევარი თბილისი ძალიან მოწადინებული იყო, რომ ჩვენ ერთად არ ვყოფილიყავით. ამ ბოლო დროს, საბედნიეროდ, თავი დაგვანებეს.

— თქვენი მხრიდან ეჭვიანობას ხომ არ ჰქონია ადგილი?

— ნამდვილად არა. რაც შეეხება რეზოს, როგორც ყველა ქართველი მამაკაცი, ცოტას ეჭვიანობდა. რომ მეკითხებით: ახლა უფრო კარგად რატომ გაცვიათო? — უწინ რეზოს ბევრი რამ არ სიამოვნებდა, შარვალი და მოკლე კაბა არ უყვარდა. ახლა სრული თავისუფლება მაქვს. რაღაც მიულებელი რომ ჩავიცვა, ალბათ, მეტყვის რომ არ მოსწონს. ასე რომ, ასაკთან ერთად ცხოვრება ჩემთვის ძალიან იოლი გახდა.

— აკრძალვებს იოლად ეგუებოდით?

— ჩემი ხასიათის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება ალბათ სწორედ ის არის, რომ ნებისმიერი პრობლემა შემიძლია, ძალიან შევამსუბუქო. ვერ ვიტან გაზვიადებას. ბუზის სპილოდ გადაქცევა ნამდვილად არ მიყვარს. მეცოდებიან ის ადამიანები, ვისაც ეს თვისება აქვს და ამის გამო, თავსაც ითრგუნავენ და გარშემომყოფთაც აწუხებენ. ცხოვრება ისედაც საკმაოდ რთულია. უნდა ვეცადოთ, რომ გავამარტივოთ.

— ქვეყანაში წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. ყველანი ზედმეტად პოლიტიზებულები ვართ. თქვენი აზრით, რა დოზით უნდა შეეხოს მომღერალი და შემოქმედი პოლიტიკას და პირიქით?

— წინა არჩევნების პერიოდში, ბევრმა მომღერალმა მივიღეთ „მოქალაქეთა“ მხარდასაჭერ აქციაში მონაწილეობა, რადგან დავთანხმდით, გვემღერა „გიხაროდენ“. ამის შემდეგ, ბევრმა პატივცემულმა ქალბატონმა დამირეკა და მითხრა: შენ რომ იქ იდექი, შენ გენდეთ და ამიტომ მივეცით ხმაო. ეს ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა. მომღერლებს და მსახიობებს გარკვეული ავტორიტეტი გვაქვს. უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ავტორიტეტს და მოსახლეობა შეცდომაში არ უნდა შევიყვანოთ. თანაც, კარგად თვითონაც არ გვაქვს გაცნობიერებული, თუ მხარს ვის ვუჭერთ. მე ნამდვილად არ ვიცი, რომელ პოლიტიკურ პარტიას უნდა ვენდო. ხშირად მთავაზობენ, გვერდით დავუდგე ამა თუ იმ პარტიას; რამდენიმე პარტიამ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაც კი შემომთავაზა. ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ნამდვილად არ ვაპირებ. მაგრამ მომდევნო პარლამენტში შეიძლება, მართლაც ვიყარო კენჭი და თუ ეს მოხდა, მინდა ვიბრძოლო 14-ლარიანი პენსიის წინააღმდეგ. ყველაფერს გავაკეთებ ბავშვების უფლებების დასაცავად. ისინი უკეთეს ცხოვრებას ნამდვილად იმსახურებენ... ■

პროექტი „ქართული სახლი“ წარმოგიდგენთ კონკურსს „ქართული დიზაინი“

კონკურსი ცხადდება საყოფაცხოვრებო ნივთების დიზაინზე და მისი კულტურული მემკვიდრეობის ბუნებრივი პროცესის აღდგენა, ტრადიციული დიზაინის შემოქმედებითი განვითარებისთვის ხელის შეწყობა და შემოქმედებითი აზროვნების სტიმულირება. **კონკურსის ინიციატორები და ორგანიზატორები არიან კომპანია „არსი“ და სტუდია „ორი“.**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ არქიტექტორებს და დიზაინერებს, ასევე სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურისა და დიზაინის ფაკულტეტების, კერძო არქიტექტურული სკოლების სტუდენტებს. საავტორო ჯგუფში შესაძლებელია სახვითი ხელოვნების სპეციალისტების მონაწილეობა.

კონკურსის ჩატარების გრაფიკი:

— კონკურსის გამოცხადება — 18 ივნისი, 2003;
— საკონკურსო მასალის ჩაბარება — 15 სექტემბერი, 2003;
— საკონკურსო მასალის გამოფენა — 24-28 სექტემბერი, 2003, ღია ცის ქვეშ მუზეუმი;
— კონკურსის შედეგების გამოცხადება და გამარჯვებულთა დაჯილდოვება — 24 სექტემბერი, 2003.

პროექტში გამარჯვებულთათვის დაწესებულია პირველი პრემია — 4000 ლარი, ორი მეორე პრემია — 2000 ლარი, სამი მესამე პრემია — 1000 ლარი და ექვსი წამახალისებელი პრემია — 200 ლარი.

კონკურსის მხარდამჭერნი არიან: კულტურის სამინისტრო, ღია ცის ქვეშ მუზეუმი, მერიის არქიტექტურის სამსახური, სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტი, „დილის გაზეთი“, „24 საათი“, ჟურნალები „გზა“ და „თბილისელები“, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“.

პროექტ „ქართული სახლის“ პრომოუტერია საკონსულტაციო ჯგუფი „ჯეპრა“.

კონკურსის პროგრამა და პირობები რეგისტრაციით გაიცემა 18 ივნისიდან 18 ივლისამდე
კომპანია „არსი“-ს ოფისში. მისამართი: ჭავჭავაძის პრ. №74, I სართული.
ტელ: 253188,251904,12.00-16.00 საათებში. www.georgianhouse.ge

ძაღლების სამოთხე პარიზის ცენტრში

საფრანგეთის დედაქალაქის ერთ-ერთ ყველაზე რესპექტაბელურ ოტელში განსაკუთრებული კლიენტებისთვის მშვენიერი ოთახები ქირავდება. უკმაყოფილო ჯერ არავინ დარჩენილა!

როგორც ხედავთ, საკვებსაც სუფრასთან, თანაც თეფშებით მიართმევენ

სასტუმრო „კრილონის“ მთავარ შესასვლელს, რომელიც პლაკატით არის დამშვენებული, მრავალი გამვლელი გაკვირვებით შეჰყურებს. ამიერიდან აქ არა მხოლოდ მსოფლიოს გამოჩენილი ვარსკვლავები იცხოვრებენ, არამედ მათი ოთხფეხა მეგობრებიც.

როგორც ოტელის ადმინისტრაციამ შენიშნა, მსახიობები, როგორც წესი, ნომერში მათთან ერთად ცხოვრებას ამჯობინებენ, მაშინ, როცა მომღერლები ცხოველებისთვის ცალკე ოთახს იღებენ ხოლმე. რატომ ხდება ასე – ამაზე ოტელის მომსახურე პერსონალიდან არავინ დაფიქრებულა.

მართლაც, რა საჭიროა უსარგებლო ფიქრით თავის გამოჭედვა, როცა ოტელის სავიზიტო ბარათი სტუმართმოყვარეობა და კეთილგანწყობა გახლავთ.

ამასთან, თანამშრომელთა განსაკუთრებული დამოკიდებულებით არა მოვლილი იორკშირული ტერიერები ან გათამამებული ფრანგული ბულდოგები სარგებლობენ, არამედ ის ძაღლები, რომლებიც ოტელში რთული სამუშაოს წინა პერიოდში, ძალების მოსაკრებად მხოლოდ რამდენიმე საათით ჩამოჰყავთ ხოლმე.

„კრილონში“ ოთხფეხა კლიენტს ყველა სურვილს უსრულებენ

ამ უჩვეულო ოტელის გამორჩეულ სტუმრად ჰოლის სახელით ცნობილ კოლის მიიჩნევენ. საერთოდ, მისი ძირითადი სამსახური – ლონდონის საერთაშორისო აეროპორტია. მეძებარი ძაღლის წყალობით, საბაჟოს მოხელეებმა დაახლოებით 300 ადამიანი დააკავეს, რომელთაც ნარკოტიკები ქოლგებით, ჩემოდნებითა და საათებით გადაჰქონდათ. მისივე დახმარებით მათ 200 კგ ჰაშიშისა და მარიხუანის, 28 კგ ჰერონიუმისა და 18 კგ კოკაინის კონფისკაცია მოახდინეს. ახლა კი ჰოლი პარიზში იმისთვის ჩავიდა, რომ „კოლეგებს“ – ფრანგ ძაღლებს გაუზიაროს თავისი გამოცდილება. მასპინძელმა მხარემ იმიტომ, რომ პოლიციელი ძაღლისადმი პატივისცემა გამოეხატა, ხელგაშლილობა გამოიჩინა და ჰოლი და მისი ინსტრუქტორი „კრილონში“ დააბინავა.

უნდა აღინიშნოს, რომ ოტელებში შინაურ ცხოველთა ცხოვრების პრაქტიკა სიახლე არ არის. უბრალოდ, ყველგან სხვადასხვა დამოკიდებულება აქვთ ამის მიმართ: ზოგს მიაჩნია, რომ ძაღლისთვის ან კატისთვის ოთახის მიქირავება უხამსობაა და ნომრებში ცხოველებთან ერთად ცხოვრების უფლებას არ იძლევიან. სამაგიეროდ, კლიენტებს სხვა სახის მომსახურებას სთავაზობენ. მოიწყინეთ? – მაშინ ფული უნდა დახარჯოთ და მარტო აღარ იქნებით: ამერიკულ ქალაქ უობშეში სასტუმრო „ანდერსონ ჰაუზის“ მეპატრონე ჯონ ჰოლი თავაზიანად შემოგთავაზებთ ქირით სასტუმროს ბინადარი ათი კატიდან ერთ-ერთს. თავნება და სასიამოვნო არსებებთან დაკავშირებული პრობლემები თითქმის არ წარმოიშობა. ფისოების ქირაობასთან დაკავშირებით ჩაწერა რამდენიმე თვით ადრე მიმდინარეობს...

■

სპილოებმა პატარა შვეიცარიული ქალაქი გადათელეს

შვეიცარიულ ქალაქ კიუსენახტში გარეთ გამოპარულმა ორმა სპილომ ნამდვილი ქაოსი მოაწყო. 18 წლის სომალი და მისი მეგობარი 19 წლის მაზამბა კიუსენახტში საცირკო შოუში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდნენ.

ცხოველები როგორღაც დაუსხლტნენ თავიანთ მომთვინიერებლებს და ქალაქის ცენტრში მდებარე, ადგილობრივი ტბის ნაპირას 30-წუთიანი ექსკურსია მოიწყვეს. სეირნობისას სპილოებმა რამდენიმე ხე და ელექტრობოძი წააქციეს, აგრეთვე, ქალაქის ელექტროქსელის გამანაწილებელი ყუთი გადათელეს. ერთი სიტყვით, იქაურობას 15 ათასი დოლარის ოდენობის ზარალი მიაყენეს. „სპილოების სეირნობის“ სანახავად უამრავი ადამიანი შეგროვდა. ცხოველების დასაჭერად კი სახანძრო მანქანების დახმარება გახდა საჭირო. მეხანძრეებმა ქალაქის რამდენიმე ქუჩა გადაკეტეს.

■



რა აღგილი აქვს მეგობრობას ცოლქმრულ ურთიერთობაში

სამსახურში მძიმე დღე გქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ ძალ-ღონე თითქმის გამოგელიათ, შინისკენ გზად ქიმწმენდაში მაინც მიდიხართ და შემდეგ პროდუქტებსაც ყიდულობთ. დატვირთული აქლემივით მიათრევთ ყველაფერს და ამ დროს, ბინაში შესვლისთანავე ხედავთ, რომ თქვენს ქმარს ყველა თავისი ნივთი მიმოუფანტავს, თვითონ კი, სასტუმრო ოთახში წამოწოლილა და თვალსაც არ სწყვეტს გაზეთს ან ტელეეკრანს. თქვენ ამაყად თავაწეული ჩაუვლით მას და საკუთარ თავს სიტყვას აძლევთ, რომ საღამომდე არ დაელაპარაკებით. ამ დროს გირეკავთ თქვენი ახლო მეგობარი, რომელმაც ამას წინათ ძალზედ გაწყენინათ. მისი ხმის გაგონებაზე უმალ მოლბებით და ყველაფერს აპატიებთ. სამართლიანად იქცევით თუ არა?

რა თქმა უნდა, არა. ვინაიდან, ქმარი გაცილებით ახლობელი ადამიანია თქვენთვის, ვიდრე მეგობარი. თუკი მას მეგობრულ დამოკიდებულებას და ყურადღებას მოაკლებთ, თქვენი ქორწინება უბედურების მეტს არაფერს მოგიტანთ.

ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ქორწინებაში მეგობრობა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა დანარჩენი გრძნობები, თუნდაც ამაღელვებელი ვნება ან გულისამაჩუყებული ალერსი

ყოველდღე – ჯარგი მანერები

ნამდვილი სიყვარულის საფუძველი, მეორე ადამიანის კეთილდღეობაზე ზრუნვა და სიყვარულის გამომჟღავნების უნარია. არ დავიწყოთ კარგი მანერების შესახებ, რაც ოჯახში ისევე აუცილებელია, როგორც საზოგადოების წრეში საღამოებზე ყოფნისას. როცა მეგობარზე ხართ განრისხებული, შეგიძლიათ დროებით მაინც გაწყვიტოთ მასთან კავშირი, მაგრამ როგორც არ უნდა გაგაღიზიანოთ ქმარმა რაღაც ყოფითი წვრილმანის გამო, საღამოს მაინც მოგიწევთ მასთან ვახშმობა, ხოლო ღამით, მის გვერდით დაწოლა.

მოთმინება და მხოლოდ მოთმინება!

ოჯახი კოლოსალურ ენერგიას მოითხოვს. იმ დროისთვის, როცა მორიგი ხანგრძლივი დღის ბოლოს საკუთარი სახლის ზღურბლს გადააბიჯებთ, ორივენი დაცარიელებულები ხართ. თქვენ, რა თქმა უნდა, ფიქრობთ: „კი, მაგრამ ის ხომ ჩემი ქმარია! რატომ არ შეიძლება დაღლისა და ჭირვეულობის უფლება მივცე თავს? ამის გამო ხომ არ გადამიყვარებს?!“ აქ კი საფრთხეა ჩასაფრებული. ჩვეულებრივ, ქალები ქმრების მიმართ უფრო კრიტიკულები არიან, ვიდრე მეგობრების მიმართ. მაგრამ ნუთუ, ის ადამიანი, რომელსაც შეჰფიცეთ, რომ ლხინსა თუ ჭირში გეყვარებოდათ, მსგავს ყურადღებას მაინც არ იმსახურებს?

ნებისმიერი ბედნიერი ქორწინება... მოთმინებით იწყება

ყოველდღიურად გამოიმუშავეთ ეს თვისება. ეცადეთ, ყურადღებით დააკვირდეთ თქვენს ქცევებს. როცა საამისოდ არ ხართ განწყობილი, ჯობს, გაჩუმდეთ ხოლმე, ვიდრე უკმეხად თქვათ რამე. დასაწყისში ეს შესაძლოა, პირფერობადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, ასეთი ქცევა უფრო ბუნებრივი გახდება. მეუღლე უეჭველად აღნიშნავს, რომ ურთიერთობებში სიმსუბუქე შეიძინეთ. არცთუ ისე ბევრია ისეთი ქმარი, რომელიც სამსახურებრივ პრობლემებზე უყვება ცოლს. მათ აშინებთ ის, რომ მეუღლის თვალში სუსტები და დაუცველები გამოჩნდებიან. საყვარელ ქმარს დაანახვეთ, რომ მასთან დაკავშირებული, ყველაფერი გაინტერესებთ — მზად ხართ მოუსმინოთ, გაუგოთ და მხარში ამოუდგეთ. ამით, ისეთ ემოციურ ატმოსფეროს შექმნით, რომ თვითონვე გაუჩნდება სურვილი, გული გადაგიშალოთ. ოჯახური კეთილდღეობის კიდევ ერთი საიდუმლო გახლავთ მუდმივად კარგ ხასიათზე ყოფნა. ყოველდღიური ვახშმის მომზადება თუ გღლით, ნახევარფაბ-

ქალაქი კახეთში	დენის სიმძლავრის ერთეული	მიმართვა იაპონელისადმი	თმის წითელი საღებავი	ღამის ფრინველი	კაბის ბოლოზე შიგნიდან შემოკერებული ქსოვილი	ექიმის სპეციალისტი	სისხლისმწოველი ღამურას ჯიში	
თბილისი ვა ბინა ნინა ქუქა ცალი ოვა ამიერ								
ხის ჯიში	გამარჯვების შეძახილი იტალიაში	თბილისის ძველი უბანი	ვერდის ოპერის, „ნაბუქოდონოსორის“ შემოკლებული სახელი	ყვავის ბარტყი	მოკლას ხარი ...	მე, შენ, ის... არის ... ნაცვალსახელი		

რიკატების გამოყენება სცადეთ. ქმართან განმარტოებას ვერ ახერხებთ? შეთანხმდით იმაზე, რომ კვირაში ერთხელ ან ორჯერ მაინც მოიწყოთ დასვენების საღამოები.

ნუ გაურთულებთ ცხოვრებას

როცა თქვენს მეგობარს პრობლემები აქვს, მზად ხართ თანაუგრძნოთ, ვინაიდან მისი გასაჭირი პირდაპირ არ გეხებათ. მაგრამ როგორც კი შეიტყობთ, რომ მეუღლეს ყველაფერი რიგზე არა აქვს, მაშინვე იწყებთ ნერვიულობას, კითხვებით გულს უწყალებთ – მაინც, როგორ მოხდა ეს, რის გაკეთებას აპირებ? და გულწრფელად გვჯერათ, რომ თანაგრძნობას იჩენთ. სინამდვილეში, უბრალოდ გსურთ, რომ ქმარმა დაგაწყნაროთ. ის კი უკვე ნანობს, რომ მოგენდოთ, ვინაიდან მას შექმნილ სიტუაციაში ყველაზე მეტად არა აგრესიული რეაქციის დანახვა, არამედ გაგება სურს, თუნდაც დუმილით გამოხატული. დამფრთხალიც რომ იყოთ, ყველაზე გონივრული, გრძნობების შეკავება იქნება. თქვენი წამოძახილები ქმარმა შესაძლოა, ეგოიზმსა და არასაკმარის გაგებას მიაწეროს. მეტისმეტად მძაფრი გამოხმაურება იმაზე მეტყველებს, რომ სურვილი გაქვთ, მეუღლემ მთელი ყურადღება თქვენკენ მომართოს. ასეთ დროს ქალი, რომელიც ქმარს მართლა უწევს საუკეთესო მეგობრობას, პირველ რიგში შეეცდება, დაამშვიდოს და უსიამოვნო ფიქრი სხვა რამეზე გადაატანინოს.

ცოლ-ქმარს შორის მეგობრობა ხასიათების თავისებურებათა, ოცნებების, ფანტაზიების, ღირსებებისა და სისუსტეების მიმართ პატივისცემას გულისხმობს.

თქვენი სიყვარული ქმრის მიმართ შეიძლება ძალზე ღრმა იყოს, თუმცა შესაძლოა, მაინც ვერ გახდეთ ჭეშმარიტად ახლობელი ადამიანები. ასეთი ქორწინება დღეგრძელი ვერ იქნება, ვინაიდან მყარი კავშირისთვის მარტო სიყვარული არ კმარა. მღელვარე გრძნობები უსათუოდ უნდა არსებობდეს, მაგრამ მხოლოდ მეგობრობას შეუძლია წყვილის, სასიცოცხლოდ აუცილებელ პარტნიორებად გარდაქმნა. სწორედ ეს არის ის, რაც კარგ ოჯახს ბედნიერებას ანიჭებს. ■

სიმუდგომე ცხლში... იაფასით ინუბა



„ჩვენი დამხმარეები"

პარკეტი, ლამინატი ან ხარისხიანი ლინოლეუმი – არც ერთ გიჩნდება სურვილი ხალიჩებით დაფარო

დიზაინერთა უმრავლესობის აზრით, ხალიჩები და ვიწრო ნოხები – ეს უკვე გუშინდელი დღეა. მართლაც, ყველას სურს ბინა „სუნთქავდეს" და ბრწყინავდეს სისუფთავით. მაგრამ ლამაზ იატაკს რეგულარული და საფუძვლიანი მოვლა ესაჭიროება. საბედნიეროდ, დღესდღეობით ნებისმიერი ტიპის იატაკისთვის შეიძლება ეფექტური საშუალებების გამოძებნა.

ბენი, ჯაშჯაში, სილამაზე!

მოხვეწილ და ლაქით დაფარულ პარკეტს მხოლოდ დროდადრო სჭირდება სველი ტილოთი მოწმენდა. თუკი სახლში დიდი ხანია, რემონტი აღარ გაგიკეთებიათ, მაშინ გასაგებია, თუ იატაკი შელახულად და ხელმიშვებულად რატომ გამოიყურება. ასეთ შემთხვევაში, საკმაო შრომის გაწევა მოგიწევთ: დანით ბეჯითად დაფხიკეთ ან მოხვეწეთ იატაკის ზედა ფენა, ზედაპირი სპირტით გაწმინდეთ, შემდეგ წაუსვით სპეციალური პასტა და მის შეწოვას დაელოდეთ. ამის შემდგომ შეგიძლიათ, გააპრიალოთ. დაიმახსოვრეთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ხის იატაკის ცხელი წყლით მორეცხვა, ვინაიდან ის არბილებს და აზიანებს ხის ზედაპირს.

ლინოლეუმის გასაწმენდად გამოდგება თბილი, საპნიანი წყალი, ხოლო ზედ დარჩენილი ლაქების მოსაშორებლად შეგიძლიათ, უხეში ღრუბელი გამოიყენოთ. იატაკის ძლიერ გაფხეკა არ არის საჭირო, თორემ ნაჩხაპნები გაჩნდება, რისი მოშორებაც შემდგომ, თითქმის შეუძლებელი გახდება. როგორც კი ზედაპირი გაშრება, მაშინვე მასტიკა წაუსვით.

რაც შეეხება ლამინატს, მასზე ზრუნვა დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს, უბრალოდ, კვირაში ორჯერ, სველი ტილოთი გაწმინდეთ. ტილო საგანგებო ხსნარში დაასველეთ.

...ლიელი ...ომიკოსი ...ერტო ...	სოფელი ოზურგეთთან	ინდონეზიის კუნძული	კაფე, სადაც ძირითადად პიცას აცხობენ	... ფერსა, მადლი ღმერთსა	წახალისება
...ორდინატთა სისტემის ...ერძებია აბსცისა და ...	კეთილი ... თამაშები	მსახიობი ... თურმანი	თვითმფრინავთან მისადგომი კიბე	ხელის ერთ-ერთი თითი	ყალთაბანდი, მატყუარა	ქმრის და

რატომ ვცემთ თაყვანს წმინდა ხატებს?

მორენა მერკვილაძე

ეკლესიური სწავლებით, ხატი არის უფლის, ღვთისმშობლის, წმინდანების ან წმინდა მოვლენის ფერწერული ან რელიეფური გამოსახულება. საიდან იღებს სათავეს ხატთა თაყვანისცემა? რატომ სცემენ მორწმუნენი თაყვანს წმინდა ხატებს? რომელი ხატები უნდა ვიქონიოთ შინ აუცილებლად — ამ და სხვა საკითხებს, ქვემო ბეთლემის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ***ალექსანდრე ბოლძვაძე*** *განგვიმარტავს.*

— ხატთა თაყვანისცემა ღმერთის მიერაა დადგენილი. „ძველი აღთქმის“ მიხედვით, ღმერთი ავალებს მოსეს, რომ ააგოს მოძრავი ტაძარი და გამოაქანდაკოს სჯულის კიდობანი, რომელიც ამ ტაძრის წმიდათაწმიდაში, ე.ი. საკურთხეველში უნდა დადგას და ამ კიდობნის თავზე გამოაქანდაკოს ორი ოქროს ქერუბინი ანუ ანგელოზის გამოსახულება, აგრეთვე ამოქარგოს ქერუბინთა ხატები კრეტსაბმელზე (ფარდა, რომელიც მოძრავ ტაძარში ახლანდელი კანკელის დანიშნულებას ასრულებდა); ქერუბინთა გამოსახულებები იყო ტაძრის ირგვლივაც. ანგელოზთა გამოსახულებებით იყო დამშვენებული იერუსალიმის ტაძარიც. ამ ტაძრის წმიდათაწმიდაში სოლომონმა დადგა კვიპაროზის ხეზე ამოქანდაკებული, ორი ქერუბინი და ტაძრის კედლებიც ჩუქურთმებიანი ქერუბინებით დაამშვენა. როდესაც იერუსალიმის ტაძარი დაინგრა და ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნებული ებრაელები კვლავ აგებდნენ ტაძარს, იქაც ანგელოზთა გამოსახულებებს აკეთებდნენ.

— ე.ი. „ძველი აღთქმის“ დროს, მხოლოდ ანგელოზთა გამოსახულებები იქმნებოდა. რატომ არ იყო მიღებული ღმერთის ან წმინდანთა გამოსახულებების შექმნა?

— „ძველი აღთქმის“ დროს, ღმერთი არავის უხილავს, რადგან ღმერთი არავის გამოსცხადებია, ამიტომ მამა ღმერთის გამოსახულების შექმნა არც დღესაა მიღებული. მაგრამ ძე ღმერთი დედამიწაზე მოვიდა და ვიხილეთ უფლის ხატება, ე.ი. გვაქვს მისი გამოსახულება. როგორც ვიცით, „ძველი აღთქმის“ დროს, სასუფევლის კარი დახშული იყო, ამიტომ წმინდანებიც ჯოჯოხეთში ჩადიოდნენ უფლის ჯვარცმამდე და აღდგომამდე იქ იმყოფებოდნენ — ანუ არ იყვნენ ღმერთთან ახლოს, ამიტომ „ძველი აღთქმის“ დროს, არც წმინდანთა გამოსახულებები იქმნებოდა.

— როდის შეიქმნა პირველი ქრისტიანული ხატი?

— პირველი ქრისტიანული ხატი შექმნილია მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების დროს. გადმოცემის თანახმად, როდესაც ავგაროზ მეფის მიერ გაგზავნილმა მხატვარმა ქრისტეს დახატვა ვერ მოახერხა, უფალმა თვითონ მიიფარა სახეზე ტილო, რომელზეც სასწაულებრივად აღიბეჭდა მისი სახე. ტილოზე აღბეჭდილი გამოსახულება მაცხოვარმა კეთრით დაავადებულ მეფე ავგაროზს გაუგზავნა. ავადმყოფი განიკურნა. ამ ხატს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ეწოდება. ღვთისმშობლის რამდენიმე ხატი კი, შექმნა მოციქულმა და მახარებელმა ლუკამ. ამ ხატთაგან ბევრი დღემდეა შემორჩენილი. ამრიგად, ქრისტიანთა შორის ხატთა თაყვანისცემა მოციქულთა დროიდან მოდის. თუმცა, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, ქრისტიანთა დევნასთან ერთად, წარმართთაგან ქრისტიანული ხატებიც იდევნებოდა. მიუხედავად ამისა, ქრისტიანებს ხატთთაყვანისცემა არ შეუწყვეტიათ, თუმცა ხატებს თაყვანს ფარულად სცემდნენ — მიწისქვეშა ტაძრებსა თუ სხვა უსაფრთხო ადგილებში. IV საუკუნიდან კი, ქრისტიანთა დევნა შეწყდა და ისინი ხატების წინაშე უკვე თავისუფლად ლოცულობდნენ.

— როგორც ცნობილია, ხატთა თაყვანისცემა საბოლოოდ, ქალაქ ნიკეაში 787 წელს გამართულ მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაამტკიცა. რატომ გახდა საჭირო ხატთა თაყვანისცემის დამტკიცება, თუკი ქრისტიანებში ხატთთაყვანისცემა ისედაც მიღებული იყო?

— იმ პერიოდში, ზოგიერთმა არაჭეშმარიტმა ქრისტიანმა ეჭვქვეშ დააყენა ხატების საჭიროება: ისინი ამტკიცებდნენ, რომ ამას არ მოითხოვდა სამოციქულო სწავლება. ამიტომ საჭირო გახდა, მოეწვიათ მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ეს ნამდვილად სამოციქულო სწავლებაა, რაც თვით უფალმა გვასწავლა და ხატთა თაყვანისცემაც ამ კრებაზე საბოლოოდ განამტკიცეს.

— როგორ უნდა ესმოდეს მორწმუნეს ხატის მნიშვნელობა?

— ხატი არის სარკმელი, რომლითაც ადამიანი ზეცას უკავშირდება — ანუ ხატი ზეციურ სასუფეველთან ლოცვით დამყარებული ურთიერთობის საშუალებაა, რადგან როდესაც ხატს ვცემთ თაყვანს, თაყვანს ვცემთ არა ხესა და საღებავს, არამედ მასზე გამოსახულ პირველსახეს — ღმერთს, წმინდანებს და ა.შ.

— ანუ ბასილი დიდის სიტყვებით რომ ვთქვათ — ხატი არის „პატიოსნება მოცემული სახეში, რომელიც პირველ სახემდე ადის“ და რომლიდანაც ჩვენზე გადმოედინება ღვთიური მადლი, მოწყალება და ლოცვა-კურთხევა. ხატს დიდი ძალა და მადლი აქვს, მაგრამ ხომ ხდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მლოცველი ხატისგან შეწევნას ვერ მიიღებს?

— ხატს მართლაც დიდი ძალა აქვს. მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, როდესაც ხატთა თაყვანისცემის ჭეშმარიტებას ადასტურებდნენ. მაგალითად, ერთ-ერთი უძველესი ხატის ისტორია მოიყვანეს: ალექსანდრიაში ქრისტიანმა გაყიდა სახლი, რომელიც ებრაელმა შეიძინა. ქრისტიანს მაცხოვრის ხატი დარჩა, რომელიც ებრაელმა სინაგოგაში წარადგინა. ებრაელებმა გადაწყვიტეს, რომ ქრისტიანული ხატი ჯვარს ეცვათ. როდესაც გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს — ხატი ჯვარს აცვეს და შუბი უგმირეს, — შუბით განგმირული ადგილიდან, ნაკადულივით წამოვიდა სისხლი. ამ სასწაულის ხილვის შემდეგ, მთელი ალექსანდრიის ებრაელობა ქრისტიანულ რჯულზე მოექცა... ხატებისგან სხვა არაერთი სასწაული აღსრულებულა. იმისათვის, რომ ხატისგან მადლი, კურთხევა და შეწევნა მივიღოთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თხოვნას სჭირდება პირობა: უპირველესად უნდა ვითხოვოთ ის, რაც სულისთვისაა სასარგებლო. შეიძლება, ადამიანმა ხატს, ვინმეს განადგურება, ვიღაცის ავად გახდომა ან სხვა არაქრისტიანული სურვილის შესრულება შესთხოვოს, რაც, ბუნებრივია, არ შეუსრულდება. როგორც წმინდა მამები ამბობენ, როდესაც პატარა ბავშვი ცეცხლთან მისვლას ითხოვს, როგორც არ უნდა ევედროს მშობლებს, ისინი ამ თხოვნას არ შეუსრულებენ, რადგან მშობელმა იცის, რომ ეს სახიფათოა მისთვის. ასევე როდესაც ღმერთი თხოვნას არ გვისრულებს, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ჩვენთვის არ არის საჭირო ან იმ პერიოდისთვის არ არის საჭირო და შემდეგ შეგვისრულდება... გარდა ამისა, როდესაც ხატს თხოვნით მივმართავთ, თან ჩვენი ცოდვილი მდგომარეობის განცდაც უნდა გვქონდეს და არ ვიყოთ დარწმუნებულები იმაში, რომ უფლისგან შემწეობას ვიმსახურებთ, არამედ მივმართოთ თავმდაბლურად და როდესაც თავს დავიმდაბლებთ, ის თხოვნაც შეგვისრულდება, რომელიც ჩვენთვის სასარგებლო და აუცილებელია. რასაკვირველია, როდესაც ხატს თხოვნით მივმართავთ, აუცილებლად უნდა გვქონდეს რწმენა.

— ქრისტიანული თვალსაზრისით, ქრისტიანის სახლის საუკეთესო მორთულობა ხატია. აუცილებელია თუ არა ხატების ყველა ოთახში დაბრძანება?

— როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხატის წინ ლოცვა ეს არის ურთიერთობა ღმერთთან და მის წმინდანებთან, ამიტომ ქრისტიანს შინ აუცილებლად უნდა ჰქონდეს წმინდა ხატები. მაგრამ აუცილებელი არ არის ხატების ყველა ოთახში განთავსება. ყველაზე კარგი იქნება, თუ გამოვყოფთ ცალკე ოთახს, სადაც ხატებს დავაბრძანებთ, მაგრამ თუკი ბინის ფართი ამის საშუალებას არ იძლევა, რომელიმე ოთახში უნდა გამოვყოთ ცალკე კუთხე, აღმოსავლეთის მხარეს, სადაც ხატებს განვალაგებთ. თუ ამის გაკეთება საძინებელ ოთახში მოგიწევთ, ხატების კუთხე ფარდით უნდა გაიმიჯნოს და ლოცვის დროს გაიხსნას. თუკი ადამიანს სურვილი აქვს, რომ ხატები ყველა ოთახში იქონიოს, მას ეს არ ეკრძალება.

— რომელი ხატები უნდა ვიქონიოთ შინ აუცილებლად?

— აუცილებლად უნდა ვიქონიოთ შემდეგი ხატები: ყოვლადწმიდა სამების, მაცხოვრის, ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლის და „ჯვარცმა“. სასურველია, ვიქონიოთ წმინდა გიორგის, წმინდა ნინოს, წმინდა ნიკოლოზის ხატები. ამის შემდეგ კი, ადამიანს შეუძლია ჰქონდეს იმდენი ხატი, რამდენის სურვილიც აქვს.

***P.S.** რატომ არის მიღებული ხატების ამბორყოფა? რამდენად აუცილებელია ხატების კურთხევა? რა უნდა ვიცოდეთ მირონმდინარე ხატებთან დაკავშირებით? როგორ უნდა მოვიქცეთ ხატის დაზიანების შემთხვევაში? — ამ და სხვა კითხვებთან დაკავშირებით „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით.* ■

სიკეთეს რომ სჩადიხართ, მადლიერებაზე ნუ ფიქრობთ. თუ თქვენ გსურთ ეზიაროთ ბედნიერებას, შეწყვიტეთ ფიქრი მადლიერებასა და უმადურობაზე.

დეილ კარნეგი

ერთ ღირსეულ ნაბიჯს რომ დგამს — ეს ცოტაა, არ ჰხამს დაღლა! —

კეთილშობილ კაცს შეჰფერის — სულ იაროს წინ და მაღლა.

იბნ აბ რაბიხი

ყველა კარგი წიგნი იმით ჰგავს ერთიმეორეს, რომ მკითხველში უსათუოდ აღძრავს სურვილს იფიქროს იმაზე, რაც სამართლიანი, მშვენიერი, სასარგებლოა ადამიანისათვის.

გავრილ ჩერნიშევსკი

ორატორი მით უფრო იოლად დაარწმუნებს მსმენელს, რამდენადაც უფრო დარწმუნებულია თვითონ თავისი ნათქვამის სიმართლეში.

ჯონათან სვიფტი

ძნელია აღმა ტვირთის ზიდვა — გვერევა დაღლა,

და რომ გავუშვათ, თავისთავად გორდება ისა,

დამსახურება გვწევს ნელ-ნელა მაღლა და მაღლა,

ცოდვა-ბრალი კი გვეწევა ძირსა.

პანჩატანტრა

სოლომონმა თქვა: ბრძენი ის კი არ ყოფილა, ვინც მარტო თავის ჭკუაზე დადის, — ის ყოფილა, ვინც სხვებსაც დაეკითხება ხოლმეო.

აკაკი წერეთელი

საკუთარი ძალების რწმენა მშვენიერი რამ არის: ესაა ნიშანი ადამიანისა, რომელიც გრძნობს თავის ნიჭსა და უნარს.

თომას ჰობსი

თესვა უფრო იოლია, ვიდრე მოსავლის მოწევა.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

დიდი ფეხბურთის „ბებერი ქალბატონი“

ალექსი რეხვიაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ „იუვენტუსმა“ ჩემპიონთა თასი „მილანს“ დაუთმო, ტურინული კლუბი წელს ხელცარიელი მაინც არ დარჩენილა. „ბებერი ქალბატონი“ ზედიზედ მეორე წელია, რაც იტალიის სერია A-ში იმედებს უცრუებს თავის კონკურენტებს და სკუდეტოს მფლობელად გვევლინება. ქვეყნის ჩემპიონობა კი, მოგეხსენებათ, აპენინის ნახევარკუნძულის მკვიდრთა დიდი ნაწილისათვის უმთავრეს საფეხბურთო ტიტულად ითვლება.

საფეხბურთო კლუბი „იუვენტუსი“ 1897 წელს ლიცეუმ „მასიმო დ'აძელოს“ სტუდენტთა ჯგუფმა დაარსა. ლეგენდა იუწყება, რომ გუნდი, რომელიც შემდგომში, იტალიური საკლუბო ფეხბურთის გრანდად იქცა, უმბერტოს გამზირზე მდებარე, ერთ ჩვეულებრივ სკამზე დაბადებულა. სწორედ ეს სკამი გახლდათ „იუვეს“ პირველი შტაბბინა. შექმნიდან სულ რვა წელი იყო გასული, როცა ტურინულმა კლუბმა პირველი სკუდეტოს მოპოვება იზეიმა. იმხანად, „იუვენტუსის“ პრეზიდენტი, შვეიცარიელი ალფრედო დიკი გახლდათ. მეორედ, გუნდმა იტალიის ჩემპიონატში მხოლოდ 1926 წელს გაიმარჯვა, თუმცა, ეს წარმატება ტურინელთათვის ისტორიული აღმოჩნდა: „იუვენტუსს“ მაშინ უკვე მდიდარი და მთელ ქვეყანაში სახელგანთქმული, ანიელების ოჯახი ფლობდა. სწორედ ანიელების კლანმა დაუდო სათავე კლუბის შემდგომ თავბრუდამხვევ წარმატებებს.

„იუვენტუსის“ მფლობელთა სახელოვანი დინასტია, ჯოვანი ანიელის (1866-1945) შეუქმნია. სინიორ ჯოვანის სახელთანაა დაკავშირებული 1899 წელს, საქვეყნოდ ცნობილი საავტომობილო კორპორაციის, FIAT-ის დაარსება, რომელიც მეოცე საუკუნეში, იტალიის ეკონომიკის სიმბოლოდ იქცა. FIAT-ის დაბადებამდე 7 წლით ადრე, ჯოვანი ანიელის, ვაჟიშვილიც შეეძინა, რომელსაც ედოარდო დაარქვეს. ედოარდო გახდა ანიელების ოჯახიდან „იუვენტუსის“ პირველი პრეზიდენტი. ეს 1923 წლის 23 ივლისს მოხდა. მას შემდეგ, რაც ანიელებმა „იუვე“ ოჯახის კერძო საკუთრებად გადააქციეს, გუნდი კალჩიოს ფლაგმანად იქცა.

1935 წელს, ედოარდო ანიელი ტრაგიკულად დაიღუპა და შვიდი შვილი დატოვა. ედოარდოს დაღუპვამდე ერთი წლით ადრე, ქვეყანას მოევლინა უმბერტო, რომელიც დღეს, ანიელების დინასტიის უხუცესი წარმომადგენელია. ედოარდოს ყველაზე ცნობილი შვილი, ჯოვანი კი, 1921 წლის 12 მარტს დაიბადა. ოთხი წლის ჯოვანი, მამას პირველად მიუყვანია „იუვეს“ ვარჯიშზე, რის შემდეგაც, იგი გუნდის ყველაზე ერთგულ ქომაგად ქცეულა. ჯოვანი ანიელი წლეულს, იანვარში, 81 წლის ასაკში გარდაიცვალა და კლუბისადმი სიყვარული სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე არ განელებია.

დღეს, იტალიაში ფეხბურთის გულშემატკივართა დიდი ნაწილი „იუვენტუსს“, ჯოვანი ანიელის სახელთან აიგივებს, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი, როგორც მას მთელი ქვეყანა უწოდებს, უკვე დიდი ხანია, მხოლოდ კლუბის საპატიო პრეზიდენტიღა გახლდათ და ტურინულ გუნდზე საზრუნავი მთლიანად ჯერარუდო-ბეტეგა-მოჯის ე.წ. ტრიადისთვის ჰქონდა მინდობილი. ჯოვანი „იუვენტუსის“ პრეზიდენტის პოსტზე მხოლოდ და მხოლოდ 1947-1954 წლებში იმყოფებოდა, შემდეგ კი, მთლიანად FIAT-ს მიუძღვნა თავი და 1966-1996 წლებში, კომპანიის მმართველი იყო. მიუხედავად ამისა, ფეხბურთი მისთვის ყველაზე დიდ სიყვარულად რჩებოდა.

ედოარდო ანიელის პრეზიდენტობის დროს, ტურინულმა გუნდმა ზედიზედ ხუთჯერ მოიგო სკუდეტო და უბრალო „იუვედან“, „ბებერ ქალბატონად“ იქცა. ჯანი ანიელის პრეზიდენტობის პერიოდში, „იუვენტუსმა“ მხოლოდ ორჯერ გაიმარჯვა იტალიის ჩემპიონატში, ხოლო მისი ძმის, უმბერტოს თავკაცობით — სამჯერ. ასე რომ, მამამ და მისმა ორმა ვაჟიშვილმა, პრეზიდენტის რანგში, ერთად მხოლოდ ათჯერ მოიგეს სკუდეტო, მაშინ, როდესაც მხოლოდ ჯამპიერო ბონიპერტიმ, რომელიც „ბებერ ქალბატონს“ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში და 80-იანი წლების დასაწყისში თავკაცობდა, ცხრაჯერ გაიმარჯვა იტალიის ეროვნულ ჩემპიონატში. კიდევ ხუთი სკუდეტო „იუვემ“ ვიტორიო კოუზანოს პრეზიდენტობისას მოიპოვა.

მიშელ პლატინი

დღემდე, „იუვეს“ ყველა გამარჯვება იტალიაშიც და ევროპულ სარბიელზეც ანიელების დინასტიას მიეწერება. 2001 წლის 20 დეკემბერს, „იუვენტუსმა“ თავისი აქციები ბირჟაზე გასაყიდად გაიტანა. LA Gazzetta dello Sport-ის მონაცემებით, ამჟამად, სხვადასხვა ორგანიზაციის ხელში „ბებერი ქალბატონის“ აქციათა 26,6% იმყოფება. 7,5% სირიის მმართველის, მოამარ კადაფის ოჯახს ეკუთვნის, 3,6% – კლუბის აღმასრულებელ დირექტორს ანტონიო ჯირაუდოს, საკონტროლო პაკეტს კი – აქციათა 62,3%-ს კვლავ ანიელების ოჯახი ფლობს.

სულ „იუვენტუსი“ 27-ჯერ გახლდათ იტალიის ჩემპიონი. ტურინულმა კლუბმა ბოლო ორ წელიწადში დუბლი შეასრულა და ზედიზედ ორჯერ დაეუფლა სკუდეტოს. აღსანიშნავია ისიც, რომ 2002-03 წლების სეზონში, „ბებერმა ქალბატონმა“ სერია -ს ბოლო ტურამდე რამდენიმე კვირით ადრე დაიკავა პირველი ადგილი და მისი უახლოესი მდევრები მხოლოდ მეორე-მესამე ადგილის დასაკავებლად და ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრადღა ირჯებოდნენ. წელს, „იუვე“ განსაკუთრებულად გამოირჩეოდა თავისი ორგანიზებული, დაცვის ხაზით. სერია A-ს 33 თამაშში გუნდმა მხოლოდ 26 ბურთი გაუშვა საკუთარ კარში.

ბოლო წლებში, „იუვენტუსი“ წარუმატებლად ასპარეზობდა უეფას ჩემპიონთა ლიგაში. 2002-03 წლების სეზონში კი, ტურინელები მეტი შემართებით ჩაებნენ ყველაზე პრესტიჟული, ევროპული საკლუბო თასისათვის ბრძოლაში და ფინალში გასვლაც მოახერხეს. როგორც უკვე ცნობილია, მარჩელო ლიპის გუნდი „ოლდ ტრაფორდზე“, „მილანთან“ მეტისმეტად დაძაბულ ორთაბრძოლაში პენალტების სერიაში დამარცხდა.

ფინალამდე „იუვენტუსმა“ საკმაოდ რთული გზა განვლო. პირველ ჯგუფურ ეტაპზე გუნდმა „ფეიენოორდთან“, „კიევის „დინამოსა“ და „ნიუკასლთან“ პაექრობაში პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ჯგუფურ ეტაპზე კი, „დეპორტივოსთან“, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ და „ბაზელთან“ უხდებოდა ბრძოლა, რის შედეგადაც მეორე ადგილზე გავიდა და მეოთხედფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ორი მეოთხედფინალური მატჩის ჯამში ტურინელებმა „ბარსელონას“ სძლიეს. პირველი შეხვედრა „დელა ალბიზე“ ანგარიშით 1:1 დასრულდა, რის შემდეგაც კატალონიელებს ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსი ეძლეოდათ. განმეორებით მატჩში „იუვეს“ ჩეხმა ნახევარმცველმა, პაველ ნედვედმა გამოიჩინა თავი, როდესაც დამატებით დროში გაიტანა გოლი (ამ დროისათვის, ანგარიში 1:1 იყო) და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა. ნახევარფინალურ ეტაპზე მარჩელო ლიპიმ და კომპანიამ კიდევ ერთი ესპანური გრანდი – „რეალი“ დაამარცხეს („სანტიაგო ბერნაბეუზე“ – 2:1, „დელე ალბიზე“ – 3:1). განმეორებითი შეხვედრა საბედისწერო აღმოჩნდა იტალიელთათვის, რადგან ნედვედმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი ფინალურ მატჩში ვეღარ მიიღებდა მონაწილეობას. არადა, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ ჩეხ ვარსკვლავს „ოლდ ტრაფორდზე“ შეხვედრის ბედი „იუვეს“ სასარგებლოდ გადაეწყვიტა.

ევროპის ჩემპიონთა თასი „იუვენტუსს“ სულ ორჯერ აქვს მოგებული – 1984-85 და 1995-96 წლების სეზონებში. უეფას თასს გუნდი სამჯერ დაეუფლა (1976-77, 1989-90 და 1992-93), ხოლო თასების მფლობელთა თასს – ერთხელ (1983-84). „ბებერი ქალბატონი“ 9-ჯერ იყო იტალიის თასის, სამჯერ კი – სუპერთასის მფლობელი. „იუვემ“ ორ-ორჯერ მოიგო ევროპის სუპერთასი (1985, 1996) და საკონტინენტთაშორისო თასი (1985, 1996).

სხვადასხვა პერიოდში, „იუვენტუსში“ მსოფლიო ფეხბურთის არაერთი ვარსკვლავი თამაშობდა. მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს კლუბის წარმატებებში. აი ისინიც:

მიშელ პლატინი (დაბადებული 1955 წლის 21 ივნისს). ფრანგი ვარსკვლავის „იუვენტუსში“ მოხვედრა, ჯანი ანიელის დამსახურება გახლდათ. ტურინული კლუბის რიგებში თამაშის პირველ ეტაპზე, პლატინი გარკვეული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა, თუმცა შემდეგ შეძლო, სრულად გამოევლინა თავისი უზადო ოსტატობა. გუნდში გამოსვლის პერიოდში (1982-87), ფრანგი ნახევარმცველი ორჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი. გარდა ამისა, პლატინიმ მოიგო ჩემპიონთა თასი (სწორედ მან გაიტანა ფინალში გადამწყვეტი გოლი პენალტით), საკონტინენტთაშორისო თასი, იტალიის თასი, თასების მფლობელთა თასი, ევროპის სუპერთასი. მიშელ პლატინი სამჯერ დაეუფლა აგრეთვე „ოქროს ბურთს“.

ომარ სივორი (1935 წლის 2 ოქტომბერი). ეს ფეხბურთელი მარცხენა ფეხით თამაშის ნამდვილი დიდოსტატი გახლდათ. ამასთანავე, იგი ჩინებული დრიბლინგით გამოირჩეოდა და ძალიან უყვარდა მოწინააღმდეგე მოთამაშეების გაბრიყვება ფეხებს შუა ბურთის გატარებით. „იუვენტუსში“ 1957-65 წლებში თამაშობდა. ამ პერიოდში, გუნდმა სამჯერ მოიგო სკუდეტო და სამჯერ – იტალიის თასი. სივორი „ოქროს ბურთსაც“ დაეუფლა. იგი წარმოშობით არგენტინელი იყო, თუმცა, იტალიის ეროვნულ ნაკრებში ცხრა მატჩი ჩაატარა და რვა გოლის გატანაც მოახერხა. ფეთქებადი ხასიათის გამო,

ალესანდრო დელ პიერო და პაველ ნედვედი

იერიმზეა რობერტო ბეტეგა

ომარ სივორის ხშირად მოსდიოდა უსიამოვნება გარშემომყოფებთან, მაგრამ იგი მაინც ქომაგთა საყვარელ ფეხბურთელად რჩებოდა. დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, „იუვეს“ კონსულტანტად მუშაობდა სამხრეთ ამერიკაში. სწორედ იგი აიძულებდა ტურინული კლუბის ხელმძღვანელობას მარადონას შეძენას, თუმცა, ეს ტრანსფერი არ განხორციელდა.

ჯამპიერო ბონიპერტი (1928 წლის 4 ივლისი). მან მთელი ცხოვრება „იუვენტუსში“ გაატარა: ჯერ მოთამაშის რანგში, შემდეგ კი, კლუბის პრეზიდენტის პოსტზე. საფეხბურთო კარიერა თავდამსხმელის ამპლუაში დაიწყო, ხოლო შემდეგ, გამთამაშებლის ფუნქციას ასრულებდა. ბონიპერტმა ფეხბურთელის ამპლუაში 1946-61 წლებში ხუთჯერ მოიგო სკუდეტო და ორჯერ – იტალიის თასი. 1972-90 და 1991-94 წლებში, ბონიპერტი „იუვენტუსის“ პრეზიდენტის პოსტზე იმყოფებოდა და ამ პერიოდებში, ტურინულმა კლუბმა 9-ჯერ გაიმარჯვა იტალიის ჩემპიონატში, სამჯერ მოიგო უეფას თასი, ხოლო თითოჯერ – თასების მფლობელთა თასი და ჩემპიონთა თასი, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი. გარდა ამისა, ჯამპიერო ბონიპერტის, იტალიის ნაკრებში ჩატარებულ 38 მატჩში 8 გოლი აქვს გატანილი.

დინო ძოფი (1942 წლის 28 თებერვალი). იტალიური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა. კალჩოს ისტორიაში ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც მოიგო ევროპის ჩემპიონატიც (მაშინ „ნაპოლიში“ თამაშობდა) და მსოფლიო ჩემპიონატიც. „იუვეში“ 1972-1983 წლებში თამაშობდა და გუნდთან ერთად ექვსჯერ მოიგო სკუდეტო, ორჯერ – იტალიის თასი და ერთხელაც – უეფას თასი. იტალიის ნაკრებში 112 მატჩი აქვს ჩატარებული. დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, „იუვენტუსსა“ და „ლაციოს“ მწვრთნელად მუშაობდა, ერთ დროს, რომაული კლუბის პრეზიდენტის პოსტიც ეკავა. მისი მწვრთნელობის პერიოდში, „ბებერმა ქალბატონმა“ უეფას თასი და იტალიის თასი მოიპოვა. 2000 წელს კი, „სკუადრა აძურა“, რომელსაც სათავეში დინო ძოფი ედგა, ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა.

რაიმუნდო ორსი (1901 წ. 2 დეკემბერი – 1986 წ. 6 აპრილი). იგი საოცარი ტექნიკითა და გოლის გატანის ალღოთი იყო დაჯილდოებული. წარმოშობით არგენტინელი ორსი გასული საუკუნის 30-იან წლებში, იტალიაში ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად ითვლებოდა. ამბობენ, რომ იგი ღამის ცხოვრებისა და ტოტალიზატორების დიდი მოყვარული ყოფილა. „ბებერი ქალბატონის“ ღირსებას 1929-35 წლებში იცავდა. გუნდთან ერთად ზედიზედ ხუთჯერ იზეიმა იტალიის ჩემპიონატში გამარჯვება. „სკუადრა აძურას“ რიგებში 35 მატჩი აქვს ჩატარებული და 13 გოლი აქვს გატანილი. ამასთან, 1934 წელს, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლა.

გაეტანო შირეა (1953 წ. 25 მაისი – 1989 წ. 3 სექტემბერი). იტალიური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველი, რომელიც 1982 წელს, „სკუადრა აძურას“ დაცვის ლიდერად მოგვევლინა. „იუვეს“ ღირსებას 1974-86 წლებში იცავდა. გუნდთან ერთად 7-ჯერ მოიგო სკუდეტო, ორჯერ – იტალიის თასი, თითოჯერ – ჩემპიონთა თასი, თასების მფლობელთა თასი და უეფას თასი. ნაკრებში ჩატარებულ 78 მატჩში 2 გოლი აქვს გატანილი. მოგებული აქვს 1982 წლის მუნდიალი. 36 წლის ასაკში, პოლონეთში, ვარშავასა და კატოვიცეს შორის ტრასაზე მოძრაობისას ავტოკატასტროფაში დაიღუპა. იმ პერიოდში, „იუვენტუსში“ დინო ძოფის თანაშემწედ მუშაობდა.

რობერტო ბეტეგა (1950 წლის 27 დეკემბერი). „იუვენტუსის“ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი, რომელიც ტურინულმა კლუბმა აღზარდა. გუნდში 1970-83 წლებში თამაშობდა. მოთამაშის რანგში 7-ჯერ მოიგო სკუდეტო, ორჯერ – იტალიის თასი, უეფას თასი და კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატი. იტალიის ნაკრებში 42 მატჩი აქვს ჩატარებული და 19 გოლი გატანილი. ამჟამად „იუვენტუსის“ ვიცე-პრეზიდენტია. მისი ამ პოსტზე დანიშვნის შემდეგ, ტურინულმა გუნდმა ხუთჯერ მოიგო სკუდეტო, სამჯერ – იტალიის სუპერთასი, თითოჯერ – იტალიის თასი, ჩემპიონთა თასი, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი.

ყველა დროის მწვრთნელი, ჯოვანი ტრაპატონი (1939 წლის 17 მარტი). ტრაპატონი თამამად შეიძლება ჩაითვალოს ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი ფინალის ორივე მონაწილე გუნდის წარმომადგენლად და ნამდვილ ცოცხალ ლეგენდად. როგორც მოთამაშემ, მან „მილანთან“ ერთად ორჯერ მოიგო სკუდეტო, ორჯერ – ჩემპიონთა თასი, თითოჯერ – იტალიის თასი, თასების მფლობელთა თასი, საკონტინენტთაშორისო თასი. 17 მატჩი აქვს ჩატარებული ნაკრებში და გატანილი აქვს ერთი გოლი. „მილანში“ მისი სამწვრთნელო კარიერა წარუმატებელი აღმოჩნდა, სამაგიეროდ, მწვრთნელის რანგში „იუვესთან“ ერთად 6-ჯერ მოიგო სკუდეტო, 2-ჯერ – უეფას თასი, 2-ჯერ – იტალიის თასი, თითოჯერ – ჩემპიონთა თასი, თასების მფლობელთა თასი, საკონტინენტთაშორისო თასი და ევროპის სუპერთასი. ტრაპი წარმატებულად მუშაობდა „ბავარიისა“ და „ინტერის“ მწვრთნელადაც. ამჟამად, იგი „სკუადრა აძურას“ უდგას სათავეში.

დღევანდელ „იუვენტუსში“ გუნდის უდავო ლიდერი, ალესანდრო დელ პიეროა, რომელიც აქტიური ფეხბურთიდან წასვლისთანავე, „ბებერი ქალბატონის“ ლეგენდარულ მოთამაშეთა შორის დაიმკვიდრებს ადგილს. იგივე შეიძლება ითქვას ტურინული კლუბის ამჟამინდელ მწვრთნელზე – მარჩელო ლიპიზეც, რომელმაც „იუვე“ არაერთხელ აიყვანა საფეხბურთო მწვერვალზე. ■

დინო ძოფი

ჯოვანი ტრაპატონი

მარჩელო ლიპი

ტიდკე მძლეოსნობას უმრუნდება

ყველაზე ლამაზი გერმანელი მძლეოსანი ქალი, 34 წლის სიუზენ ტიდკე დიდ სპორტს უბრუნდება. მას ათენის ოლიმპიადაზე გამარჯვება აქვს განზრახული. გაცნობებთ, რომ სიუზენმა კარიერა ერთი წლის წინ დაასრულა. მისივე თქმით, იგი ტრავმებმა გააწამა, რაც მას ბოლო დროს, მშვიდი ძილის საშუალებას არ აძლევდა. გარდა ამისა, ტიდკე სატურნირო მოტივაციის არქონასაც უჩიოდა. დროთა განმავლობაში, მძლეოსანი ლამაზმანი დარწმუნდა, რომ ფიზიკური დატვირთვების გარეშე ცხოვრება აღარ შეეძლო და დიდ სპორტში დაბრუნება გადაწყვიტა. ამასთან, ტიდკეს, რომელმაც სპორტი ბარიერებიან სპრინტში ევროპის ჩემპიონის რანგში დატოვა, ამჟამად, მხტომელის ამპლუაში სურს კარიერის გაგრძელება. ჯერჯერობით უცნობია, თუ რას ფიქრობენ ათლეტი ქალის მოულოდნელი გადაწყვეტილების შესახებ გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციის მესვეურები, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ტიდკეს წყალობით, ოლიმპიურ თამაშებზე გერმანიის ნაკრებს გულშემატკივართა ინტერესი გარანტირებული ექნება. ■

კიჭას სექსი მოაკლდა

ამბობენ, რომ მილენესთან გაყრის შემდეგ რონალდოს ჯერ არ გაუჩენია ახალი ქერათმიანი გელფრენდი. როგორც ცნობილია, ბრაზილიელი ვარსკვლავი სწორედ ქერათმიან ლამაზმანებზე კარგავს ჭკუას. სკანდალებისა და ჭორების მოყვარულთათვის უკვე ისიც ცნობილია, რომ ბოლო დროს, „რეალის“ ფორვარდს კარგი ფიზიკური ფორმის შესანარჩუნებელ საუკეთესო საშუალებად, აქტიური სქესობრივი ცხოვრება მიაჩნია. თავად რონალდოს განცხადებით, ის, მატჩის წინ, ყოველთვის იქცევს თავს სიყვარულით, თანაც, სქესობრივი აქტის დროს, აუცილებლად „პასიურ მდგომარეობაში“(!) უნდა იმყოფებოდეს, რაც თურმე მას ერთდროულად სიამოვნებასაც ანიჭებს და ნაკლებ ენერგიასაც ახარჯვინებს. გარდა ამისა, რონალდოს თქმით, პაემანი ორ საათზე ნაკლები არ უნდა გრძელდებოდეს... სწორედ ამით ხსნის კიჭა თავის წარმატებულ გამოსვლას შარშანდელ მუნდიალზე. მაშინ მას ფორმის შენარჩუნებაში სწორედ მილენე უწყობდა ხელს, რომელსაც ამგვარად, საკუთარი წვლილი აქვს შეტანილი მეუღლის წარმატებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ მილენესთან განშორების შემდეგ, ფორვარდის შედეგიანობამ საკმაოდ იკლო. საფეხბურთო მიმომხილველები გულმოდგინედ ეძებდნენ ამის მიზეზს. ახალ კი, საიდუმლოს თავად კიჭამ ახადა ფარდა. ■

შუმინატორი Ferrari–ში დარჩება

ამას წინათ, მიხაელ შუმახერმა გააკეთა განცხადება თავისი სარბოლო კარიერის დასრულების შესახებ, რამაც მალევე გამოიღო შედეგი: Ferrari-მ შუმინატორს დაუყოვნებლივ შესთავაზა ახალი კონტრაქტი 2006 წლამდე, რაზეც გერმანელმა „წითელმა ბარონმა“ თანხმობა განაცხადა. ბუნებრივია, რომ იტალიური ავტოსაჯინიბოს მესვეურებს, გუნდში არასასურველი ცვლილებები ხელს არ აძლევს. ახლა, 34 წლის სუპერპილოტი კვლავ შეეცდება წარმატებების მიღწევას, თუმცა ის კი უცნობია, თუ ვისთან ერთად იბრძოლებს იგი მომავალში: საქმე ის გახლავთ, რომ Ferrari-ს მეორე ვარსკვლავის, რუბენს ბარიკელოსთვის კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე ჯერჯერობით განცხადება არავის გაუკეთებია. ■

ჯონსონს ძეგლს დაუდგამენ

22 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მეჯიქ ჯონსონმა, მიჩიგანის უნივერსიტეტის გუნდს, მისი არსებობის ისტორიაში პირველად მოუტანა სტუდენტური ჩემპიონატის „ოქრო“. დღეს კი, უნივერსიტეტს კალათბურთელის სახელის უკვდავყოფა განუზრახავს და ჯონსონის ძეგლის დადგმას აპირებს, რომლის საზეიმო გახსნაც პირველ ნოემბერს გაიმართება. სკულპტურაზე ომრი ამრანი იმუშავებს, რომელსაც უკვე შექმნილი აქვს NBA-ს კიდევ ერთი ცოცხალი ლეგენდის, მაიკლ ჯორდანის ქანდაკება. ■

ძმემ დე მურემს კატარში ეპატიჟემიან



თუკი ძმები დე ბურები კატარის კლუბის წინადადებას მიიღებენ, შეიძლება მალე, ერთ გუნდში აღმოჩნდნენ. კატარის საფეხბურთო ლიგის ტექნიკურმა დირექტორმა, გერმანიის მოქალაქემ, მანფრედ ჰონერმა განაცხადა, რომ ჰოლანდიელმა ტყუპმა ხელსაყრელი წინადადება მიიღო და ამჟამად, მას განიხილავს. „ბარსელონის“ მცველს, ფრანკ დე ბურს უკვე დიდი ხანია, რაც სეზონის დასრულებისთანავე, კატალონიური კლუბის დატოვება სურს, ხოლო მისმა ძმამ, „გლაზგო რეინჯერსის“ ნახევარმცველმა რონალდმა აღნიშნა, რომ თავის ტყუპისცალთან ერთად თამაშს ისურვებდა. კატარის საფეხბურთო ლიგამ კი, სადაც სათამაშოდ უკვე გაემგზავრნენ მარიო ბასლერი, ფრანკ ლებეფი, შტეფან ეფენბერგი, ბატისტუტა და კლაუდიო კანიჯა, ძმებს საწადელის ასასრულებლად ხელსაყრელი შანსი მისცა. ■

როდის დაგვანებებს ს

გია ავაგუმაშვილი ცოლ-შვილთან ერთად

ტანურ ძალებს რწმენაში გაძლიერებითა და ქრისტიანული მოთმინებით უნდა შეებრძოლოთ. ვინც ვერ გაუძლებს და ზურგს შეაქცევს უფალს, ეშმაკის ლუკმა გახდება. მათ, ვისაც სუსტი აურა აქვთ, გაუჭირდებათ ბოროტებასთან შერკინება. ასეთი ადამიანები ითრგუნებიან. ღმერთის სიყვარული, რწმენა და სისტემატური ლოცვა აურას აძლიერებს. დედაეკლესიის ფრთის ქვეშ საიმედოდ იქნებით დაცულნი. თუ უფლის ნებით, განსაცდელი გეწვევათ, გამაგრდით და ღმერთს მადლობა შესწირეთ.

— ქალბატონო დალი, მსმენია, რომ ზოგი, ჯიბით ატარებს ბარაქისთვის შელოცვილ, ერთდოლარიან კუპიურას. რას იტყვით ამის შესახებ?

— ერთდოლარიანს ერთ ადგილზე სამკუთხედი აქვს, რომელშიც თვალია გამოსახული. ეს სატანური ამომავალი ძალის ნიშანია. ვისაც ჯიბით თუ საფულით დააქვს, უნდა იცოდნენ, რომ ეს საშინელებაა და დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ ამისგან.

— როგორ ეხმარებით ადამიანს, რომელსაც ჯადო აქვს გაკეთებული?

— ჯერ ვადგენ, მართლა არის თუ არა ჯადო და იმასაც ზუსტად ვამბობ, თუ რაზეა გაკეთებული და ვინ არის შემკვეთი. მჩხიბავები ათასგვარ რამეს კადრულობენ ფულის გულისთვის და ხალხს აუბედურებენ. ერთი საშინელი ჯადო მომიტანეს — ცვილის თოჯინები, რომლის გამოც კინაღამ მთელი ოჯახი ამოწყდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მამაკაცები ერთმანეთს უკეთებენ ჯადოს!..

— რისთვის?

— ბოლო დროს, მომრავლდა იმ მამაკაცთა რიცხვი, რომელთაც კონკურენტები ჯადოს უკეთებენ კარიერისა და ფულის გულისთვის. ზოგიერთი მსხვილი ფირმის ხელმძღვანელს, ცნობილ ბიზნესმენებს, ჯადოებით, მჩხიბავთა დახმარებით ებრძვიან კონკურენტები. თუმცა, მავან საქმოსანთა უეცარი ჩავარდნის მიზეზი, შავ მაგთა დამსახურება როდია?! დიდი ფულით გალალებულებს, აღარ ადარდებთ სხვების გაჭირვება — ღვთაებრივი კანონების თანახმად კი, უანგაროდ უნდა გასცე, რათა მოგეცეს. დაიმახსოვრეთ: მჩხიბავის ხაფანგში გაბმულს ღვთის რისხვა არ ასცდება!

— იქნებ, რომელიმე ცნობილ პიროვნებაზე გვიამბოთ საინტერესო შემთხვევა?

— ერთხელ, ბათუმში ჩავედი მეგობართან. სტუმრებს შორის, თემურ თათარაშვილიც იყო. მეგობარმა მითხრა: სახლში უხილავი არსება გვყავს, „აბაკუნეს“ ვეძახით — გვპარავს ნივთებს და სახლს თავდაყირა აყენებსო... იმ საღამოს, ტელევიზორი რამდენჯერმე ჩართო და გამორთო, ჭიქები გადააადგილა, აბრახუნებდა და ა.შ. თემურმა არ დაიჯერა და შაყირი დაიწყო. უცებ, ყველას თვალწინ, მოზრდილი თასი ამოძრავდა, თაროზე გადაადგილდა, თაროდან გადმოფრინდა და თემურს თავზე დაეცა. მომღერალი ისე შეშინდა, ხმა აღარ ამოუღია...

— ქალბატონო დალი, არ იღლებით შელოცვებისგან?

— დღეში 30 ადამიანიც კი მიმიღია, მაგრამ დაღლას არ ვგრძნობ. ოღონდ ეშველოთ და ჩემი დაღლა მათ უბედურებასთან რა მოსატანია?!.

— რა ღირს თქვენი შელოცვები?

— არც არაფერი!.. დიდი სიხარულით ვეხმარები ყველას, ვინც კი ჩემთან მოვა. შიშმა, დეპრესიამ შეგიპყროთ? — მობრძანდით. შავი მაგების ენერგეტიკული ზემოქმედება იგრძენით? — მობრძანდით... მე ჩემს ძალას ვერ გავყიდი, თუმცა ყოფილა მომენტები, როცა ვიღაც-ვიღაცებს ეგონათ, რომ მიყიდდნენ...

— ახლო მომავალში, რას გვიწინასწარმეტყველებთ? რა გველის?

— არ აგვცდება აჯანყება. ჭკუაზე მოსაყვანად, სამოქალაქო ომის ტოლფასი ამბები მოხდება არჩევნებამდე. რა ვქნა — როგორ, რანაირად დავმალო?!. და კიდევ აუცილებლად უნდა მოვუწოდო ყველას: ყოველ კვირა დღეს, დილით, როდესაც გაიღვიძებთ, ოჯახის წევრებს უთხარით: ქრისტე აღსდგა! — მათ კი გიპასუხონ: ჭეშმარიტად აღსდგა!..

■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. პარიზში ვის საფლავს ამკობს წარწერა: „ბუნების და ჭეშმარიტების მამა“?

ა) ჟან ჟაკ რუსოს;
ბ) ვოლტერის;
გ) დე გოლის.

2. რას უწოდებდნენ ძველად თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში ბილეთების გამყიდველს?

ა) კლაკერს;
ბ) როზენკრეიცერს;
გ) კაპელდინერს.

3. რა წოდება მიანიჭეს რეჟისორ სტივენ სპილბერგს?

პ) საშინელებათა გენერლის;
ბ) რაინდის;
გ) ჰოლივუდის კინოაკადემიის აკადემიკოსის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-24

მომავალ ჟურნალისტს დეა ავალიანს კანონიერი ქურდი გიგოლა გასაქანს არ აძლევს. მის სურვილს, დეას ძმა — მკვლელობისთვის გასამართლებული თემოც უბამს მხარს, რადგან გიგოლასგან დავალებულია. გიგოლა ციხეში ყველანაირად მფარველობს თემოს და მას და დანარჩენ პატიმრებს ნარკოტიკებითაც ამარაგებს...

თავად დეას, ხელმოცარული ბიზნესმენი გურამ ოდიშელიძე მოსწონს. ქალიშვილის მიმართ გულგრილი არც გურამია, მაგრამ ბიზნესის ჩავარდნის გამო იძულებულია, საქართველოდან დროებით წავიდეს.

დეას, გაზულუქებული თანაკურსელი კახა ჯღარკავაც ეტორღიალება. კახას, დეას ძმის — თემოს თანაკლასელი შემოაკვდება. დეა გამომძიებელს, კახას საწინააღმდეგო ჩვენებას მისცემს, რითიც მამამისს — სკანდალურად ცნობილ პარლამენტარ გიზო ჯღარკავას გადაიკიდებს, მაგრამ საქმეში სასწრაფოდ ჩაერევა გიგოლა და ჯღარკავებს დროებით გააჩერებს.

დეას დედა ელენე, გიგოლასთან საკუთარი ოჯახის და განსაკუთრებით დეას ურთიერთობის სასტიკი წინააღმდეგია, მაგრამ ლოგინად ჩავარდნილი ქალი მალე გარდაიცვლება და დეაც მკაცრი რეალობის პირისპირ, სრულიად მარტო აღმოჩნდება. თუმცა, ელენეს გარდაცვალების შემდეგ, ოჯახიდან კარგა ხნის წინ წასული დეას მამა სულხანი გამოჩნდება. დეას იმედი მიეცემა, მაგრამ თავად სულხანი, მხარში დგომისა და თანაგრძნობის ნაცვლად, ქალიშვილს, ელენეს დანატოვარი სახლ-კარის ნახევარს მოსთხოვს. აქაც გიგოლა ჩაერევა საქმეში და სულხან ავალიანს ყოფილი ცოლის სახლიდან ფეხს საბოლოოდ ამოუკვეთს.

ამასობაში რედაქციიდან, სადაც დეა სწავლის პარალელურად მუშაობს, მას მივლინებით გააგზავნიან მოსკოვში. ამას გიგოლაც შეიტყობს და მოსკოვში ჩასულ დეას, პირდაპირ თვითმფრინავის ტრაპთან დახვდება...

გიგოლა დეას მოსკოვშიც არ აძლევს ამოსუნთქვის საშუალებას და სიურპრიზს სიურპრიზზე უწყობს. ყოველივე მომხდარით უკვე ისედაც საკმარისად დაბნეულ გოგონას, განსაკუთრებით, გიგოლას და ბიზნესმენ ბადრი პატარიძის აშკარად ძმაკაცური ურთიერთობა აოცებს. საბოლოოდ კი, მაინც, მას შემდეგ გაოგნდება, როცა საკუთარი ოფისის პრეზენტაციის შემდეგ, რესტორანში შეკრებილ საზოგადოებას ბადრი პატარიძე გიგოლას და დეას დღედღეზე დასაქორწინებლად გამზადებულ, შეყვარებულ წყვილადაც წარუდგენს...

ბადრი პატარიძის სიტყვების გაგონებაზე, დეას საფეთქლებზე სისხლი მოაწვა და შემდეგ, გიგოლას დაუფარავი სიძულვილით გადახედა. კარგ დღეში არც თავად გიგოლა ჩავარდა. ამიტომ, როცა აჟრიამულებულმა სუფრის წევრებმა ახალგამომცხვარი წყვილი რიგრიგობით ადღეგრძელეს, Горько-ს ძახილითაც გული იჯერეს და ისევ აქეთიქით მიმოფანტნენ, გიგოლამ ბადრი განზე გაიხმო:

— რა იყო, შე ჩემა, რა დედაკაცივით წაიგდე ენა?! კაცმა ვეღარაფერი უნდა გითხრას?

— რას ამბობ, ბიჭო?! ძლივს სიბერეში ცოლის მოყვანა გადაწყვიტე და ამას დავმალავდი?! — უპასუხა ბადრიმ და თან, თვალებმოჭუტულმა, გულმოდგინედ აათვალიერ-ჩაათვალიერა: — მაიცა, მაიცა, მგონი, ახლაც სიაფანდობ და ეს საწყალი გოგოც უბრალოდ უნდა იხმარო და მერე შენი ბოზების გზას გაუყენო...

— მორჩი, რა! — შეუღრინა გიგოლამ. — შენი ტრ... საქმე არ არის, ამ გოგოს რას ვუზამ.

— რას ჰქვია, არ არის?! — მოჩვენებითად შეიცხადა ბადრიმ. — ჯერ ერთი, ეგ გოგო აქ მე ჩამოვიყვანე და მასზე, ასე თუ ისე, პასუხისმგებელი ვარ და მეორე, არც ის დაგავიწყდეს, რომ შენც მაგას უნდა უმადლოდე აქ ყოფნას, თორემ ისე...

— რა ისე?! — თვალი თვალში გაუყარა გიგოლამ. — აბა ერთი, დაამთავრე!

— კაი, ერთი, რას ავარდი?! — სასწრაფოდ უკან დაიხია ბადრიმ. — მოჰკიდე ხელი შენს საცოლეს თუ ვინც არის შენი და წადი რაღა, თუ მიდიხარ. ამდენი კი აღარ მცალია...

— მაინც, რა ცალები გკიდია?

— შენ რა? გგონია, პრეზენტაცია ამ საღამოსთვის ტყუილად გადმოვიტანე?.. წუთი-წუთზე ინგლისელმა ბიზნესმენებმა უნდა შემომიარონ, პიტერიდან მოდიან და დოკუმენტების მთელ პაკეტს უნდა მოვაწეროთ ხელი...

— პაკეტი დიდია? — დაინტერესდა უცბად გიგოლა.

— რა არის დიდი? — ჩაეკითხა ბადრი.

— პაკეტი-მეთქი.

— კი, საკმაოდ, მაგრამ ეს შენ რაში გაინტრესებს?

— მე არაფერში, — კბილები გაახრჭიალა გიგოლამ, — აი, შენ კი ნამდ-

ვილად უნდა გაინტერესებდეს, იმიტომ, რომ როცა იმ პაკეტს ერთ ადგილში შეგთხრი, მერე გვიან იქნება.

— აბა, აბა, ცოტა ფრთხილად! — გამომწვევად გაეჯგიმა გიგოლას ბადრი. — ხომ არ დაგავიწყდა, ვის ელაპარაკები?!

— ვის და ოთხმოცდაათიანი წლების არეულობისას, საქართველოდან ბოზურად გამოპარულ ბადრია „მეხანიკს“. ხომ არ დაგავიწყდა, მაშინ რამხელა მაყუთი მოგვიტეხეთ „აბშიაკიდან“ შენ და შენმა ჯინსიპარია „პადელნიკმა“ გიზო ჯღარკავამ?! თუ აღარ გახსოვს, შემიძლია შეგახსენო!

ბადრი პატარიძეს სახეზე მკვდრისფერი დაედო და გიგოლას მხარში ჩააფრინდა:

— ჩუმად, ბიჭო, რა გაღრიალებს?!. აქ კედლებსაც ყურები აქვს!

— შენც მკიდიხარ და ეს კედლებიც! თუ არ გინდა, აქ მართლა სხვანაირი ბაზარი წავიდეს და ყველამ ყველაფერი გაიგოს, აზრზე მოდი, რა!

— უკვე აზრზე ვარ, მაგრამ გიზოსთან რაღა გინდა, რისთვის მიხსენე?..

— იმასთან მინდა, თუ მინდა. ჯერ ხომ შენ დაგიდგა „ატვეჩაიზე“ — მაგის წილსაც მე გადავიხდიო — და ახლა, ხანდახან, თავისი წილის მოტანაც არ ავიწყდება?!

— ძალიანაც მიუქარია... ხომ არ გვონია, მაგით მეც მზოგავს?!. ჩემთან მაგას კიდევ ცალკე „დაგავორი“ აქვს.

— რა „დაგავორი“?

— რა და იმ მაყუთის ანგარიშში ხან რას მთხოვს და ხან — რას... ბოლოს თავისი დაუნი შვილის МГУ-ში გადმოყვანაც კი მთხოვა.

— მერე?

— რა მერე? უნდა გადმოვაყვანინო, აბა, რა ვქნა... გიზო მაგარი ახვარი კია, მაგრამ პარლამენტში მაინც ჩვენს საქმეს აკეთებს...

— იცი, მაგ მართლა ახვარს რა თესლი შვილი ჰყავს?

— არ ვიცი, მაგრამ სხვანაირი რომ არ ეყოლება, ამას რაღა კითხვა უნდა?

— ტყავის „კურტკისთვის“ კაცს მუცელი გაუფატრა...

— მაიცა, მაიცა — ეს ყველაფერი ასე დაწვრილებით შენ საიდან იცი? — დაინტერესდა უცბად ბადრი.

— საიდან და, დეა და გიზოს ბიჭი თანაკურსელები არიან. ის საცოდავი კი, ვინც მაგ თესლმა გააგორა, დეას ძმის თანაკლასელი იყო.

— აუ, მაინც რა პატარაა ეს თბილისი: ყველა ყველას და, ძმა, ნაცნობი თუ ნათესავი როგორ გამოდის?! — შეიცხადა ბადრიმ. — არა, ძმაო, მანდ მაინც აღარ დავბრუნდებოდი, რომ...

— დაბრუნდები — აღარ უშლიან?! — ისევ შეეღრინა გიგოლამ. — მარტო ჩვენს ბიჭებს სად წაუხვალ, ჩემსავით კი არ გადაგისვამენ თავზე ხელს...

— კარგი, ჰო! — აქეთ-იქით ნერვიულად გაიარ-გამოიარა მხრებში თავჩარგულმა ბადრიმ. — მართლა, რა გეცა?! ერთი ცინგლიანი გოგოს გულისთვის ამდენი წლის ძმაკაცს ასე როგორ მიმეტებ?..

— ბატონო ბადრი, — მოისმა უცბად დეას ყინულივით ცივი ხმა, — ცინგლიანი გოგო მეტად აღარ შეგაწუხებთ, სულ კარგად ბრძანდებოდეთ!

ამ სიტყვების შემდეგ, დეა დემონსტრაციულად შებრუნდა და დარბაზიდან გასვლა დააპირა, მაგრამ გიგოლა მაშინვე მასთან გაჩნდა და თითქმის ძალით მოაბრუნა. ბადრი კი ჯერ მხრებში კიდევ უფრო ჩაძვრა, შემდეგ უცბად წელში გასწორდა, ჯიბეებიდან ხელები ამოიღო და ისე გაშალა, თითქოს დეას გულში ჩაკვრას აპირებსო:

— ჩემო კარგო, მოდი, რა, ნუ ვიჩხუბებთ. თუ რაიმე გაწყენინე, ბოდიშს გიხდი... მოიცა, მოიცა, — მუშტრის თვალით შეათვალიერა შემდეგ მან დეა, — გინდა მაგარი ინტერვიუ ჩაგიწყო?

— გმადლობთ, — ცივად მიუგო დეამ. — მე თქვენი ინტერვიუც მეყოფა, — „ივერიელის“ უახლოეს ნომერში ყველაფერს დაწვრილებით წაიკითხავთ...

— უბრალო ინტერვიუ არ გეგონოს, ნამდვილი ექსკლუზივი იქნება, — დეას ბავშვური მუქარა არად ჩააგდო ბადრიმ.

— ექსკლუზივი?.. ვისთან? — ჟურნალისტურმა ცნობისმოყვარეობამ მაინც სძლია დეას.

— ერთ ძაან მაგარ ინგლისელ ბიზნესმენთან, — ძვირფას საათზე დაიხედა ბადრიმ. — ზუსტად ათ წუთში აქ გაჩნდება. გიგოლას უკვე ვუთხარი, რომ ძალიან სერიოზულ დოკუმენტებს უნდა მოვაწეროთ ხელი. სხვათა შორის, იქ რამდენიმე პუნქტი საქართველოსაც ეხება.

— ბატონო ბადრი! — სახეზე ირონიული ღიმილი დაეფინა დეას. — სერიოზულ შეთანხმებებს შუაღამისას, თანაც, რესტორანში ვინ აწერს ხელს?

— ჩემო კარგო, ყველა სერიოზული საქმე საბოლოოდ, მაინც სუფრასთან წყდება... დამიჯერე...

— საქართველოში — კი, მაგრამ...

— მოსკოვშიც, გოგონი, მოსკოვშიც... თანაც, მეც ცოტა უცნაური კაცი ვარ, რაღაც ისეთი... — შესაფერისი სიტყვა ვეღარ მოძებნა ბადრიმ და გაჩუმდა.

— არაორდინარული? — შეეშველა დეა.

— ჰო, რა... ა-რა-ორ-დი-ნა-რუ-ლი, — ჩამომარცვლა ბადრიმ. — ასე რომ, ჩემს ინგლისელ კოლეგებს ნამდვილად არაფერი გაუკვირდებათ... მაგრამ დოკუმენტებს მაინც, აქ კი არა, ჩემს ახალ ოფისში მოვაწერთ ხელს. შენც ხომ წამოხვალ?

— რა ვიცი, აბა?! — ბავშვივით აიჩეჩა მხრები დეამ და შემდეგ, გიგოლას ისე გადახედა, თითქოს ნებართვას მისგან ელისო და გიგოლამაც მომენტით უცბად ისარგებლა:

— შენ თუ გინდა, წავიდეთ და მართლა აიღე ის ექსკლუზივი თუ რაღაც მორიგი სიაფანდობა, ოღონდ...

— მართლა მინდა! — გააწყვეტინა დეამ.

— მაშინ მართლა წავიდეთ, — თვალები ეშმაკურად მოჭუტა გიგოლამ. — შენი ნებისმიერი სურვილი ჩემთვის კანონია...

ამასობაში, ბიზნესმენები მართლა მოვიდნენ. ბადრიმ ისინი ჯერ ცალკე სუფრასთან მიიპატიჟა, შემდეგ კი დეას და გიგოლასაც ანიშნა და, ყველამ ერთად ისევ ბადრის ახალ ოფისში გადაინაცვლა. დოკუმენტების ხელმოსაწერად ბადრი და უცხოელები ბადრის კაბინეტში შეიკეტნენ. ცოტა ხანში კი, კაბინეტის კარი ფართოდ გაიღო და ბადრიმ დეასა და გიგოლასაც უხმო. თარჯიმანმა დეა მაშინვე ერთ-ერთ სტუმარს წარუდგინა, თავად დეას კი საქმიანად გადაულაპარაკა: სულ რამდენიმე წუთს გითმობენ და კითხვები სწრაფად დასვიო, და ის იყო, თავად სათარგმნელად მოემზადა, რომ დეამ პირველივე კითხვა საკმაოდ გამართული ინგლისურით დაიწყო...

მოგვიანებით, დეამ და გიგოლამ ბადრი პატარიძის ოფისი საბოლოოდ დატოვეს. დეას გულზე თეთრი ვარდების თაიგული მიეხუტებინა და სევდიანად იღიმებოდა:

— ნეტავ, როგორ მიხვდა ბადრი პატარიძე, რომ ამქვეყნად ყველა სხვა ყვავილს თეთრი ვარდები მირჩევნია?

— როგორ თუ თეთრი?!

— დიახ, თეთრი. რა იყო?

— როგორ თუ რა იყო?!. ამდენი ხანია, წითელ ვარდებს გჩუქნი და ერთხელ, მაინც,

ვერ „დამინამიოკე“ – თეთრი მირჩევნიაო?..

– მე არც პატარიძისთვის „დამინამიოკებია“ რამე... – მშვიდად მიუგო დეამ.

ამასობაში, გიგოლას ქათქათა თეთრ „მერსედესსაც“ მიუახლოვდნენ.

– თეთრი მანქანა, თეთრი ვარდები, თეთრი ქალი... დაბრძანდით, ქალბატონო! – მანქანის კარი გამოუღო დეას გიგოლამ.

– გმადლობთ, – შეიფერა დეამ და მანქანის სავარძელში ამაყად მოკალათდა.

გიგოლაც წამში მანქანის მეორე სავარძელში აღმოჩნდა და დეას გვერდულად გახედა. მას ვარდები ისევ გულზე ჰქონდა მიხუტებული.

– მოიტა, უკან დავაწყობ, – ვარდებს ხელი წაატანა გიგოლამ. – სასტუმრომდე ასე ხომ არ გეჭირება?

– მეჭიროს, რა... – ბავშვივით შეეხვეწა დეა. – დედაჩემი გამახსენდა. იმასაც, ყველაზე მეტად, თეთრი ვარდები უყვარდა... თან, იცი, რა კარგად მღეროდა ხოლმე: „თეთრი ვარდები შენთვის ვაგროვე“... – უცბად თავადაც წაიღიღინა დეამ.

– ჩვენი გაცნობის ღამეს, შენც ეგ სიმღერა არ იმღერე? – გაახსენდა გიგოლას.

– კი, ეგ იყო. დედამ მასწავლა... – უცბად ცრემლები ღაპაღუპით წამოსცვივდა დეას..

სასტუმროს ფოიეში გიგოლამ დეას ჰკითხა:

– რა ვქნათ? ნომერში ავიდეთ თუ რესტორანში დავსხდეთ?

– ჩემთვის სულერთია...

– მაშინ, თუ ძალიან არ დაიღალე, ცოტა ხანს აქაური რესტორანიც დავფასოთ. წინასწარ ვიცი, ნამდვილად მოგეწონება...

რესტორნის ინტერიერმა დეაზე მართლაც, სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. მთელი დარბაზი რაღაც უცნაურად მქრქალი შუქით იყო განათებული. მუსიკაც ასეთივე მიმქრალი და იდუმალი ჟღერდა. მაგიდების გარშემო კი იმდენად მაღალზურგიანი სკამები იდგა, რომ გარედან არც სუფრა ჩანდა და არც მისი გარშემომსხდომნი.

საიდანღაც სრულიად შეუმჩნევლად „ამოზრდილმა“ ოფიციანტმა გიგოლა და დეაც ერთ-ერთ ასეთ მაგიდასთან მიიპატიჟა. თავად იქვე მორიდებით გაჩერდა და შეკვეთის მისაღებად მოემზადა. გიგოლამ ოფიციანტს ჯერ დეას ვარდების დროებით „დაბინავება“ დაავალა, შემდეგ მენიუ გადაშალა და რამდენიმე დელიკატესი და ყველაზე ძვირად ღირებული შამპანური შეუკვეთა...

დეას საჭმლისთვის პირი არ დაუკარებია, ყელ-ყელა ჭიქაში ჩამოსხმული, მოშიშინე შამპანური კი სიამოვნებით მოწრუპა და გიგოლას ზომიერად მიბნედილი მზერა სტყორცნა.

– იცი, ახლა ვის ჰგავხარ? – გაეღიმა გიგოლას.

– ვის?

– გეწყინება, თორემ მართლა გეტყოდი.

– რაკი დაიწყე, ბარემ ბოლომდე თქვი სათქმელი. თანაც, უკვე იმდენჯერ მაწყენინე, რომ ამ ერთსაც როგორმე გადავიტან... ასე რომ, თქვი, ვის ვგავარ?

– ხვადის მოლოდინში გატრუნულ ძუ ლომს...

– ეს რა ზოოლოგიური ვნებებია?! – შეიცხადა დეამ. – მართალი გითხრა, არ მეგონა, თუ შენს ისედაც ზომაზე მეტად გადატვირთულ ლექსიკონში მსგავსი მდარე შედარებისთვისაც მოიძებნებოდა ადგილი... – წაკბინა მან შემდეგ.

– ლექსიკონსაც მიწუნებ? – თავი მოიკატუნა გიგოლამ.

– საერთოდ – კი, მაგრამ ხანდახან, ისეთი დახვეწილი ინტელიგენტივით ამეტყველდები ხოლმე, რომ პირდაპირ მაოცებ.

– მაინც, როდის? – ახლა კი, ეტყობა, მართლა დაინტერესდა გიგოლა.

– ძირითადად მაშინ, როცა პირადად მე მომმართავ.

– ვერ ხვდები, რომ თავს გაწონებ?! სხვებს როგორღა ველაპარაკები?

– რაღაცნაირად აგდებულად და საზიზღარი ჟარგონებით...

– მიდი აბა, ერთი ჩემი საზიზღარი ჟარგონი მაინც გამახსენე

– რამდენიც გინდა. თუნდაც, მაგალითად... – უცბად ვეღარაფერი გაიხსენა დეამ და დადუმდა.

– ჰო, მაგალითად, რომელი?.. ამოშაქრე...

– ყველა ერთად ამომიფრინდა თავიდან. ვეღარ ვიხსენებ. – აღიარა დეამ. – მართლა, იცი, კიდევ რა მაინტერესებს? – განაგრძო მან შემდეგ.

– ვიცი, – უპასუხა გიგოლამ და უცბად გულიანად გადაიხარხარა.

– რა გაცინებს? – წამოჭარხლდა დეა. – სულ საძაგლობისკენ როგორ გაგირბის ფიქრი?..

– რომელი საძაგლობისკენ, ძვირფასო? პირადად მე, მარტო ის ვიცი, რომ არაფერიც არ ვიცი. შენ სხვა რამე იგულისხმე?.. ო-ო-ო, ეტყობა, რუსები მართლები არიან, რომ ამბობენ: Каждый судит по мере своей испорченности-ო.

– Испорченный თავი გაბია, – უკვე სერიოზულად განაწყენდა დეა.

– მაბია... – დაეთანხმა გიგოლა. – თავიც მაბია და...

– მორჩა, წავედი!.. – ფეხზე წამოხტა დეა, მაგრამ გიგოლამ ხელი დაუჭირა და ისევ მაგიდასთან დასვა:

– კარგი, ჰო, გნებდები... რაც გინდა, ის მკითხე, ყველაფერზე ამომწურავ და თანაც, როგორც შენ თქვი, ინტელიგენტურ პასუხებს გაგცემ.

– მე შენთან დაკავშირებით აღარაფერი მაინტერესებს, – მაინც არ მოლბა დეა.

– ნუ ცრუპენტელობ. წელან არ მითხარი – კიდევ რაღაც მაინტერესებსო? ჰოდა, მიდი, მკითხე, სანამ „დობრი“ ვარ...

– კარგი. მაშინ, მითხარი ერთი, „დობრო“, შენს ნაქებ რუსებს რომ ძალიან მდიდარი ქურდული ლექსიკონი აქვთ, ქართველმა კანონიერმა ქურდებმა რაღა დააშავეთ? – სხაპასხუპით მიაყარა დეამ.

კანონიერი ქურდების აგდებულად ხსენებაზე გიგოლას სახის კუნთები ნერვიულად აუთამაშდა, მაგრამ მაინც არაფერი შეიმჩნია:

– კარგად ამიხსენი, რას გულისხმობ?

– რას და ერთხელ, რედაქციაში კანონიერ ქურდზე დამავალეს წერილის დაწერა. უფრო სწორად, ის ქურდი უკვე კარგა ხნის მკვდარი იყო და ამიტომ, ინტერვიუ მის ქვრივს ჩამოვართვი.

– კანონიერი ქურდების ქვრივები ინტერვიუებს არ იძლევიან, – ჩაიღიმა უცბად გიგოლამ.

– ვიცი. იმ ინტერვიუში არც იმ ქურდის და არც მისი ცოლის ვინაობა არ გაგვიმხელია... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ქალი, რატომღაც იმდენად მომენდო, რომ ზონიდან გამოგზავნილი ქმრის წერილი წამაკითხა და მისი გამოყენების უფლებაც მომცა. ცხადია, მეც გამოვიყენე. ჩემმა ძვირფასმა რედაქტორმა კი, ის ინტერვიუ კინაღამ ფურცელ-ფურცელ დამახია თავზე: რა დაგიჯღაბნია, ეს „რამკიანი“ ქურდის წერილია თუ პროფესორისო?!.. მერე კი, იცი, რა გააკეთა?

– რა? აგდებულად ჰკითხა გიგოლამ.

— ადგა და რაც თავად იცოდა, ხომ იცოდა, დანარჩენი სხვებს ჰკითხა და ის წერილი იმისთანა ქურდული „მარგალიტებით“ აავსო, რომ იმ საწყალ ქალს — ქურდის ცოლს კინაღამ ინფარქტი მიაღებინა.

— რომ ნახავ, შენს რედაქტორს იცი, რა უთხარი?

— რა?

— ქურდებზე როცა წერ, „ბაზარი“ უნდა გაფილტრო-თქო...

— კარგი, — გაეცინა დეას. — თუ ოდესმე ვნახე, აუცილებლად ვეტყვი.

— შენ კი გეცინება, მაგრამ შეიძლება, მართლა ველარ ნახო.

— რატომ? ვინმეს მიუგზავნი და „გაუფილტრავი ბაზრისთვის“ გააგორებინებ?

— არა. მე ამ წუთში უფრო უმტკივნეულო გამოსავალი ვიპოვე.

— მაინც რა?

— რა და, შენს თავს საერთოდ აღარ დავუბრუნებ.

— არ დაუბრუნებ, რა, ნივთი ვარ? — იწყინა დეამ.

— არა, მაგრამ უკვე შენი ახირებული რედაქტორისთვის კი არა, საერთოდაც აღარავისთვის მემეტები.

— შენ ვინ გკითხავს?!. — გაკაპასების მორიგი სეანსი დაეწყო დეას, მაგრამ უცბად, თავზე ოფიციანტი წამოადგათ და ხომ არაფერი გნებავთო? — მორიდებით ჰკითხა გიგოლას.

გიგოლამ მომენტით ისარგებლა, ოფიციანტი განზე გაიხმო და რაღაც ხმადაბლა ჰკითხა. ოფიციანტი, ერთ წამს ჩაფიქრდა და შემდეგ, თავი დაეჭვებით გადააქნია. მაშინ გიგოლამ ჯიბეში ფულის მოზრდილი დასტა ჩაუცურა; ოფიციანტიც უსიტყვოდ დანებდა და მაშინვე უკვალოდ სადღაც გაქრა. აშკარად კმაყოფილი გიგოლა კი, ისევ სუფრასთან დაბრუნდა და მის წინ მჯდარ დეას ისეთი ინტერესით დააკვირდა, თითქოს პირველად ხედავსო.

— ასე უცნაურად რატომ მიყურებ? — ჰკითხა დეამ. — რამე ხომ არ მოხდა?

— მოხდა.

— მაინც?

— უკვე უსაზღვროდ მომწონხარ.

— რას მეუბნები? — ხმაში ირონია გაურია დეამ.

— არა, მარტო კი აღარ მომწონხარ, მიყვარხარ და მინდიხარ კიდეც.

— მართლა? მარტო მე გინდივარ თუ მოხარშული წაბლიც?

— წაბლი — დესერტად... სხვათა შორის, ეგეც ძალიან მიყვარს. — სკამის საზურგეს ნიკაპით ჩამოეყრდნო ფეხზე მდგარი გიგოლა. — არ დაიღალე? წამო, რა, ნომერში ავიდეთ.

— ნომერში კი არა, ნომრებში, — გაუსწორა დეამ და ფეხზე წამოდგა. — რამდენადაც ვიცი, მე და შენ ჯერჯერობით, სხვადასხვა ნომერში ვცხოვრობთ.

— ჯერჯერობით — კი, — გაეღიმა გიგოლას, მაგრამ დეას, გიგოლას გადაკრულ ნათქვამზე ყურადღება აღარ გაუმახვილებია:

— ოფიციანტს დაველოდოთ, ჩემი ვარდები ხომ უნდა მომიტანოს.

— ვარდები უკვე შენს ნომერშია, — მშვიდად მიუგო გიგოლამ.

— ნომერში?.. რანაირად?.. — გაუკვირდა დეას. — ა-ა, გასაგებია, — დასძინა მან შემდეგ. — წეღან, განზე რომ გაიხმე და ეჩურჩულებოდი, ხომ?

— აუ, რა მიხვედრილი ხარ?! — შეაქო გიგოლამ და თან, მხარზე ხელი გადახვია: — წამო, თორემ საცაა, აქვე დავეცემი, უკვე ისე მეძინება...

საკუთარ ნომრამდე მისული დეა წამით შედგა და სანამ კარს გასაღებს მოარგებდა, შორიახლოს მდგარ გიგოლას გვერდულად გახედა:

— ყველაფრისთვის დიდი მადლობა და ღამე მშვიდობისა.

— შენც მშვიდობის ღამეს გისურვებ, ჩემო ანგელოზო, — თავი დაუკრა გიგოლამ და თავისი ნომრისკენ ტაატით გაემართა...

ნომერში შესულმა დეამ ვარდის უნაზესი სურნელი იგრძნო და მარტოდ დარჩენილი, სიამოვნებითაც გაიზმორა. შემდეგ წინა ოთახში შევიდა, შუქი აანთო და თვალებს არ დაუჯერა: ყველგან, სადაც კი ამის საშუალება იყო, თეთრი ვარდებით სავსე, მაღალი ლარნაკები იდგა. დეა ერთხანს, დაბნეული იდგა, შემდეგ ლარნაკებს სათითაოდ ჩამოუარა, ვარდები დაყნოსა და ის იყო, ნასიამოვნებმა, კიდევ ერთხელ გაიზმორა, რომ ნომრის კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა. დეა კართან წამში გაჩნდა და ხმაურით გამოაღო. ზღურბლზე ჩაფიქრებული გიგოლა იდგა:

— მოგეწონა? — ჰკითხა მან დეას.

— აღფრთოვანებული ვარ, — უპასუხა დეამ. — ამ შუაღამისას, ამდენი ვარდი მაინც, სად იშოვე?

— ბადრიმ დამითმო, ნახევარ ფასში...

— ასეთი ხუმრობა აღარ მოგბეზრდა?! — მოიღუშა დეა.

— კი. ნამდვილად მომბეზრდა. შეიძლება? — ზღურბლს ფრთხილად გადმოაბიჯა გიგოლამ.

— შეიძლება, — მაშინვე განზე გადგა დეა.

გიგოლა ოთახში შევიდა და დოინჯშემოყრილმა, ირგვლივ საქმიანად მიმოიხედა:

— მდაა... — რაღაც უცნაურად გაწელა მან შემდეგ. — ფულს მართლა ყველაფერი შეუძლია... ოფიციანტს რომ ამ ვარდების შოვნა ვთხოვე, სულ ხელები ასავსავა, მაგრამ ბევრი ფული მივეცი და ხედავ, რა მოახდინა?..

— ვხედავ, — მიუგო დეამ, მერე თავი მორცხვად დახარა და ისე დასძინა:

— მაგრამ ძალიან გთხოვ, ჩემთვის ასე აღარ დაიხარჯო...

პასუხად გიგოლა დეას ნელ-ნელა მიუახლოვდა, ცალი ხელი წელზე შემოხვია, მეორე ხელის ორი თითი კი ნიკაპქვეშ ამოსდო, თავი უკან გადააწევინა და თვალებში ჩახედა:

— ჩემი ჯიბის დარდი ნუ გაქვს, ჯერ არ გარღვეულა...

დაბნეულმა დეამ გიგოლას ცოტა ხანს, სევდიანად უცქირა და შემდეგ თვალები ისევ მორჩილად დახარა. გიგოლაც, თითქოს ამასღა ელოდაო, დამშეულივით დააცხრა ტუჩებზე...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კვენტინ ტარანტინოს ახალ ფილმს სუსტი ნერვების პატრონი ვერ მაუძღებს

ცნობილი რეჟისორის კვენტინ ტარანტინოს დიდი ხნის ნანატრი, ახალი ქმნილება — ფილმი „ბილი უნდა მოკვდეს“ ჯერ არ გამოსულა ეკრანებზე, მაგრამ მასზე უკვე ბევრს ლაპარაკობენ.

სურათში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელმა ლიუსი ლიუმ ფილმის ერთ-ერთ ჩვენებაზე არ მიიწვია ის ახლობლები, რომელთა ნერვული სისტემის გამძლეობაშიც ეჭვი ეპარებოდა. ლიუს აზრით, არ არის გამორიცხული, რომ სუსტი ნერვების მქონე მაყურებელი, უბრალოდ, ცუდად გახდეს კინოთეატრში. „ფილმში ძალიან ბევრი სისასტიკეა და ვფიქრობ, უამრავი მაყურებელი დატოვებს დარბაზს ან შესაძლოა, ყურების დროს, გული აერიოს კიდეც. მაგრამ მეორე მხრივ, როცა სურათში ამდენი სისხლიანი სცენაა, ყველაფერ ამას აღარ აღიქვამ რეალობად: ყოველივე ხელოვნებად გარდაიქმნება, — ამბობს ლიუსი ლიუ. — თუ კარგი იუმორის გრძნობა გაქვთ, შეგიძლიათ, ამაში გარკვეული კომიკურობაც კი აღმოაჩინოთ. მაგალითად, ერთ-ერთ სცენაში იმდენი სისხლი იყო, რომ ფილმი ფერადიდან შავ-თეთრად გადაიქცა, ხოლო სისხლი ნავთს დაემსგავსა... და მაინც, მინდა, მომავალი მაყურებელი გავაფრთხილო: თუ გადაწყვეტთ „ბილი უნდა მოკვდეს“ ნახვას, მზად უნდა იყოთ, რომ ეკრანზე უხვად იხილავთ სისასტიკესა და ძალადობას“.

ფილმი იმდენად გრძელი აღმოჩნდა, რომ რეჟისორი სერიოზულად ფიქრობს, ორ ნაწილად გაყოს იგი და ერთი სურათიდან ორი სხვადასხვა ფილმი გააკეთოს. ფილმი, რომელშიც უმა თურმანი, დერილ ჰანა, ვივიკა ფოქსი და ლიუსი ლიუ თამაშობენ, თავდაპირველად, ამერიკის კინოთეატრებში ოქტომბერში უნდა გამოსულიყო, ახლა კი მოსალოდნელია, რომ მეორე ნაწილს რამდენიმე კვირაში უჩვენებენ.

საინტერესოა, კიდევ ერთი მსახიობის — დევიდ კარადინის აზრი: „გადაღებები ძალიან გაჭიანურდა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კვენტინი სცენარზე მუშაობას ფილმის გადაღების პროცესშიც განაგრძობდა. ეს პროცესი საკმაოდ მოსაბეზრებელი იყო ყველასთვის და ფილმზე გაცილებით დიდხანს მოგვიწია მუშაობა, ვიდრე ეს საჭირო იყო. ამიტომაც „ბილი უნდა მოკვდეს“ ორ 90-წუთიან ნაწილად უნდა გაიყოს, რომელიც 5 კვირის ინტერვალით გამოვა ეკრანებზე. ალბათ ჯობდა, ეს ყველაფერი არ მეთქვა, მაგრამ არა უშავს — ახლა ხომ ვეღარ გამაგდებენ... — ამის შემდეგ, კარადინმა დასძინა: — შესანიშნავი მარკეტინგული სვლა გამოვიდა. პირველი ფილმი დასრულდება კლდიდან ალპინისტის ვარდნის სცენით, ამიტომ ნებისმიერ მაყურებელს, რომელიც მას იხილავს, უეჭველად მოუნდება მეორე ნაწილის ნახვაც“.

სურათის სიუჟეტის თანახმად, სუტენიორ ბილის (უორენ ბიტი) მიერ დაქირავებული მკვლელი, მეძავს, მეტსახელად „საცოლეს“ (უმა თურმანი) ტყვიას ესვრის. მისი შვილი კვდება, ხოლო თავად „საცოლე“ ხუთი წლით, კომაში ვარდება. უბრუნდება თუ არა აქტიურ ცხოვრებას, ქალი შურისძიებას იწყებს. ის პოულობს დამნაშავეს და რიგრიგობით კლავს მისი ბანდის ყველა წევრს. „საცოლის“ ბოლო მსხვერპლი ბილია. იმისათვის, რომ უმა თურმანისთვის აღმოსავლური ორთაბრძოლის ხერხები ესწავლებინათ, მუშაობის პროცესში ჩართული იყო ფილმების — „მატრიცა“ და „ჩასაფრებული ვეფხვი, უჩინარი დრაკონი“ ქორეოგრაფი ვუ-პინგ იუნი. ■

რატომ მიატოვა კაილიმ „დოლჩე და გაბანა“

კაილი მინოუგის ცხოვრებაში ახალი სატრფო — ოლივერ მარტინესი გაჩნდა. ოლივერი საფრანგეთის მკვიდრია. ალბათ სწორედ ამიტომ გამოჩნდა კაილი დაჯილდოების ერთ-ერთ ცერემონიაზე „შანელის“ სამოსში გამოწყობილი, რითიც უჩვენა, რომ ზურგი აქცია „დოლჩე და გაბანას“.

პენელოპა კრუსი და ლიზ ჰერლიც ასევე „შანელის“ კლასიკურ ჟაკეტებში იყვნენ ჩაცმულები (თითოეულის ფასი 3.000 დალარი ყოფილა).

„შანელის სახლი“ შეძლებულ ქალბატონებში ყოველთვის სარგებლობდა დიდი პოპულარობით, მაგრამ კაილის შემთხვევა განსაკუთრებულია: მრავალი წლის მანძილზე, მომღერალი მხოლოდ და მხოლოდ ცნობილ დიზაინერთა დუეტის ტანსაცმელს იცვამდა. ნეტავ, რომელმა შავმა კატამ გაირბინა მასა და „დოლჩე და გაბანას“ შორის? — კითხულობდა ყველა. პასუხმაც არ დააყოვნა: ამ შავი კატის სახელი ვიქტორია ბექჰემი ყოფილა. საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო დროს, „დოლჩე და გაბანა“ (კაილის აზრით) ზედმეტ ყურადღებას უთმობს ბექჰემების ოჯახს. MTV Awards-ის ცერემონიაზე დევიდი და ვიქტორია თავიდან ფეხებამდე სწორედ ამ ფირმის ტანსაცმლით იყვნენ შემოსილები. პრესის მთელი ყურადღება ბექჰემებზე იყო გადატანილი — ამრიგად, მათ მთელი „შოუ მოიპარეს“... ოჯახური წყვილის წარმატებამ კიდევ უფრო გაამყარა კაილის აზრი იმის თაობაზე, რომ უნდა შეზღუდოს D&G-ს სამოსის ჩაცმა იმიტომ, რომ მისის ბექჰემი... დისკრედიტაციას უწევს ესოდენ პატივსაცემ ფირმას. ეს, რაც შეეხება კაილის. დანარჩენები კი, უბრალოდ, „შანელს“ ირჩევენ. ■

დემი მურმა ჰატარა სტრიპტიზი მოაწყო



დემი მური ლოს-ანჯელესში ერთ-ერთ დიდებულ საღამოზე თავის ახალ თაყვანისმცემელ ეშტონ კატჩერთან ერთად გამოჩნდა, რომელიც მასზე 15 წლით უმცროსია. საერთო მხიარულების დროს, დემი ისეთ ეშხში შევიდა, რომ ქვედაბოლო გაიხადა და თავისი საბანაო კოსტიუმი გამოაჩინა. საღამოზე შეკრებილები შემდეგ, არანაკლებ გაოცებულები უყურებდნენ კატჩერს, რომელიც გაბრწყინებული სახით მიუახლოვდა დემის და ვნებიანად დაუწყო კოცნა. იქვე მყოფმა მურის მეგობარმა, რეპერმა შონ „დიდი“ კომსიმ კი (რომლის იახტითაც ცოტა ხნის წინ ისეირნა შეყვარებულმა წყვილმა), არათუ შეუშალა ხელი ამ მოურიდებელ ქცევას, არამედ თავადაც ჩაერთო ამ სცენაში: ის ასევე ყველას თვალწინ შეეცადა, ერთმანეთის მოფერებით გართული დემისა და ეშტონის შუაში აღმოჩენილიყო. ■

ლაიამ ნისონი სექსის მამოკვლევით დაკავდება

წარმოშობით ირლანდიელი, 51 წლის მსახიობი, ლაიამ ნისონი მთელი არსებით ჩაეფლო სექსის საკითხების შესწავლაში – მას მოუწევს განასახიეროს ამერიკელი მეცნიერი ალფრედ კინსი, რომელიც სექსუალური ცხოვრების სხვადასხვა მხარის საფუძვლიანი კვლევის ერთ-ერთ პიონერადაა მიჩნეული. კინსმა 1947 და 1953 წლებში გამოსცა ორი წიგნი – „მამრი ადამიანის სექსუალური ქცევა“ და „მდედრი ადამიანის სექსუალური საქციელი“, რომელმაც საზოგადოებრივი აზრი ააფორიაქა. მასალა წიგნებისთვის მან სხვადასხვა ადამიანის მონათხრობისა თუ საკუთარი სექსუალური გამოცდილების მიხედვით შეაგროვა. კინსი 62 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა. ამჟამად, ინდიანის შტატში მისი სახელობის ინსტიტუტი არსებობს, სადაც ადამიანის სექსუალური ცხოვრების კვლევა გრძელდება.

ცოტა ხნის წინ, ქალაქ ბლუმინგტონს, სადაც მეცნიერი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და ასევე, მისი სახელობის ინსტიტუტს, მომავალი ფილმის გადამღები ჯგუფი ეწვია, რომელსაც სცენარისტი და რეჟისორი ბილ კონდორი („ღმერთები და მონსტრები“) ხელმძღვანელობს. სურათში ლაიამ ნისონს პარტნიორობას გაუწევს ამერიკელი მსახიობი ლორა ლინი, რომელიც კინსის ცოლის როლს შეასრულებს. ■

ელიზაბეტ ჰერლი არასექსუალური გახდა

37 წლის ბრიტანელი მსახიობი და ფოტომოდელი ელიზაბეტ ჰერლი ჟურნალ „ელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გამოტყდა, რომ შარშან ვაჟიშვილის, დემიანის დაბადების შემდეგ, გარეგნობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა. „ბავშვის დაბადებიდან 3 თვის შემდეგ, დიეტის წყალობით, პრაქტიკულად მოვიშორე ჭარბი წონა, მაგრამ მაინც მოდუნებულად და არასექსუალურად ვგრძნობდი თავს...“ მსახიობს 2 კვირით მოუხდა გამგზავრება ტაილანდის ერთ-ერთ კურორტზე დასასვენებლად, რომ სათანადო ფორმაში ჩამდგარიყო. ახლა ჰერლიმ უკვე დაიბრუნა სექსუალურობა. ეს მით უფრო მნიშვნელოვანი იყო მსახიობისთვის, რადგან მან ახალი თაყვანისმცემელი – ინდური წარმოშობის მილიონერი გაიჩინა. ■

ლოპესი და აფლეკი მზად არიან, დაინიშნონ

ბრიტანულმა ჟურნალმა „ო'ქეიმ“, რომელმაც ადრე, მაიკლ დუგლასსა და კეტრინ ზეტა-ჯონსს საქორწინო სურათების გადაღების უფლებისთვის მილიონი დოლარი შესთავაზა, ახლა, საქორწინო ცერემონიის გადაღებას ჯენიფერ ლოპესსა და ბენ აფლეკს სთხოვს და ამაში მილიონ-ნახევარ დოლარს სთავაზობს. თუმცა, ორივე მსახიობის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ამ საკითხზე ისინი მოლაპარაკებებს არ აწარმოებენ და საერთოდ, მსახიობებს მიაჩნიათ, რომ გრძნობები ფასდაუდებელია. ავი ენები კი სვამენ კითხვას: იქნებ, საქმე მხოლოდ ის არის, რომ ჯენი და ბენი მეტ ფულს ითხოვენ, თან, მათი ქორწინებისადმი – რომელსაც აგერ უკვე ნახევარი წელიწადია, ასე მოუთმენლად ელის ყველა, – საზოგადოებისა და პრესის მოჭარბებულ ინტერესზე თამაშობენ. ■



კორტნი ლავი ფარ-ხმალს არ ყრის

სკანდალური ქცევებით ცნობილი მომღერალი, კურტ კობეინის ქვრივი კორტნი ლავი თავისი ყოფილი შეყვარებულის, ედვარდ ნორტონის დასაბრუნებლად ბრძოლას აპირებს, რომელსაც პოპულარულ მსახიობ სელმა ჰაიეკთან დაქორწინება აქვს გადაწყვეტილი. თუმცა, თუ ჭორებს დავუჯერებთ, ამ წყვილმა რამდენიმე თვის წინ, უკვე იქორწინა, თანაც – ყველასგან მალულად. „მათ ისე სურდათ ამის საიდუმლოდ შენახვა, რომ საქორწინო ბეჭდებზეც უარი განაცხადეს“, – იუწყება სარწმუნო წყარო. მიუხედავად ამისა, მსახიობის ოფიციალურმა პრესაგენტმა უარყო ეს ინფორმაცია. სელმა ჰაიეკმა კი, ამსწინანდელ ინტერვიუში, სადაც მას ედვარდ ნორტონთან ურთიერთობის შესახებ ეკითხებოდნენ, განმარტა, რომ მათ სულაც არ ესაჭიროებათ, ერთმანეთისადმი გრძნობის საქორწინო ფიცით დამტკიცება.

36 წლის სელმა ჰაიეკი და 33 წლის ედვარდ ნორტონი ერთმანეთს 4 წლის მანძილზე ხვდებოდნენ. მათ ერთად მუშაობაც უწევდათ: მაგალითად, ფილმ „ფრიდაზე“, რომელშიც სელმამ მექსიკელი მხატვარი ქალი განასახიერა, ედი კი, სცენარის თანაავტორი და გადაღების ნაწილობრივ დამფინანსებელიც იყო.

ედვარდ ნორტონისადმი თავისი ჩაუქრობელი სიყვარულის თაობაზე კორტნი ლავმა ჟურნალ Vanity Fair-ის მკითხველებს უამბო. ჯგუფ Hole-ის სოლისტის აზრით, ედვარდი „არასოდეს შეირთავს სელმა ჰაიეკს“. მიუხედავად იმისა, რომ შარშან, ნორტონმა ოფიციალურად სთხოვა ხელი სელმა ჰაიეკს, კორტნი მტკიცედ დგას თავისაზე და ისიც კი განაცხადა, რომ უეცარი გარდაცვალების შემთხვევაში, მთელ ქონებას ყოფილ შეყვარებულს დაუტოვებს. როგორც ჩანს, ეს მისი 11 წლის გოგონას – ფრენსისის ხარჯზე მოხდება... ამასთანავე, პირადი და შემოქმედებითი წარუმატებლობის მიუხედავად (ჯგუფი Hole ხომ დაიშალა), კორტნი ლავი არც მუსიკაზე აპირებს უარის თქმას. ამჟამად, იგი სოლო კონცერტს ამზადებს, რომელზეც დასარტყამი ინსტრუმენტების შემსრულებელ პატი შმელსა და ვოკალისტ ლინდა პერისთან ერთად მუშაობს. ■

ხელის Peugeot თავისუფლად გაიყიდება

ივლისში, ფრანგული საავტომობილო კომპანია ევროპელ მომხმარებლებს კომპაქტურ სპორტულ მოდელს – 206-ს შესთავაზებს. ეს მანქანა, რომლის სახელწოდება შეიცავს აბრევიატურას – RC, რალისთვის განკუთვნილ, Peugeot 206 WRC (World Rallye Car) ბაზაზე შეიქმნა. მას სამი – 2000, 2001 და 2002 წლის – მსოფლიო ჩემპიონატი აქვს მოგებული. რაც შეეხება სერიულ ავტომობილს – ის 4-ცილინდრიანი ძრავათია აღჭურვილი, რომლის სამუშაო მოცულობა 2 ლ-ს, სიმძლავრე კი – 177 ცხ.ძ-ს შეადგენს; 100 კმ/სთ სიჩქარეს, 1100 კგ მასის მქონე მანქანა 7,4 წმ-ში ავითარებს. ახალი „პეჟოს“ მაქსიმალური სიჩქარეა 220 კმ/სთ, საწვავის ხარჯი – 8,6 ლ ყოველ 100 კმ-ზე.

Peugeot 206 RC-ზე მუშაობისას, კონსტრუქტორები, სპორტული მანქანისთვის საჭირო, ხისტი საკიდრისა და მგზავრებისთვის აუცილებელი კომფორტულობის კომპრომისს ისახავდნენ მიზნად და მშვენივრადაც გაართვეს თავი ამ ამოცანას. მანქანა აღჭურვილია მუხრუჭების ანტიბლოკირების და სხვა აგრეგატებისთვის საჭირო, ელექტრონული სისტემებით. სპორტულ ელემენტებს შორის აღსანიშნავია; სპოილერი, ორი ქრომირებული აირგამწოვი მილი, რალის მანქანებისთვის დამახასიათებელი, ტყავის შალითიანი სპორტული საჭე და ალუმინისთავიანი, გადაცემათა გადასართავი სახელური. სერიულ კომპლექტაციაში შედის: გამათბობლებით აღჭურვილი სავარძლები, კონდიციონერი, წვიმის სენსორი, სტერეოსისტემა და მოძრავი მაშუქები, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, მანქანის კორპუსში „იმალება“.

ამ ავტომობილის ფასი ევროპაში 21.500 ევრო იქნება; 1.000 ევროთი მეტი დაჯდება ლიმიტირებული სერია – WRC Edition, რომელიც 100-ცალიანი ტირაჟით გამოვა. ■

ფრანგული ხალეტა

მრიოდე თვის წინ, ქალაქ დიეპში კომპაქტური სპორტული ავტომობილის – Renault Clio V6-ის წარმოება დაიწყო. ამ ორადგილიანი მანქანის დამახასიათებელ თვისებას ის წარმოადგენს, რომ მასში ძრავა შუაშია ჩადგმული. თვით აგრეგატი ფირმა Porsche-ს გერმანელი ინჟინრების მონაწილეობითაა შექმნილი. ის 6-ცილინდრიანია, 3 ლ სამუშაო მოცულობა აქვს, 255 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს; 100 კმ/სთ სიჩქარეს სულ 5,8 წმ-ში აღწევს.

კომპაქტური ჰეჩბეკის – Renault Clio-ს სპორტული ვარიანტი საკმაოდ რთულად იქმნებოდა. ფრანგული კომპანიის გარდა, ამ პროცესში მონაწილეობდნენ აგრეთვე, სპორტული ავტოწარმოების ისეთი გამოცდილი წარმომადგენლები, როგორებიცაა: TWR (Tom Walkinshaw Racing) და Lotus. ამ უკანასკნელის წარმომადგენლებსა და „რენოს“ სპეციალისტებს შორის საფუძვლიანი კამათიც გამართულა: ფრანგები, ძრავას ელასტიკურობაზე აკეთებდნენ აქცენტს, მათი ოპონენტები კი – მის სიმძლავრეზე. ამ დავაში ფრანგებმა გაიმარჯვეს და შედეგად, სიმძლავრე, სავარაუდო 260-დან, 220 ცხ.ძ-მდე შემცირდა. მანქანა აღჭურვილია ავტომატურ გადაცემათა კოლოფით Renault Avantime-ისაგან.

პირველი თაობის Clio V6-ს არცთუ ისე დახვეწილი კონსტრუქცია ჰქონდა: ავტომობილის ჩქაროსნული კონცეფცია არ ერწყმოდა გადაცემათა კოლოფის კომფორტულობის მახასიათებლებს. თავდაპირველად, 5000 მანქანის გამოშვებას აპირებდნენ, მაგრამ 20-თვიანი წარმოების შემდეგ, კონვეიერი გააჩერეს. მაშინ სულ 1630 მანქანა აიწყო.

ამჟამინდელი, ბოლო ვარიანტი გათვალისწინებულია მოძრაობის უკომპრომისო, სპორტული სტილის მოყვარულებისთვის, რომლებიც მზად არიან, რომ სოლიდური თანხა გადაიხადონ ამ სიამოვნებისთვის: Renault Clio V6 II 36.600 ევრო ეღირება. ■

მობილური ოფისი Lancia-საგან

კონცერნ Fiat-ში სტრუქტურულად შემავალმა კომპანია Lancia-მ ვენის – Phedra-ს ყველაზე მძლავრი მოდიფიკაცია გამოუშვა. 6-ადგილიან (სავარძლები სამ რიგად აქვს) ავტომობილს და სხვა ევროპულ ვენებს (Citroen C8, Fiat Ulysse, Peugeot 807) უნიფიცირებული ტექნიკური ბაზა აქვთ. Phedra-ს საუკეთესო ვერსია 3-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი, 204 ცხ.ძ-იანი ძრავათი და ავტომატურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი.

მანქანა საუცხოო მანევრირებით გამოირჩევა, თუმცა საკმაოდ დიდი მასა აქვს – 1,8 ტ. სალონი ტყავითაა გაწყობილი, დახვეწილი დიზაინი კი, იტალიური სკოლის საუკეთესო ტრადიციებითაა შესრულებული. ყველა სავარძელი, ერთის – მძღოლის გარდა – შეიძლება დაიკეცოს ან საერთოდ მოიხსნას, რაც მფლობელს, მსხვილგაბარიტიანი საგნების გადატანის საშუალებას მისცემს. ვენის საბაზო კომპლექტაციაში შედის: კლიმატკონტროლიანი კონდიციონერი, ნავიგაციური სისტემა, ქსენონის მაშუქები, უსაფრთხოების ბალიშები. ამ ძვირად ღირებული ვენის შესაძენად, სოლიდური ქონების პატრონი უნდა იყოთ: ევროპაში Lancia Phedra V6 35.000 დოლარი ეღირება. ■

თარჯიმნის თანმდევი სტრესები, ალუფოთმეპული აზმერპაიჯანელები

და ეზა ვინესისკენ ანუ ინგლისური 3-4 თვეში

ცნობილი ქართველი მკურნალის, ბიჭიკო ასკურავას ნათესავის, გოგა ასკურავას სახელი შესაძლოა, ბევრისთვის უცნობი იყოს, მაგრამ სწორედ მან გვამცნო პირველად პირდაპირი ტელეეთერით, ერაყში საომარი მოქმედებების დაწყება და მთელი ღამის განმავლობაში, სინქრონულად თარგმნიდა „სი-ენ-ენ“-ის მიერ გადმოცემულ უახლეს ინფორმაციას. ბატონი გოგა იმ პროფესიონალთა რიგს მიეკუთვნება, ვისი დახმარებითაც ხშირად სარგებლობენ არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო მოხელეები, არამედ მაღალი რანგის უცხოელი პოლიტიკოსები თუ სხვა სფეროს წარმომადგენლები. ბატონი გოგას სინქრონული თარგმანი ერთვის საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენციებს და მის მიერ ნასწავლი ინგლისურით იწონებენ თავს ცნობილი და პოპულარული ქართველები.

ემა გელოვანი

ესპანეთში, საერთაშორისო კონფერენციის მონაწილესთან ერთად

— რამდენიმე თვის წინ, საგაზეთო ინტერვიუში ბრძანეთ, რომ იმ ადამიანებს, ვინც სრულიად არ იცის ინგლისური, შეგიძლიათ 3-4 თვეში ისეთ დონეზე ასწავლოთ ენა, რომ არ შეექმნებათ პრობლემები ვთქვათ, ინტერნეტში ან რთულ საგაზეთო მასალებთან მუშაობისას, „სი-ენ-ენ“-ის გადაცემებსაც გაიგებენ და თავადაც გამართულად ილაპარაკებენ. უნებლიეთ გამახსენდა, წარსულში გავრცელებული, ილონა დავიდოვას მეთოდი.

— ჩემი აზრით, ასეთი მეთოდი არ არსებობდა — ეს იყო ჩვეულებრივი თაღლითობა, რომელიც მცირე მასშტაბებით, ახლაც გრძელდება. ყველას სმენია ე.წ. 25-ე კადრის შესახებ, რომელიც გულისხმობს კინოპროდუქციის ყურებისას ქვეცნობიერ აღქმასა და დამახსოვრებას. აქედან გამომდინარე, მარტივად რომ ვთქვათ, შესაძლებელია, რომ ტელევიზორს უყურო და ცოდნა თავისით შედიოდეს თავში. თუ ასეა, ამავე მეთოდით შეიძლება მედიცინის, იურისპრუდენციის, ისტორიისა და სხვა საგნების სწავლა... ამ მეთოდზე უამრავმა ადამიანმა დახარჯა სოლიდური თანხა, მაგრამ გაწბილებული დარჩა. თავს მიზნად დავუსახე, რომ დავიდოვას მეთოდის გარეშე, საკუთარი მეთოდით 3-4 თვეში ჩემი მოსწავლეებისთვის მიმეცა ინგლისური ენის საფუძვლიანი ცოდნა და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ მივაღწიე კიდეც ამას. ფაქტობრივად, არ არსებობს რაიმე გართულება ამ მეთოდის დაძლევისას, თუ ადამიანს მცირე დრო მაინც აქვს იმ მითითებების შესასრულებლად, რასაც მე ვაძლევ. ჩემს ინტერვიუს ბევრი ადამიანი გამოეხმაურა და 3-4-მა მოსწავლემ შეძლო ამ ვადებში ენის სწავლა.

— როგორ გამოიყურება თქვენი ცნობილი მოსწავლეების სია?

— შინაგან საქმეთა მინისტრი, უშიშროების მინისტრი, „მაგთის“ გენერალური დირექტორი, ინტერპოლის ხელმძღვანელი, რუსთავის მერი, უზენაესი სასამართლოს დისციპლინარული პალატის თავმჯდომარე, აზერბაიჯანის კონსული, აზერბაიჯანის გენპროკურორის ძმა, იუსტიციის მინისტრის მოადგილე, საგზაო პოლიციის პოლკის უფროსი, ბიზნესისა და შოუბიზნესის მრავალი წარმომადგენელი — მაგალითად, მოდელი ლალი ტოტიკაშვილი, — და სხვა ცნობილი ადამიანები.

— როგორი მოსწავლეები არიან ბატონი მინისტრები?

— მათთან ცოტა მეტი დრო მჭირდებოდა, ვინაიდან სულ დაკავებულები არიან და საშინაო დავალებების მიცემასა და სავარჯიშოებზე საუბარიც კი ზედმეტია. განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევიან, როგორც უშიშროების, ასევე შინაგან საქმეთა მინისტრი. მაგალითად, როგორც ბატონ კობას, ასევე ბატონ ვალერის 5 წუთში შეეძლო დაემახსოვრებინა ისეთი სირთულის ტექსტი, რომლის ათვისებას სხვა

მოსწავლე 40 წუთს მაინც ანდომებდა.

— დავიჯერო, „ორიანი“ არ დაგიწერიათ ან უარყოფითი შეფასება არ მიგიციათ მათთვის?

— თუ რაიმეს ისე ვერ აკეთებდნენ, როგორც საჭიროა, — მხოლოდ დროის უკმარისობის გამო, სხვა მხრივ პრობლემები არ გვქონია.

— მინისტრებს სწავლების საფასურს განგებ ხომ არ უზრდიდით?

— პირიქით — ვცდილობდი, რომ საერთოდ არ ამეღო სწავლის ქირა, მაგრამ ისე შეგარცხვენენ — რითი განვსხვავდებით ჩვენ სხვა ადამიანებისგანო?! — რომ ჩემი საქციელი შეცდომად ჩავთვალე. ჩვენ დღემდე მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს.

— ვიცი, რომ ბევრ უცხოელ გამოჩენილ ადამიანსაც გაუწიეთ სამსახური.

— დიახ, მთარგმნელობითმა საქმიანობამ დამაკავშირა ცნობილ ვარსკვლავ ჯერემი აირონსთან, ჰოლანდიის დედოფალ, სოფიასთან და პრინცესა მარგარიტასთან, რუს მსახიობ ალექსანდრ კალიაგინთან, იაპონიის პრინცთან, შოტლანდიის ერთ-ერთ დიდგვაროვან ლედი ლიმერივთან, საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე ბრინერთან, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის მდივან ნიკოლა დელა გარნვილთან და ვინ მოთვლის, კიდევ ვისთან... ჯერემი აირონსს ისე ვუთარგმნე საუბარი რუსული და ინგლისური თეატრების დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე, რომ არ ვიცოდი ამ მსახიობის ვინაობა და მხოლოდ წლების შემდეგ შევიტყვე, თუ რა დონის ვარსკვლავთან მქონია საუბრის ბედნიერება...

— საერთაშორისო მნიშვნელობის შეხვედრების, კონფერენციების სინქრონული თარგმანი უდიდეს პასუხისმგებლობას და სიზუსტეს მოითხოვს. როგორ ართმევთ ამ რთულ ამოცანას თავს?

— პირველი და უმთავრესი ეს არის სტრესული მდგომარეობა. მეათასედ რომ უწევს თარჯიმნობა, მაშინაც კი სტრესშია თარჯიმანი. შეიძლება, ადგილი ჰქონდეს აპარატურის გაუმართაობას, გამომსვლელის სპეციფიკურ მეტყველებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამიტომ, მიუხედავად სოლიდური ანაზღაურებისა, ბევრი ჩემი კოლეგა სამუშაოზე უარს აცხადებს. სტრესის დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა უმაღლესი კვალიფიკაციის პარტნიორის ყოლა (თარჯიმნები ხომ ხშირად, წყვილად მუშაობენ). მაგალითად, ჩემმა პარტნიორმა, ირმა ხვედელიძემ ბევრჯერ მიხსნა უმძიმესი სიტუაციიდან. ბუშისა და ჰუსეინის ისტორიული გამოსვლები პირდაპირი ეთერით საქართველოს მოსახლეობას მე ვუთარგმნე, რაც ძალიან მეამყება.

— სერიოზული შეცდომა თუ მოგსვლიათ სინქრონული თარგმანის დროს?

— მქონდა ასეთი შემთხვევა და პირველად, თქვენ გიამბობთ ამის შესახებ. ხუთი წლის წინ, უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობდა კონფერენცია. როგორც წესი, ასეთ დროს, წინასწარ ხდება თემატური მასალების საფუძვლიანი შესწავლა. თავიდან, კონფერენცია გერმანულ ენაზე უნდა წარმართულიყო, მაგრამ გერმანულის თარჯიმნებს პრობლემები შეექმნათ. ამას ისიც დაემატა, რომ ერთი დღით ადრე, მოულოდნელად მაცნობეს, რომ მარტო უნდა გავძღოლოდი ამ კონფერენციას. პირველმა დღემ გართულებების გარეშე ჩაიარა, მაგრამ მეორე დღეს, როდესაც კონფერენციის დასრულებამდე სულ 20 წუთი იყო დარჩენილი, ერთი სიტყვა, რომელიც აზერბაიჯანის წარმომადგენლის მისამართით იყო წარმოთქმული, არასწორად ვთარგმნე. აზერბაიჯანელმა ვერ გაიგო წინადადების შინაარსი და მთხოვა, გაიმეორეთო. მე იგივე გავიმეორე. უბრალო თხოვნას, რომელიც გამომსვლელმა აზერბაიჯანის დელეგაციის მიმართ გამოთქვა, ჩემი უზუსტობის გამო კატეგორიულობის ელფერი შეემატა. აზერბაიჯანელი აღშფოთდა, გამომსვლელი ახსნას ცდილობდა, მე კი, უბრალოდ, სიტყვის მეორე მნიშვნელობა ვერ გავითვალისწინე — ალბათ ძალიან გადაღლილი ვიყავი.

— მართალია, რომ ლონდონში, „ჰიტროუს“ აეროპორტში ბრიტანული წარმოთქმის გამო დაგაკავეს?

— ერთხელ ჩემმა პედაგოგმა, ქალბატონმა ლია გაბეჩავამ გამოთქმა შემიქო. ამის შემდეგ, ამეკვიატა, რომ ხან ბრიტანელისთვის დამახასიათებელი მეტყველებით მელაპარაკა, ხან — ამერიკელის.

მივიღე შემოთავაზება, განმეხორციელებინა 24-საათიანი თანამიმდევრული თარგმანი

ამ რამდენიმე წლის წინ, ლონდონის აეროპორტში, საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომელთან საუბრისას, ბრიტანული წარმოთქმა გამოვიყენე, რამაც მას ეჭვი აღუძრა, რომ მე უცხოელის პასპორტს ამოფარებული, ბრიტანელი კრიმინალი ვიყავი. მხოლოდ ხანგრძლივი შემოწმების შემდეგ მომცეს ქალაქში შესვლის უფლება. მაშინ პირველად ვინანე, ჩემი ბრიტანული გამოთქმის გამო.

— როგორც ვიცი, გინესის რეკორდების წიგნში შესვლას აპირებთ ყველაზე ხანგრძლივი თარგმანის გამო.

— მას შემდეგ, რაც მარტო ვუძღვებოდი 7-8-საათიან სინქრონულ თარგმანს, გადაწყვიტე, უფრო მეტად გამომეცადა თავი. როდესაც გინესის რეკორდების სააგენტოს მივმართე, აღმოჩნდა, რომ მსოფლიოში პირველი ადამიანი ვიყავი, ვისაც ეს იდეა დაებადა. მალე მივიღე შემოთავაზება, განმეხორციელებინა 24-საათიანი თანამიმდევრული თარგმანი, რაზეც დავთანხმდი. მაგრამ შემდეგ, გინესის წარმომადგენლობამ რატომღაც მოულოდნელად შეიცვალა პოზიცია. იმედს არ ვკარგავ და ისევ ვაპირებ, გავაგზავნო ჩემი თხოვნა — თუ უკვე ვინმემ არ დამასწრო. ■

მაიმუნმა ჩაიხედა სარკეში და ახარხარდა; ასე დაიბადა ადამიანი...

სტანისლავ ეჟი ლეცი

ფრაზები გენიალური

თამარ კაპანაძე

ჟორა შავგულიძის ავი წინაგრძნობა, sandro JorJolianis paeqroba leninTan და "გაიძვერა" შაქრო გომელაურის "გაკურება"

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი გოგი გელოვანი იმ თაობის წარმომადგენელია, ძველებსა და ახლებს შორის ხიდივით რომ გადებულა და მიუხედავად სოლიდური ასაკისა (იგი მარტში 80 წლისა გახდა), უამრავი საინტერესო ამბავი ახსოვს. ბუნებრივია, მის მეხსიერებას ყველაზე კარგად იმ გამოჩენილ კოლეგებთან დაკავშირებული შემთხვევები შემოუნახავს, ვინც თავიანთი განუმეორებელი ნიჭისა და ტალანტის წყალობით, არასოდეს „გამოდიან მოდიდან“, თუმცა, არც იმათ ივიწყებს, ვისაც ნაკლებად იცნობს დღევანდელი თაობა...

გიორგი შავგულიძე – უმცროსი კოლეგების მფარველი და მეგობარი

— ბატონო გოგი, გიორგი შავგულიძე ხომ თხემით ტერფამდე არტისტი და მართლა საოცარი თვისებების კაცი იყო... ასეთი არაჩვეულებრივი გარეგნობის, მომნუსხველი ღიმილის, დახვეწილი პლასტიკისა და იუმორის იშვიათი გრძნობის პატრონი ალბათ არ შეიძლებოდა, რომ სცენასა და ეკრანს მიღმა დარჩენილიყო...

– ის იმდენად ნიჭიერი იყო, რომ მისი ადგილი სამუდამოდ ცარიელი დარჩა – ვერავინ შეავსო. არაორდინარული და კოლორიტული პიროვნება, ყველა სიკეთესთან ერთად, გრიმის გაკეთების დიდოსტატიც იყო. ის რომ გრიმს გაიკეთებდა, მყისვე მიხვდებოდი, თუ რა ტიპის პერსონაჟი უნდა ეთამაშა. სახის ასეთი მხატვრული ხედვა მის კიდევ ერთ შეფარულ ნიჭზე მეტყველებდა, რომელიც მერე, მთელი სისავსით გამოვლინდა მის ვაჟიშვილში: ნუკრი შავგულიძე სამხატვრო აკადემიის პროფესორი, მხატვარი-მოქანდაკე გახდა, მამის სახემ კი, მის შემოქმედებაში საკმაოდ დიდი ადგილი დაიკავა. შესანიშნავი მხატვარი იყო მისი შვილიშვილიც, თანატოლისავე ხელით უღმერთოდ გაწირული, სრულიად ახალგაზრდა, ბაბუის მოსახელე გიორგი შავგულიძეც...

სცენა სპექტაკლიდან „ჭრიჭინა“. გოგი გელოვანი გიორგი შავგულიძესთან ერთად

— ბატონი ნუკრის მიერ შექმნილი ერთი მშვენიერი ბიუსტი ნაძალადევის რაიონში მდებარე, დიდი მსახიობის სახელობის თეატრ „სახიობის“ ფოიეს ამშვენებს; მეორე კი, რომელიც დიდუბის პანთეონში, მსახიობის საფლავზე დგას, მეჩვენება, რომ უცნაურ წინასწარმეტყველებას უფრო ჰგავს: დიდი მწუხარებით, ტკივილით აღსავსე, თავზე ხელებწავლებული და დაჩოქილი ჟორა შავგულიძე თითქოს შვილიშვილის ტრაგიკული ბედით შეძრული და შეძრწუნებული ჩამოუქნია შვილის ფაქიზ ხელს...

– გამორიცხული არაფერია, ინტუიცია ზოგჯერ ბევრ რამეს კარნახობს შემოქმედს. თუმცა, ეგებ, თავად ჟორას ტრაგიკული აღსასრულის მნახველამდე მოტანა იყო ნუკრის მიზანი... ისიც გამიგონია, რომ ჟორას ჰქონია საკუთარი ნაადრევი გარდაცვალების განცდა და როცა ჯერ კიდევ სტუდენტი, შვილის მიერ პლასტელინში გამოძერწილი ეს ნამუშევარი უნახავს, სათუთად შეუხვევია, შეუნახავს და უთხოვია – საფლავზე დამიდგიო. ისე, გამორიცხული არც თქვენი ვერსია უნდა იყოს. გააჩნია, ვინ რას ამოიკითხავს დიდი ოსტატობით შექმნილ ამ სკულპტურაში. ხელოვნების ძალა ხომ სწორედ იმაშია, რომ სხვადასხვაგვარი ასოციაცია აღუძრას მნახველს.

— უდავოდ. თუმცა, ალბათ უმჯობესია, ამ ტკივილიან თემას გვერდი ავუქციოთ და გიორგი შავგულიძესთან თქვენი პირველი შეხვედრის შესახებ მიამბოთ.

– 1945 წელია, შემოდგომაა. „დავით გურამიშვილის“ გადასაღებად მატარებლით მივდივართ მოსკოვში. მოგეხსენებათ, ჟორა მთავარ როლს ასრულებდა. მე ვახტანგ მეექვსის უმცროსი ვაჟის, გიორგის როლზე ვიყავი მიწვეული. მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი, დიდ მსახიობებთან სიახლოვეს ვეკრძალვოდი და მორიდებით ვიდექი. ეტყობა, ჟორას თვალში მაინც მოვხვდი და ასისტენტ აბრამ მოშიაშვილს ჰკითხა: ეს ახალგაზრდა ვინ არისო? როცა შეუტყვია, მიშა გელოვანის ძმისშვილიაო, ძალიან გახარებია. თავისთან მიხმო, გულში ჩამიკრა და აბრამს უთხრა: ამიერიდან, ეს ბიჭი ჩემთან იქნებაო, – და ასეც მოხდა. ერთი დიდი ბედნიერება იყო მოსკოვთან ახლოს მდებარე, საეკლესიო და სამუზეუმო ქალაქ ზაგორსკში მასთან ერთად ცხოვრება. წარმოიდგინეთ, ასეთი სახელმოხვეჭილი მსახიობი მმფარველობდა და გვერდიდან არ მიცილებდა. მანამდე, ასეთივე ბედნიერება ხვდა წილად ჩემს ბავშვობის დროინდელ მეგობარს, დღეს ცნობილ მხატვარს, ზურაბ ლეჟავას. „გიორგი საakაძეზე“ მუშაობისას, სადაც ჟორა ერთ-ერთი მეომრის ეპიზოდურ როლზე იყო დაკავებული, ზურა კი საakაძის უფროს ვაჟს – ავთანდილს თამაშობდა, უცნაური დამთხვევის წყალობით, ჟორას სწორედ იმავე აბრამისაგან შეუტყვია, რომ ზურა 1937 წლის რეპრესიებს შეწირული მსახიობის – ელგუჯა ლორთქიფანიძის დისშვილი იყო და თავის სითბოს არ აკლებდა მას. როცა ამ ორ ამბავს შორის პარალელი გავავლე, მივხვდი, რომ უმცროს კოლეგებთან მეგობრობა და მათი მფარველობა ჟორა შავგულიძის ხასიათის უმნიშვნელოვანესი შტრიხი გახლდათ... მე-

სანდრო ჟორჟოლიანი და გოგი გელოვანი მარჯანიშვილელთა გარემოცვაში

ორედ „ქეთო და კოტეზე“ მუშაობისას შევხვდი. მისი და ვასო გოძიაშვილის პერსონაჟები — სიკო და ნიკო დაუვიწყარია თაობებისთვის. გადაღებების შემდეგ, მე და ზურა ხშირად ვიმყოფებოდით მათ გვერდით. ჟორა არაჩვეულებრივი მოქეიფე იყო და სიმღერაც ძალიან უყვარდა, ოღონდ, ქუთაისში გაზრდილმა, მხოლოდ იქაური ქალაქური ფოლკლორი იცოდა, თუმცა მოგვიანებით, დიდებული სმენის წყალობით, რთული სიმღერებიც ისწავლა და „მრავალჟამიერის“ სხვადასხვა ვარიანტსაც ჩინებულად ასრულებდა.

— ფოლკლორიდან კლასიკაზე როგორ გადაერთო?

— „ირინეს ბედნიერებაში“ შალვა ღამბაშიძემ ირინეს მეუღლის, ლუარსაბის როლზე დანიშნა. მე მის მეგობარს — სოგრატს ვთამაშობდი. განაწილების ბოლოს, ღამბაშიძემ ორივე დაგვტოვა: სხვა გზა არაა, თავი უნდა შეიწუხო, ჟორა, და კარგი იმერული სიმღერები ისწავლო; გოგი დაგეხმარება და შენი შრომისმოყვარეობის ამბავი რომ ვიცი, ეს არ გაგიჭირდებაო, — უთხრა. რას ვიზამდით? — შევუდექით საქმეს. მოხდა ისე, რომ ზოგიერთი სიმღერის ყველა ხმა არც მე ვიცოდი და დასახმარებლად რუსთაველის თეატრის მსახიობს, ემანუილ აფხაიძესა და სადადგმო განყოფილების გამგეს, ბათუ კრავეიშვილის ბიძას, კოლიას მივმართე, რომელიც აგრეთვე ძალიან კარგად მღეროდა. დავამუშავეთ ხმები და შევუდექით სიმღერების შესწავლას. ნეტავ, გენახათ ჟორა მუშაობისას! მე, რომელსაც ქვეყნად ვერავინ და ვერაფერი მღლიდა, ჟორა სიქას მაცლიდა... ასე ვისწავლეთ ოთხი სიმღერა, თუმცა სწავლაცაა და სწავლაც — ჟორამ მართლა ყველა გააოცა... „მარინეში“ ჭრიჭინაზე შეყვარებულ კოხტას თამაშობდა და ბობოქარი მდინარესავით თავის კალაპოტში ვერ ეტეოდა. არაჩვეულებრივი იყო, იუმორით სავსე. სცენაზე ნამდვილ ფეიერვერკებს აწყობდა და დარბაზი ტაშით ინგრეოდა. „კოლმეურნის ქორწინებაზე“ ხომ ლეგენდები დადიოდა. იმპროვიზაციის დიდოსტატი ყოველ სპექტაკლში რაღაც ახალს იგონებდა, დაუსრულებლად ფანტაზიორობდა და სენსაციებს იწვევდა. დარბაზში ხალხის ტევა არ იყო, მოდიოდნენ და უამრავჯერ ესწრებოდნენ ერთსა და იმავე სპექტაკლს, რომ ათაგსვარად სახეცვლილი და გარდასახული გიორგი შავგულიძე ენახათ. არადა, სცენაზე ასეთი ლაღი, ცხოვრებაში მორიდებული კაცი იყო, მორცხვიც კი ეთქმოდა. ამხელა მსახიობი იყო, ასე უყვარდა ხალხს, მას კი უფროსებთან მორიდების გრძნობა არასოდეს დაუკარგავს. წავიდა და ათასების გულიც თან გაიყოლა, ორმოცდაათისაც კი არ იყო. კარგად თქვა მიშა ქვლივიძემ — ის მართლა დააკლდა ქალაქს, ოჯახს, თეატრს, სცენასა და ეკრანს, ხელოვნების ცაზე კი მარადიულ მოკაშკაშე ვარსკვლავად აკიაფდა...

ალექსანდრე ჟორჟოლიანი — ჟომიჟოსი და... პოლიტიჟოსი

— გიორგი შავგულიძისა და ალექსანდრე ჟორჟოლიანის განუმეორებელი მამა-შვილი „ბედნიერ შეხვედრაში“, მათი დიალოგები, მიმიკები, ცეკვის ილეთები დაუვიწყარია ნებისმიერი ასაკისა და გემოვნების მაყურებლისთვის. ალბათ კარგად გახსოვთ ეს ფილმი, არა?

— რასაკვირველია. ამ ფილმში ორი გენიალური მსახიობის არაჩვეულებრივი ტანდემი შედგა, მაგრამ რადგან ჩვენ უკვე ვისაუბრეთ შავგულიძეზე, ამჯერად ჟორჟოლიანზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. თუმცა ფიზიკურად არ ბრწყინავდა, სანდრო ჟორჟოლიანის მსგავსი მომხიბვლელობა ყველა მსახიობს როდი ჰქონდა. მისი გამოჩენაც კი უკვე ზეიმი იყო. მაყურებელი ტაშსა და სიყვარულს არ აკლებდა და იგი ამის გამო მართლა ბედნიერი იყო. მახსოვს, ერთხელ, ზესტაფონში გასტროლის დროს, ღამბაშიძეს უმტკიცებდა: შენს მშობლიურ კუთხეშიც კი, მე უფრო მეტად ვუყვარვარ ხალხსო, — და თითქოს ამის დასტურად, მატარებელი გაჩერდა თუ არა, მემანქანემ, რომლის წინაშეც ამდენი მსახიობი იდგა, სწორედ მას მიმართა: მობრძანდით, კოსტაია და წაგიყვანთო... ეს სახელი ლამის მეტსახელად ექცა. არადა, ასე მის პერსონაჟს ერქვა „ნარინჯის ველში“ — ეგ იყო და ეგ.

— როდის გაიცანით?

— „ქეთო და კოტეს“ გადაღებისას შეიტყო, რომ მიშას ძმისშვილი ვიყავი და ძალიან გაუხარდა. მათ ერთად დაასრულეს სასულიერო სემინარია ბაქოში და მეგობრობდნენ კიდეც. სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ბიძაჩემი თბილისში დაბრუნდა, ჟორჟოლიანი კი ბაქოში დარჩა. ეს ის პერიოდია, როცა რევოლუცია მზადდება, ხოლო ბაქო პოლიტიკური მოძრაობის ცენტრია. სანდრო მთელი სერიოზულობით ჩაება პოლიტიკურ ცხოვრებაში, თავი ქართულ დასს შეაფარა, რომ ზედმეტად აფიშირებული არ ყოფილიყო მისი პოლიტიკური საქმიანობა.

— ვერაფერი გავიგე: თეატრი, პოლიტიკა და სასულიერო სასწავლებელი რა კავშირში იყო ერთმეორესთან?

— რატომ? სტალინიც სწავლობდა სასულიერო სემინარიაში, მაგრამ მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსად იქცა. ჩვენი დიდი კომიკოსიც საკმაოდ სერიოზული პოლიტიკოსი იყო. ეს ბერიამაც ძალიან კარგად იცოდა და სხვათა შორის, დიდ პატივსაც სცემდა, თუმცა, თვითონ ჟორჟოლიანი მასთან შეხვედრას გაურბოდა. ჟორჟოლიანის კარგი პოლიტიკური ალღოს დასტურად, ისიც იკმარებს, რომ პრესაში გამოქვეყნებულ მის საგაზეთო პუბლიკაციას, რომელიც ეკონომიკურ საკითხებს ეხებოდა, თვით ვლადიმირ ლენინი გამოეხმაურა და პასუხი მისწერა. ე.ი. რა გამოდის? — ლენინმა იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნია მისი აზრები, რომ პასუხის ღირსად ჩათვალა, ეს კი უბრალო ამბავი როდი გახლდათ. სანდრო ძალზედ განათლებული ადამიანი იყო, კარგად იცოდა ფრანგული და ლათინური ენები და უნივერსიტეტშიც კი მიიწვიეს სამუშაოდ, მაგრამ თავისი პოლიტიკური წარსულის გამო, ცოტა ეშინოდა და რადგან ამ მხრივ თეატრში უფრო მყუდროდ და დაცულად გრძნობდა თავს, არ დათანხმდა.

— მისი ხასიათის კიდევ რა თავისებურებას გაიხსენებდით?

— სასტიკად არ უყვარდა და ვერ იტანდა იუბილეებს, როგორც სხვისას, ისე თავისას. დავჯექი ახლა სცენაზე ან მაგიდასთან

ტიკინასავით და უსმინე დითირამბებს, რომელსაც ზოგჯერ, ის ადამიანებიც გეუბნებიან, რომლებსაც სულ არ ეხატები გულზეო, — ამბობდა. ჰოდა, რა ექნა თეატრის ხელმძღვანელობას?! — მიდიოდა წლების მანძილზე უხმაუროდ „კოსტაიას“ დაბადების დღეები... სამაგიეროდ, ბატონ სანდროს ძალიან უყვარდა პატარ-პატარა ზეიმებისა და პურმარილების მოწყობა ქალებისათვის. ჰოდა, ქალებისადმი მისი განსაკუთრებული დამოკიდებულების შესახებ რომ იცოდა, ერთხელ ისეთი დაბადების დღე მოუწყო ნიჭიერ მსახიობს მედეა კუჭუხიძემ და ისეთი ფორმით მოახერხა ეს, რომ ბედნიერი სანდრო ცრემლებს ვეღარ იკავებდა და ილარიონივით წარამარა გაიძახოდა — სიხარულის კურცხალი მდის, თქვე აბდლებოო. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი. სპექტაკლის ბოლოს, მედიკომ ხელკავი გამოსდო სანდროს და ლაპარაკლაპარაკით სარეპეტიციო დარბაზისკენ გაუძღვა, სადაც იგი ულამაზეს სამყაროში აღმოჩნდა: უჩინარ ხელს მთელი კედლები მისი სათაყვანებელი ქალების პორტრეტებით დაემშვენებინა. ის იყო, ღიმილად ქცეულს რაღაც უნდა ეთქვა, რომ უეცრად, ცოცხალი მსახიობი ქალების გარემოცვაში აღმოჩნდა, რომლებიც რიგრიგობით, ღიმილითა და კოცნით ულოცავდნენ დაბადების დღეს. თავი რომ მთლად უხერხულად არ ეგრძნო, მედიკომ ესეც გაითვალისწინა და „ჰარამხანაში“ ერთი მამაკაციც ჩართო — „ევნუხი“, ქალების დარაჯი და საჭურისი, რომელსაც მე განვასახიერებდი... ბედნიერი იყო, გახარებული, სუფრასაც სიამოვნებით მიუჯდა და კარგადაც მოულხინა. საერთოდ, ძალიან კარგად მღეროდა და თუმცა ყური აწუხებდა (ფოტოზეც ჩანს), ქეიფი გვიანობამდე გაგრძელდა. რაც მთავარია, კმაყოფილი იყო და იმ ტიკინასავით არ გრძნობდა თავს, რომელსაც მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით უმღერენ დითირამბებს და გულწრფელად სჯეროდა, რომ მისი ქვეყნად მოვლინების ამბავს მთელი გულით აღვნიშნავდით.

სცენა სპექტაკლიდან „უფსკრულთან“. გოგი გელოვანი და მაქრო გომელაური

„გაიძვერა“ მაქრო გომელაური

— მაქრო გომელაური მსახიობთა უფროსი თაობის წარმომადგენელი იყო. ძალზედ საინტერესო, სახასიათო როლების ჩინებული შემსრულებელი გახლდათ და ამის დასტურად, ერთ პიესაზე შევჩერდები, რომელსაც „უფსკრულთან“ ერქვა და გიგა ლორთქიფანიძემ დადგა. მოთამაშე, საქმოსან ევგენის (პიერ კობახიძე) ირგვლივ მისი მსგავსი მეგობრები ჰყავს შემოკრებილი, თუმცა მეუღლეს (მედეა ჯაფარიძე) და სიმამრს (შალვა ღამბაშიძე) ეჭვიც არასოდეს შეუტანიათ მის პატიოსნებაში. ერთ-ერთი მეგობრის — გიგო ზურაბიჩის — გაქნილი, გაიძვერა კაცის როლს სწორედ მაქრო გომელაური ასრულებდა. ვახტანგ ნინუა ქართველი აფერისტი იყო, მე მოინტელიგენტო აფერისტს, კარტის დიდოსტატს, დურმიშხანს განვასახიერებდი. ერთ-ერთ სცენაში მე და გიგო ზურაბიჩი ყალბი კარტის მეშვეობით ოსტატურად ვძარცვავთ ოჯახის ახლობელს — აკაკი კვანტალიანის გმირს. კაკოს ეჭვი შეაქვს ჩვენს პატიოსნებაში, კარტი შესამოწმებლად მიაქვს და როცა უკან ბრუნდება, შავ დღეს გვაყრის აფერისტობისა და ტყუილებისათვის (ფოტოზე სწორედ ეს მომენტია დაფიქსირებული). მაქრო ისე ოსტატურად ასრულებდა თავის როლს, რომ მართლა „კარტოჟნიკი“ გეგონებოდათ. სცენაზე ისე ლაღობდა, როგორც თევზი წყალში. თუმცა ერთხელ, ძალიან გავაბრაზეთ და კინაღამ დაგვემდურა. სპექტაკლში იყო ასეთი სცენა: პიერი-ევგენი მოსკოვში მიემგზავრება; ოჯახში სუფრაა გაშლილი, ვქეიფობთ, ვხუმრობთ, ვმღერით. მაქროს ჯიბეზე ოქროს საათი აქვს ძეწკვით ჩამოკიდებული. ათასჯერ გააფრთხილა პიერმა: არ გინდა, მოიხსენი და შეინახეო, — მაგრამ ის მაინც არ იშორებდა, ჩემს როლს ძალიან უხდებაო, — ამბობდა. ერთხელაც გადავწყვიტეთ, შეუმჩნევლად მოგვეპარა იგი და როლში გართულს ისე ავწაპნეთ, რომ მართლა ვერაფერი გაიგო. პირველად და მეორედ ისეთი არაფერი მომხდარა — რადგან იპოვა და მართლა არ დაჰკარგვია, იცინა კიდეც, — მაგრამ მესამედაც რომ ავწაპნეთ შეუმჩნევლად, მაშინ კი გაცოფდა, გადაირია და სულ „რაზბოინიკები“ გვეძახა; თქვენ კი არ თამაშობთ — მართლა გაიძვერები ხართო! ძლივს შემოვირიგეთ. მერე, წლების მანძილზე, ხშირად ვიცინოდით ხოლმე ამ ამბავზე და თავადაც გულიანად ხარხარებდა...

■

ნანა ქიბიმაური

ყრავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ ულამაზესი ქალიც კი, ისევ და ისევ, გარეგნობის გაუმჯობესებაზე ზრუნავს და მაკიაჟის წყალობით სასურველ ეფექტსაც წარმატებით აღწევს. თუმცა, უძველესი ქვეყნების ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც საგანგებო კანონებსაც კი გამოსცემდნენ პრანჭია ქალბატონების უფლებების შესაზღუდავად. მაგალითად, ინგლისის პარლამენტმა გამოსცა კანონი, რომელიც ქალს მაკიაჟის გაკეთებას უკრძალავდა და დაახლოებით ასე ეღერდა: ის, ვინც რაიმე საშუალებით, ვთქვათ, ფერ-უმარილის, სურმის ან ტუჩის საცხის გამოყენებით, შეეცდებოდა მამაკაცის მოხიბვლას მისი ცოლად გაყოლის მიზნით, კანონით ისჯებოდა; უკეთეს შემთხვევაში, ფულად ჯარიმას იხდიდა. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი დანაშაულის პირობებში კი, გათხოვების უფლება რამდენიმე წლით ერთმეოდა. რა თქმა უნდა, ეს იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცი სასამართლოზე დაამტკიცებდა, რომ ის მოატყუეს, რომ მისი ცოლი, ახალპირდაბანილი, სრულებით არ ჰგავს იმ ქალს, ვისზეც ის დაქორწინდა... კანონი, რა თქმა უნდა, მალევე გაუქმდა — ქალის სილამაზისკენ სწრაფვას წინ ვერაფერი აღუდგა, რადგან ყველა დროის საუკეთესო მამაკაცები ერთხმად აღიარებენ, რომ ქალის სილამაზეა ის, რაც ყველა ცხოვრებისეულ ფასეულობაზე მაღლა დგას — ფულზეც, ძალაუფლებაზეც და თუ ზემოთ ნახსენებ ისტორიულ მაგალითსაც გავიხსენებთ, კანონზე მაღლაც კი.

ახლა კი, უფრო კონკრეტულად იმის შესახებ, თუ მაინც რას ნიშნავს კოსმეტიკა და სწორად შერჩეული მაკიაჟი. გვესაუბრება ვიზაჟისტი **თამარ პაპიტაშვილი.**

— „კოსმეტიკა“ ბერძნული სიტყვაა და მორთვის ხელოვნებას ნიშნავს. ეპოქათა ცვლასთან ერთად, ესთეტიკური იდეალებიც იცვლებოდა და კოსმეტიკის საშუალებებიც. კოსმეტიკა და გრიმი ეგვიპტელების, ბაბილონელების, ასი-

რას ნიშნავს სწორად შერჩეული მაკიაჟი

ხომ არ გიმტყუნათ ზომიერების გრძნობამ?

რიელების, ბერძნების, რომაელებისა და იუდეველების განუყოფელი ატრიბუტი იყო. მაკიაჟის ცნება შედარებით ახლო წარსულში გაჩნდა. მას არა მხოლოდ დეფექტების დასაფარავად იყენებენ, არამედ სახის გამომეტყველებისა და მთელი ფორმის შესაცვლელადაც. მაკიაჟის გაკეთების დროს, უნდა გავითვალისწინოთ, როგორც დღის მონაკვეთი, ასაკი და ის ადგილი, სადაც მივდივართ, ასევე თანამიმდევრობა, რომლის დაცვაც აუცილებელია კოსმეტიკური პროცედურების ჩატარებისას. სახეზე ჯერ უნდა წავისვათ მკვებავი საცხი, რომელიც 20 წუთის შემდეგ, რბილი ხელსახოცით უნდა შევიმშრალოთ; შემდეგ წავისვათ ტონალური კრემი, გადავისვათ ზემოდან პუდრი და მხოლოდ ამის შემდეგ შევიპუდროთ „რუმიანას“ თხელი ფენით, რომელსაც არა მხოლოდ ღაწვის შეფერილობისათვის ვიყენებთ, არამედ დეფექტების დასაფარავადაც. შემდეგ ხდება წარბების დამუქება, ზედა ქუთუთოს შეღებვა, თვალის მაკიაჟი და ბოლოს, ტუჩის კონტურის მოხაზვის შემდეგ, პომადის გამოყენება. სარკის წინ ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან არაფერი ანიჭებს ქალს უფრო ვულგარულ იერს, როგორც უგემოვნოდ ან ჭარბად გაკეთებული მაკიაჟი. ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება ყოველდღიური და საღამოს მაკიაჟი, რომელსაც თეატრში, წვეულებაზე ან სადღესასწაულო საღამოზე წასვლის წინ იკეთებთ. დღის მაკიაჟი კარგად შენიღბული და ბუნებრივ ფერებთან მიახლოებული უნდა იყოს. საღამოს კი, შეიძლება, თავს ავანგარდული, მკვეთრი და თამამი მაკიაჟის გაკეთების უფლება მივცეთ. ორივე შემთხვევაში მანდილოსნებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ გრიმის სქელი ფენა მხოლოდ და მხოლოდ სცენაზე ან პოდიუმზეა გამართლებული. განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ ახალგაზრდა გოგონებს და ხანში შესულ ქალბატონებს. მათი ასაკი მაკიაჟის მიმართ ერთნაირად მგრძნობიარე და პრეტენზიულია და განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. ისინი, ვინც მაკიაჟის ხელოვნებას სწავლობენ, ქალის 4 ტიპს გამოყოფენ: „გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“ და „ზამთარი“. განვიხილოთ, თუ მაკიაჟის რა ფერებია დღეს მოდაში და რომელი ტიპის ქალისთვის რა არის სასურველი?

„გაზაფხული“ – ეს არის ქალის ტიპი, რომელსაც ოქროსფერი თმა, ღია ფერის თვალები და ნაზი ვარდისფერი სახის კანი აქვს. სასურველია, ამ ტიპის ქალბატონებმა ღია ყავისფერი, ოქროსფერი ან კრემისფერი ტონალური კრემი გამოიყენონ, პომადა და „რუმიანა“ კი, ატმისფერი ან ჭერმისფერი შეარჩიონ. „ქალ-გაზაფხულს“ მოუხდება მარჯნისფერი, სტაფილოსფერი, ოქროსფერი ან მკვეთრი ყვითელი თვალის ჩრდილი.

„ქალი-ზაფხული“ ფერფლისფერთმიანია, ღია ფერის სახის კანით და მუქი ლურჯი თვალებით. ასეთ ქალს მოუხდება მხოლოდ კრემისფერი ტონალური კრემი. სასურველია, თვალის ჩრდილი იყოს ღია ცისფერი, იისფერი ან მწვანე. პომადა და „რუმიანა“ კი, ვარდისფერი ან მკვეთრი იასამნისფერი.

„ქალ-შემოდგომას“ – ღია ფერის კანი, ჭორფლი, მოწითალო თმა და თაფლისფერი თვალები აქვს. ამ ტიპის ქალბატონებმა უნდა გამოიყენონ თეთრი ფერის ტონალური კრემი. თვალის ჩრდილისთვის კი, უნდა შეარჩიონ მწვანე, ლიმონისფერი და ხაკისფერი. პომადა და „რუმიანა“ სასურველია იყოს ფორთოხლისფერი ან ღია ჭერმისფერი.

„ქალი-ზამთარი“ – ეს არის ქალი მუქი ფერის თმით, ღია ფერის კანით და მონაცრისფრო თვალებით. ტონალური კრემი უნდა იყოს თეთრი ან მოყვითალო-მოკრემისფერო, თვალის ჩრდილი – მოშავო-მოყავისფერო, შავი და ლურჯი, პომადა – ბორდოსფერი ან მუქი იისფერი.

სასურველია, რომ ქალბატონებმა გაითვალისწინონ ეს რჩევები, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფერთა შერჩევა მაინც ინდივიდუალური საკითხია და არ ღირს, ყოველთვის „მოდის მამების“ კარნახის შესაბამისად მოვიქცეთ. მიეცით საკუთარ ფანტაზიას გასაქანი და გაითვალისწინეთ მხოლოდ ერთი რამ: ზომიერების გრძნობა, ეს კულტურის უპირველესი ნიშანია და არაფერი ისე არ მეტყველებს ქალის შინაგან კულტურაზე, როგორც ზომიერად და გემოვნებით გაკეთებული მაკიაჟი.

ამიტომ, ძვირფასო ქალბატონებო, როდესაც კოსმეტიკურ პროცედურას ამთავრებთ და შინიდან გასვლას აპირებთ, კიდევ ერთხელ ჩაიხედეთ სარკეში და საკუთარი თავი შეამოწმეთ: ყველაფერი რიგზეა? ხომ არ გიმტყუნათ ზომიერების გრძნობამ? არა? მაშ, თქვენ მშვენიერი ხართ!

■

ვიმოგზაუროთ გონივრულად

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

როგორ ვიმოგზაუროთ ახალ კლიმატურ სარტყელში გონივრულად ისე, რომ ჩვენს ჯანმრთელობას არაფერი ვავნოთ? ამისათვის ყური მივუგდოთ ექიმი-კლიმატოლოგების რჩევებს:

● სიცხე მთავარი გამოცდაა ზომიერად კონტინენტური კლიმატის მცხოვრებლებისათვის, რომლებიც სამხრეთისაკენ მიემგზავრებიან. მოსალოდნელი შედეგებია: მზისა და სითბური დარტყმა, ორგანიზმის გაუწყლოება, მარილოვანი გამოფიტვა. როგორ ავიცილოთ ეს ყოველივე თავიდან?

● ჩასვლისთანავე ნუ იჩქარებთ ტანსაცმლის გახდას, ნურც პლაჟს მიაშურებთ. პირველი 3-4 დღე ქუჩაში ხშირად, მაგრამ ცოტა ხნით გადით ხოლმე, თანდათანობით გაზარდეთ გარეთ ყოფნის დრო. ნუ დაგავიწყდებათ, მზის ქუდის დახურვაც.

● თუ თქვენ განზრახული გაქვთ, რომ გაეცნოთ მხარეს, სადაც ჩახვედით, მოგიწევთ უარი თქვათ კონდიციონერის გამოყენებაზე – გრილ ოთახში ჯდომას არაფერი სჯობს, მაგრამ ამგვარად ორგანიზმი სასიცოცხლოდ ვერ განეწყობა და მზეზე ყოფნა კიდევ უფრო გაუჭირდება.

● დასაწყისში თავი შეიკავეთ აქტიური მოქმედებისა და ხანგრძლივი გასეირნებისაგან, განსაკუთრებით შუადღის საათებში.

● ნუ ეცდებით სიცხისაგან თავის დაღწევას ცივი შხაპის მიღებით: იგი შვებას მხოლოდ რამდენიმე წუთით მოგიტანთ, მაგრამ გამოიწვევს სისხლძარღვთა მკვეთრ შევიწროებას, რაც საშიშია ჯანმრთელობისათვის.

● სვით რაც შეიძლება მეტი თბილი ან ცხელი წყალი. მხოლოდ წყურვილის მოკვლა საკმარისი არ არის – გაუწყლოების თავიდან ასაცილებლად უნდა სვათ უფრო მეტი წყალი, ვიდრე გსურთ. ზომიერი სარტყლის მცხოვრებლებს, რომლებიც სამხრეთში მოხვდნენ, ესაჭიროებათ დღეში 4 ლ სითხე, ხოლო ფიზიკური დატვირთვისას (რომელიც ჩასვლიდან 3-4 დღის შემდეგაა დასაშვები) – თითქმის 10 ლ-მდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზმი შინაგანი რეზერვების ხარჯვას დაიწყებს.

● არანაკლებ მნიშვნელოვანია მარილოვანი რეჟიმის შენარჩუნება. ოფლთან ერთად ორგანიზმიდან გამოდის ნატრიუმი, კალიუმი, კალციუმი და სხვა მნიშ-

ვნელოვანი ელემენტები, რაც აისახება კუნთების, მათ შორის, გულის მუშაობაზეც. წყალ-მარილოვანი ბალანსის შესანარჩუნებლად უნდა მიირთვათ მარილიანი საკვები. ალბათ ამიტომაა სამხრეთული საკვები ზედმეტად წიწაკიან-მარილიანი.

● სიცხეში კუჭის წვენის სეკრეცია ფერხდება, რაც მადის დაქვეითებას იწვევს. ნახშირწყლოვანი დიეტა (ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული) – ყველაზე შესაფერისია ცხელი კლიმატისათვის, რადგანაც ხელს უწყობს სითხის შენარჩუნებას ორგანიზმში და აჩქარებს ადაპტაციის პროცესს.

სიცხე+ტენი

სიცხე მაღალ ტენიანობასთან ერთად (ცენტრალური ამერიკა, ბრაზილია, ეკვატორი, ინდოეთი, ტაილანდი...) კიდევ უფრო მძიმე გადასატანია მოუმზადებელი ადამიანისათვის. ოფლი, რომელსაც ჭარბი სითბო გამოაქვს, კი არ ორთქლდება, არამედ ნაკადულებად ჩამოედინება კანზე. 85%-იანი ტენიანობის დროს, საშიში გადახურება უკვე +30 გრადუსზე შეიძლება განვითარდეს. გარდა ამისა, კანის მუდმივი დასველება და დარბილება ხელს უწყობს სოკოვანი დაავადების განვითარებას. ამიტომ ფეხები ყოველთვის მშრალი უნდა იყოს.

არანაკლებ თავსატეხს უჩენს ადამიანს ნაოფლი, რომლის თავიდან აცილება თბილი შხაპის ხშირ-ხშირად მიღებით შეიძლება.

მთის ჯლიმატი

მთის კლიმატი დაბალი ტემპერატურით, მისი მკვეთრი დღეღამური ცვალებადობით, ძლიერი ქარებით და დაბალი ტენიანობით ხასიათდება. ყველაზე საშიშია ჟანგბადის დაბალი პარციალური წნევა. ზოგს ჟანგბადის უკმარისობა (მასთან ერთად თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, ძილქუში, ტანში მტვრევის შეგრძნება, სუნთქვითი არითმია...) უვითარდება 4000 მ სიმაღლეზე, სხვებს კი – უკვე 1600 მ-ზე; დასუსტებულ და გაუვარჯიშებელ ადამიანს კი, არ შეუძლია 1000 მ-ზე მაღლა ასვლა.

ყველა დასახელებული სიმპტომი მიუთითებს მთის დაავადების განვითარებაზე. პირველი გამოვლინებისთანავე საჭიროა მინიმუმამდე შემცირდეს ფიზიკური დატვირთვა და ადამიანი კომფორტულ სიმაღლემდე დაეშვას. მთის დაავადებამ ძალიან დიდ სიმაღლეზე (4000 მ-ზე მეტი), შესაძლოა ფილტვებისა და ტვინის შეშუპებაც კი გამოიწვიოს.

კიდევ ერთი დაავადება, რომელიც მთაში და პოლარულ უბნებში შეიძლება განვითარდეს, არის თოვლის სიბრმავე, თვალების თავისებური დამწვრობა თოვლის კრისტალებიდან არეკლილი მზის სხივებით. თავიდან თქვენ ვეღარ ხედავთ განსხვავებას ზედაპირის დონეთა შორის, შემდეგ კი ჩნდება მჭრელი ტკივილი თვალებში, ქუთუთოები შუპდება – ადამიანი დროებით ბრმავდება. პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა სინათლის მფილტრავი სათვალე.

ეს საინტერესოა

ყველაზე მშრალი ადგილი მსოფლიოში არის უდაბნო ატაკამა (ჩილე). 37 წლის განმავლობაში (1966-დან 2001 წლამდე) საშუალო წლიურმა ნალექმა მხოლოდ 0,5 მმ შეადგინა.

ყველაზე სველი ადგილია ინდოეთის მეგჰალაის შტატი. წლის განმავლობაში აქ 11,87 მ ნალექი მოდის.

ყველაზე დიდი რაოდენობით წვიმიანი დღეები ვაი-ალე-ალეს მთაზეა (ჰაიტი). 1569 მ სიმაღლეზე წელიწადში 350 დღე წვიმს.

ყველაზე დიდი სეტყვა – თითოეული 1 კგ-იანი წონის – მოვიდა 1986 წლის 14 აპრილს ჰოპალგანჟში (ბანგლადეში). ამ დროს 92 ადამიანი დაიღუპა. 1988 წელს კი ინდოეთის მორადაბადისა და ბეხერის შტატებში მუშტის სიმსხო სეტყვამ მთელი პირუტყვი გაწყვიტა.

ყველაზე დიდი ტემპერატურული სხვაობა რეგისტრირებულია ციმბირის ვერხოიანკსში. აქ მცხოვრებნი განიცდიან ტემპერატურის ცვლილებას – -68°Cდან (ზამთარში) +37°C-მდე ზაფხულში.

ყველაზე დაბალი ტემპერატურა აღინიშნა ანტარქტიდაზე, 1983 წლის 21 ივლისს: -89,2°C.

ყველაზე მეტად დაბინძურებული მეგაპოლისია მეხიკო. გამონაბოლქვი გაზებისა და სხვა დამაბინძურებელი ნივთიერებების საერთო დონე აქ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტებს თითქმის 2-ჯერ აღემატება.

ეკოსისტემის ყველაზე დიდი დაბინძურება, რომელიც ადამიანის მიერ განხორციელდა, იყო ხანძარი ნავთობის საბადოებზე ერაყსა და ქუვეითში 1991 წელს. საერთაშორისო ექსპერტთა გამოთვლით, მაშინ 816 ათას ტონამდე ნავთობი დაიწვა.

■

მეტეორიზმის შვიდი მიზეზი

არ არსებობს ადამიანი, რომელიც თუნდ ერთხელ მაინც არ შეუწუხებია მუცლის შებერვას. ამ სიმპტომს 7 სხვადასხვა მიზეზი შეიძლება იწვევდეს, რომელიც ხშირად შეთანხმებულადაც მოქმედებს.

მიზეზი №1. მეტეორიზმს ყველაზე ხშირად, ჭამის დროს დიდი რაოდენობის ჰაერის გადაყლაპვა იწვევს. ყოველი ლუკმის ნორმალურად გადაყლაპვისას კუჭში ხვდება 2-3 მლ ჰაერი, მაგრამ როდესაც ჩქარობთ, დიდ და ცუდად დაღეჭილ ნაჭრებს ყლაპავთ და თან ბევრს ლაპარაკობთ, ასეთი ტრაპეზის შემდეგ მეტეორიზმი გარანტირებულია.

მიზეზი №2. კუჭ-ნაწლავის ტრაქტი ნამდვილი ქიმიური ლაბორატორიაა. მასში გამუდმებით მიმდინარეობს მრავალგვარი რეაქცია, რომლის შედეგად აირები გამოიყოფა. მათ ნაწლავური ბაქტერიებიც გამოყოფს ცხოველქმედების პროცესში. დისბაქტერიოზის დროს, ირღვევა წვრილი და მსხვილი ნაწლავების მიკროფლორა, რაც იმას ნიშნავს, რომ დარღვეულია თანაფარდობა აირის გამომყოფ და მის შთანმთქმელ ბაქტერიებს შორის. შედეგად კი ვითარდება დისბიოზური მეტეორიზმი. ასეთ დროს, ექიმის მიერ დანიშნული მიკროფლორის კორექცია გამოასწორებს მდგომარეობას.

მიზეზი №3. ჯანმრთელ ადამიანებში ყველაზე ხშირად გვხვდება ალიმენტური მეტეორიზმი, რომელიც უჯრედისით მდიდარი პროდუქტების გამოყენების შედეგია. მაგალითად, ბარდის მირთმევის შემდეგ გამოყოფილი აირების რაოდენობა 10-ჯერ მატულობს. სხვა „დამნაშავეები“ არიან: ლობიო, კომბოსტო, ისპანახი, მჟაუნა, ყურძენი, ტკბილი ვაშლი, მოცხარი, ქიშმიში, ფინიკი.

მიზეზი №4. სიმაღლით გამოწვეული მეტეორიზმი ემართებათ ხოლმე ალპინისტებს მწვერვალების დაპყრობის დროს. იგი ვითარდება სიმაღლეზე ასვლისას ატმოსფერული წნევის დაქვეითების შედეგად და ჩამოსვლის შემდეგ თავისთავად გაივლის.

მიზეზი №5. როგორც ცნობილია, კუჭი და ნაწლავები მეტად მგრძნობიარეა სტრესებისადმი. ემოციური აღგზნებისას ვითარდება ნაწლავის გლუვი კუნთების სპაზმი და ფერხდება მისი პერისტალტიკა, რაც ფსიქოგენურ მეტეორიზმს იწვევს. ასეთ დროს, თქვენ ექიმის მიერ გამოწერილი დამამშვიდებელი საშუალებები დაგეხმარებათ.

მიზეზი №6. სხვადასხვა დაავადების, ინტოქსიკაციების გამო, ხანდაზმულ ასაკში ირღვევა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოძრაობითი ფუნქცია (მოტორიკა). ვითარდება დინამიკური მეტეორიზმი. ამ დროს მნიშვნელოვანია, პირველადი მიზეზის დადგენა.

მიზეზი №7. დაბოლოს, კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებებს (დისპეფსიას, პანკრეატიტს, ნაღველ-კენჭოვან დაავადებას) ხშირად ახლავს თან ე.წ. დიგესტიური მეტეორიზმი. როგორც წინა შემთხვევაში, ასეთი მეტეორიზმის მკურნალობისათვის ძირითადი დაავადების მკურნალობაა საჭირო.

თუ გაქვთ მიდრეკილება მეტეორიზმისადმი, ნუ დალევთ გაზიან სასმელებს, უარი თქვით პროდუქტებზე, რომელიც დუღილის პროცესებს ააქტიურებს (ბურახზე, ლუდზე, შავ პურზე). ბოსტნეული მოხარშეთ ან ჩაშუშეთ; ხორცი, ქათამი და თევზი მოხარშული ჯობს.

მეტეორიზმის დროს მდგომარეობას შეგიმსუბუქებთ რამდენიმე აბი ნახშირის მიღება (უმჯობესია დაფხვნილი). მორიგი შეტევისაგან კი ფერმენტული პრეპარატები დაგიცავთ.

■

დეპრესიას მკურნალობთ – ლიბიდოს კი ვნებთ

ამერიკის ვირჯინიის შტატის უნივერსიტეტის მედიკოსებმა გასინჯეს ათი ათასამდე პაციენტი, რომელიც იყენებდა ბოლო თაობის ანტიდეპრესანტებს (ე.წ. სეროტონინის უკუშებოჭვის ინჰიბიტორებს), რომელსაც დღეს ორგანიზმისათვის ყველაზე უსაფრთხოდ მიიჩნევენ. გამოკითხულთა თითქმის ორმოც პროცენტს განუვითარდა სხვადასხვა სახის სექსუალური პრობლემა. სეროტონინის – სიამოვნების ნივთიერების ცვლა დაკავშირებულია სქესობრივი აქტის დროს განვითარებულ შეგრძნებებთან. როგორც ჩანს, ადამიანის შეჭრა ბუნებრივ მექანიზმებში, უკვალოდ არასოდეს ჩაივლის.

■

ათ წლამდე ბავშვებისთვის

სულ ტყუილად ხარჯავენ თავიანთ ნატიფ იუმორის გრძნობას ის მშობლები, რომლებიც ბავშვების აღზრდისას ცდილობენ, იყვნენ გონებამახვილნი და ამისთვის გესლიან ხუმრობებს იყენებენ.

კანადელმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ 10 წლამდე ასაკის ბავშვები ვერ გებულობენ სარკაზმს. ისინი სულაც არ მიიჩნევენ ასეთ გამონათქვამებს სასაცილოდ და მათი შინაარსი სიტყვასიტყვით ესმით.

■

რა ვიცით თმის შესახებ

ჩვენი წინაპრები თმას ადამიანის ორგანიზმის კოსმოსთან დამაკავშირებელ ანტენის მსგავს წარმონაქმნად მიიჩნევდნენ და მართალნიც იყვნენ: თმა განსაზღვრავს ჩვენს ცხოვრებას და ადამიანის ბევრ თვისებასაც ამჟღავნებს. თუმცა ხშირად ბევრ მინიშნებას უკულმა ვგებულობთ ხოლმე.

გრძელი თმა და მოკლე ჭკუა

ფსიქოლოგები საპირისპიროს ამტკიცებენ: მოკლედ თმაგაკრეჭილი ადამიანი უფრო აგრესიული, შეუპოვარი ხდება და ხშირად დაუფიქრებლადაც იქცევა ხოლმე. თმისგან გათავისუფლებისკენ სწრაფვას ფსიქოანალიტიკოსები აფასებენ, როგორც ქვეცნობიერ პროტესტს, საკუთარი თავით უკმაყოფილებას და ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებების შეტანის მცდელობას.

ქერათმიანები ინტელექტით არ გამოირჩევიან

პირიქით. ამერიკელმა ფსიქოლოგებმა ჩაატარეს მასობრივი ტესტირება ინტელექტუალურ უნარზე და აღმოჩნდა, რომ თეთრი ქალბატონების ინტელექტი სულაც არ ჩამორჩება შავგვრემანთა ინტელექტს. სპეციალისტებმა, რომლებიც სწავლობენ ფერომონებს (სუნი, რომელიც ადამიანს სექსუალურ მიმზიდველობას ანიჭებს), აღმოაჩინეს, რომ ნატურალურ ქერათმიანებს აქვთ განსაკუთრებული ნივთიერება – კოპულინი, რომელიც მამაკაცთა 68%-ს თავს აკარგვინებს და ისინი ფიზიზლად ვეღარც აფასებენ თანამოსაუბრის ინტელექტს.

სხვათა შორის, გერმანელი მეცნიერების აზრით, ქერათმიანები წითელ წიგნში არიან შესაყვანნი, რადგან ბოლო 50 წლის განმავლობაში მათი რიცხვი მსოფლიოში 40-დან 14%-მდე შემცირდა. ანთროპოლოგები ამას მიგრაციის პროცესებით ხსნიან.

მხოლოდ მამაკაცები მელოტდებიან

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, 7 წლის შემდეგ ევროპაში ქალების 10% გამელოტდება. ამერიკელი დერმატოლოგები ამტკიცებენ, რომ მსხვილ კორპორაციებში ხელმძღვანელ პოსტებზე მომუშავე 5-დან 3 ქალბატონის თმა სამსახურებრივ კიბეზე აღმასვლის პროპორციულად თხელდება, მათ ნახევარს კი სრული გამელოტება ემუქრება. აღმოჩნდა, რომ ბიზნესში წარმატებული ქალების სისხლში მატულობს მამაკაცური ჰორმონი – ტესტოსტერონი, რომელიც გამელოტებას უწყობს ხელს. სხვათა შორის, ამ ქალბატონთა 70% ქრონიკული უძილობით იტანჯება.

თმის ვარცხნილობა მაშინაა ცუდი, როცა ადამიანს უსიამოვნებები აქვს

ეს მართლაც ასეა. ძლიერი განცდებისაგან, გადაღლილობისაგან, აგრეთვე ავადმყოფობის დროს და კრიტიკულ დღეებში თმა მოუწესრიგებელი ხდება, ადვილად მტვრევადია და ცვივა. სამაგიეროდ, ხვეული, მბზინავი, კარგად დავარცხნილი თმა ადამიანის კარგ სულიერ განწყობასა და თვითშეგრძნებაზე მეტყველებს.

ხშირი დაბანა ვნებს თმას

ეს ასე არ გახლავთ. ჯანსაღი კულულების მფლობელი დღე-ღამეში 60-80 თმის ღერს კარგავს. ჩვეულებრივ, დრომოჭმული თმა გარკვეული დროის განმავლობაში რჩება კანის სიღრმეში და თავის ადგილს აქტიური დავარცხნის ან დაბანის დროს ტოვებს. აქედან გავრცელდა მცდარი აზრი, რომ ხშირი დაბანა თმის ცვენას იწვევს. სინამდვილეში, თმის დაბანა საჭიროა იმ სიხშირით, რომ იგი ყოველთვის მოვლილი გამოიყურებოდეს.

თმა თვეში 1 სმ-ით იზრდება

დღე-ღამეში თმა საშუალოდ 0,35 მმ-ით გრძელდება და თვის განმავლობაში მართლაც მატულობს 1 სმ-ით. მაგრამ ეს საშუალო მაჩვენებელია. მოკლე თმა თვეში 2 სმ-ით იზრდება, ხოლო 30 სმ-ზე უფრო გრძელი თმა – ორჯერ უფრო ნელა. გაზაფხულობით და ზაფხულობით თმა 1,5-2-ჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე შემოდგომასა და ზამთარში. 50 წლის ასაკის შემდეგ, მისი ზრდა ფერხდება. ამასთან, თმის ზრდა ციკლურად მიმდინარეობს: 2-3 წელი აქტიური ზრდის პერიოდი დგება, მომდევნო თვეებში კი ისვენებს.

თმა გადაპარსვის შედეგად უფრო სქელი ხდება

ეს ილუზიაა. როგორც ხის ღერო, თმის ღეროც უფრო მსხვილია ფესვთან და ბოლოსკენ თანდათან წვრილდება. ბოლოების მოჭრით თქვენ ხელს შეუწყობთ „ფესვების“ გაჯანსაღებას და გაძლიერებას, მაგრამ ამით თმა კი არ ბევრდება, უბრალოდ გვეჩვენება, რომ იგი უფრო ფუმფულა ხდება.

იმისათვის, რომ ბავშვს ჯარგი თმა ჰქონდეს, ორი წლის ასაკში თავი უნდა გადავპარსოთ

კარგი თმა, ისევე, როგორ ცუდი, მემკვიდრულად გადაეცემა და სამართებელი აქ ვერ დაგვეხმარება. მოითმინეთ 5-7 წლამდე – ამ დროისათვის ბავშვის თმის სტრუქტურა შეიცვლება და იგი თავისთავად გახდება უფრო სქელი და ფაფუკი.

სავსემთვარეობისას თმის შეჭრა არ შეიძლება.

პირიქით – ძველი ხალხი არასოდეს არ იჭრიდა თმას ახალმთვარეობის დროს. ამ პერიოდში ცხოველქმედების პროცესები შენელებულია და შეჭრის შემდეგ ძალიან ნელა იზრდება. სამაგიეროდ, სავსემთვარეობის დროს შეჭრილი თმა საკმაოდ სწრაფად მატულობს სიგრძეში.

ცხიმიანი საკვების მიღების შედეგად თმა ცხიმიანი ხდება

ცხიმის სიჭარბე რაციონში არ აუარესებს თმის მდგომარეობას. სამაგიეროდ, მარილიანი და ცხარე საკვები, ყავა, ტკბილეული და შოკოლადი ფიტავს მას, თმა ადვილად იმტვრევა და ცხიმიანი ხდება.

რაც ყველაზე მთავარია – უარი თქვით ქათმის ბარკლებზე. ქათმებს უხვად აჭმევენ ჰორმონულ დანამატებს, რომელიც ხორცში გროვდება. თუ ადამიანი რეგულარულად იკვებება ბარკლებით, მის სისხლში მატულობს მამაკაცური სასქესო ჰორმონების – ანდროგენების რაოდენობა, რაც ააქტიურებს ცხიმოვან ჯირკვლებს და თმა უფერული და ცხიმიანი ხდება. ■

ხერხემალი დაიღალა



ცნობილია, რომ ჯდომისას ხერხემალი მაქსიმალურად იტვირთება. ოფისებში მომუშავეთ კი ხშირად მთელი დღის განმავლობაში უწევთ ჯდომა და თანაც ხშირად — ორთოპედიული თვალსაზრისით მეტად არახელსაყრელი ფორმის სკამებზე.

თუ სამუშაო დღის ბოლოს შენიშნეთ, რომ ზურგი დაგეღალათ, კისერი გტკივათ, თავბრუ გესხმით, დროა ორთოპედს მიმართოთ — ეს სიმპტომები იმაზე მეტყველებს, რომ თქვენ კისრის ან წელგავის ოსტეოქონდროზი გეწყებათ.

დაავადება მაშინ იღებს სტარტს, როცა მალთაშუა ხრტილოვანი დისკების დრეკადობა ქვეითდება. ის კარგავს წყალს, თითქოს შრება, თხელდება და ვეღარ ასრულებს ბუნებრივი ამორტიზატორის როლს. ამის შედეგად ზიანდება კუნთები, მყესები, სისხლძარღვები, ნერვები. იცვლება ხერხემლის ძვლოვანი სტრუქტურა: ნერვები და სისხლძარღვები იჭყლიტება, ვითარდება სპაზმები და ანთებები.

მუდმივი ტკივილის გამო, უარესდება განწყობილება და შესაძლოა ნევროზიც კი განვითარდეს. ზოგჯერ ამას თან ერთვის ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევა — ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონია.

დაავადების სურათიც ხშირ შემთხვევაში მკვეთრადაა გამოხატული: უწყვეტი, ქრონიკული ტკივილი, რომელიც კუნთოვანი სპაზმითაა გამოწვეული. მისი მიზეზი კი, ისევ და ისევ დისკოგენურია — ხერხემალი დაიღალა, გადაიტვირთა, ხოლო ხანგრძლივი ჯდომა კომპიუტერთან კვლავაც აღრმავებს პრობლემას.

მოულოდნელი თავბრუსხვევა და გულის წასვლაც კი, შეიძლება იყოს კისრის ოსტეოქონდროზის სიმპტომები. კისრის არეში ხომ ხერხემლისა და საძილე არტერიები გადის, რომლებიც სისხლით თავის ტვინს კვებავს.

თითქმის ყოველთვის კისრის ოსტეოქონდროზზე მეტყველებს თერაპევტთა „საყვარელი“ დიაგნოზი — ვეგეტოსისხლძარღვოვანი უკმარისობის სინდრომი. ბევრისთვის კარგად ნაცნობი თავის ტკივილი, ყურებში ხმაური, უძილობა, მხრებისა და ხელის მტევნების ტკივილი, აგრეთვე დაკავშირებულია კისრის მალების ცდომასთან. ამ უბანშია მოთავსებული ლიმფური კვანძებისა და სისხლძარღვების ბადე, ფარისებრი და ფარისებრახლო ჯირკვლები, ნერვული ფესვები და ღეროები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება კავშირი გულთან და ფილტვებთან... ამიტომ, ნებისმიერმა დარღვევამ კისრის მალთაშუა დისკებში შესაძლოა სხვადასხვაგვარი მოშლილობა გამოიწვიოს.

ჯორსეტი, ბალიში და არასრული ჯდომითი დღე

რას ვურჩევეთ მათ, ვისაც ხანგრძლივად უწევს კომპიუტერთან ჯდომა? ვირტუალურ სამყაროში ჩაძირვისას, ნუ დაგავიწყდებათ რეალური სამყაროს საშიშროებაც.

● თუ გავა-წელის ოსტეოქონდროზი გაწუხებთ, ვიდრე სამუშაოდ დაჯდებოდეთ, ჩაიცვით სპეციალური კორსეტი, რომელიც განტვირთავს ზურგს და იცავს მალებს ზედმეტი დატვირთვისაგან. თანამედროვე კორსეტები საკმაოდ მსუბუქია, დამზადებულია სპეციალური ჰიგიენური მასალისაგან და შეუმჩნეველია ტანსაცმლის ქვეშ.

● კისრის ოსტეოქონდროზის დროს აუცილებელია ე.წ. სამეფო პოზის მიღება. ეცადეთ, იჯდეთ რაც შეიძლება სწორად. ფეხები უნდა სწვდებოდეს იატაკს ან ეყრდნობოდეს რაიმე საყრდენს, რათა მუხლები ბარძაყებზე მაღლა გქონდეთ.

● სამუშაოს დაწყებამდე კარგად უნდა გამოიძინოთ. დაგეხმარებათ ბალიშის სპეციალური მოდელი, რომელსაც აქვს ამობერილი რგოლი კისრის ქვეშ. ასეთი ბალიში განტვირთავს ხერხემლის კისრის ნაწილს.

● როგორი მოსახერხებელი სავარძელიც არ უნდა გედგათ სამუშაო მაგიდასთან, ყოველ ნახევარ საათში წამოდექით, გაიარ-გამოიარეთ, ამგვარად თქვენ მოიხსნით დაძაბულობას ხერხემალზე.

გთავაზობთ ვარჯიშებს, რომელიც შეგიძლიათ შეასრულოთ ოსტეოქონდროზის პროფილაქტიკისათვის.

● ჩამოეკიდეთ რამდენიმე წუთით ძელზე. თუ ძელი არ გაქვთ, შეგიძლიათ კარის ჩარჩოს დაეკიდოთ.

● ფეხები მხრების სიგანეზე დადგით. წელზე დაიწყვეთ მუშტები, მუხლები ოდნავ მოხარეთ და უკან გადაიხარეთ, ისე, რომ კეფა და ქუსლები ერთ ხაზზე აღმოჩნდეს. გადახრისას უნდა დაიძაბოთ ისე, რომ შეიგრძნოთ კუნთოვანი ვიბრაცია ზურგში, მუცლის კუნთებში და მუხლების ქვეშ. გაჩერდით ამ მდგომარეობაში, ჩაისუნთქეთ და არ ამოისუნთქოთ 10-15 წამი. ეს ვარჯიში განტვირთავს ხერხემლის ყველა საყრდენ კუნთს, ხსნის სპაზმებსა და დაღლილობას.

● როდესაც განმარტოვდებით, დადექით ოთხ კიდურზე და გაიარეთ კატასავით.

● დაჯექით ან დადექით, მოხარეთ კისერი ისე, რომ ნიკაპი მაქსიმალურად მიუახლოვოთ მკერდს (ამ დროს გააკეთეთ ჩასუნთქვა). შემდეგ ნელ-ნელა გადასწიეთ თავი რაც შეიძლება უკან და თან ჩაისუნთქეთ. ვარჯიშის გამეორებამდე გააკეთეთ ჩასუნთქვის ფაზის ტოლი პაუზა.

● შუბლზე მიიდეთ ხელი და დააწექით 10-15 წამით, არ გაინძრეთ. შეგიძლიათ შუბლით კედელსაც მიაწვეთ.

■

ჯაჭოჩენილი აღაქმანეჯის ხუჭრეჯეჯი

ახალგაზრდა მოხელე ბარტი, რომელსაც საუცხოო ტენორი ჰქონდა, ბეთჰოვენთან სტუმრად იმ დროს მივიდა, როცა მაესტრო ცუდ გუნებაზე იმყოფებოდა. მას თურმე ნოტების განადგურება ჰქონდა განზრახული, მაგრამ როგორც კი, ფურცლები სანთელთან მიიტანა, რათა ცეცხლისთვის მიეცა, ბარტმა წამოიძახა:

— რას შვრებით, მაესტრო?

— სიმღერა დავწერე, მაგრამ ახლა აღარ მომწონს, ამიტომაც, მისი დაწვა გადავწყვიტე...

— ნება მომეცით, ვნახო!

ბარტი როიალს მიუჯდა და საუცხოო მელოდია ისეთი გრძნობით შეასრულა, რომ ბეთჰოვენმაც ვერ დაფარა აღფრთოვანება და ხელი აიღო მის განადგურებაზე.

— იცით, ახალგაზრდავ, ეს სიმღერა მთლად ურიგო მართლაც, არ გამოსულა, — თქვა ახირებული ხასიათის გენიოსმა.

ასე გადარჩა ბეთჰოვენის ცნობილი რომანსი — „ადელაიდა“. ორი კვირაც არ იყო გასული, რომ სიმღერა მთელ ქალაქს მოედო და საყოველთაო აღფრთოვანების საგნადაც იქცა...

***

დამწყებმა გერმანელმა კომპოზიტორმა, ბეთჰოვენის დიდმა თაყვანისმცემელმა თავისი პირველი დიდი ნაწარმოები დაასრულა, ბოლო გვერდზე მიაწერა: „ღვთის წყალობით, დავასრულე!“ — და ნოტები ბეთჰოვენს გაუგზავნა თხოვნით, შეეფასებინა მისი ქმნილება და თუ საჭიროდ ჩათვლიდა, საკუთარი აზრი გაეზიარებინა ავტორისთვის.

ბეთჰოვენი ახალგაზრდა მუსიკოსის თხოვნას გულისხმიერად მოეკიდა და ნაწარმოებში გარკვეული შესწორებებიც კი შეიტანა. თავისი კერპისგან გამამხნევებელი წერილის მიღებამ ახალგაზრდა უზომოდ გაახარა, ხოლო როცა ბეთჰოვენის ხელით შეტანილი შენიშვნები გადაათვალიერა, ბოლო გვერდზე, თავისი წარწერის გვერდით, გენიოსის მინაწერიც აღმოაჩინა: „მოკვდავო, ჯობს, სხვის წყალობას არ უცადო და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეს!“

***

ბეთჰოვენის უმცროსმა ძმამ, რომელიც სურსათითა და სხვა პროდუქციით ჯარის მომარაგებას მისდევდა, ბევრი ფული იშოვა და საუცხოო მამული შეიძინა. ბედნიერი და ამაყი, იმ დღიდან, ყველა ბარათს ასე აწერდა ხელს: „იოჰან ვან ბეთჰოვენი, დიდებული მამულის პატრონი“.

სწორედ ასე მოაწერა ხელი მან ლუდვიგისთვის გაგზავნილ საახალწლო ბარათს. კომპოზიტორმა საპასუხო მისალოცი გაუგზავნა ძმას და მიაწერა: „ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, დიდებული გონების პატრონი“.

***

ბერლიოზს საოცრად არ უყვარდა ავტოგრაფების მიცემა. ცნობილი მომღერალი ადელაიდა პატი მუდამ სთხოვდა კომპოზიტორს, ჩაეწერა რაიმე მის ალბომში, მაგრამ ამაოდ.

ერთხელ, მომღერალმა ღიმილით მიმართა ბერლიოზს:

— მაესტრო, თუ ჩემს ალბომში რამდენიმე სტრიქონს ჩაწერთ, საჩუქარს მოგიძღვნით. აირჩიეთ — ან გიმღერებთ, ან ღვიძლის საუეთესო პაშტეტს მოგართმევთ, რომელიც სწორედ დღეს ჩამომიტანეს ტულუზიდან...

ბერლიოზი ცოტა ხნით ჩაფიქრდა, შემდეგ ალბომი ხელში აიღო და ორი ლათინური სიტყვა ჩაწერა.

— ეს რას ნიშნავს? — ჰკითხა გაკვირვებულმა მომღერალმა.

— „მომიტანეთ პაშტეტი“, — გაუღიმა ბერლიოზმა. ■

ანეკდოტეჯი

***

ხნიერმა ბანკირმა ახალგაზრდა, ცქრიალა ქალი შეირთო ცოლად. ცოტა ხანში, სექსოლოგს ეწვია და სთხოვა:

— ექიმო! ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ, რომ ჩემი ქმრობა უბრალო ფორმალობად არ დარჩეს.

სექსოლოგმა საფუძვლიანად გასინჯა პაციენტი და სინანულით უთხრა:

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თქვენ ველარაფერი გიშველით.

— ფუტკრის რძე? — შეეკითხა უკანასკნელ იმედს ჩაბღაუჭებული პაციენტი.

— კი, ბატონო, შემიძლია გამოგიწეროთ ფუტკრის რძე, ისიც კი შემიძლია, რომ ბზუილი დაგაწყებინოთ, მაგრამ კბენას მაინც ვერ მოახერხებთ...

***

ფსიქიატრის კაბინეტი.

— რა გაწუხებთ? პიროვნების გასამეცნა მაქვს: ერთს ვფიქრობ, მეორეს ვლაპარაკობ და სულ სხვა რამეს ვაკეთებ.

— ეს იმის აშკარა დადასტურებაა, რომ სრულიად ნორმალური ადამიანი ბრძანდებით.

***

ქმარი დასასვენებლად ზღვაზე მიემგზავრება და ცოლს ეკითხება:

— საყვარელო, რა ჩამოგიტანო იქიდან?

ცოლი თვალს გაუსწორებს და მშვიდად პასუხობს:

— სულერთია — ახლა, ნებისმიერ დაავადებას კურნავენ...

***

ბაზრიდან დაბრუნებულ ცოლს ქმარი ზღურბლზევე „ახარებს“:

— სანამ შინ არ იყავი, ჩვენთან მიუსაფარ მოხუცებულთა სახლიდან იყვნენ მოსულები.

— მერე, ხომ გაატანე რამე?

— კი. დედაშენი...

***

— ჩემმა ძაღლმა სიკვდილს გადამარჩინა.

— მაინც როგორ?

— როცა ავად ვიყავი, რაიონის პოლიკლინიკიდან ექიმი მესტუმრა და ძაღლმა ის შინ არ შემოუშვა. ■



ფილმი ჯოტისა და ლოპესის მონაწილეობით
თმის მცენარეული საღებავი
ვერტუოზი მუსიკოსი
ცხენს სასცალი ნახტომი
დედაქალაქი პრიშტინა
უდაბნო პერუში
მდინარე გერმანიის ქ. ფრანკფურტში
ატომური იარაღით დანგრეული ქალაქი
რელიგიური ომების მონაწილე XI-XIII სს.
მამალაძე, კახიანი, ხოფერია
უცარი შეზლუელი შეშუკა (ექიმი)
იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი
ამერიკული მოდის ვეტერანი კელვინ ...
ბავშვის ქართული საწოლი
ქალის სახელი
პოპულარული შვედური ანსამბლი
დამონებული გლეხი ლათინურ ამერიკაში
სოფელი დმანისის რაიონში
საჭადრაკო ეტლი შინაურულად
ამერიკელი მსახიობი ... დე ვიტო
„ვაშაზები“ (კომპოზიტ.)
„დაისი“ (პერსონაჟი)
„აკატონე“ (რეჟისორი)
ცაცვის ნაბიჯი
„ერო ქრისტე – სუპერვარსკვლავი“ (კომპოზიტ.)
ტბა ჩრდილო ამერიკაში
მონასტერ „ცხრაკარის“ მახლობელი სოფელი
სათვალეების ცნობილი ფირმა
„მონა ლიზა“
სუფრის იარაღი
ხვიარა მცენარე
ავსტრიელი მწერალი
ბელგიაში გამოფენილი ცხენის ჯიში
„რუგონ-მაკარები“ (ფრანგი მწერალი)
დარბაისელი ქალი
ამერიკელი ვეტერანი მოკრივე
ქალის ხრუშჩევი
მინ. ლურჯი სალუქი
მჭედლის ნახელავი ცხენის ჩლიქზე
ტოლსტოის რომანი „... კარენინა“
„ადიდეთ ღმერთი!“
ტროა (სხვა სახელწოდება)
უეადგინა რამაზ ალანიამ



მე-18 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-გ; 3-ა; 4-ა.
41-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ბ.

კვირის (23 –29 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: რომანტიკული პერიოდი გეწყებათ. ეს განსაკუთრებით ხელოვნების სფეროში დასაქმებულთ ეხებათ. გეძლევათ შანსი, გაწყვიტოთ ტვირთად ქცეული ურთიერთობები და ახალი ცხოვრება დაიწყოთ.

მამაკაცი: ეს კვირა ხელსაყრელია ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად, მაგრამ გეგმები მხოლოდ უახლოეს ადამიანებს გაანდეთ. თავდაპირველად, ისინი განუხორციელებელი მოგეჩვენებათ, მაგრამ შედეგი თქვენს მოლოდინს გადააჭარბებს.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: ნებისმიერი სამუშაო, განსაკუთრებით შემოქმედებითი, წარმატებით მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგვირგვინდება, თუ მას სრულიად დამოუკიდებლად შეასრულებთ. შესაძლოა, ამ კვირაში ფინანსური პრობლემები შეგექმნათ, მაგრამ ყველაფერს მალე გაართმევთ თავს.

მამაკაცი: მოსალოდნელია ოჯახური კონფლიქტი. ზედმეტ სიმკაცრეს გამოიჩენთ შვილების მიმართ. გაიხსენეთ, რომ თქვენც იყავთ ბავშვი და მიხვდებით, რომ სრულიად მიგრჩათ ისინი ყურადღების გარეშე. უქმეებში, გაასეირნეთ მაინც.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: წინა პლანზე საოჯახო პრობლემები წამოიწევს, შესაძლოა, ეს შვებულებასთან იყოს დაკავშირებული. კვირის შუა პერიოდისთვის, პირადი განცდებია მოსალოდნელი. მოერიდეთ ექსტრემალურ სიტუაციებს და ნუ იქნებით მეტისმეტად აქტიური.

მამაკაცი: კვირის დასაწყისი სავაჭრო ოპერაციებისთვისაა ხელსაყრელი. შესაძლოა, საკმაო ხნის წინ ჩატარებული სამუშაოსთვის მიიღოთ გასამრჯელო. კვირის მეორე ნახევარში, შედეგიანი იქნება ურთიერთობა სახელმწიფო ინსტანციებთან.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: რომანტიკული ურთიერთობა გელით. მაგრამ თუ ეს სამსახურებრივ რომანთანაა დაკავშირებული, შესაძლოა, სტრესის მსხვერპლი გახდეთ. თუ პირად ცხოვრებაში პრობლემები არ გაქვთ, ჯობს, დასასვენებლად გაემგზავროთ ქმართან ერთად.

მამაკაცი: მოსალოდნელია სამსახურებრივი წინსვლა. კვირის შუა პერიოდში, სასიხარულო სიახლეს შეიტყობთ, მაგრამ საკუთარ სინდისთან კომპრომისის საშიშროების წინაშეც შეიძლება დადგეთ, ე.ი. სერიოზული დილემის წინაშე აღმოჩნდებით...

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: მთელი თქვენი დრო ყოველდღიურ ფუსფუსსა და უაზრო წვრილმანებს მიაქვს. მოსალოდნელია სიახლეები და შორიდან სტუმრების ჩამოსვლა. არ არის გამორიცხული, რომ ამან ოჯახური კონფლიქტიც გამოიწვიოს.

მამაკაცი: კვირის დასაწყისი საქმიანი შეხვედრებისთვისაა ხელსაყრელი. გავლენიან ადამიანებთან კონტაქტი მოგიწევთ. შესაძლოა, თქვენი გეგმების განსახორციელებლად, მათ და საკუთარ ნათესავებსაც მიმართოთ. უქმეებში, ყველანაირი საქმის გვერდზე გადადებას გირჩევთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: მოსალოდნელია კონფლიქტური სიტუაციები ახლობელ ადამიანებთან. შეეცადეთ, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაჭრათ ყველა პრობლემა. მოერიდეთ ახალი საქმეების დაწყებას. უქმეებში, კარგი გართობის საშუალება მოგეცემათ.

მამაკაცი: საკმაოდ რთული პერიოდია: გამუდმებით მოგიწევთ საკუთარი სიმართლის მტკიცება, საკმაოდ რთული პროცესების მართვა და, რაც მთავარია, ბევრ ჩანაფიქრზე უარის თქმაც.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ნუ გაერევით საეჭვო წამოწყებებში. კვირის შუა პერიოდისთვის, რომანტიკული გრძნობა იმდენად გაგიტაცებთ, რომ სხვა ყველაფერი დაგავიწყდებათ. კვირის ბოლოსთვის, გაუფრთხილდით საფულეს...

მამაკაცი: საკმაოდ დაძაბული რიტმი გელით. მოერიდეთ კამათს, ურთიერთობების გარკვევას – საამისოდ ახლა, არც დრო გაქვთ და არც ენერგია. კვირის ბოლოსთვის, შემოსავალია მოსალოდნელი. უქმეები ბუნების წიაღში გაატარეთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: ძველ მეგობრებთან ურთიერთობის აღდგენის ან ძველი სიყვარულის დაბრუნების საშუალება მოგეცემათ. მოსალოდნელია სამსახურებრივი წინსვლა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ განათლების სფეროში საქმიანობთ.

მამაკაცი: კოლექტიური პროექტების განხორციელების დროა. ეცადეთ, კარგად მოუსმინოთ ოპონენტებს. ამ კვირაში, თვალნათლივ დაინახავთ, რომ შვილების ზრდასთან ერთად, მათთან დაკავშირებული პრობლემებიც იზრდება.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: კვირის დასაწყისში, პროფესიონალური წარმატება გელით. მდგომარეობის განსამტკიცებლად, შეეცადეთ, მეტად დაუახლოვდეთ საჭირო ადამიანებს. კვირის მეორე ნახევარში, წინა პლანზე ოჯახური პრობლემები წამოიწევს.

მამაკაცი: ნუ იქნებით სულსწრაფი დასახული მიზნის მიღწევისას, თუმცა, არც საქმის ხელოვნურად გაჭიანურება გმართებთ. აღადგინეთ ძველი კავშირები. კვირის მეორე ნახევარში, თქვენ წინაშე შეიძლება მოულოდნელი დაბრკოლებები აღიმართოს.

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: კვირის დასაწყისში, დოკუმენტაციის მოწესრიგება მოგიწევთ. სამსახურშიც და ოჯახშიც, საბუღალტრო საქმიანობა არ აგცდებათ. უქმეებში, ბუნების წიაღში დასვენების საშუალება მოგეცემათ.

მამაკაცი: დროა, სერიოზულ საქმეებს შეეჭიდოთ. ოჯახში ამისთვის საჭირო, ყველა პირობას გიქმნიან. კვირის მეორე ნახევარში, წარმატებით გაართმევთ თავს მნიშვნელოვან საქმიან მოლაპარაკებებს.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: ორშაბათი, დიდი ხნის ნალოლიავები ჩანაფიქრის განსახორციელებლად ხელსაყრელი დღეა. საერთოდ, მთელი კვირა საკმაოდ წარმატებული იქნება. უქმეებში კი, ქალაქგარეთ გასვლას გირჩევთ.

მამაკაცი: კვირის პირველ ნახევარში, მოულოდნელი შემოსავალი გექნებათ. ოთხშაბათისთვის, შესაძლოა, გავლენიანი ადამიანები გაიცნოთ. კვირის დამლევისთვის, თქვენს ქონებას სოლიდური შენაძენს შემატებთ.

მარჩხეზი – 22/V-21/VI

ქალი: ოჯახური პრობლემების გადაჭრისას, შესაძლოა, ზედმეტი ხარჯების გაწევა მოგიხდეთ და ვალიც კი აიღოთ. თუმცა, სოლიდური თანხა, მაკონტროლებელ ორგანოებთან კონფლიქტის გამოც შეიძლება დაკარგოთ. გული იმით დაიმშვიდეთ, რომ ბედნიერებას ფული როდი განსაზღვრავს...

მამაკაცი: მოლაპარაკებებისა და საქმიანი კონტაქტებისთვის ხელსაყრელი პერიოდი გაქვთ. ამავე დროს, ოჯახის წევრებისთვის მეტი დროის დათმობის საშუალება მოგეცემათ. კვირის დასაწყისში, შესაძლოა, თქვენს ძველ ოპონენტებთან კონფლიქტი მოგვიდეთ; ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი სიმშვიდე გამოიჩინოთ.

როგორი დამოკიდებულება გაქვთ მამაკაცებთან?

1) როცა შეყვარებული ხართ, ითხოვთ თუ არა საყვარელი მამაკაცისგან იმდენივე ყურადღებასა და სითბოს, რამდენსაც თქვენ ამჟღავნებთ მის მიმართ?

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 1.

2) თვლით თუ არა, რომ შეყვარებული მამაკაცი აუცილებლად ყოველდღიურად უნდა უწყობდეს თავისი სიყვარულის ობიექტს თუნდაც მცირე სიურპრიზს?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

3) მიგაჩნიათ თუ არა, რომ მამაკაცი, რომელსაც შეიყვარებთ, თქვენზე ჭკვიანი და განათლებული უნდა იყოს?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

4) შეგიძლიათ თუ არა შეგიყვარდეთ მშიშარა მამაკაცი?

ა) დიახ – 0;

ბ) არავითარ შემთხვევაში – 1.

5) შეგიძლიათ თუ არა მამაკაცს თვითონ შესთავაზოთ საქმე ვახშმად წასვლა ან უბრალოდ, ერთად გასეირნება?

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 1.

6) თქვენი აზრით, ვის უფრო ეპატიება ემოციების სახალხოდ გამოვლენა?

ა) მამაკაცს – 0;

ბ) ქალს – 1.

7) თვლით თუ არა, რომ სიყვარულში აჩქარება არ ვარგა?

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 1.

8) ღიზიანდებით თუ არა, როცა ატყობთ, რომ თქვენს საყვარელ მამაკაცს მეგობრები უფრო მეტად სჭირდება, ვიდრე თქვენ?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

9) მიგაჩნიათ თუ არა, რომ მამაკაცები მუდამ ცდილობენ ქალების მოტყუებას?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

10) გაღიზიანებენ თუ არა ის მამაკაცები, რომლებიც მოდის მიმდევრებს დასცინიან და ლაზათიანად ჩაცმას უგულებელყოფენ?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

11) თვლით თუ არა, რომ მამაკაცი აუცილებლად თავდაჯერებული უნდა იყოს?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

12) ანიჭებთ თუ არა უპირატესობას ძლიერ და თავშეკავებულ მამაკაცებს?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

დაანჯამეთ ქულები

0-4 ქულა: ძალიან თავდაჯერებული, საკუთარ თავში იმდენად დარწმუნებული ქალი ხართ, რომ მამაკაცებს მეტისმეტად რეალისტურად უყურებთ და აფასებთ. ილუზიები არასოდეს გაწუხებთ. მამაკაცები თქვენთან თავს თავისუფლად გრძნობენ, თუმცა იმასაც ხვდებიან, რომ მათზე ძლიერი და ჭკვიანი ხართ.

5-8 ქულა: მამაკაცების მიმართ ხშირად გაწუხებთ ილუზიები, ამიტომ იმედგაცრუებაც ხშირია თქვენს ცხოვრებაში. როცა მამაკაცთან ურთიერთობას იწყებთ, წინასწარ წარმოიდგენთ ხოლმე ამ კავშირის მომავალს და სწორედ ამიტომ, ხშირად ეხვევით უსიამოვნებებში და დისკომფორტსაც განიცდით.

9-12 ქულა: მამაკაცებს საერთოდ არ იცნობთ და მათ შესახებ საკმაოდ მცდარი წარმოდგენები გაქვთ. სწორედ ამიტომ, ხშირად სერიოზული პრობლემები გექმნებათ. სანამ მამაკაცები გაგიგებენ, უჭირთ თქვენთან საერთო ენის გამონახვა. იყავით უფრო ბუნებრივი და თავისუფალი, ამით ცხოვრებას მნიშვნელოვნად გაიადვილებთ.

45 ათასი ნაღდი ფული 1 დოლარად გაყიდეს

ეკლესიაში საქველმოქმედო ღონისძიებაზე ალასკელმა ოჯახმა შემთხვევით პლუშის დათვი გაყიდა, რომელშიც 45 ათასი დოლარი იყო დამალული.

ქალაქ ანჩორეიჯის მცხოვრები ვან სონგი კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოთი დაავადებული ქმრის – ინ ხონგ სონგის სამკურნალოდ ფულს აგროვებდა. მას შემდეგ, რაც ქალმა ნათესავებისა და ნაცნობების დახმარებით საჭირო თანხა შეაგროვა, გადაწყვიტა, ქმრისთვის ეს ამბავი დროზე ადრე არ შეეტყობინებინა და ფული საგულდაგულოდ დაემალა. კარგად შენახვის მიზნით, ფოლგაში გახვეული დოლარები, პლუშის ძველ სათამაშო დათვში ჩატენა, რომელიც ჭურჭლის კარადის სიღრმეში ცნობისმოყვარე თვალისგან მოშორებით დადო. სწორედ იმ პერიოდში ადგილობრივ ეკლესიაში საქველმოქმედო ღონისძიება ეწყობოდა, რომელში მონაწილეობაც გადაწყვიტა სონგის ოჯახმა. მისის სონგმა ძველმანები შეფუთა და ქმარს ეკლესიაში გაატანა. რადგან მცხოვრებთა მიერ შეგროვებული ნივთები ძალზე სწრაფად გაიყიდა, ბატონი სონგი სახლში დაბრუნდა, რომ კიდევ მიეტანა რამე და თვალში სწორედ ის ძველი პლუშის დათვი მოხვდა, რომელიც ფინჯნებს შორის მოკრძალებულად იდო... მისის სონგმა ძალზე გვიან შენიშნა უკვე დაკარგული ძვირფასი დათვი, რომელსაც იმ მომენტისთვის მოესწრო ახალი პატრონების შეძენა. ახლა ქალი მას, ვინც იყიდა სათამაშო, უკან დაბრუნებას სთხოვს. დათვი ვინმე ხანში შესულმა ქალბატონმა შეიძინა, რომელსაც ორი ქალიშვილი ჰყავს. ■

ავტომობილების მოყვარული 3 წლის ბიჭუნა ჰეიოხდების წიგნში მოხვდა



3 წლის ინდოელი ბიჭუნა განსაცვიფრებელი უნარით არის დაჯილდოებული. მას თავისუფლად შეუძლია გამოიცნოს სხვადასხვაგვარი ავტომობილის სახეობა და მოდელი, რის გამოც რეკორდების წიგნის ფურცლებზე მოხვდა. საი კოშიკის, რომელიც ჰაიდარაბადში ცხოვრობს, ერთმანეთისგან 540 ავტომობილის განსხვავება შეუძლია. როგორც ადგილობრივი გაზეთი იუწყება, ერთხელ ბიჭუნამ მანქანების ფირმაში მომუშავე დილერი იმით განაცვიფრა, რომ სხვადასხვა წელს გამოშვებული ერთი და იმავე მარკის ავტომობილთა განსხვავებები უმალ აღმოაჩინა. ვუნდერკინდის დედის თქმით, საიმ ავტომობილების მიმართ მოჭარბებული ინტერესი ჯერ კიდევ ფეხის ადგმამდე გამოამჟღავნა. ჯერჯერობით ერთადერთი ტრანსპორტის – ეტლის მფლობელი საი, თავისი უნიკალური მონაცემების წყალობით, ცნობილი გინესის რეკორდების ანალოგიურ ინდურ წიგნში შევიდა. ■

გამტაცებელმა ჯატაფალკი მიცვალებულთან ერთად გაიტაცა

ბაღდადში, შეიარაღებულმა გამტაცებელმა სასაფლაოსკენ მიმავალი კატაფალკიდან ხალხი გადმოყარა და მანქანა გაიტაცა. მიცვალებულის მინიბუსში, რომელიც ომის შემდგომ ერაყში სამგლოვიარო ცერემონიას ემსახურებოდა, დაახლოებით ათი ჭირისუფალი იჯდა. შეიარაღებულმა მამაკაცმა იძულებით გადმოიყვანა ისინი მანქანიდან, შემდეგ კი კატაფალკი გააქანა და ქალაქ ნაჯაფის მიმართულებით მიიმალა.

გაძარცული ერაყელები შარაგზაზე, რამდენიმე საათის განმავლობაში იდგნენ, სანამ გზად მიმავალმა ამერიკულმა სამხედრო პატრულმა არ ჩაიარა, რომელმაც ჭირისუფალი სასაფლაომდე მიიყვანა. ■

მობილური ტელეფონები და სპორტი შეუთავსებელია

ავსტრალიაში 300-ზე მეტი სატანვარჯიშო დარბაზის, აუზისა და გასახდელის მუდმივ სტუმრებს ვიდეოკამერიანი მობილური ტელეფონებით სარგებლობა აეკრძალათ. ამგვარი სიფრთხილე კლიენტებზე ზრუნვით არის გამოწვეული, ვინაიდან მათ ეშინიათ, რომ შიშველი სხეულის გადაღების მოყვარულები მოულოდნელად თავს წაადგებიან. ასეთი გადაწყვეტილების სტიმულად ისიც იქცა, რომ სულ ახლახან ვინმე ლუკ გილბერტმა თავი დამნაშავედ ცნო პორნოგრაფიის დამზადებაში, რომელსაც მელბურნის ერთ-ერთ აუზში გოგონათა ცურვისას გადაღებული მასალა დაედო საფუძვლად. ჯერჯერობით, უმსხვილესი სპორტული შენობების მფლობელმა კომპანია YMCA-მ აკრძალვა დაჟინებული რეკომენდაციის ფორმით შემოიღო, მაგრამ სიცოცხლის დაცვის საზოგადოებამ თხოვნით მიმართა ყველა კერძო მფლობელს, სხვა დანარჩენ სპორტულ დაწესებულებებშიც შემოიღოს ანალოგიური აკრძალვა. ■

ფოტოკუთხეები



ყველაზე გასართობი ჟურნალი

b81/22

კროსვორდების

გასართობ

ფრესელი

№4

იწყებს ახალი ჭართული რომანის შოქდეკას

ანა ჩარკვიანი

„მოგზაურობა მეოთხ
განზომილებაში
ანუ ექიმო პულს
არ ესინჯება!

— ბიჭი გამომართვით, — იყვირ
მთლიანად სისხლში მოთხვრილ
მამაკაცმა, — მანქანა მე მყავს.
ბავშვის მშობლები სად არიან?
— მე დამიტოვეს, — ამოიკვნეს
გამშრალმა მარინამ და გიორგი
გამოართვა...